

4/2
0



გეოგრაფია

8

1970

გნეოთოგო



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლტიკური შუკნალი

წმლიწადი 46-ე

№ 8

აგვისტო, 1970 წ.

საქართველოს საგოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ ს ი

დავით კვიციანი — მშვიდგოთ, უსიარო ტყეებო! რომანი. ვაგრძელება	3
სილოვან ნარიშკინი — ლექსები	17
ოტია იოსელიანი — თბილი რძე. მოთხრობა	21
გადრი პოხოველიძე — ტელედიტორის ქმარი. მოთხრობა	27
კლიშინი გოგიავა — ილიაობა. ბიოგრაფიული რომანი. ვაგრძელება	30

100 ვ. ი. ლეინი 100

ვ. მერკვილიაძე — ვ. ი. ლეინი და ამიერკავკასიის საგოთა სუვერენული რესპუბლიკების მშენებლობა	41
პრინი სარსიაშვილი — ხალხი უმღერის ვ. ი. ლეინს	53

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

კ. ცაიტიშვილი — ამიერკავკასიის ხალხთა გირული მშობრთობა	58
შალვა ლლონტი — მიხილ წავახოვილის კროზის კოტიკა	64
გურამ გვარდფითელი — გრიგოლ ჩიქოვანი	72
გიორგი ხუხუშვილი — ეგონიტი კაცის აღსასრული	79
ლადო ავალიანი — ლიტერატურული კრიტიკის გვალვები	84
ავლიანი ზურაბაშვილი — მხატვრული ლიტერატურა და კერძონოლოგია	91
გიორგი მერკვილიაძე — თანამედროვე ლირიკის ნოვატორული ხასიათის გამო წერილი პირველი	96
ვახტანგ მვანია — ილია გავგავაძის ბროლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ	108
ირაკლი გოგოლაური — თაბისუფლებს მომღერალი	119



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შოთა ბარამიძე — იროლიონ ივლიანის სატირული კაზალიციონობა	126
თამარ კუპაძე — ეფრემ მცირის სიზარძე	133
რევაზ მიწველიძე — ...რბალთა წყალთა მღვკეპანი	138
ირაკლი ხოჭავაძე — ნეკრასოვის ლექსების აღმნიშნული ქართული თარგ- მანები	148
არჩილ ჩაჩიბაია — ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი და ქართული სა- ბავშვო ლიტერატურის ამოცანები	156

ფაქტები, მომონებანი

ნუგზარ წამითელი — ნათელი ცხოვრების ფრცვლები	176
კონსტანტინე კონიაშვილი — პაოლო იაშვილი პაროქი	186

წიგნების მიმოხილვა

ნოდარ გუბაძე — ქველა ირთის შესახებ	191
--	-----



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე ბ ი ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბინაშვილი, დ. ზამუხარაშვილი, მ. ლეგანიძე, ვ. ძეგანიძე, ა. სულაქაძე-
არი, ა. ძუბუაძე, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, მ. წულუ-
კიძე, ო. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვეთები

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალეფონები: რედაქციის — 98-55-11-
პ/მგ. მდივანის — 98-55-18, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 24/VI-70 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 18/VIII-70 წ. ინაწყობის ზომა
7¹/₄ X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პარობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

№ 02154 ტირაჟი 12.300. შეყვ. № 2003.

საქ. კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მუმილობით, უსიერო ტყაუბო!

რ მ მ ა ნ ი

* * *

ბუდაში ესესელებით გაჰედლილი სამი სატვირთო და ერთი მსუბუქი მანქანა შემოგრიალდა. მანქანები ზედ ბურგომისტრის სახლთან დადგნენ. ჩვეულებრივ ყაყანიტა და ზორზოციტ არ გადმოცვენილან მანქანებიდან გერმანელები და სოფელს არ მოსდებიან. დაბალი, ჩასუქებული შტურმფიურერი გადმოვიდა, სათვალე მოიხსნა, დააორთქლა, ცხვირსახოციტ გაწმინდა, გაიკეთა და ორი თითი ასწია. ერთი სატვირთო მანქანა იქვე დარჩა. ორმა გზა განაგრძო. ვერა კონსტანტინეს ასულის ეზოს რომ გაუსწორდნენ, უკანა მანქანიდან ესესელები სწრაფად ჩამოხტნენ და სახლს ალყა შემოარტყეს. ერთი მანქანა სოფლის ბოლომდე მივიდა, იქვე შემობრუნდა, სოფლის საბჭოს ყოფილ ეზოში შევიდა და შედგა.

თვით შტურმფიურერი კი სამი ესესელების თანხლებით ბურგომისტრის სახლისაკენ გაემართა. სახლთან რომ მივიდა, ისევ ასწია ორი თითი და რალაც ჩაისიხინა.

ქიშქართან მდგომ სატვირთო მანქანიდან კისრისტებით ჩამოცვიდნენ ჯარისკაცები და წუთში ბურგომისტრის სახლ-კარიც ალყაში მოაქციეს.

შტურმფიურერმა სათვალე შეისწორა და მის წინ გაჯგომულ ჯარისკაცს ძაღლივით მიუგდო, მიდითო.

ეტყობოდათ ეს ოპერაცია წინასწარ საგულდაგულოდ ჰქონდათ დამუშავებული, არ ჩქარობდნენ, არც განგაშს სტეხდნენ. სხვა დროს სახლს მისცივდებოდნენ, კარებსა და ფანჯრებს შელუწავდნენ, სროლასაც ატეხდნენ, ამჯერად მსგავსი არაფერი მომხდარა. ჯარისკაცი სახლს მიადგა და საკმაოდ ფრთხილად დააკაუნა.

შორობმა, რა თქმა უნდა, გაიგონა მანქანების ხმაური, ფანჯარაშიც გამოიჭვირებია, ყველაფერი დაინახა. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა და არ გაჰკვირვებია, მაგრამ ეზოს ალყა რომ შემოარტყეს, დაცეცხლა, თუმცა არც ეს იყო მოლოდენელი, გერმანელთა ასეთი „წინდახედულობის“ მოწმეც ბევრჯერ ყოფილა.

პირველ დააკაუნებაზე ხმა არ გასცა. უკვე ფეხზე იდგა და იცვამდა, მაგრამ პირველ კაყუნს მაინც გაუჩუმდა.

მეორედ უფრო ძლიერ, უფრო მკვახედ დააკაუნეს.

პავლემ კარი გამოაღო, იქვე პარმალზე შეჩერდა და დაუპატიჟებელ სტუმრებს მიესალმა. არც პერანგის ღილები ჰქონდა შეხვეული და არც პიჯაკის. შტურმფიურერმა სალამზე ჩაიციხა, ოქროს კბილი გამოაჩინა და მადლობის ნიშნად

ოდნავ შესამჩნევად დააქნია თავი, თან სთხოვა გაჰყოლოდა.

პავლეს ბოგუშევსკის საკომენდანტოს ყველა მუშაკი ენახა, მაგრამ ამ ესესელს პირველად ხედავდა. ამ წუთში გეახლებითო, უთხრა, შებრუნდა და პირზე წყალი შეისხა. ჭარისკაცმა შტურმფიურერს გადახედა და თან შეჰყვა.

ეს კი აღარ მოეწონა შოროპს, მიხვდა ცუდად იყო მისი საქმე, მაგრამ არ დაბნეულა, ხელპირი დაიბანა, ღილები შეიბნია, ოთახი მოათვალიერა, საეჭვო ხომ არაფერი მრჩებო და გარეთ გამოვიდა.

მაღალი, ბეჭებში გაშლილი კაცი იყო პავლე შოროპი. შტურმფიურერს გვერდით ამყად მიჰყვებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს აქ უფროსი ის იყო და არა ესესელი.

ბურგომისტრი მსუბუქ მანქანაში ჩასვეს, აქეთ-იქიდან გერმანელები მოუსხდნენ. შტურმფიურერი შოფრის გვერდით მოკალათდა და ორი თითი ასწია. მანქანა ნელა დაიძრა.

შოროპს ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, კიმი და ვალოდია. ცოლ-შვილი ომის დაწყების პირველ დღეებშივე გახიზნა, საიმედო ადამიანებს გააყოლა და ახლა მისი აზრით სადღაც მოსკოვის ახლოს, შორეულ ნათესავთან ეგულვებოდა. ამ მხრივ გული საგულეს ჰქონდა.

ერთხელ ბოგუშევსკის კომენდანტმა სრულიად მოულოდნელად ჰკითხა, ცოლ-შვილი სადა გყავსო, რატომ არ გამაცნობო. პავლე არც კი დაფიქრებულა, მაშინვე უპასუხა, სამწუხაროდ პირველ დღეებში მეც შევშინდიო, სხვათა ფეხის ხმას ავყევი და ცოლ-შვილი ევაკუაციაში გავგზავნეო, თუ როგორმე მივაწვდინე ხმა, აუცილებლად უკანვე დავაბრუნებო. თანაც მოიბოდიშა, პატიება დიდის ამბით ითხოვა, ეშმაკი შემიჭდაო, ენანობო, ასე რომ მგონებოდა ბედნიერი კაცი ვიქნებოდიო. ცოლ-შვილი გვერდში შეყოლებოდაო.

ეს იყო და ეს, ამაზე სხვა დროს აღარაფერი თქმულა.

მანქანა ნელა მიდიოდა სოფლის შარახე. პავლე აქეთ-იქით თვალს არ აცე-

ცებდა. იჭდა და სულ პირდაპირ იცქირებოდა, მაგრამ მას არ გამოუპარია. თუ რა ხდებოდა ბუდამი. ყველაფერს ცოცხების თვალთ წონიდა, ყოველ წვრილმანს ამოწმებდა. გულში იმედის ნაპერწყალი კიაფობდა, იქნებ არ არის გაშიფრული, იქნებ ჩვეულებრივი შემოწმებაა, ან სხვა საქმისათვის მოაკითხეს. ასეა თუ ისე, თავი უნდა დაიჭიროს, სიმტკიცე და სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნოს, თუ მთლად წასული არაა მისი საქმე. ეკადოს ამ ერთხელაც დაიძვინოს თავი, მაგრამ თუ გაცემულია, თუ უკვე იციან ყველაფერი და უკანასკნელად ხედავს თავის სოფელს?

— თქვენი ცოლი, ბავშვები სად არიან, ბატონო ბურგომისტრო? — თავი არ მოუბრუნებია, ისე იკითხა შტურმფიურერმა.

— სამწუხაროდ აქედან ძალიან შორს დარჩნენ, უფრო სწორად არც კი ვიცი ამჟამად სად არიან. ამაზე მე უკვე მოვახსენე ბატონ კომენდანტს. — პავლეს ფერი ეცვალა, რას და ასეთ კითხვას იგი ახლა არ მოელოდა. პასუხი მგონი რიგიანად გასცა, მაგრამ ამდენი არ უნდა ელაპარაკა.

— არ გენატრება ცოლი, შვილები, ბატონო შოროპ?

— უცნაური კითხვაა, ბატონო შტურმფიურერ, ცოლ-შვილი ვის არ ენატრება, ალბათ თქვენც დაგრჩათ სამშობლოში ცოლი, ბავშვები და ითმენთ.

შტურმფიურერს გაეღიმა. მანქანა ვერა კონსტანტინეს ასულის სახლს გაუსწორდა და დადგა. შოროპმა დაინახა თუ როგორ გამოათრიეს სახლიდან ვერა კონსტანტინეს ასული. საბრალო ქალისთვის მკლავები გადაემტვრიათ, მარცხენა ხელი მოტეხილი ტოტივით ეკიდა, მაგრამ არ კნესოდა. სახეზე მიწის ფერი ედო, იგი უკვე ცოცხლად მკვდარი იყო.

ქალი კონდახის ცემით აათრიეს მანქანაზე და ძარაზე დააგდეს. ოფიცერმა გვერდულად გახედა პავლეს და როცა

მანქანა დაიძრა, ისე, სხვათაშორის იკითხა:

— ვინაა ეს ქალი?

— მასწავლებელია.

— კომუნისტია?

— არა!

შტურმფიურერი მკლავებით საზურგეს გადააწვა.

— თქვენ რა, ბურგომისტრო, მხოლოდ ის მიგანჩნიათ კომუნისტად ვისაც ჯიბეში მინდატი უდევს? სული? ბინძური სული?

— მე მოძღვარი არა ვარ, სულის აზრები საიდან უნდა ვიცოდე. ეს ქალი მარტოხელაა, თავისთვის ცხოვრობს, სახლიდანაც კი არ გამოდის. ყოველ შემთხვევაში არც მე და არც პოლიციას საეჭვო არაფერი შეგვიჩინებდა. თუმცა ეშმაკმა არ იცის მაგათი თავი, ქალისთვის მცხელა?

— მას მარტოხელაა? სახლიდან არ გამოდის, თავისთვის ცხოვრობს და ბატონ ბურგომისტრს არაფერში აეჭვებს? — ახლა ინება თავის მობრუნება ოფიცერმა.

— ასე რატომ მელაპარაკებით?

— ველიკანოვი? არ გსმენიათ ასეთი გვარი ბატონო შოროპ? — სათვალე უცებ მოიხსნა და პავლეს ჩაღამებულ თვალებით ჩახედა.

— ვინ არის ველიკანოვი? — მშვიდად დაუბრუნა კითხვა ბურგომისტრმა.

— იმ ქალის მღვმერი, საყვარელი, იატაკქვეშელი. ვერც ახლა მოიგონეთ?

— თქვენ რა, იმ ვილაც ველიკანოვის თანამონაწილედ სომ არ მთვლით. მე ვგონი საკმაოდ შემამოწმეს, მენდობიან და ასეთი რამ არ შეკადრება.

— სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა. სოფელში, სადაც თქვენ ბურგომისტრად დაგნიშნეს, ცხოვრობს ქალი, მასთან შეეკედლებულია იატაკქვეშელი კომუნისტი. ბინაზე აქვთ რადიომიმღები, იკრიბებიან და ისმენენ დაუსჯელად, თქვენი ცხვირის წინ და თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით. მას რა იცით, ბატონო შოროპ, რა იცით?

— ბევრი რამ, ბატონო ოფიცერო,

ძალზე ბევრი რამ, რაც შესაძლოა ვერც თქვენ გაგანდოთ, ეს ჩემი და ბოგუმეცისკის კომენდანტის ბატონ გაუტრანსონ ულბრიხის საქმეა.

მაპატიეთ, მაგრამ მე არც კი ვიცი ვისთან მაქვს საუბრის პატივი და ვალდებულიც არა ვარ...

— ხმა ჩაიწყვიტე!

— ბატონო შტურმფიურერი!

პავლეს ისე უცებ გაუარეს ხელები, განძრევაც კი არ უცდია. თუმცა წინააღმდეგობის გაწევას რა აზრი ჰქონდა, მაგრამ ასეთ დროს ბუნებრივია ოდნავ მაინც გაიბრძოლებს კაცი, იცის ბრძოლა წაგებულია და ასე ცხვირით მაინც არ დაჰყვება მტრის ნება-სურვილს.

ხელები გაუარეს და ამით ყველაფერი ერთბაშად აგრძობინეს.

მანქანა კი მიდის, ძალიან ნელა მიდრავს სოფლის ბოლოსაკენ, ყოფილ სოფლის საბჭოსაკენ.

— ყველაზე ერთგული პოლიციელი მოგიკლეს, სოფელში ყოველ დამეძარწიან პარტიზანები თუ იატაკქვეშელები, რადიოს უსმენენ, ცნობებს იწერენ და ხალხში ავრცელებენ, ტყეებში პარტიზანულ რაზმებს ჰქმნიან, იარაღითა და ტყვია-წამლით ამარაგებენ და თქვენ ყოველივე ეს პირველად გესმით, ბატონო ბურგომისტრო?

— მე ბურგომისტრი აღარ ვარ. — შოროპმა გაკოჰილი ხელები ასწია. ოფიცერმა ჯარისკაცებს რაღაც უთხრა. პავლეს სწრაფად გაუხსნეს ხელები, სამაგიეროდ ჯიბიდან რევოლვერი ამოუღეს და შტურმფიურერს გადასცეს.

მანქანა სოფლის საბჭოს ეზოში შევიდა. აქ უკვე მთელი სოფელი მოერეკათ, ეზოს ერთ კუთხეში მიემწყვდიათ, მეავტომატები იღვნენ და შტურმფიურერის ბრძანებას ელოდნენ.

ოფიცერი დინჯად გადმოვიდა მანქანიდან, პავლესაც უბრძანა ჩამოსვლა.

პავლე წამოდგა, ახლა მოავლო თვალი სოფელს, ხალხს. სადაც სახლი იწვოდა. კვამლშერეული ცეცხლი მაღლა მიიწვევდა. ცივმა ოფლმა დაასხა, ეგონა ცეცხლი მისი სახლისთვის გაეჩინათ. თუ

ასეა, ვადარჩენაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. გონება დაძაბა, ხანძრის ადგილი დაადგინა. ცეცხლი მასწავლებლის სახლს ეკიდა. ცოტა გულზე მოეშვა და მანქანიდან ყმაწვილკაცივით ჩახტა.

ახლა ხალხი შეათვალიერა. იქ მოხუცი გრიგორის გარდა მისიანი ვერავინ დაინახა. ესეც არ იყო ურიგო.

ხალხში სულ წინ ანა იდგა და მეავტომატე გერმანელს მშობლიურ ენაზე ემუსიანებოდა.

სატვირთო მანქანიდან ვერა კონსტანტინეს ასული ჩამოაგდეს, პირდაპირ მიწაზე ისროლეს. ქალი არც კი განძრეულა, მას ფაშისტი მივარდა, ხელი დაავლო და ეცადა ქალი ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ როგორც კი გაუშვა ხელი, მაშინვე დაეცა.

საბრალო ქალს წამებისაგან სახე დამანჭვოდა, სულ ერთიანად გაღურჯებულიყო, პირიდან სისხლი სდიოდა, და სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი აღარ ემჩნეოდა. ფაშისტმა ვერა შტურმფიურერთან მიათრია.

ხალხმა გულსაკლავად ამოიგმინა. უმალ აკაკანდნენ ავტომატები, ხალხი მიწაზე განერთხო.

შტურმფიურერი ილიმებოდა, იგი ხან ხალხს მიჩერებოდა, ხან ვერა კონსტანტინეს ასულს გადახედავდა, ხან შოროპს.

პავლე ვაფითრებელი კი ჩანდა, მაგრამ თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს ასეთი სურათის ცქერა მისთვის უჩვეულო არ იყო და არც არავისი ბედი აწუხებდა.

ვინ გასცა მასწავლებელი?

ნუთუ მხოლოდ ვერა კონსტანტინეს ასულის საწამებლად მოვიდნენ ესესელები?

რატომ გაუკრეს ხელები ბურგომისტრს?

რატომ ჰკითხეს, ცოლ-შვილი სადა გყავსო?

ვინ არის ეს შტურმფიურერი? საიდან იცის ველიკანოვი, საიდან იცის, რომ ვერას ბინაზე რადიომიმლები იდგა, რომ იქ იატაკქვეშელები იკრებებოდნენ? ვის შეეძლო გაეცა ამხანაგები, ვის?

ათასი ასეთი კითხვა ხანჯლის წვერივით ჩხვლუტდა შოროპის გულს სჭინებას.

ესესელებმა სახრჩობელა აღმართეს. უცებ შეარჩიეს მოხერხებული ადგილი. მანქანიდან გამზადებული სახრჩობელა დიდის მოწიწებით ჩამოიღეს და დადგეს. ყველაფერი რომ გამზადდა, ერთმა ფაშისტმა თოკი დაქაჩა, შეამოწმა, გაუძღებს თუ არაო, პირდაპირ ზედ დაეკიდა, მერე ისე სწრაფად გააკეთა მარყუჭი, ეტყობოდა ამ საქმეში დახელოვნებული იყო. მარყუჭს ხელი გაჰკრა, გააქაჩა.

თოკი კარგა ხანს ქანაობდა, მსხვერპლს ელოდა.

ვერა კონსტანტინეს ასულს თავზე თოკი რომ ჩამოაცვეს, უბედურმა მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი, მაგრამ დანახვით აღარაფერი დაუნახავს. ესესელმა თოკის წვერი ხელზე დაიხვია, გულდაგულ მოეშადა და დაქაჩა.

ვერა კონსტანტინეს ასული ჰაერში გამოეკიდა. ესესელმა თოკი სახრჩობელას ბოძს მოახვია, ქალს ახედა და თავი დააქნია, თავისი ნახელავით კმაცოფილი იყო.

— ყველას ეს დღე მოგელით, ყველას უკლებლივ! — დაიყვირა ოფიცერმა და გვერდით მდგომ ესესელს რაღაც უბრძანა. თავის მხრივ აქამდე იმ ესესელმა ჯარისკაცებს დაუღრიალა. ყველანი ხალხს მისცვივდნენ, ავტომატების კონდახები და წიხლები დაუშინეს და გზის პირას საბძელში შერაკეს.

კონდახი ერთი-ორჯერ ანასაც მოხვდა, სწორედ იმ გერმანელმა ჩასცხო, ვისაც ცოტა ხნის წინათ მშობლიურ ენაზე ეძღურებულა. ანამ ხელები სახეზე იტაცა. სისხლი ტვინში აუვარდა, ასეთი რამ ვერაფრით ვერ წარმოედგინა, ეგონა ახლაც ისეთი პატივით შეხვდებოდა მას ეს ოფიცერი, როგორც ოდესღაც კომენდანტი შეხვდა. მოვიდოდა, ხელს მოხვევდა, ხალხს მოაშორებდა და მსუბუქ მანქანაშიც ჩასვამდა. კონდახი პირველად რომ მოხვდა, გაკვირვებისაგან პირი დაალო, ხელები გაასავსავდა და რა-

დაც დაიყვირა, მაგრამ მისი ყვირილისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. მეორედაც რომ დაჰკრეს კონდახი დაბარბაცდა, ტივილისა და შეურაცხყოფისაგან დაიკლანა, და აზმუვლდა. შიგ სახეში შესცქეროდა იმ გერმანელს და უცებ ისიც კი გაიფიქრა, რომ მას გერმანელი კი არა, გადაცმული პარტიზანი სცემდა. კონდახი რომ არ აკმარეს და წიხლიც უთავაზეს, მთლად შეიშალა, ოფიცრისაკენ გაიწია, მაგრამ ახლა მას მეორე გერმანელი სწევდა და საბძლისაკენ ბურთივით გაისროლა. ანა დაეცა, მაგრამ უცებ წამოიწია და საბძლის კარებისაკენ გაფორთხდა.

შტურმფიურერი საბძელთან მივიდა, ზიზლით შეხედა ხალხს, უნდოდა რაღაც ეთქვა, პირიც კი დაალო, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და შორიკს დაუღრიალა:

— უთხარით ამ ღორებს, სანამ ველიკანოვი თავის ფეხით არ გამოცხადდება კომენდანტთან, ამ საბძელში ვაყურყუტებ, მერე სახრჩობელას გახედა, — ყველას ასე ჩამოვკიდებ. ჩამოხრჩობას თქვენი დავიწყებ, ბატონო ბურგომისტრო!

შორიკი კართან მივიდა, საბძელი ხალხით იყო გაქედილი და შიგ აღარ შესულა, პირდაპირ დაიწყო:

— ხომ გაიგონეთ რა ბრძანა ბატონმა ოფიცერმა, თუ ველიკანოვი არ გამოცხადდა, ჩამოგვახრჩობენ. ასეთ შემთხვევაში ამათ სიტყვის ვატეხა არ იციან.

ხალხი აზრიალდა, აყაყანდა, ველიკანოვს არ ვიცნობთო, თვალითაც არ გვინახავსო. ხალხს მოხუცი გრიგორი გამოევო, ქული მოიხადა ჭერ შორიკს შეხედა, მერე ოფიცერს და მშვიდად თქვა:

— ველიკანოვს სოფელი არ იცნობს, ბატონო, თუ ბუდაში მართლა იყო ასეთი ვინმე, ხალხს ეს არ გაუგია და საიდან უნდა გააჩინოს. ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ რა შეგვიძლია, თუ ჩვენი დახრჩობა გნებავთ, ბარემ ახლავე დაგვახრჩეთ, რაღას გვაწვალებთ. ასე არ არის ანა? — ყასიდად ჩაჰკიდა და დაიმოწმა გრიგორმა ანა, მაგრამ ანას პასუხი არ გაუცდა, იგი ძაღლივით ყმუოდა.

გრიგორი დასწვდა, ძალით წამოაყენა ფეხზე, რაღაც თქვიო, ჩასჩურჩულა ყურში. ანას სახე წამოსიებობდა, მუხლები ამოლურჯებოდა, მაგრამ ახლა მას თვალი კი არა, გული სტკიოდა და მზად იყო ამ ჩასუქებულ გერმანელს ყელში სცემოდა.

— მე თვით გაუპტმანი ფონ ულბრიხი მიცნობს, — როგორც იქნა ამოვიმინა მან გერმანულად. — მე მის დავალებებს ვასრულებ და თქვენ ამისათვის, — თვალზე ხელი მიიღო, — პასუხს გაგებინებთ.

შტურმფიურერმა ერთი კი შეხედა ანას, გააფურთხა და სწრაფად გაემართა მანქანისაკენ. საბძელი ჩაქეტეს, კარს ურდული გაუყარეს და გუშაგები დაუყენეს.

საღრჩობელაზე წელა, სულ წელა ქანაობდა ვერა კონსტანტინეს ასულის ცხედარი.

სანამ სოფლიდან გავიდოდნენ, შტურმფიურერმა ყოველი მესამე სახლის დაწვა ბრძანა. ესეისელებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს მისი ბრძანება. ბუდა ცეცხლის ალში გაეხვია.

შორიკი მანქანაში ჩასვეს, ისევე აქეთიქიდან მოუსხდნენ ესეისელები, ისევე შორიკის გვერდით გამოიჯგომა შტურმფიურერი და მანქანაც დაიძრა. მსუბუქ მანქანას სატვირთოებიც მიჰყვნენ. სოფელში ხუთი გერმანელი დატოვეს.

ერთი საათის შემდეგ ბოგუშევსკის კომენდანტის ახალმა თანაშემწემ გაუპტმანი ფონ ულბრიხს ამ ოპერაციის შედეგები მოახსენა. გაუპტმანი მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდა. შტურმფიურერმა გერმანელი ქალიც არ დაივიწყა, გაუპტმანი წამით ჩაფიქრდა, ანა გაიხსენა, მაგრამ თანაშემწისათვის საყვედური არ უთქვამს, იყოს საბძელში, ერთიორი ღამე გაათიოს, არ აწყენსო. გულში კი სხვას ფიქრობდა. ეს ღორი შტურმფიურერი ნაშეტანს იქაჩებაო. დამოუკიდებლად მოქმედებს და დროზე უნდა აელაგმოო—ხმამალა კი ეს უთხრა თანაშემწეს: ხეალ არა და ზეგ ბუდაში მე თვითონ ჩავალო.

ამ ბოლო ხანებში გაუბტმან ფონ ულბრიხის ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვზე ეკიდა. ბოგუშევსკში, პირდაპირ საკომუნდანტოს წინ ესესის გრუპენფიურერზე თავდასხმა თვით ბერლინში შეიტყვეს. გაუბტმანის დაპატიმრებაში ევკო აღარავის ეპარებოდა, მაგრამ მან დროულად მიიღო ზომები, ყველაფერი მამას აცნობა — ის ხომ გერმანიაში ყველაზე ცნობილი მეფაბრიკის შვილი იყო. მამამისთან თვითონ ჰიტლერი შეგობრობდა და პატივსაცემდა. გაუბტმანსა ერთი დეპეშა მამას გაუგზავნა, მის პირად უფროსს კი ვიტებსკში ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა და ყველაფერი თანაშემწეს, შტურმფიურერ ჰანს შულცს გადააბრალა. შულცს მაშინვე აყარა იარაღი, დააპატიმრა და ბნელ სარდაფში უკრა თავი.

საგანგებო შემთხვევის გამო ვიტებსკიდან ესესელებით გაქვდილი ოთხი მანქანა მოვიდა ბოგუშევსკში. გაუბტმანს უკვე თავი ქედში ჰქონდა, გრუპენფიურერის მკვლელობაზე ბერლინის აზრი იცოდა და როცა მის კაბინეტში ესესის ობერშტურბანფიურერი შემოიჭვიმა დინჯად, ყოველგვარი შიშის გარეშე წამოდგა, მიესალმა და მოხსენებისას ზუსტად გაიმეორა, რაც დეპეშაში ჰქონდა აღნიშნული.

ვიტებსკის კომენდანტი გაუბტმანის მუშაობით კმაყოფილი არ იყო. იგი აქამდეც დაეინებით მოითხოვდა, რომ ამ ოლქის ყოველ რაიონში შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო კომენდანტებად მხოლოდ ესესის ოფიცრები ყოფილიყვნენ, მაგრამ ამ გაუბტმანს ადგილიდან ძერა ვერ უყო და მიხვდა, რომ მას ბერლინში საკმაოდ მაგარი კედელი იცავდა. ისღა მოახერხა, რომ თანაშემწედ თავისი კაცი დაუნიშნა და აი, ახლა გენერლის მკვლელობის მთელი დანაშაული სწორედ მის მიერ დანიშნულ ოფიცერს აწევებოდა მხრებზე.

ობერშტურბანფიურერმა შულცი ცალკე დაჰკითხა. შულცი სარდაფიდან ამოიყვანეს. სარდაფში წყალი მუხლამდე

იდგა და ისე იყო ტალახით ამოთხიპნილი, მისი ცნობა ყველაზე ახლომდებარე გაუბტმანს გაუგებრობდა. სანამ შეფთვან შეიყვანდნენ, უბრძანეს თავი წესრიგში მოეყვანა, მაგრამ არ ჰქნა, სახეზეც კი არ შეისხა წყალი და ასე განადგურებული და დამკირებული წარსდგა უფროსის წინაშე.

დაკითხვა დიდხანს გაგრძელდა. შულციმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო შეფს, უამბო როგორ მოქმედებდა იატაკქვეშა ორგანიზაციის წინააღმდეგ, რა ღონისძიებები ჰქონდა გატარებული ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შესაპყრობად, ანატოლიც და მასთან დაკავშირებული ამხანაგებიც ახსენა.

— კომენდანტს ცოტაოდენი სიფხიზლე რომ გამოეჩინა და ჩემთვის ხელი შეეწყო, აქამდე ყველა იატაკქვეშელი აყვანილი მეყოლებოდაო. საჩვენო საქმეში გაუბტმანი ცუდად ერკვევა, მე კი არაფერს არ მენდობოდაო, სულ იმის შიში ჰქონდა, რომ თანამდებობა არ წამერთმიაო. გრუპენფიურერთან შეხვედრას რომ აწყობდა, ჩემთვის არაფერი უკითხავს. შეხვედრა თავისი სულელური ჰკუთ მოაწყო, ახლოს არავინ გაიკარა და ასეთი სავალალო შედეგიც ამიტომ მივიღეთო.

შულცი დარწმუნებული იყო, რომ შეფი იმ წამსვე ბრძანებდა მის განთავისუფლებას, სინანულსაც გამოთქვამდა, უდანაშაულო ოფიცერი სარდაფში როგორ ჩაგაგდესო, მაგრამ მისდა გასაოცრად, განთავისუფლების მაგიერ ხელები გაუკრეს და საეკილური მანქანით ვიტებსკში ჩაიყვანეს. აქ მთელი კვირა აწვალეს და აწამეს, ცემდნენ კიდევ. დღეში სამჯერ ამოჰყავდათ დასაკითხად და ისე დასუსტდა, უკვე სიკვდილის პირზე იყო მისული, მაგრამ რაც თქვა, იმაზე მეტი ვერაფერი დააცდინინეს. ან კი რა უნდა სცოდნოდა, თავდაც დაბნეული და გაოგნებული იყო, საკუთარ თავზე ბრაზობდა, იმ გოგომ ასე როგორ გამაცურაო. გულში ოდნავ დანაშაულს კი გრძნობდა, მაგრამ ამას ხომ არ გამახელდა.

შულცი სულითა და გულით ესესელი იყო. ამ ომშიც საკმაოდ დამსახურება მიუძღვოდა და ყველაფერი რაც მის გარშემო ახლა ხდებოდა, მაინც შეცდომად მიაჩნდა.

ყოველ დაკითხვაზე სწამდა, ახლა გამიშვებენ და ჩემს უფლებებში აღმადგენენო.

ერთ დღეს თვითმფრინავში ჩასვეს, ეგონა ბერლინში მიჰყავდათ, მაგრამ ფრენა ხანმოკლე აღმოჩნდა, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა.

მინსკშიც იგივე განმეორდა, ოღონდ ცოტა უფრო მკაცრად და დაუნდობლად ეპურობოდნენ, ერთი-ორჯერ აწამეს კიდევ. შულცი გახდა, სახე ჩამოუყვითლდა, დაჩაჩანაკდა, მაგრამ წამებას ჯერჯერობით იტანდა, ჯიუტად იმეორებდა თავისას. მერე და მერე მოტყდა, სულით დაეცა და სულ თვითმკვლელობაზე ფიქრობდა.

ერთხელ დაკითხვისას ერთმა აზრმა გაუნათა გონება, თუმცა მაშინვე არ გაუმხელია. საკანში რომ შეაბრუნეს, ყოველივე აწონ-დაწონა, დააზუსტა და საათის შემდეგ ისევ ითხოვა დაკითხვაზე გაყვანა. მისი ხსნა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გულწრფელობით მოახსენებდა უფროსებს თავის აზრს.

— მე დამნაშავე ვარ, — თქვა მან.—
ბოგუშევსკის კომენდატურაში ჩემი ადგილი ვერ განვსაზღვრე, ჩემი უფლებები ვერ გამოვიყენე და ყოველგვარი სასჯელის ღირსიც ვარ. მე ვენდობი და იმედი მაქვს თქვენი დიდსულოვნების, წყალში ნუ გადამიყრით მცირეოდენ დამსახურებას, გამომიყენეთ. რუსული ენა კარგად ვიცი, ცოტაოდენი გამოცდილებაც მაქვს და მომეცით საშუალება, დანაშაული გამოვისყიდო.

ამ აღსარებამ მაშინვე დიდი ეფექტი ვერ მოახდინა, მერე ეტყობა ამაზე ვილაც ჩაფიქრდა, რადგან მერე დღესვე შულცი მთავარ შეფთან შეიყვანეს.

აქაც გაიმეორა თავისი აზრი, ოღონდ უფრო ზუსტად, უფრო შთაგონებითა და ერთგვარი გატაცებითაც კი ლაპარა-

კობდა. ფიციც დადო, რომ ყოველგვარ დავალებას შეასრულებდა, ყველაფერს არ დაზოგავდა და თავს გულგანსახებულად.

იგი გაანთავისუფლეს. რამოდენიმე დღე მინსკში დატოვეს, საგანგებოდ მოამზადეს და ერთ მშვენიერ დღეს ბოგუშევსკის კომენდანტის თანაშემწე, ესესის შტურმფიურერი ჰანს შულცი-ლეიტენანტ იგორ ვორობიოვად იქცა.

ვითმბესკის ოლქს შულცი კარგად იცნობდა, მაგრამ იქ მასაც იცნობდნენ და მისი უკან დაბრუნება არ იყო მიზანშეწონილი, ამიტომ უბრძანეს, ბარისოვის ტყეებში მოქმედ ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში შეეღწია და ემოქმედნა.

შულცმა რაზმში შეძრომა მართლაც მოახერხა. დამაჯერებლად გაითამაშა ტყვედყოფილი საბჭოთა მეათაურის როლი. ტყვეთა ბანაკი ისე აღწერა, რომ პარტიზანებს თმები ყალყზე დაუყვნა.

ვორობიოვს არავითარი პრეტენზია არ წაუყენებია რაზმის ხელმძღვანელობისათვის, პირიქით, თავი მოისაწყლა, ტყვედ არ უნდა ჩავვარდნილიყავიო, დამნაშავე ვარო, რიგით მეტროლოად განმარჯვებულ და ვეცდები ჩემი კაცობა დაგიმტკიცოთო.

ასეც მოხდა.

ვორობიოვი მეტყვიამფრქვევეთა ოცეულში მეორე ნომრად დანიშნეს.

მალე პოლიციელთა გარნიზონის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ამ ოპერაციაში ვორობიოვმაც მიიღო მონაწილეობა, თავიც გამოიჩინა და როცა მეტყვიამფრქვევე მოუტყლეს, ჯერ ტყვიამფრქვევეს მიუჯდა, მერე წამოდგა, ეს ამხელა იარაღი ხელში დაიჭირა და ტყვია პოლიციელებს დაუშინა.

ვორობიოვის მამაცობის ამბავი მთელ რაზმს ვიედო.

იგი მორცხვად იღიმებოდა, უფრო მეტად ოხრავდა, მეგობარი მეტყვიამფრქვევის დალუპვა აღარდებდა. დიდებული ბიჭი იყოვო, ნეტა მისი მოსახვედრი ტყვია მე მომხვედროდაო, მას გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოო.

ტყვიამფრქვევი ისე გაწმინდა, სულ პრიალ-პრიალი გაუდიოდა. რაზმში მეთაურები აკლდათ და სულ მალე იგორ ვორობიოვი მზვერავთა ოცეულის მეთაურის თანაშემწედ დანიშნეს. აქაც თავი გამოიჩინა, პირველსავე გასვლაზე ორი პოლიციელი შეიპყრო და რაზმის მეთაურს მოჰგვარა.

ვორობიოვი არ ჩქარობდა, ჯერჯერობით ბრწყინებს არ აჩენდა.

თანამდებობა ბოგუშევსკის კომენდანტმაც შეინარჩუნა. მას ახალი თანაშემწე დაუნიშნეს. თანაშემწეს გულთბილად შეხვდა, ხელი ჩამოართვა, გვერდში მოისვა, ესაო და მუდამ ასეთი გულსხმიერი ვიყავით.

თანაშემწემ თავისი საქმიანობა ბურგომისტრთა შემოწმებით დაიწყო. მთელი დღეები თავის ოთახში იჯდა და ქაღალდებში იჩიჩქნებოდა. ბურგომისტრთა პირადი საქმეები მაგიდაზე ელავა, კითხულობდა, ყოველ წერილმანს დიდის ყურადღებით უკვირდებოდა და თუ რომელიმე ბურგომისტრის საქმიანობა ოდნავადაც კი დაეკვივებდა, მის პირად საქმეს ცალკე გადასდებდა.

პაველ შოროპის სურათს დიდხანს უცქირა, ხან ასე ატრიალა, ხან ისე, პირადი საქმეც სამჯერ წაიკითხა. პირად საქმეში ჩაყვრებული იყო ცნობები, თუ რა სამსახური გაეწვია ბურგომისტრს გერმანიისათვის.

შოროპის მიერ შედგენილი გერმანიაში გაგზავნილთა სია გადაამოწმა და მაშინ ეჭვი გაუორკეცდა.

თანაშემწემ შოროპის გაცნობა და მასთან საუბარი მოისურვა. ამას ერთი საინტერესო ამბავიც დაერთო.

ერთხელ ბოგუშევსკის კომენდანტურაში ერმაკი გამოცხადდა. მან რატომღაც კომენდანტის თანაშემწესთან ისურვა განმარტობა. ერმაკი გულდაგულ განხრიკეს და შტურმფიურერს წარუდგინეს.

რაოდენ დიდი იყო ოფიცრის გაცოცხლა, როცა ამ გამბდარმა, დაღუღლმა, თვალეზმირპლიანმა კაცმა გერმანულად დაილაპარაკა.

შტურმფიურერი მაშინვე წამოდგა, ერმაკს სკამი შესთავაზა, პეტროვიჩი დიდან კონიაკი გამოიღო და დასხმისკენ ერმაკმა ოფიცრისა და მთელი გერმანიის სადღეგრძელო წარმოთქვა და კონიაკი გადაჰკრა, მერე დაჭდა, კაბინეტი მოათვალღერა და ყოველგვარი შესავალისა და მიკიბე-მოკიბვის გარეშე მოჰყვა თავის ბიოგრაფია. პირველი ომის შემდეგ ტყვეობა, მისი გერმანიაში ჩაყვანა, ბედნიერი შემთხვევით ანას გაცნობა, მასთან დაკავშირება, შერთვა და გვიან ისევ ბელორუსიაში დაბრუნება. მეორე ომის დაწყების პირველი დღეებიც მოიგონა. თქვენმა მოზრძანებამ ჩემს ოჯახს დიდი სიხარული მოუტანა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მუდამ შევიწროებული ვიყავითო, სულ აღმაცერად, სულ იქვის თვალთ გვიცქერდნენ და ყოველ ღამე დაჰკრასა და გადასახლებას ველოდიოთ.

ანა ფრთხილად დაახასიათა, არ დაუბეზღებია, მაგრამ შიგა და შიგ ცოტა შხამიც ჩაურია, რაც სრულიად საქმარისი იყო იმისათვის, რომ გერმანულ ქალში ესესის ოფიცერს ეჭვი შეჰპარვოდა.

ერმაკმა რა თქმა უნდა ქართველი მეთაურის მოსვლა და მის ოჯახში ჩასახლებაც არ დაივიწყა. საქმოდ დამაჯერებლად უამბო ოფიცერს ანას მიერ იმ მეთაურის გადარჩენა, მერე პარტიზანების თავდასხმის ღამე აღწერა, რითაც ოფიცრის ინტერესი ერთი-ორად გაზარდა.

ბუდის ბურგომისტრზე სიტყვა რომ ჩამოაგდო, ესესელმა, ყურები დაცქვიტა. არც ეს გამოპარვია ერმაკს და რაკი კომენდანტის თანაშემწემ მისდამი კეთილად განაწყო, სულ ენად გაიკრიფა, შეუნთო და შეუნთო. ესესელმა წერილმანებში ჩაჰკითხა და ჩაეძია. ერმაკი გამარჯვებას ზეიმობდა, იცოდა თუ არ იცოდა, რაც კი გაეგონა, ან თავისი თვალთ ენახა, ყველაფერი გადმოაღავა. სათქმელი გაწელა და გააზვიადა.

სწორედ გერმანიაში გაგზავნილნი მოიგონა. როგორც კი ერმაკმა ამ საკითხზე

ჩამოვადო სიტყვა, ოფიცერი წამოდგა, გერმანიაში გაგზავნილთა სია გამოიღო, ერმაკს წინ დაუდო და სათითაოდ დაახასიათებინა ამ სიაში მოხვედრილი ადამიანები. ყოველი კაცის თუ ქალის დახასიათებისას ოფიცერს თავისი დასკვნები გამოჰქონდა, უკვე დარწმუნებული იყო, რომ მისი გუმანი გამართლდა.

ერმაკი გრძნობდა, შორაობის საწინააღმდეგოდ თქმული ყოველი მის სიტყვა მიზანში ხედებოდა. ლეონ ცურანსაც მისწვდა, პოლიციელების მიერ მისი შეპყრობის ამბავი ისე ზუსტად მოჰყვა, თითქოს თვითონ ყოფილიყოს ამ ოპერაციის მონაწილე.

ცურანი რაიკომის მდივნის ადამ სტელმახის შემდეგ პირველი კაცი იყო რაიონში, ყოველი ავი საქმის მოთავე და ორგანიზატორი იყო. ხალხს თქვენს წინააღმდეგ ამხედრებსო, პარტიზანული რაზმების შექმნის ინიციატორი და სულის ჩამდგმელიც ის არისო. ბუდაში ერთი მარტოხელა მასწავლებლის ბინაზე იკრიბებიან, რადიომიმღებიც უნდა ჰქონდეთო. იმ ქალთან ვიღაც უღვაშებიანი კაცი ცხოვრობდაო, ცურანთან ერთად ისიც იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნდა იყოსო.

— ყველაფერი ეს თქვენ თვითონ საიდან იცით? — ჰკითხა ესეგელმა.

— ქართველი მეთაური ღამით საღვალად დადიოდა, გავიდიოდა შინიდან და ძალზე გვიან ბრუნდებოდა. მე რამოდენიმეჯერ გავყევი მას უკან. იგი ყოველთვის იმ მასწავლებლის ეზოში ჩადიოდა. ამან დამაწყვეტა. სხვა დროსაც ხშირად ვუთვალავლებდი მასწავლებლის ბინას.

— თქვენი მეუღლე?

— ანა თქვენი ერთგულია, იგი კომუნდანტის პირადი აგენტია, მაგრამ ქართველმა გონება აურიო, უკვე მერყეობს და ძნელი ვასარკვევია ვინ-ვის გადაიბირებს, ჩემი მეუღლე იმ ქართველს, თუ ის ქართველი ჩემს მეუღლეს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ საბჭოთა მეთაური ჩვენს ოჯახში სტელმახის, ან ცურანის შემოგზავნილია.

შტურმფიურერი თავის განუყრელ უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა, მერე: — თავი ასწია, ერმაკს გაუღიმა.

— ცურანზე კიდევ გინდობათ რაღაც გეთქვით.

— დიახ, დიახ. ცურანი საშიში პიროვნებაა. ხალხს უყვარს, ხალხი მას ინახავს, თვალისჩინივით უცლის. ასეთი კაცი ჰყავდა გაბაწრული და ფორანზე დაკრული პოლიციას, მაგრამ ჰქუის ნატამალი არც პოლიციელებს გააჩნიათ. ფორნით ბურგომისტრს მიადგენ, არაყით გამოთვრენ. დილით კი ცურანი ფორანზე აღარ დახვდათ. რაო, ღმერთმა ახსნა და ზეცაში წაიყვანა? არა მგონია შორაობი ამ საქმეშიც უცოდველი იყოს.

შტურმფიურერი დიდხანს ფიქრობდა, მერე წამოდგა, ერმაკს მეგობრულად დაკრა ხელი მხარზე, მეტად მნიშვნელოვანი ცნობების მოწოდებისათვის დიდი მადლობა გადაუხადა, ბოგუშევსკში ბინას დაჰპირდა, თან უბრძანა მასთან ყოველ მეორე დღეს გამოცხადებულიყო სათანადო საბუთითაც აღჭურვა და გაისტუმრა.

ესეგელმა იმ დღესვე დაადგინა, რომ ვერა კონსტანტინეს ასულის ბინაზე აღარც ველიკანოვი ცხოვრობდა და აღარც რადიომიმღები იდგა. ვერასა და ანას მეთვალყურე მაინც მიუჩინა.

შორაობის დაპატიმრებას კი არ ჩქარობდა, არც ქართველი მეთაურისათვის უხლია ხელი. მთავარი იყო მათი ყოველი ნაბიჯი სცოდნოდა და იმედი ჰქონდა რომ დღეს თუ არა ხვალ, ან შორაობი, ან ის ქართველი მეთაური იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა თავშეყრის ახალ ბინას მიაკვლევინებდა.

იანოვოში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ გაყოფდა, მოთმინების უნარი დაკარგა და უცებ გადაწყვიტა ბუდაში წასვლა.

...შორაობის დაპატიმრებისა და ვერა კონსტანტინეს ასულის ჩამოხრჩობის ამბავი ტყეში შევიტყვე. რაზმში სწორედ წინა საღამოს გამოცხადდი, თვითონ სტელმახმა დამიბარა.

ნაშუადღევს ხუთი საათი იქნებოდა, შინ ფანჯარასთან ვიჯექი და ჩვეულებრივ სოფელს გავცქეროდი. ანა დილით გავიდა სახლიდან და ჯერ კიდევ არ ჩანდა. უცებ სტიოპა სენკევიჩის მოკვარი თვალი, ბიჭმა ეზოს აუარ-ჩაუარა, სახლისკენ არ გამოუხედა, მოშორებით შეჩერდა და სტევენა დაიწყო. სტიოპას შინ შემოყვანა არ შემეძლო, ანას ყოველ წუთში ველოდი და სტიოპა ჩემთან რომ ენახა, ვინ იცის რას იფიქრებდა. ანა სტიოპას მისიანად თვლიდა, სულ მიჩინებდა, შემახვედრეო, მაგრამ მე არ მიხდოდა იგი ანას გაცნობოდა.

სახლიდან გამოვედი, კარი ჩავეტე, ჩავახველე და საბძლისაკენ გავემართე. რა თქმა უნდა სტიოპამ, დამინახა, ჩემი დახველებაც გაიგონა და გამომყვა. საბძლის უკან შევხვდით ერთმანეთს, ხელი ჩამოვართვი, იანოვოს ამბები ვკითხე, რაღაც ზერტლედ და უღიმამოდ მიპასუხა. შევატყვე იგი ამჯერად სხვა დავალებით იყო მოსული.

— ორი საათის შემდეგ ტყისაკენ წადით, აი, იმ მიმართულებით. — ხელი გაიშვირა. — მე შეგხვდებით და რაზმში მიგიყვანთ.

ბიჭს ხელი ვტაცე, გულში ჩავეკარი და ჩავკოცნე.

— ეს ვინ დაგვალა, ჩემო სტიოპა?

— თვითონ ამხანაგმა სტელმახმა. მანამდე ფრთხილად იყავით, არავის დაენახოთ. თქვენს დიასახლისსაც ნუ დაელოდებით, საღმე დაიმაღეთ. დანარჩენს ტყეში გეტყვიან. წავედი. — გამიცინა, ხელი დამიქნია და წავიდა.

თუთუნი შევახვიე, მოვუკიდე და მოვქაჩე. სიხარულისგან ისე ვიყავი აღტაცებული, ერთ ადგილას დგომა აღარ შემეძლო.

მას გადაწყდა, ტყეში ბიჭებთან მივდივარ. დღეიდან თავისუფალი ვარ და მორჩა ჩემი წამება. ცეცხლი წაჰკიდებია ამ სახლს, მე აქ აღარაფერი მესაქმება. ტყეში მივდივარ, ტყეში! აი, იქ იმ ტყეში, ამიერიდან იქაა ჩემი ბინა და კირსაც წაუღია სხვა დანარჩენი. მეღირსა, როგორც იქნა დამადგა საშველი.

ვიდექი, ტყეს გავცქეროდი და რაღაცას ჩემთვის ვჩურჩულებდი. ანა მომიახლოვდა, კატა-კატა მუშაობდა.

— რას უყურებ ასე დაყინებით?

შევკრთი, უცებ მოვიხედე და ისე დავიბენი, ერთ ხანს პასუხიც ვერ მოვახერხე. ანა დაღლილი და დაქანცული ჩანდა.

გულს ვაყოლებ-მეთქი, ვუთხარი და გავუღიმე. შინ შევედი. ანა ტახტზე ჩამოკდა, ამოიოხრა.

— რა იყო, მოხდა რამე? — ვკითხე.

— ვერ არის კარგად ჩემი საქმე, სიშა, ვერ არის! ბოგუშევსკიდან მივდივარ. იქ ვიღაც ახალი თანაშემწე დაუნიშნავთ, კინალამ დამაპატიმრა.

— შენ? — გავიოცე, მართლა გულით გავიოცე. — რა მიხდოა?

— არ მომეწონა მისი შემოხედვა, სიტყვა ვადამიკრა, ქალბატონო შენთვისაც მოვიცილო. წარმოგიდგენია? ეს შეკუთვნის მე მაგათგან?

— ვითომ რა უნდა მომხდარიყო?

— რა ვიცი, თავი მისკდება, მთელი გზა ტირილით გამოვიარე. ვფიქრობ, ეწვეალობ რა უნდათ? რას მერჩიან? შენ მაინც იცი ვინა ვარ, რას წარმოვადგენ, რა დამსახურება მიმიძღვის მათ წინაშე და მადლობის მაგიერია? შენთვისაც მოვიცილო, გაუბტმანი ვერ ვნახე. მიხდოდა მისთვის შემეჩვილა ჩემი ამბავი, ვიტებტკშიაო. რა ვქნა? როგორ მოვიქცე, ა?

— ნუ გეშინია, შენ ხელს ვინ გახლებს. თვითონ კომუნდანტი გიცნობს და თანაშემწე რას გავგიბდავს... ხვალვე ინახულე შენი შეფი. ეჭვი არ მეპარება, ტყავს გააძრობს თანაშემწეს.

— თუ გშია, ჰამე. მე არაფრის თავი აღარ მაქვს, უნდა დავწვე. — ლუმელზე ავიდა და გაუხდელად დაწვა.

ერთხანს ვიჯექი, თუთუნს ვაბოლებდი და ვფიქრობდი. ლუმელზე ანა ზღუქუნებდა, დრო ნელა მიიზღაწუნებოდა, მერე ანას ზღუქუნი მიწყდა, ეტყობა ჩაეძინა. ფეხაკრეფით გამოვედი სახლიდან. ჯიბეში რევოლვერი და ნაღია მახ-

ნეკას ნაჩუქარი დანა მედო, საათს დაეხედე, სტიოპას მოსვლიდან საათნახევარი გასულიყო, ნელა გავყევი შარას. სოფელი რომ ჩავათავე, უკან მოვიხედე. მაინც ბებერი რამ მაკავშირებდა ბუღასთან.

მაშ ასე, მივდივარ, თვითონ სტელმახის ბრძანებით მივდივარ და ალბათ დღეიდან კრეზიენისკის რაზმის დაზვერვის უფროსი ვიქნები.

მივდივარ, ათასნობრი გეგმები მიტრიალებს თავში. რაზმის დაზვერვა საგანგებოდ უნდა მოვაწყო. ყველაფერი წინასწარ უნდა ვიცოდე, რაზმს გზა უნდა გავუკვლიო, მისი მოქმედების კერსში ვიყო. პირველი ბრძოლა, პირველი შეტაკება დაზვერვამ უნდა მიიღოს. ვასოს ჩემს ოცეულში გადავიყვან, ამაზე მე მგონი უარს არ მეტყვიან, ან რატომ უნდა მითხრან უარი. მე და ვასო ერთად უფრო კარგად ვიბრძობლებთ.. ანტონი ალბათ აღარ მიკადრებს, თვითონ ეყოლება ოცეული, თუ მეტი არა. მიშა ლიზუნოვს კი არამც და არამც არ დავთმობ. სტელმახის შეწყუბებაც რომ მომიხდეს, არც ამაზე დავიხვე უკან. მიშა ლიზუნოვისთანა მზვერავს სადიშოვი.

ანა?

ასე დარჩეს დაუსჯელად? რა მითითებას მომცემენ ხელმძღვანელები? ვაი თუ უკანვე გამომაბრუნონ.. აჰ! ღმერთო, ნუ ჰქნას. უკანვე რატომ უნდა გამომგზავნონ. თუ რაიმე საგანგებო დავალევა, სტიოპას პირით ვერ ვაღმომცემდნენ?

რა დაძმარებულ ხასიათზე დაბრუნდა ბოგუშევსკიდან ჩემი დიასახლისი. ჰო, ჰო, რას გავიხარებ თუ თვითონ გერმანელებმა გააყოფინეს თავი ყულღში.

მაზნევა?

ალბათ მასთან კიდევ მომიწევს შეხვედრა ოდესმე.

სტიოპა დაეინახე, ბუჩქთან იჯდა, წამოხტა, მომეგება. გზა განვაგრძეთ, მალე ტყეში შევედით.

გზაში სტიოპას ვკითხე, იქნებ იცი რაზე მიბარებენ-მეთქი. დედის საფლავს

გვეიცებით, რაც გითხარით იმაზე მეტი არაფერი ვიციო.

ეროვნული

რაც უფრო ღრმად შევდევნებდი ტყეში, ში, რაც უფრო ვუახლოვდებოდი ბანაკს, მით უფრო ვნერვოვლობდი და ვღელავდი. ასე მეგონა საკუთარ სახელში მივდიოდი.

გუშაგმა შეგვაჩერა, პაროლი მოგეთხოვა. სტიოპამ უპასუხა.

უყურე ამ ბიჭს რამდენი სცოდნია!

რაზმის შტაბის მიწურში ადამ სტელმახი, ლეონ ცურანი და ივანე კრეზიენსკი დამხვდნენ. მივესალმე და ბრძანებისამებრ გამოცხადება ვუპატაკე. გულთბილად მიმიღეს, ხელი ჩამომართვეს. სტელმახმა გვერდით მომისვა. მიწურში ორი ჭრაქი ენთო, საკმაოდ თბილოდა.

— კმაყოფილი ხარ? — მკითხა სტელმახმა.

— მადლობას მოგახსენებთ!

— ერმაკს, შენს მასპინძელს უმადლე!

გაოცებისაგან პირიც კი დავადე. მოდი და ნუ გაგიყდები. იმ დღის შემდეგ, რაც ანამ ერმაკი სახლიდან გააგდო, მე იგი აღარ მინახავს, არც ანას უხსენებია მისი სახელი და ახლა საიდან გამოტყვრა? ამ ჩემს ტყეში მოსვლასთან ერმაკს რა კავშირი აქვს, რატომ უნდა ვუმადლოდე მას რაზმში დაბრუნებას?

— ერმაკი რა შუაშია, ამხანაგო სტელმახ?

— შუაშიც ისაა და ბოლოშიც. რა ეგონა შენს ფრაუს, სახლიდან რომ გააგდო და მოიშორა, დაიკარგებოდა? გულხელს დაიკრეფდა და ენას ჩაიგდებდა? კარგად ვერ სცნობია ქმარი. ერმაკმა ცოლს სამაგიერო გადაუხადა ბოგუშევსკის კომენდანტის თანაშემწესთან და აბეზლა, შენც ზედ მიგაყოლა. ბუღაში რომ დავგვეტოვებინე, ველარავინ დაგინსნიდა. პავლე შოროპს კი ჭერ ზმა ვერ მივაწვდინეთ. იქნებ ამაღამ მოვახერხოთ მისი გაფრთხილება, თუმცა არა მგონია მას ასე უცებ სტაციონ ხელი. იმ შტურმფიურერს ბატის თავი თუ არ აბია, შოროპს არ დაიჭერს. ვილაც პოლიციელი მოუკლავთ, ფორანზე დაუგდით,

ცხენს ფორანი პირდაპირ ბოგუშევსკის კომენდანტურასთან მიუტანია. ჩვენ არ ვიცით ვინ მოჰკლა პოლიციელი, მაგრამ გასაგებია ვინმე ჩვენიანი გაასაღებდა.

— ის პოლიციელი მე მოგვკალი! სამივემ შემოძახედა.

— მოგვკალი, იანოვოდან ბუდაში რომ მოვდიოდი, ფორანით წამომეწია. მასთან ძველი ანგარიშებიც შეწონდა გასასწორებელი. გაიციენეს.

— ჩემი დიასახლისი კი, — განვაგრძე მე, — ორი საათის უკან ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა ბოგუშევსკიდან, კომენდანტის ახალმა თანაშემწემ კინალამ დამაპატიმრაო.

— უყურე შენ! — ჩაიციინა სტელმახმა.

— თქვენ, თქვენ საიდან, — მინდოდა მეთქვა, საიდან იცით ასე დაწვრილებით ყველაფერი-მეთქი, მაგრამ სტელმახმა სიტყვა აღარ დამამთავრებინა, მხარზე ხელი დამკრა.

— შენზე ნაკლები მზვერავეები ნუ გგონივართ!

ივანე კრეზიჩისეკიმ მიწურიდან გამომაილა, მეორე მიწურისაკენ წამიძღვა. რაღაცნაირად სასაცილოდ მობაჯბაჯებდა და მე მაშინვე დავასკვენი, რომ იგი მწყობრის მეთაური არ იყო. მან მოშორებით მიწურზე მანიშნა, ჩაღი და ამხანაგებს გაეცანით.

მიწურში ჩავედი. აქაც ჭრაქი ერთო და თბილოდა.

ყველაზე ადრე ლიზუნოვმა მიცნო. მერე ვალოდია კორპუშევმა, ანტონიც იქვე იღვა, ტუჩები გაბუტული ბავშვივით მოეკრემა. მიყურა, მიყურა და გაშიცინა. ფოლადის კბილები მომანათა და უცებ გადამეხვია. მიწურში მყოფნი სათითაოდ მოვიდნენ, ხელი ჩამომართვეს, ადვილი დამითმეს.

ვასო არ ჩანდა. ლიზუნოვი მიმიხვდა.

— ვასო და ალიოშა დაზვერვაზე არიან!

— ვინ ალიოშა?

— ტარანენკო, არ იცი ალიოშა რომ გამოჩნდა?

— რას ამბობ, მიშა?

— კი, გამოჩნდა.

ალიოშა ტარანენკოს იმემავემ ძალზე გამახარა. მიწურში მყოფნი უცებ გამიშინაურდნენ, პატარა ვახშამიც გამიმართეს. მიშამ არაფერც გამოაძვრინა. ისე, რომ ჩემი რაზმში მოსვლა სათანადოდ იქნა შეფასებული და აღნიშნული. საწოლი ანტონის გვერდით გამიმზადეს.

მეორე დილით ადრე ავდექი, მიწურიდან ამოვედი. ტყეში საგრძნობლად ციოდა, მაგრამ მე ისე ვიყავი დანატრებული ტყეს, ამხანაგებს, რომ სიცივეს რაღას დავეძებდი. მთელი საათი ვიბორიალე ტყეში. სუფთა ჰაერს ღრმად ვისუნთქავდი და თავი უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა.

ვასო რომ დავინახე, გავშეშდი, ნაძვს ზურგით მივეყუდე და ვერაფრით ხმა ვერ ამოვიღე.

ვასო ჩემსკენ მოდიოდა, ისე ნელა მოაზივებდა, ცოტა არ იყოს გულიც კი მომივიდა. რატომღაც მეგონა, დამინახავდა თუ არა იყვირებდა და გამოიქცეოდა, თქვენც არ მომიკვდეთ, ისე მოსეირნობდა, თითქოს წუხელ ერთად ვყოფილიყავით დაზვერვაზე.

ჩქარი და აცერცეტებული ვასო არასოდეს მინახავს, მაგრამ კაცი სიცოცხლეში ერთხელ მაინც ხომ უნდა შეხტე.

— ვასო! — ვედარ მოვითმინე და დავიყვირე. — როგორ ხარ, ბიჭო?

— ვარ! — გადამეხვია.

— ჭრილობა?

ორი თითი შუბლზე მიიღო, ნახეო. შუბლზე კარგა მოზრდილი ნაიარევი აჩნდა.

— აქ შენზე ლეგენდებს ყვებიან. — გაიღიმა.

— რა ლეგენდებს?

— ვილაც გერმანელ ქალს დაუკავშირდა და დიდი ამბები დაატრიალაო. მართლა გხვრეტდნენ?

— ბიჭოს, შენ ყველაფერი გცოდნია.

— ჭურში კი არ ვზივართ.

— მხვრეტდნენ. ამათანა უსინდისო ხალხი გინახავს? ჩემისთანა ბიჭს კაცი ესვრის ტყვიას?

— აბა!

ნაძვის ძირას ჩამოვჯექით და მთელი ორი საათი ვყვებოდით ჩვენ — ჩვენ თავგადასავალს, მერე ჩვენი პირველი რაზმიც გავიხსენეთ. ის ბრძოლაც და ბანაყის განადგურებაც. ნავანიანი პოლიციელი ვასოსაც შეუნიშნავს, აქამდე დამასხორვებია მისი მწითური სახე და იარა. მინდოდა გამეხარებინა, იმ გარეწარს დედა ვუტირე-მეთქი, მაგრამ აშკრად გაჩუმება ვარჩიე. საუბრისა და ამბების მოყოლის დრო კიდევ ბევრი გვექნებოდა.

— იმ ყმაწვილს თუ იცნობ? — ვიდაც ტანბრგე, თბილ ქურქში გახვეულ მებრძოლისაკენ გამახედა ვასომ. მებრძოლს თავზე თბილი ქუდი ეხურა. უღვაშები ისე დაეყენებინა, უცებ ველიკანოვი დაამიდგა თვალწინ. მებრძოლი შორიახლო შეჩერდა, გაიცინა.

— ალიოშა! ეშმაკმა წაგიღოს, მართლა შენა ხარ? — წამოვბტი, ისიც ჩემსკენ გამოქანდა, მკლავები ისე მომიჭირა, ძვლებმა ტაკა-ტაკი დაიწყეს.

ასეთი ბედნიერი წუთები ბევრჯერ არ დაგიდგება ადამიანს.

ამ წუთების დავიწყება არ შეიძლება. ...თუანე კრეზიენსკიმ დამიძახა, მზევრავთა ჯგუფის წევრები დამისახელა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მიშა ლიუნოვი, ვალოდია კორაუშევი, ალიოშა ტარანეკო და ვასო ჩემს გვერდში იბრძოლებდნენ.

ანტონ სუხადოლსკი რაზმის პირველი ოცეულის მეთაურია.

მზევრავები შევკრიბე, გარდა ჩემი ბიჭებისა, ყველას გავეცანი. სულ თორმეტნი ვართ.

ბიჭებთან საუბრით კმაყოფილი დავრჩი, ასეთ ვაჟაკებთან შეიძლება სიცოცხლე.

საუბზე დამთავრებული არ გექონდა, რომ შტაბის მიწურთან რაღაც უჩვეულო ჩოჩქოლი ატყდა. მე მიწურისკენ გავიქეცი.

სტიოპა სენეკეიჩი, რომელიც წუხელვე გააბრუნეს უკან, ახლა სულ ერთიანად გაფითრებული და აცახცახებული

იდგა სტელმახის წინ და ვერა კონსტანტინეს ასულის ჩამოხრჩობის ამბავს ჰყვებოდა.

სტელმახი ნერვიულად დასაჯებდა მიწურში, თითებს ატაკუნებდა, ლელავდა.

იქვე გადაწყდა, დამით ბუდას დაესხმოდით და საბძელში დამწყვდეული ხალხი გაგვენთავისუფლებინა. ბუდას ჩემზე უკეთ რაზმში ბევრი არ იცნობდა, ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ამ ამოციანის შესრულება მე მომანდევს. მზევრავებთან ერთად ბუდაში წასვლა ანტონ სუხადოლსკის ოცეულსაც ებრძანა.

მიწურიდან თან სტიოპა წამოვიყვანე, ცალკე გავიხმე და ბუდას ამბები დაწვრილებით გამოვყივებ, მერე გეგმა შევადგინე, დავაზუსტე და უფროსებს გავაცანი. ცოტა რამ შემისწორეს, სათანადო რჩევაც მომცეს. როგორც კი შეღამდა. ბუდასაკენ გავეშურეთ.

ვიდრე მთლად არ დაღამდა, ტყიდან არ გამოვსულვართ. ტყის პირას ვისხედით და ვბჭობდით. სტიოპაც ჩვენთან იყო. თავდასხმა გვიან დამით სჭობდა. მთავარი იყო გუშაგები უხმაუროდ მოგვეხსნა, დაგვეხოცა, ან შეგვეპყრო.

სოფელში რომ შევედით უკვე ღამის თორმეტი საათი იყო.

დაზვერვაზე სტიოპა გავგზავნე, დავავალე ფრთხილად მიბარულიყო საბძელთან და გაეგო, ზუთივე გერმანელი იქ იყო თუ არა.

სტიოპა მალე დაბრუნდა და მომახსენა, ფაშისტები, ერთად სხედან და თვლებმნო.

წავედით. საბძელთან შეუშინებლად მისვლა არ გავგჭირვებია, ყველა გზა და მისასვლელი კარგად ვიცოდი. საბძლის გარშემო განვლაგდით. სტიოპა გვერდიდან არ მშორდებოდა.

საბძელთან ფაშისტები სხედან, თამბაქოს აბოლებენ, ჭერჭერობით ფხიზლობენ. მათი საუბარი კარგად მესმის. ჩვენ მიწაზე ვართ გართმულნი, შესაფერ წუთსა და მომენტს ველით. იქნებ ჩაეძინოთ და მაშინ ბევრად ადვილი

იქნება მათი შეპყრობა, მაგრამ საუბარი არ წყდება, დრო კი არ ითმენს.

მიშა და ვალოდია ერთი მხრიდან, მე ვასო და ალიოშა მეორე მხრიდან გავხობდით. ანტონი გაფრთხილებული მყავს, როგორც კი თავს დაეცხნით დასაშინებლად ცეცხლი გახსნას. ფაშისტებთან სულ ახლო მივხობდით. ყუმბარის სროლა ადვილია, ხუთიოდე მეტრიდან ყუმბარას მთელ ჯგუფს კი არა, ერთ კაცს მოარტყამ, მაგრამ ყუმბარას შეუძლია ხალხიც იმსხვერპლოს.

მიშამ და ვალოდიამ დაგვასწრეს, ერთბაშად წამოცვივდნენ და პირდაპირ თავზე დაახტნენ ფაშისტებს. უმალ ჩვენც მივეშველეთ, ანტონმაც ცეცხლი გახსნა.

ამდენი ხმაური თურმე სრულებით არ იყო საჭირო. ხუთივე ფაშისტი განვიაზრალეთ, ხელები გავუკარიით და ერთად დაეყარეთ.

საბჭოს კარი შევადეთ. ხალხი მიწაზე იწვა. შევეუძახე, გამოდით, თავისუფლები ხართ-მეთქი. ერთად მოაწყდნენ კარს, კინალამ გადამთელეს.

სახრჩობელადან ვერა კონსტანტინეს ასულის გვამი ჩამოვხსენით. მოხუც გრიგორის ვთხოვეთ, მასწავლებელი დაემარხა. გრიგორს ვილაცეები მიეშველნენ, ვერას ცხედარი ასწიეს და სოფლის სასაფლაოზე წაიღეს.

განკარგულებებს რომ ვიძლეოდი, ანა მომიახლოვდა, კატის თვალები მომანათა. არც ვაციე, არც ვაცხელე და ალიოშას მისი გათოკვა უმბრძანე. წამში დაუჭირა ხელები და სახრჩობელასთან მიათრია. მეც იქ მივედი.

— გითხარი, შენი ხელით მოკვდები-მეთქი და აი, დადგა ეს წუთიც.

რადას უცდი, ჩამომაცვი კისერზე თოკი და დამკიდე!

— შენს ბინძურ სისხლს ვერ ვაგვისერი, შენივე სახლისკაცებს ვუმბრძანებ ჩამოგახრჩონ. მიშა! ერთ-ერთ ფაშისტს ხელები გაუხსენი და აქ მომიყვანე, სწრაფად!

ლიზუნოვმა მასზე ბევრად მაღალი, ზონზროხა ფაშისტი მოიყვანა.

— რიგითი ხარ? — ვკითხე რუსულად.

— ეფრეიტორი.

— რუსული იცი?

— ცოტა, ძალიან ცოტა. — იგი მთელი თავის უზარმაზარი ტანით კანკალებდა.

— მომისმინე, ეს ქალი გერმანელია. მას ბევრი ადამიანის ცოდვა აწევს კისერზე და სწორედ იმ კისრით უნდა დაეკიდოს აქ. შენ შეგიძლია მისი გადარჩენა. აირჩიე, ან შენ ჩამოკიდებ გერმანელ ქალს, ან შენ ჩამოკიდებთ სახრჩობელაზე.

წამითაც კი არ დაფიქრებულა, ანას ეცა და ისე უცებ ჩამოაცვა კისერზე თოკი, კიდევ რომ მომენდომებინა, ვერ შევაჩერებდი.

— გახსოვდეს, ფრაუ, მე კი არა, შენიანი გახრჩობს. გაყიდვით კი, შენმა მეუღლემ, ერმაკმა გააყიდა.

შეებრუნდი და იქაურობას გავეცალე.

...მეორე დილით ბოგუშევსკის კომუნდანტთან ჰაუტმან ფონ ულბრიხთან ერთად ბუდაში მისი თანაშემწეც მობრძანდა.

მანქანა სოფლის საბჭოს ეზოში შეაგვლევს. ჰაუტმანი მანქანიდან ჩამოხტა და სახრჩობელასთან მივიდა.

სახრჩობელაზე მისი ყველაზე ერთგული აგენტი ეკიდა.

გზის ბინაზარი!

რომ მეგრძნო,
— რა ვარ, —
მე ვხედებოდი ქარსა და ყინვას,
თაკარა მზეში ვიშუშებდი უღმობელ
ტკივილს,
ვეჭიდებოდი ხან სიპ ტინებს,
ხან ჩაებლაოდი,
შორეულ, უცნობ უფსკრულებზე
ზვაეთა დინებას,
ხან ანთებული სანთლის ალზე
ვასვენებდი სულს,
ხან შენზე ლოცვით ვაღამებდი
ჯანგისფერ დღეებს,
ხან ბნელ ტაიგებს მივარღვევდი იმედიანი.
ჯიუტი,
უმნო,
თავმოყვარე,

ჩვილი
და შკაცრი,
ხან მყუდრო ადგილს ვპოულობდი
ჩემთა ფიქრთათვის,
მუხის ჩეროში ვაგზნებდი
ჩემს სულს...
ხან შმაგ ზვირთებში ვიკაეებდი სხეულს,
რომელიც
მიენდო მზეს და
მიწას მადლიანს,
ვიბრძოდი, ვგრძნობდი, მოვიდოდა
ის დღე,
რომელსაც
საგაზაფხულო სიმღერა ჰქვია!..
დღე დაბადების,
აღზევების,
ჩუმი სიბერის,
ტვირთთა კირთების და ყრუ სამარის...

სიმღერას ჩემსას
გადაულახავს სიერცეები,
მაღალი მთების იქით მსმენია,
სიმღერას შენსას შევხვედრივარ
მთვარიან ღამით,
და მთელი ღამე იმ ტკბილ ჰანზე მიოცნებია.
მე ვუთვალთვალე შენს ნაბიჯებს შუალამისას,
მე ვუდარაჯე შენს ძილს, შენს ვნებას,
შენს მწუხარე დღეს, შენი სახლის დირესთან ვიდექ,
ხოლო მზე როცა მოგეახლა.

1.607



განვდექი განზე, —

შენს ლხინს გავეჭვებ.

შენს აღზევებას...

მომეცი ხელი.

ლამის, მზის, მთვარის ბინადარო,

მომეცი ხელი,

ჩვენ ორივენი — ერთი ვართ ქვეყნად,

ხელი ჩაგვიდოთ,

ჩვენ ვინც დიდ მზეს ვუმღერით ერთად,

ჩვენს შორეულ და

უანგარო ძმას,

მზის ბინადარო,

მომეცი ხელი!..

ნაკადულების, ჩანჩქერების უჩინო ხილში

აურზაური მოვიშორე შენი ბაღისა,

სიჩუმე დადის ჩემს შორიახლოს...

გარინდებული ხეების ჩრდილში.

ნაკადულების, ჩანჩქერების

ურიცხვ რიალში

ლხინს ეძღვეიან ჩემი დღეები.

სავსეო ფერთა იდუმალებით.

მიწვავ, გაწვალებს ნაბიჯების ჩემის ხმაური.

ცაო, ამავსე ოცნებებით და მიმატოვე.

ბრძოლით აღანთე ქარო, სული,

მხურვალე მზეო, დააწყნარე და დაამშვიდე.

მე მესმის შორი, სიხარულის მაუწყებელი

ზარების რეკვა.

იდიდე პანგო; გააღმერთე რამ ზეციური!...

ჩვენ ერთად დიდხანს ვბაასობდით ლამის

მოსვლამდის, —

გვეჯეროდა ჩვენი, — მართლაც ვცხოვრობდით.

რა დაგარქვა შენ, სიამაყე, —

ლერწამი სწორი,

თავმოკვეთილი ჭანდაკება, თუ ლამის მწუხრში

შორეულ ცაში მეტეორის გადაქროლება?!..

ასე ესმოდა ვიღაცას წუთი,

და წუთის ფასი რა იყო მაინც.

ასე იხსენებს ვიღაცა იმ შორეულ თრთოლვას.

ასე ვიფიწყებთ ჩვენც დღევანდელს,

რომ გავიხსენოთ ოდესღაც მერე.



გადმოვეცემი შენს ფართო ხელებს,
მიწაო, ვიცო.

ახლა კი მინდა დავისვენო.

რომ მკლავმა ჩემმა ღონე ადიდოს.

აურზაური მოვიშორე შენი ბალისა,
ლხინს მოელიან მოწყენილი ჩემი დღეები,
და იწვის სული ნალვერდალი, როგორც ღაღარში,
ნელი ციაგით, იწვის რადგან, რომ არ იწვოდეს,
ჩაქრება იგი
და ნახშირი იქნება მხოლოდ.

ისევ იბაღობას უსიერ ტყეში

ისევ ჩამოიჭროლებთ

ქეი, ნიაღვრებო,

ისევ მოხერგავ ჩვენი ეზოს ნაპირთან

ნარიყს —

ადიდდები შენც, მაჭარეულო!...

ისევ გადმოივლით შავ-შავო ღრუბლებო,

ისევ გაწუწავთ ტყეებს წვიმით

და გასწევთ თქვენთვის!...

შენს სანახავად კვლავ შეგაწმავს

იორღას გაგა,

(იმ ბავშვურ დღეთა ახლაც მახსოვს

სიმორცხვის ფერი).

კვლავ აკიაფდება მტვრის კორიანტულით,

და სოფელს სტუმრებით გაახარებს გზა..

ტურაანთ სანდალაც,

შენც ალბად წარაფში,

კვლავ დაეწაფები ანკარა წყაროს წყალს,

და დილა ადრიან,

ჩემი ძმა თალღაურში

დაჰბერს საბერეულს და გაკვერავს ნამგალს.

ქეი, გასაფხულო, შენც კვლავ ააბიბინებ,

მდელოებს, ხავერდებს მოაგებ მთას,

უსიერ ტყეში კი იბაღობებს ჩიტი,

ისევ ნაღვლიანად, მარტოდ და ობლად.

ისევ აბღავდება შუაფხოს ხეებში,

ირემი დაჭრილი ფხოველის ტყვიით,

ისევ იღიადებს ჩემი საქართველო,

დიდი მზით,

დიდი მთვარით,

დიდი მთით,

დიდი ზვრით...

შენ იხნაბოლი ამაყი გედი

შენ იქნებოდი ამაყი გედი,

სამიზნე ყველა უნდო ბრპენისა

და ცად აწვდილი მყინვარის ქედი

ჩამოდნებოდა შენი ვნებისგან.

იფრენდი, ალბად, თავმოწონებით

და ცადგამლილი შენი ფრთებივით,

გაიყოლებდი ბევრის ოცნებას

და ფიქრს,

შორეულ ლაგვარდებივით...

შენ იქნებოდი ამაყი გედი, —

ღამეს დასცემდა შენი სინაზე,

იამაყებდა თვით შემომქმედი

და თავს დახრიდა ხვედრის წინაშე.

შენ იქნებოდი ამაყი გედი,

სამიზნე ყველა უნდო ბრპენისა

და ცად აწვდილი მყინვარის ქედი,

ჩამოდნებოდა შენი ვნებისგან...



ჩვეულებრივი არ არის ეს დღე,
ეს დღე შენს სახელს უფრო ადიდებს,
მე ასე ვფიქრობ, რადგანაც მენდე,
და ყოველ წუთში გითვლი ნაბიჯებს,

შენით იწყება ეს წყალდიდობა,
მე შენით ვიგრძენ თავდავიწყება,
არ უწერია ამ დიდ მინდობას.,
არც გამუქება, არც დაბინდება.

შენ დააყენე ჩემთვის დარები,
შენ აცმევ სამოსს დედაბუნებას,
ასე არავის არ ეყვარები,
ვერც ასე შესძლებ სხვის ერთგულებას.

მუდამ მოგიხმობ, გავყურებ შენს გზებს,
ეუკრთი შენს დიდსა სულთა ელვებას,
შენს მეტი ასე ვერავინ შესძლებს,
ჩემს დამშვიდებას, ან აღელვებას.

შკათათვევ,

საით მიედინები,
წყაროებისკენ?..
ჩრდილებისკენ?..
კალოებისკენ?..

ხეობებისკენ?

ფერად-ფერად მდებლობებისკენ?..

წიხებისკენ?..

თუ ტყისპირის ქოხებისაკენ?..

შკათათვევ, საით

მიედინები?!

მე შენ მივლინი

მე შენ გიმღერი ჩვეულებრივად,
ისევე, როგორც თენდება დილა,
ანდა მთაში ნახირი მიდის,
ან, როგორც მშვიდად და უდრტვინველად
მზე თავის სხივებს მიწაზე გაშლის...

ისევე, როგორც გუთანა სჭრის
ყამირის შავ ბელტს,

ანდა მთიბავი ბალახებს თიბავს,

მე შენ გიმღერი ჩვეულებრივად,
როგორც მშობელი მიმღეროდა პატარას

ნანას,

პაპაჩემი რომ ღიღინებდა ვენახის ქოხში,

მე რომ ვტიროდი პატარა და

უგონო ჯერაც,

მე რომ დავრბოდი, აღმა-დაღმა

ზაფხულში ვეღად,

ისე უბრალოდ, ფეხშიშველად

და უზრუნველად,

მე შენ გიმღერი ჩვეულებრივად,

სამყაროს სივრცის უსაზღვროებაე,

ზეციდან დაბლა დაცემულ

ნაწილო მცირე,

მიმოიხედე, რა დიდი ხარ,

სურვილი მიწის!...

შენ დააოკე სამყაროს დრტვინვა,
შენ ქარიშხლებიც დაიმორჩილე,
შენ მზით აბნელებ ღამის უკუნეთს,
მიმოიხედე რა დიდი ხარ

აღამიანო!

— რა პატარა ხარ!

— რა მცირე ხარ!

— რა უმწეო ხარ!

გახსოვს, როგორღაც ჩაგესმოდა

ოდესღაც ყურში?!

ო, იმის შემდეგ შენ იარე,

სქებნილი ყველგან.

რომ საკუთარი თავი გეპოვა...

დღეს კი შენია ყველაფერი,

ამ ლექსის ბწყარიც,

ღამის ბურუსში გზას რომ ანთებს

ის შუქნიშანიც.

მე შენ გიმღერი ჩვეულებრივად,

ისევე, როგორც მიმოდიან ხევში ნისლები,

ან ღამე წვევა ტრამალებზე,

პატარა ბიჭი სალამურს რომ აკუნებს

მინდვრად.

მე შენ გიმღერი

ჩვეულებრივად!

თბილი რძე

მ ო თ ხ რ ბ ა

ბინდდებოდა.

პელომ გომურიდან თბილი რძით საესე ქოთანნი გამოიტანა, მკერდზე მიიხუტა, მარცხენა მკლავი მოხვია და მარჯვენა ხელით კარის საკეტი გადა-
რაზა. გომურიდან ხმელი ჩალის შრი-
ალი ისმოდა. ქოთანნი ორივე ხელით და-
იჭირა და პალატისაკენ გზას რომ და-
დგა, მოეჩვენა, ქართასთან, საცალ-
ფეხო ალაგეს იქით, ვილაცა იდგა. სახ-
ლის სოხანიან აივანზე რომ ფეხი შე-
დგა, მოიხედა, მაგრამ ალაგეს ბოსტნის
ცერალმული ღობე ეფარებოდა და ხეი-
რიანად ვერაფერი გაარჩია. პალატის
კარი ფეხით შეაღო, ქოთანნი ბუჭერზე
დადგა და უკან მობრუნება დააპირა,
მაგრამ გადაიფიქრა. ალაგე ვიწრო, სა-
ნამუსო შუკაში გადიოდა, საიდანაც
საქონელი საძოვარზე მიჰყავდათ და მე-
ზობლები რაიმე საქმეზე ან საციქველ-
ზე ამ აკინჭიხებულ ორღობეში არ და-
დიოდნენ.

პელოს სახლის წინ კონინდარიანი,
მშვენიერი ეზო აქვს და ვერცხლის-
ფრად შეღებილი რკინის ჭიშკარიც, რო-
მელიც ასფალტიან შარავზას გადაჰყუ-
რებს.

„იმ ლაფოში და ნაკელში კაცისშვი-
ლი გაივლის?!“ — თავი გადააქნია —
„რა ღმერთის წყრომა დამემართა“..

რალაც ბინდბუნდში მოელანდა. მიხეც
კარებისაკენ წამოვიდა.

— კატის ჭირმა გაგწყვიტა! — ქალი
უკან შეტრიალდა, მაგრამ თავლია ქო-
თანთან კატა არ დაუნახავს.

რძე მომინანქრებულ ქვაბში გადა-
წურა.

შუკაში ვილაც დიდი ხნის უნახავი ნა-
ცნობი მოელანდა.

გაწურულ რძეში კვეთი უნდოდა ჩა-
ესხა და არ ჰქნა.

ვილაც დიდი ხნის უნახავი ახლობელი
მოელანდა.

ქვაბს თავი დააბურა. გარეთ დაბინდ-
და.

„ვილაც კი არა,... დასწყევლოს ღმე-
რთმა, თვალს მაცლდება — იმის მაგიერ,
რომ სინათლე აენტო, ოთახის წინა ფა-
ნჯრის ფარდა გადასწვია, ეზოს გახედა,
არავინ ჩანდა, — თუ ვინმე მოსასვლე-
ლი იყო, ჭიშკრიდან უნდა მოსულიყო“.

ფარდა ჩამოეშვა, გაასწორა.

„აქეთ საით ვიხედები, შუკიდან,
ალაგესთან მომელანდა“.

ღუმელში ცეცხლი განელებულიყო.
ორი ღერი ნაპობი შეშა შეაგდო, კარი
მიხურა. კარის საპაერო სამკუთხედ
ჭრილში ნაკვერცხლების წითელი სინა-
თლე ჩანდა. ღუმელის ქვეშ კატა
იწვა და პელოს ისევე რძე მოაგონდა.

„სანამ თბილია, მანამდე უნდა ჩავ-

კვითო“ — ბუჯერს მიუბრუნდა, თაროსკენ ხელი წაიღო, სადაც კვებით საესე ქილა ეგულებოდა.

„ის ჩემი ცოდვით საესე მომეჩვენა...“

თაროსკენ წაწეული ხელი გულზე იტაცა და დაფაცურდა, მაგრამ ამისთვის ისევ გომურისკენ წასვლა არ ღირდა. „ის“ თუ მოეჩვენა, მაშინ მართლა მოჩვენება ყოფილა. შეშინდა.

ამიტომ გლახა მარტოხელა ადამიანი. ძაღლიც რომ ვერ იშოვა ხეირიანი! ძაღლი, ადამიანისა არ იყოს, ჯიშინია საძებარი. ჯიშინი კი ყველაფერი ჭირს.

მარტოხელა ადამიანი დასწყევლოს ღმერთმა!

პელომ რაც მეორე ქალიშვილი გაათხოვა და პატრონს ჩააბარა, კედელ-ყურე ერთბაშად დაყრუვდა, ეს ალბათ უმცროსი ქალიშვილის გიემეჟი ხასიათის გამოც მოხდა. მისი მოსვენება არ იყო, მთლად აკლებული ჰქონდა ეზო-გარემო.

ალბათ დრო რომ გაივლის, პელოც მიეჩვევა მარტოობას. „ის“ ხომ გადაიკარგა და გადაიკარგა, მაგრამ პელო მარტო არ ყოფილა. ექვსი-შვიდი წლის ორი ქალიშვილი დარჩა სამპატრონო, გზაზე დასაყენებელი და აბა მარტოობისათვის ვილას ეცალა.

იბრუნა, იბრუნა წუთისოფლის მძიმე ბორბალმა და კაი თექვსმეტმა წელიწადმა ჩაიარა...

ახლა შვილებმა თავისი ბუდე მოქმებნეს და პელომ ინდოეთში გადაუფრენელი ღედა მერცხალივით იგრძნო ცივი შემოდგომა. ეულად დარჩენილ ქალს ახლა მეტი დრო აქვს და „ის ცოდვით საესე“ ამიტომ თუ მოელანდა...

კი, ბატონი ხარ, მაგრამ რატომ ჭიშკართან არ მოელანდა, რატომ ეზოში ბალახზე გავლილის უხმაურო ნაბიჯების ხმა არ მოესმა. რაღა მაინც და მაინც იმ უკაცრიელ, საქონლისაგან ალაფებულ შუკაში მოეჩვენა.

კატა წამოდგა და ნაზად დაიკნავლა, თბილი რძის სუნს თავისებურად მოეფერა.

„ძროხას ჩალა ჩავუყარე, ძეძუზე ხბოც გამოვაშორე, კარები ჩავკეტე... არა, იქ, ალაგესთან ვილაღობო...“

რა უნდა იმ ლაფოში რამ ჩაიყვანა.

კატა ბუჯერთან მივიდა და მალა აიხედა.

— ციხვა, შე უწმინდურო!

პელომ ქვების საბურავს მძიმე ქვასა-ნაყი დაადო, კატას რომ არ გადაეგდო და პალატის უკან, სოხანიან აივანზე გავიდა.

„კოკით წყალიც მოვიტანე — გაიფიქრა და შეჩერდა — მართლა მომეჩვენა ის ჩემი ცოდვით საესე?!“

ალბათ მერე და მერე მიეჩვევა მარტოობას.

საღამოსი ლილისფერი ბინდი იწმინდებოდა და მალე ჩამოხნელებოდა.

„მერე გარეთ ვეღარ გამოვალ, ჯერ კიდევ იცნობს კაცი კაცს... ნეტავი ჩემს ქალიშვილებს თუ აგონდებათ დედამისი...“ პელო ეზოში გამოვიდა, წინ წაიწია, სანამ ბოსტნის ღობეს გასცდებოდა, და ალაგეს ვახედა.

— „ღმერთო, შენ დამიფარე, ეს ოჯახო, მართლაა ვინმე?!“

ქალმა მარცხენა ხელი გულზე მიიღო და მკლავიც მკერდზე მიიბჯინა, თითქო რძით საესე ქოთანს არ გამოეპარდესო.

„ქუქუმალობიას ვთამაშობთ — შერცხვა ქალს და დაჯერებული ნაბიჯით გომურისაკენ წავიდა. — თუ მართლა ვინმეა, დაიძახებს“. სარაზავი რომ გახსნა, ისევ ქართისკენ გაიხედა.

„თვალში ვერ ვიხედები, თუ მართლა ისაა, ის ჩემი ცოდვით საესე?!...“ ძროხამ დაიბრუტუნა.

გომურში შევიდა. კარი მიხურა. შიგ ისედაც ბნელოდა და საქმეზე რომ შესულიყო, კარს არ მიხურავდა...

„ამოიღე ხმა, შე ენა ჩასაციებლო!“

მიაყურა. კრინტი არავის დაუძრავს.

„ალბათ დამიძახა, მაგრამ ეს მგლის არჩივი ძროხა ხმელ ჩალას გლეჟს, რას გაიგონებ.“

გამოვიდა. საკეტი ისევ გადარაზა და პალატისაკენ გასწია, მაგრამ სანამ ბო-

სტნის ცერამულ ღობეს გასცდებოდა, ხმა რომ არავინ მიაწვდინა, შეჩერდა.

„საცა დაღამდება და გადამრევს ეს ოჯახდსაქცივი“.

ახლა გამოშფეველ დააჩერდა.

„კი, ისაა, თუ... ვინცაა კია და...“

— ქე ხარ ვინმე? — ნამეტანი ხმა-დაბლა მოუვიდა.

„შიში არ უნდა შემატყოს“.

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ამო-იღე ხმა!

„ყრუ-მუნჯია ეს ოხერ-ტიალი?“

— ვინ ხარ, არ გეყურება!

„მუნჯი მუნჯია, ყრუ ყრუა, მაგრამ ხველ ხესავით რატომ დგას!“

— რამ გაგაქვაა, შე ენაჩასაქვავე-ბელო!

მოჩვენება შეინძრა.

„ლაპარაკი ესმის“

— გზა დაგებნა, შე უბედურო, ვი-ლაცა ხარ? — რატომღაც ღმობიერად თქვა ქალმა, ალბათ მისკენ წასვლა რომ უნდოდა.

მოჩვენებამ თავი ჩააკიდა.

— შუკაში თუ მოემწყვდები, გამო-დი, შე საცოდაო, ალაგებ და ეზოზე გადაიარე!

მოჩვენება არ განძრეულა.

„ისაა, ის ჩემი ცოდვით სავსე“.

პელო აღჩქარებლად მივიდა ალა-გესთან და იქიდან მომდგარ კაცს მი-აჩერდა. ქალმა იცოდა, თექვსმეტი წლის მანძილზე კაცი როგორ უნდა შე-ცვლილიყო და მაშინვე იცნო.

— ანდუ!.. ხმადაბლა წამოცდა ქალს.

კაცს რკინიგზელის გაქეპილი კოკარ-დინი ქული ეხურა. თმა ყვრიმალბთან მთლად გათეთრებოდა.

კაცს თავი არ აუღია, არც პასუხი გა-უცია, ხელი ალაგის სარისაყენ წაიღო და ცერა თითის ფრჩხილით ხველი აკა-ციის შემშალი ქერქის გაცლა დაი-წყო.

— ანდუყაფარი ხარ?!

კაცი ცარიელ-ტარიელი იყო.

— რომ აღარ ვიცი ვინაა! — თქვა ქალმა, მაგრამ ეს უკვე ზედმეტი იყო

და ქალს შერცხვა. გაჩუმდა, სათქმელი არაფერი ჰქონდა და გაჩუმდა. კაცი ღობის გადაღმა იდგა, არჩქარებოდა და პასუხს ელოდა.

პასუხს?!

რის პასუხს, პასუხი თვითონვე თქვა, თვითონვე დაიხურა რკინიგზელის მწვა-ნე კანტიანი ქული, დაჭდა მატარებელზე (მატარებელზე მანამდეც იჭდა) და პა-იდა...

ახლა ღობის გადაღმა იდგა, მატარე-ბელზე აღარ აგვიანდებოდა, აღარსად აღარ აგვიანდებოდა და ქალს შეეძლო ეფიქრა, აეწონ-დაეწონა. კაცი ლაფიან შუკაში იდგა. აქ არავინ არ მიდიმოდი-ოდა. ქალს ფიქრს არავინ შეუშლიდა, არც თავმოყვარეობას შეუღახავდა.

ახლა ამით ამბავში სოფელი ვერ ჩაე-რეოდა და თავის დაწერილ, ან დაუწე-რელ კანონს ვერ უკარნახებდა.

„მუდამ ასეთი იყო, — გაახსენდა პე-ლოს, — ქალებთან მისასვლელი სამა-მადლო გზები ყოველთვის იცოდა“.

კაცმა აკაციის სარს შემშალი ქერქი ხელის დადებამდე გააცალა, სარი თვით აღარ აგვიანდებოდა და ქალს შეეძლო კიდევ ბევრი ეფიქრა.

ქალს ბევრი ჰქონდა ნაფიქრი და თავ-ნატხიცი, მაგრამ ახლა ისევე ის აგონ-დებოდა, „ამ ცოდვით სავსემ“ რა კარ-გად იცოდა გზა...

„ცოდვით სავსე“ აღჩქარებლად აცლიდა სარს შემშალ ქერქს.

დაღამდა.

„დროც იცის — პელოს გაღიმება მოუნდა, — ჩემი ქალიშვილი რომ გაუ-თხოვარი იყოს... ან დიდი ხნის გათხო-ვილი... არ მოვიდოდა“.

„გზაც იცის, დროც იცის“...

ნაცოლებს ახლა ეს ნაქმარევის ღი-რსებად მიაჩნდა.

ქალს არ უნდოდა ეს ღობის გადა-ღმა ატუხული კაცი გამოგდებული, მიტოვებული, დაჩაჩანაკებული და დაბეჩავებული ყოფილიყო, არც ის, რომ „მას აქეთ“ თექვსმეტი წელიწადი იყო გავლილი და არც ის, თვითონ რომ ნაცოლები იყო. ამას თუ დაბეჯი-

თებით გაიხსენებდა, ეზოზე არც გადა-
არებინებდა.

არა, ნაცოლები იყო, მაგრამ თექვს-
მეტი წლის ნაცოლები უბრალოდ ქა-
ლია და მეტი არაფერი... ქალთან მი-
სასვლელი დრო და გზა კი იცის...

„თექვსმეტ წელიწადზე მეტია...“ —
ქალს ყოველთვის ახსოვდა განშორების
წუთები, მაგრამ ახლა მოუნდა უფრო
ადრე ყოფილიყო „ის დღე“, თუნდაც
ერთი წლით ადრე მაინც, მაგრამ თექვს-
მეტ წელზე მეტი არ იყო..

„დრო იცის, უფრო ადრე რომ მო-
სულიყო... არც დაგვიანება ივარგებ-
და, იმ დროს მოვიდა, კაცს იცნო-
ბდა და მეტი არა. უფრო გვიან, სულ
რომ ჩამოლამდებოდა, მერე მთლად
უცხო ვინმედ მოეჩვენებოდა, უფრო
ადრე, დღის სინათლეზე, თვალებში
რომ შეეხედა, თვალებს დრო ვერ
ერევა, თვალები თვალებად რჩება...“

სალამოს მიმჭრალ სინათლეზე ქალ-
მა ტანზე დაიხედა.

„ნამეტანი შინაურულად ვარ, ხა-
ლათი უნდა გამომეცვალა, ახლა სა-
გარეო კაბა კი არ იყო საქირო, მაგრამ
არც ასე ვარგა. მან იცის, როდის და
როგორ, მე კი არა...“

აკაციის სარზე ერთი მტკაველა კან-
გაცლილი ადგილი შებნელებულში თე-
თრად ჩანდა.

„ვეტყვი, რომ წავიდეს, მოცილდეს
აქაურობას, მაგრამ ამდენ ხანს რომ
ვყოყმანობდი აღარ დამიჯერებს, იცის,
იცის, მართლა როდის ეუბნებიან უარს
და როდის არა“.

„იქნებ აქამდე არც გაუგია, რომ
მეორე ქალიშვილიც გაუთხოვდა და
ამბის საკითხავად მოვიდა“. — ქალს
უსამველოდ დაწყდა გული, ისე, რო-
გორც „იმ დღეს“.

„მაშინ რაღა ამ ტალახში გადავარდა,
რაღა ამ ღრღში ჩადგა და რაღა ისეთი
დრო შეარჩია, კაცი კაცს იცნობდა და
მეტი არა?“

„არა, სად უნდა წავიდეს, რაც არ
უნდა იყოს, მამა როგორი მამა ეს
სხვა ამბავია, მაგრამ მამა...“

— ანდუყაფარ, თინა გათხოვდა!
კაცმა თავი შეუშინებლად დასაქნა,
ქალისათვის სიბნელეს ზელო... (ს) შექმ
შლია, დაინახა, მაგრამ შეეძლო „არ
დაენახა“ და განაგრძო, — რომ გაგემო,
ქორწილის დღეს მოხვიდოდი?

კაცმა თავი გააქნია. ქალს შეეძლო
ისევე „არ დაენახა“.

„იცის, დრო, მაშინ შვილები არ მი-
იღებდნენ, ნათესავეები არ მიიღებდნენ“.

მაშინ ქორწილი იყო პელოს ოჯახში
და ვერც ნაცოლები გაულებდა ფარ-
თოდ კარებს.

— აბა მე არ გაგახსენდებოდი... —
ამის თქმა არ უნდოდა და ენას კბილი
დააჭირა.

კაცი ისევე აცლიდა შემბალ ქერქს აკა-
ციის ხმელ სარს.

— კარგ ბედში ჩავარდა... — ვერ გა-
დაწყვიტა „ჩვენი“ ეთქვა თუ „ჩემი“.
ქალიშვილიო და გაჩუმება არჩია.

კაცმა ეს ამბავი იცოდა, ან ამ წუთ-
ში ამისთვის არ ეცალა და ყური არ
შეიბერტყა.

ქალმა ცას ახედა.

„წვიმდეს მაინც ეს დასაქციევი, ან
ძალიან სიცივე იყოს, ვეტყვოდი, გადა-
იწყიმე, ან გადაითბე და წადი-თქვა-
რა ვქნა, რა ჯანდაბა ვუყო“.

— სხვა რა გითხრა, ანდუყაფარ,
წადი ახლა!

მოეჩვენა, რომ კაცი შეტორტმანდა
და მაშინვე მიაშველა:

— ხომ იცოდი, შუკაში ტალახი იყო,
ეზოზე გადაიარე და წადი, დამეა,
მაინც ვერავენ დაგინახავს!

კაცმა სარს ხელი მოაწვლო და ალაგე-
ზე გადმოალაჯა.

„იცის დრო“...

ქალი წინ გამოუძღვა და მალე ინანა,
სახლის ლაფაროს რომ მოუახლოვდა,
ინანა: ლაფაროსთან უკვე გზის გასა-
ყარი იყო. ახლა ან უკანა სოხანიანი
ივნით პალატაში უნდა შეძლოლოდა,
ან მარცხნივ უნდა გაეხვია და ჭიშკრისა-
კენ წაეყვანა. ჭიშკარისაკენ კი წაიყვან,
მაგრამ მერე, მარტო რომ დარჩები,

თექვსმეტი წლის ყრუ მოლოდინს რას უზამ, ამოდენა ღამეს ვინ გაათუნებს...

ო, თავმოყვარეობავ, თავმოყვარეობავ რამდენი უძილო, მტანჯველი ღამე გაწევს კისერზე!

პელომ ჭიშკრისაკენ გაუხვია.

კაცმა ფეხი აითრია, მაგრამ მინც თოკზე გამობმულივით გაპყვა.

სახლს რომ გაცდნენ, ქალი გაჩერდა.

— ანდუყაფარ, აქ ქლიავის ხე რომ იდგა, გაბმა და მოვეპერით.

ანდუყაფარმა იქით მიიხედა, საითაც ქლიავის ხე ეგულებოდა.

„რა ანგარიშს ვაბარებ — გაჯავრდა ქალი თავის თავზე — მისი დარგული იყო და იმიტომ... მაგრამ ჭიშკრისაკენ რომ მივიდიოდი ახლა უკან ხომ ვერ შემოვბრუნდები. შეუკიდან რომ წამოვედით პირდაპირ პალატაში რომ შევიძლოლოდი?... ახლა რაღა დროს“.

ქალმა გზა ვანაგროძო, კაცი მაშინვე ვერ აედგენა, თითქოს მოშვებული თოკის მოჭიმვას უცდიდა.

— რას უცდი, არ მოდიხარ? — ქალმა გზადაგზა უკან მოიხედა. თოკი გაჭიბულოყო და კაცი გაძალიანებული ხბოსავით მიყვებოდა, რომელსაც დედა უკან დარჩა.

„ჭიშკართან მივიყვან და მერე თუ წასასვლელი არა აქვს, ნუ წაივა“.

უკან მომავალი უხმაუროდ ადგამდა ფეხს რბილ ბალახზე, მაგრამ ქალის სმენას დიდი ხანია აკლდა ეს უხმო ხმაური.

პელო ისევ შეჩერებდას აპირებდა. ეზოს ხელმარჯვნივ ახალშენი ატემების მწყრივი გასდევდა, მაგრამ ეს უკვე მისი დარგული არ იყო და ნაბიჯიც არ შეუნელებია.

ჭიშკართან ისევ თექვსმეტი წლის სიმორე და უერთმანეთობა დახვდათ და ქალს ატირებდა მოუნდა.

„ერთი თავსხმა წვიმა, კოკისპირული, ან ქარი, ქარიშხალი, ან ჭანდაბა, ქვეყნის დაქცევა...“

გზაზე მანქანამ ჩაიჭროლა და იჭაურობა ერთი წუთით გაანათა.

ქალს იმედი მოეცა.

— შენს ბიძაშვილებთან ხომ არ მიხვალ, გვიანაა, ახლა სად უნდა წახვიდე...
გეზულიოთქანს

კაცმა თავი გააქნია.

ჭერ არც გვიან იყო და არც მატარებლის გამყოფს ეშლებოდა გზა.

— არავისთან მისასვლელი პირი არა გაქვს! — თანაგრძნობა უნდოდა გამოეხატა და საყვედური კი გამოუვიდა.

„ახლა საყვედურები თუ დავიწყე, შევეურიგდი და ისაა... ნაცოლებთან კი არ მოსულა, რომ ვესაყვედურები...“

არა და ქალი ნაცოლები იყო.

პელომ რკინის ჭიშკრის საკეტი უხმაუროდ გამოსწია.

„ასე მეზობლის ხბოსავით როგორ გადაედენო გადაღმა!“

— შენი კარგი მეგობარი, კირილე, გარდაიცვალა, ანდუყაფარ!

კაცმა თავი დააქნია.

„ყველაფერი იცის, ცოცხალიც რომ ყოფილიყო, არც იმასთან მივიდოდა“.

ჭიშკარი ნელა გამოალო.

„იქნებ უვასშვია, ეს ჩემი ცოდვით სავსე, ასე უწყალწმინდოთ, რაღა გავუშვა!“

— მართლა, კი არ მომაგონდა, ხომ არაფერს ჭამდი?

კაცმა თავი გააქნია.

„ხომ ვიცოდი, შიშვით რომ კვდებოდეს, ქალთან... არც სხვასთან... ხომ ვიცოდი...“

— თუ ამ სოფელში სადმე ღამის გათევას აპირებ, ანდროსთან არ მიხვიდე, მე და მისი ცოლი ერთმანეთთან უმძრახადა ვართ.

კაცმა ისევ იუარა.

„ხომ ვიცოდი, არც ანდროსთან მივა, არავეს კარზე არ მიადგება. ამდენ ხანს ვისთანაც იყო, იქედანაც იმიტომ წამოვიდა თუ ვინმეს თვალში არ მოეწონა“.

„ესეც გასაკვირია, ჭიშკარი გავუდე და ამდენი ხანია დგას, არც მე ვიყავი მაგასთან მართალი...“

კაცმა ნაბიჯი გადმოდგა. ქალს სულ ახლოს რომ ჩაუარა, წაიბოროცია და ფეხი აითრია.

— მიდიხარ, ანდუყაფარ? უფროსი ქალიშვილის, თალიკოს, ამბავი გეცოდინება, ბიჭი ჰყავს, თინა ორი თვის გათხოვილია, მეტი რა გითხრა...

კაცი გზაზე გადავიდა და ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, ისევ გაჩერდა.

„მიდის. ვიცოდი, რომ წავიდოდა“

ქალი მეტს ვეღარ გაუძლებდა.

— ანდუყაფარ, რბე მაქვს დაუკვეთავი, მერქარება! — სახლისაკენ უცებ შეტრიალდა, მაგრამ ფეხები დაუმძიმდა.

— მწვიდობით, ანდუყაფარ!

მერე იფიქრა, ასფალტიან გზას რომ დაადგება, ფეხის ხმას გავიგონებო და უსაშველოდ მიიმე ტვირთმოკიდებული გაიქცა.

„ორღობეში ლაფი იყო... ფეხსაცმე-

ლები მაინც გამერეცხა“ — და სახლს მიაშურა, შუა ეზოდან ერთი წიფვე მოიხედა.

— ნახვამდის, ანდუ! — ხმაძალა უნდოდა ეთქვა და მაინც ისე თქვა, კაცი ჭიშკართან ფეხმოუცვლელიც რომ ყოფილიყო, ვერ გაიგონებდა.

პალატაში შევარდა, კარები მაგრად ჩაკეტა და ფარდაგადაფარებულ ტახტზე დაემხო. მას ახლა ისევ თექვსმეტი წლის მარტოობა ელოდა.

ეჰ, თავმოყვარეობავე, თავმოყვარეობავე, შენ ბევრი ცოდვა გაწევს კისერზე...

ღუმელი რომ განელდა, კატა ბუჩქერზე შეხტა და თბილი რძით სავსე, მომინანქრებულ ქვაბს მიუწვა.



ტელედიქტორის ქმარი

ბუხუტის დიღინი სარკესთან უყვარდა. სარკე რაღაც ნიშანი იყო ამ კაცისათვის. წვერის პარსვისას, ჩაცმისას სულ დიღინებდა.

იმ წუთშიც ტელევიზორი ჩართო თუ არა მეორე კედელზე სარკეში საკუთარ თავს მოჰკრა თვალი და „ყელსაბამი ლალიანი“ წაიღიღინა ტელევიზორმაც დაიწყო მუშაობა, აყვა ბუხუტის. ეს ესაიამოვნა კაცს. ხელები მოიფშენიდა.

ვიღაცამ ქუჩიდან დაიძახა, მიხვდა ბუხუტი, ლოლა იქნებოდა, კარის მეზობელი. ისიც იცოდა, რას კითხავდა ახლა ლოლა. მაინც მიადგა ფანჯარას.

— რაო, ლოლა?

— ეკაა დღეს?

ბუხუტის მეუღლე ეკა ტელედიქტორია.

— წავეიდა და ალბათ არის, აბა... — ამ დროს თავზე რაღაც დაასკუპდა. ბუხუტი ეგონა ბუხუტის, მაგრამ შეცდა. ბუხუტი აღმოჩნდა.

— უჰ, დაგეჰცა ოჯახი, — შეხტა უცებ ბუხუტი. მერე ფანჯარას ზურგი შეაქცია, — ჩართე და გაიგე ეკაა, თუ ვინაა. ლოლამ მიიჯახუნა ფანჯარა.

ტელევიზორზე ეკა ჩანდა ახლა მასზე გაბრაზდა ბუხუტი. გაბრაზდა კაცი, ცოლი ყველას უღიმის და ქმარს ბზიკმა უყვინა, თანაც თავზე.

— ეკა, შენი დედა ვატირე, მე — ეს

„მე“ ცოტა რიხიანად წარმოთქვა. სარკეს თვალი აარიდა. არაფერი მოხელე იყო ახლა დიღინი.

— რა შწარედ იკბინება, მაინც რა არის, კაცო — თავი შეეცოდა ბუხუტის.

ისევ ტელევიზორს შეხვდა. ნახატ ფაღმს უჩვენებდნენ.

შაკაცთან დარეკვა გადაწყვიტა.

— ბუხუტის, ბუხუტის სიცოცხლე! — აყვირდა შოთა.

— ფეთიანი ხარ, ვიღაცა ხარ, რა გაყვირებს, თუ იცი?!

— გამეხარდა შენი ხმის გაგონება.

ბუხუტი ჩაფიქრდა.

— დღეს არ მნახე, შე კაცო?

— აჰ, სამსახური სხვაა.

კიდევ ჩაფიქრდა ბუხუტი.

— ჰო, — გაახსენდა, — ბზიკმა მიკბინა თავზე.

— კარგი, კაცო, — შეიცხადა შოთამ, — კოლომ, კაცო?

— კოლომ არა სპილომ — ახლა ბუხუტი აყვირდა, — ბზიკმა, ბიჭო, ბზიკმა!

— ეგ არაფერია.

შენთვის არაფერია რა თქმა უნდა... — თავზე ხელი გადაისვა ბუხუტიმ, — ამოდი ახლა ჩემთან, მარტო ვარ.

— შენ მოდი, ბუხუტია.

— ამოდი და რვა ნომერი ამოიტანე, საჭმელი კია რაღაცა.

შოთამ მალე აიტანა ღვინო.

— ტელეფონში დამავიწყდა, ბუხუტია, და საქმე მაქვს შენთან.

— ოჰ, — ბუხუტიმ ერთ ბოთლს საცობი წააძრო.

— ერთ კვირაში, დღეისწორს... მოკლედ, ტელეფონში უნდა გამოხვიდე.

— რაო, ბიჭო? — ბუხუტიმ ღვინო დაასხა.

— ტელეფონში უნდა გამოხვიდე, გაიმეორა შოთამ.

— ვიმდგრო, ვიცეკვო, თუ ლექსი ეთქვა? — დაინტერესდა ბუხუტი.

— ჩვენს საწარმოზე უნდა ილაპარაკო. დავიდოვიჩმა თქვა, მაგას ცოლი დიქტორი ჰყავს და გარკვეული ასეთებშიო.

— დავიდოვიჩმა თავის ცოლს მოუბაროს.

— ჰე, შე კაცო, ცუდად კი არ უთქვამს.

— რა უნდა ეთქვა ცუდად? — ბუხუტიმ ცალი წარბი ასწია.

— კარგი ახლა, კარგი, — შოთამ ჭიქა მიუჭახუნა.

გვიანამდე სევს.

დილით წვერის პარსვისას ბუხუტი აღარ ღიღინებდა. ეკა შეშინდა.

— ცუდადა ხარ, ბუხუტი?

— შეიძლება ადგილი წაგართვა ერთ კვირაში, — ბუხუტიმ გაღიმებისას ისე გააღო პირი, რომ სახემ ფორმა შეიცვალა და სამართებელმა კარგა მაგრად გაუჭრა კანი.

— პატარა გამოსვლა მაქვს ტელეფონორით.

— კარგი ერთი, — გაიკვირვა ქალმა.

— რაღა, ვერ გამოვალ თუ?

ეკამ მხრები აიჩჩინა.

არ ესიამოვნა ეს ბუხუტის. ეკა პროგრამას ზეპირად ამბობს. თითქმის ზეპირად მიჰყავს გადაცემები და ქმრის ხუთწუთიან გამოსვლაში ეჭვი ეპარება.

— რა, რა? შენ თუ შეგიძლია, მე რა ვითომ?! —

— კი, ბატონო, რა გაყვირებს.

როგორ თუ რა აყვირებს. ახლა ამან

გადარია ბუხუტი. კაცია და დროდადრო უნდა იყვიროს კიდევ სახლში.

— რა გაყვირებს, — გასცინა ცოლის.

ორ დღეს მოხსენება წერა ბუხუტიმ. სამი დღე ეკამ ავარჯიშა.

რცხვენოდა კაცს ცოლის ხელმძღვანელობა, მაგრამ აუცილებელი იყო. ტელეფონორია მაინც და მათურებელი ბლომადა.

ბოლოს რეპეტიცია ვილაც სათვალე-ბიანმა ახალგაზრდამ ჩაატარა სტუდიაში.

— ცოტა ნელა, ბატონო ბუხუტი... სურათი რომ გამოჩნდება, მაშინ შეგიძლიათ იკითხოთ.

— ვიცი, კაცო, ზეპირად. — იწყინა ბუხუტიმ.

ბოლოს სათვალე-ბიანმა ხმა მოუწონა. კარგი დიქტორი იქნებოდიო.

— აჰ, ახლა გვიანაა, — იუარა ბუხუტიმ.

— რატომ, ბატონო? აი, მაგალითად, ჩვენ ერთი კაი ხნის დიქტორი გეყავს. მოზარდმაყურებელთა თეატრში ყურ-ცქვიტა ბაჭიას თამაშობდა, თუ გაბსოვთ? მერე ხმა დაუბოხდა და მგელიც კი შეასრულა. ახლა ჩვენთანაა, ბუხუტი ბატონო, და ოფიციალურ ცნობებს კითხულობს.

ბუხუტიმ „ყურ-ცქვიტა ბაჭია“ ვერ გაიხსენა. ისე ამ ტლიკინა სათვალე-ბიანს კი დიდი სიამოვნებით წაართყამდა.

— კარგი გეყოფათ, — ეკამ ქმარი შეიცოდა.

შუადღისას შოთამ დაურეკა, კვერცხი გადაყლაპეო მერე რომელიღაც ნაც-ნობმა ამინაზინის მიღება უჩჩინა.

ეკა და ბუხუტი ერთად გავიდნენ სახლიდან. როგორც ყოველთვის ლოლა ახლაც სადარბაზოსთან იდგა.

— დედა, როგორ დამშვენებულხარ. ბუხუტი, — მერე ლოლამ თავი გააქნია და ეკაზე ანიშნა, — მაგრამ ეს მაინც სხვაა.

— როგორ გამომყვა, ა? — იკითხა ბუხუტიმ.

— კი, კი. საკვირველია ღმერთმანი.

ტელესტუდიის კიბეზე ვილაცა ახალგაზრდა გადაკოცნა ეკამ.



— ბუხუტი, ეს არის... — თურმე ძალიან ნიჭიერი რეჟისორი ყოფილა. პრემიერებული ფილმიც დაუსახელა ეკამ.

— ოო, — ხელი ჩამოართვა ბუხუტიმ. რამე უნდა ვთქვაო გაიფიქრა, მაგრამ ისევ — ოო.

— დღეს ბუხუტის გადაცემა აქვს.

— სასიამოვნოა; თუ დრო მექნა, მოვისმენთ, — შეპირდა ახალგაზრდა.

შენობაში შესვლისას ბუხუტიმ შეატყუო, რომ აღელდა.

— მაგიც იმას მოუსმენს, რა...

— რა? — ეკამ თავი ახლოს მისწია ქმრის ტუჩებთან, — რა თქვი?

— მაგიც იმას მოუსმენს-მეთქი... რა კვია იმას?

ღელავდა. ღელავდა ბუხუტი.

როგორც იქნა დაიწყო. გადაცემა ეკას მიჰყავდა. დადგა ბუხუტის ჯერიც.

ახაო, ანიშნეს. დაიწყო. წავიდა და რა წავიდა. არც ეშლება არც არაფერი ჩვენი საწარმოო ახლა რომ ამას შერება, ცოტა ხანში რას იზამსო.

ბუხუტის საამქრომ ლინოლიუმის კვადრატების გამოშვება დაიწყო. ახლა ეს უნდა ეთქვა და უცებ...

— ლილო... ლილო... ლილოლი...

ფუჰ, ვერა და ვერ თქვა ლინოლიუმი. აქედან ეკამ უკარნახა, იქიდან რეჟისორმა ტუჩების მოძრაობით ანიშნა. მეტი არაა ჩვენი მტერი.

— გამოტოვე მაგ სიტყვა, — უჩუროჩულა ეკამ.

ბუხუტიმაც ამოისუნთქა და ფრიადოსანივით ბოლომდე ჩააქიკცია.

რეჟისორმა ანიშნა, ჩუმად ადექი და გამოდიო. ჩუმდაც გავიდა. არც სკამს წაჰკრა ფეხი, არც მაგიდას.

— აწი რა, — ფიქრობდა ბუხუტი, — ვასამდა და მორჩა.

ოპერატორმა მოწონების ნიშნად ცერა თითი აუწვია.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, — ბუხუტიმ ხელი ჩაიჭინა.

მეორე დღეს კი დაიწყო.

სამსახურში:

ყველამ გადააკონა.

— ძალიან კარგი იყავით, ბატონო ბუხუტი.

— სურათებიც თქვენ გადაიღეთ? — დაინტერესდა ერთი.

— აჰ, არა, — ბუხუტიმ თავი გააჭინა.

— არც ვარგოდა მე არსად ვიყავი, — ამ ერთს ხუმარის სახელი ჰქონდა და იხუმრა კიდევ.

დავიღოვინი გადაეხვია, ორივე კარგი იყავით, შენც და შენი კოლიცაო.

კაბინეტში შოთა შემოვარდა.

— ბელმონდო! — აათვალიერა ბუხუტი, — ბელმონდო, ა? ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ!

აეტობუსში:

ვილაც ბიჭებმა იცნეს. გუშინდელი გადაცემა გაიხსენეს და მთელი გზა ლინოლიუმი იძახეს. მერე ერთი მოხუცი შემობრუნდა და ბუხუტის დააკვირდა. მოხუცი ბიჭებისაკენ გადაიხარა:

— ეს იყო?

არ შეუხედავს, მაგრამ იგრძნო, მოხუცს თავი დაუქნიეს. მოხუცსაც აუტყუდა სიცილი. მერე ხველა აუვარდა.

სადარბაზოსთან:

— არტისტს, არტისტს გაუმარჯოს, — ლოლამ თავი დაუხარა.

— გამარჯობა, ლოლა, — არა ქონდა ჩხუბის თავი.

— კარგი იყავი, ხომ იცი.


— რა მოგწონა ახლა, კაცმა რომ თქვას.

— ყველაფერი... ისე ერთგან შეგეშალა, თუ გახსოვს?

„ის არავის უყვირს ყოველდღე თავს რომ ვაკლავ სამსახურში და ერთი სიტყვა არ გამიხადეს საქმე?“.

ახლა სახლში შესვლა ყველაფერს ერჩია. კედელში ჩატანებული სარკეც წარმოიდგინა და მიხვდა, რომ დიდი ბედნიერება იყო სარკე და მისთვის სასიამოვნო ლილინი. ეს ლილინი კი უფრო აუცილებელი გახლდათ ბუხუტისათვის, ვიდრე ისეთი ლამაზი ცოლიც კი, მას რომ ჰყავდა!

რაც შეეძლო სწრაფად აუყვა კიბეს.



ი ლ ი ა მ ბ ა

გომიკაჲნი კომანი

• • •

შეაფული ზაფხული იყო, თბილისში ბული ტრიალებდა, ილიამ თავისი ახლობელი თანამშრომლები საგურამოში დაჰპატიჟა. ცოტახნით მაინც გავგრილდებითო. სტუმრებმა ავკლამდე მატარებლით იმგზავრეს, ავკლაში ვერლები და ცხენები დაუხვდნენ. გარდა „ივერიის“ მუშაკებისა, დაპატიჟებულთა შორის იყვნენ ნატო ვაბუნია, რაფიელ ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი, არტურ ლაისტი და სხვ. სტუმარი ბევრი აღმოჩნდა, არც ვერლები ვყოთ, არც ცხენები.

რაფიელ ერისთავი მეეტლის გვერდით ძლივს მოთავსდა. ხიზანიშვილმა ცხენი აირჩია, ბელზე მარტი შეხვდა, გზაზე ხან გააჰყენა, ხან გამოაჰყენა, ილიას ეტლის ირგვლივ შეუარ-შემოუარა, მერმე ყამბაზივით გადაწეა და შესკუილა.

— ჰეი, ნიკო, აფსუსს, რომ შენ ჩვენი მეფეების დროს არ იყავი რა კარგი კარის მასხარა იქნებოდი! — უთხრა ილიამ.

— მაშინ საგურამო შენი კი არ იქნებოდა, ჩემი იქნებოდა! — მოუტრა ნიკომ.

როგორც იქ დამსწრე იაკობ მანსეცტაშვილი წერს, ილიამ ბევრი იცინა ამაზე, უუყვარდა ასეთი მოსწრებული პასუხი.

სტუმრები წიწმერის წყაროსთან შეჩერდნენ ჩამშრალი ყელი გაისველეს, იქვე ჩრდილში ერთი გლეხი იჯდა, ილია შორიდან მივსალმა, გლეხი წამოდგა და ქუდი მოიხადა. ილიამ სტუმრებს უთხრა, ეს გლეხი მებრალბა, ჭირმა საჭონელი გულწყვიტაო და მისასამძიმებლად ვაგმართაო.

— ეჰ, მეწყინა შენი ასეთი ზარალი
— რა ზარალს ბრძანებთ, ბატონო? — თითქოს გაიკვირვა გლეხმა.

— აი, ჭირმა, რომ მოგაყენათ.
— ეჰ, შე დალოცვილო, ეგ რა ზარალია, ღმერთი ძმად ვამიხდა და შუაზე გამიყო საჭონელი. მხარში იმისთანა მოზიარე ჩამიდეგ, დღეის იქით ჩემ ბედს ძალი აღარ დაჰყუფს! — ქუდი დაიხურა და თავი დაუტყრა.
იქვე მდგომმა იაკობ მანსეცტაშვილმა ილიას ჰკითხა:

არ გაკვირვებს ამ გლეხის ფილოსოფიური სიმაგრე, გულგაუტყუებლობა?

— ეგ ქართუელის ბუნებაა. ქართული ასე დარბაისლურად ხვდება უბედურებას.

შესევენების შემდეგ — გულგნენ საგურამოს გზას. ხიზანიშვილმა ცხენს მათარაბი შემოჰყრა და ყველას გაუწერო, ილიას ეზოში, კაკლის ხის ქვეშ გაშლილ სუფრას მიუყდა და სანამ სხვები მოვიდოდნენ, მის წინ თეფშები მოასუფთავა.

ილიას მაშინდელი სახლი და კარ-შიდამო კარგად აქვს აღწერილი იაკობ მანსეცტაშვილის თვის შემუარებში, „ილიასთან ხშირად მიხდებოდა ხოლმე საგურამოში ყოფნა, ხან რედაქციის საქმეების გამო, ხან დასასვენებლად. სახლი მალალოზე იდგა, პერი სუცხოეო იყო და გადასაბედი ზომ თვალწარმტაცი. სახლის უკან იდგა დიდი ვაშლილი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მუდმივი ჩრდილი და სიგრილე იყო. აქვე მოჩუხუხებდა პატარა წყარო და გამართული იყო პატარა აუზი. ეს იყო საყვარელი ადგილი, სადაც ილია უმეტეს დროს ატარებდა ზაფხულობით. აქ კითხულობდა წიგნებს. აქვე აკეთებდა საქმეს. საღამომით კი, როდესაც მზე კარგად გადიხრებოდა და მოუბს უკან ჩასვენებას აპირებდა, ილია ავიდოდა სახლის შვორტ

სართულში და იქ აიგანე მთელი საათობით
იჭდა ზემად, ჩაფიქრებული. ჩვეულებრივი პო-
ზა იმისი იყო: მოაჯირზე იღავეს დაბაჩენდა,
ცერს ტუნებშია კბილებზე მიიდებდა და ასე
იჭდა. იტყოდა, მოძქინტი შეუდგამს თავის რა-
ღაცა ფიქრებით დამძიმებულ თავისათვისა“.

იაკობს ეხო და ზალი ძალიან მოეწონა, მაგრამ
სახლი არ მოუვლიდა თვალში. ძველი, ორსართ-
ულიანი სახლი დანგრევის პირას იყო მისული,
ამიტომ, რომ შეატყო ილია ლაბარაკის გუნე-
ბაზე იყო, დაეკითხა:

— ილია, ვველა საქმის გაცემაზე სადუძელი-
ანად, მკვიდრად გიყვართ და ეს სახლი კი ვე-
რა გავქეთ მკვიდრად, საშვილიშვილოდ ჩამ-
დგარა.

— მერე შვილები სადა მყავს, რომ შვილი-
შვილებზე ვიზრუნო! — მიუგო ილიამ.

სტუმრები ზედაზენისაყენ გაემართნენ. რაფი-
ელ ერისთავმა, თავი შტკივო და ტახტზე წა-
მოწვა. ნატო ვაზუნია ოლღასთან დარჩა, ხოლო
იაკობმა და ილიამ გასეირნება არ მოისურვეს,
ჩამოსხდნენ აივანზე და საუბარში გაერთნენ.

უხოში ილიამ მოურავი რომ დანახა, დაეკ-
ლა, ე მანდ კარწინ ხეცსურები ბალახს რომ
თიბავენ, ერთი აქ დამძახეო.

ხეცსურებისა და ილიას საუბარს იაკობ მან-
სეკტამეტილი უსწრებოდა, ჯობია იმას მოეუსმინ-
ოთ.

— „ღერის არ დაპლევთ? — ვკითხება ილია
ხეცსურებს.

— რატომ, თუკი თქვენი წყალობა იქნება.
სიციხისაგან ხახა ამოვიგოშრა.

ილიამ ვანიარგულბა ვასცა, ღერო მოტა-
ნათ. თითონ კი ვკითხება ხეცსურებს: საიდგანა
ხართ?

— შორიდგან, თითქმის ერთი დღის სავალია-

— უწინდელი დრო გახსოვთ? აი, ჩვენი მე-
ფეები რომ გვეყანად?

— ხსოვნით კი ახა, რა გვეხსომემა და ვავო-
ნით კი ვაგვიგონია.

— მერე, მაშინდელი დრო სჯობდა თუ ეხ-
ლანდელი?

— რა სათქმელია. გარეთ ვერ გამოკვიდიოთ.

სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლუკი
დაგვიხედებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი
იღვრებოდა. მოსვენება არა გვექონდა, შველა არ-
საიღამ იყო. აი დალოცოს ღმერთმა რუსის
ხელშიღვი: ეხლა რა გვიშავს, აი, თქვეთნაყ
ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაღ დაეა-
რებთო. თუ რამ გასაყიდო ან სასყიდელი გვაქვს,
ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ ვვახ-
ლებს.

ცოტა არ იყოს წახდა ილია: მოელოდა წარ-
სულის დიდებას, აწმყოს დაგმობას, პასუხი კ
სულ სხვა მიიღო, კოჲ აღრუზე ვერ დაუჭდა
მაშინეე სიტყვა შეატრიალა და ჰკითხა:

— შვილები ხომ გყავთ?

— ჰაი, ჰაი რომ გვყავს, უშვილობა რაგორ
შეიძლება, თუ ცოლო უშვილო გამოდგა, ვაგაფ-
დებთ და სხვას მოვიყვანთ. *სარქვესული*

ამ დროს ილიას მეუღლე გვერდშია *სარქვესული*
და იკითხა: რას ელაპარაკებთო.

ილიამ სიტყვა გადუქრა ხეცსურებს, ეთომ
ხუმრობთო:

— აი ჩემი ცოლიც უშვილოა და მამ რა უე-
ყო?

— ბერწი ყოფილა. რად გინდა, ვაგადგ და
სხვა მოიყვანეო, — სრულიად გულბრყვილოდ
და დინჯად უპასუხეს ხეცსურებმა.

— ილია, რა სისულელეს ალაპარაკებო, —
სთქვა წყენით მისმა მეუღლემ, ისეე ვულნატ-
კვმა, რომ უშვილო იყო, და აწითლებული,
დარცხენილი შინ შევიდა. ხეცსურებიც წაიძ-
ნენ“.

მზრუნველი ხელი

1893 წლის ვახუშტული კახეთში შავად გა-
თენდა. თელავისა და სიღნაღის მარბებში შიმ-
შილი აშქინდარებდა. არც თიანეთი იყო კარგ
დღეში. წინა წელს ამ მხარეში ქოლერა მკენი-
ვარებდა, კუბოს უედღავს ვერ ასწრებდნენ, ყა-
ნებში მუშაობის თავი ვილას ჰქონდა. ამას ვვა-
ლაც დაემატა და მიწაში ჩაყრილმა მარცვალმა
მზე ვერ დაინახა.

„შიმშილი!.. ჩემს ჰქვეყანას ეს სიყვავი-
ღა აკლავ, — წუხდა ილია. მან თელავისა და
სიღნაღის მარბების სოფლები შემოიარა, ხალ-
ხის გაჭირვებამ გული ჩასწყვეტა. კარდანახში
თავისი სიძის, ნიკოლოზ აფხაზის სახლს რომ
გაქდა, წყაროსთან ეტლი შეაჩერა, ცოც წყალს
პეშვი შეუშვირა და სახეზეც შეისხურა. ამა-
სიხამში ერთი მალა-მალა, წვერმოშვეებული
კაცი მივიდა მასთან და თუშური მოთხადა.

— ვამარჯობა, ილია, ბატონო!

— ღმერთმა ვაგემარჯოს! — ილიამ ხელი
ჩამოართვა.

— ღმერთს ნუ ახენებთ, ბატონო!

— რატომ?! — ვაუკვირდა ილიას.

— თქვენი თვალთა ნახევით რა დღეშიაყ
ვართ, რად ჩაგვეყრა ი ღმერთმა ასეთ დღეშია,
დაუშვევეთ რამე?.. სადღაა ღმერთი?

— შვილი ვავაც?


— ოთხი, ბატონო, ოთხივეს პირი აქვს და-
ღებულო.

— აგაშენა ღმერთმა! — დალოცა ილიამ,
ეტლში ჩაქდა, ქაღალდის ნახეზე რაღაც წა-
აწერა და გაუწოდა. — ნიკოლოზ აფხაზისას
მიიტანე, ხომ იცი?

— როგორ არა!

ნუ მოგერიდება, მიდი, ერთ კოდ ხობაბალს
მოგვემენ.

გლები დაბნა, მადლობაც ვერ უთხრა, ქაღა-
ლდი რომ ეჭირა, ის ხელი აუქანჯალდა.



— აბა, უბრალოდ იყავ, — გამოაფხიხლა ილი-
ამ. ეტლი დაიძრა, კარგა მანძილზე წავიდა, შე-
ვტელები უკან წიბოებდა და ჩაილაპარაკა. — ისევე
იქა ღვას საბარალო.

კახელი გლეხებისაგან ილია დღე ერთი იყო
და ორ-სამ წერხელს ღებულობდა. ეს წერხელი
ზოგი ბანკში მოდიოდა, ზოგასაც ბინაში უგზავნი-
დნენ. ხალხს უჭირდა, დაჰმარებდას სთხოვდა.

ყვარალში მეზობლები და ახლობლები საყ-
ველურით ავსებდნენ: „წუთო იმ დსაწყევ ბანკ-
ში ფული გამოილია, რომ ჩვენითვის თითო-ორო-
ლა მანეთი არ გვემეტებაო!“

... გვემეტება? რა საკითხავია, როგორ არ ვე-
მეტება, მაგრამ იმ ფულს თავისი პატარონი ჰყავს,
მეჭაქუნსავით აბის და ამბობს: „ბანკი, ჩვენ
თავიდანაურებმა დავარჩათო, ფული ჩვენია,
მაშასადამე, უფლება გვაქვს ეს ფული, როცა
მოგვეტევენება მაშინ ავიღოთ და რამეც გვინ-
და დავხარაყთო!“

რამდენი არ აუბნენს ბანკის დანიშნულება,
რამდენი არ ამშვიდენს თავადები, მაგრამ არა-
ფერმა ვასკრა, ისინი მაინც თავისი ვაიძობდ-
ნენ.

კიდევ მეტი, იმ დღეს ილიასთან თბილისის
შიშის მებატრონე, საპატიო კაცი მოვიდა და
უთარა:

— აბა, კნიაზო, ფული მჭირია და უბრძანეთ,
მომცენ!

შეწუხდა ილია და მორიდებით მიმართა:

— ბატონო, მამული უნდა გქონდეთ, რომ
საქირო დოკუმენტებითა ვიროო შემოიტანოთ და
მაგიერათ სესხი გაიტანოთ!

— რას ვიარაო, რომელი დოკუმენტები,
— გაეცხადა თავადი, — ბანკი ჩვენის ფულით
არ არის დაარსებული? ფული ჩვენი არ არის?
დამჭირდა და მომეცით!

ასეთი მთხოვნელი ილიას ერთი და ორი არ
ჰყავდა, ყველას საკადრის პასუხს აძლევდა და
გაზუთით ბევრს წერდა ბანკის მუშაობასა და
დანიშნულებასზე.

„ბანკი თავიდანაურებამ დააწესა, — წერს
ილია, — იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირუ-
ლი ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა,
მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი
გროშით არ დავკარგოს და მხოლოდ ამ მოგებო-
დან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო
საქიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარი-
ბთაც ვაუწყოილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც
რომელიმე უბედურების გამო სიღატაკეში ჩაე-
ცივნულან და არა იმით, ვინც გულადმა წვანან,
ბელუნდ ფაფეტი ხელეში დაუტყენიათ, პირი
დაუღლით, და ჰყვირიან, მისეთი და მძუამეთო“.

ილია თავის სანაქებო კახეთიდან გულმოყ-
რული ბრუნდებოდა...

გაზაფხული იყო, შრომის, სიხარულისა და
სიღამაზის დრო, მაგრამ ხალხს არაფრის თავი


არ ჰქონდა, ამდენი გზა გამოიარა და არც ერთ
ეზოში თონიდან ავარდნილი კლი არ უნახავს,
არც ცხელი შოთის სუნი უგრძვნია.

ზუნდა მზიარული იყო. ვარდნადიარა აფეთქე-
ბული ატმის ხეები, თოქრიად ვადამენტოი ტყე-
მღები, თავის იტაცებდა, ნუშის ყვაილის სა-
ოცარი სურნელი სუნთქვას ატეობოდა, მაგრამ
აღამიანი?.. სიღლი იყო ნამდვილი გლეხური
ცხოვრება.

კახეთიდან დაბრუნებულ ილიას ერთი სული
ქონდა, სანამ პურს შიამველებდა მოსახლეო-
ბას. მან სასწრაფოდ მოიწვია ბანკის გამგეობა
და მისი ზედამხედველი კომიტეტი, მათ ვაერთია-
ნებულ სხდომას უნდა ვადაუწყებოთ დამშულო
მოსახლეობისათვის დაუყოვნებლო დიხმარებოთ
საკეობი.

ილიამ წინასწარ მოამზადა სიტყვია, იცოდა,
წინააღმდეგობას წააწყდებოდა, არც მოთერობა
და არც თავიდანაურობა, მაინცდამაინც, თავს
არ იჩუხებდა დამშულოთათვის დახმარების აღ-
მოსახენად. სანამ სხდომის მონაწილენი შეიკრიბ-
ნენ, ილიამ საშოქმედო მომზადებული უკ-
მოვიდა სხდომაზე, მისმა სიტყვამ ვასკრა,
მოწინააღმდეგეებს გული მოუღბო, ბევრს
ცრემლიც მოჰგავრა და ბანკმა შვიერ მოსახლე-
ობას საღარო გაუღო.

ილიას შეამდგომლობით შეიქმნა საგანგებო
განმკარგულენული კომიტეტი; სადაც ხელი მიუ-
წყდებოდათ, უიღულობდნენ ხორბალს და გლე-
ხებს ურიკებდნენ შეღავათთან ფასებში. კიდევ
მეტი, ვისაც ფული არ ჰქონდა, მათ ნისიად აძ-
ლევდნენ. ასე ბრუნავდა კახეთში ბანკის ფული,
თონეებიდან ისე ავარდა აღი, სოფლებში პე-
რის სურნელი დატრიალდა, ვლებებმა მწვი-
დად ამოისუნთქეს და ზაფხული ზაფხულს და-
ემსავახსა, მინდორში მუშაობა გაჩაღდა.



ამ მიწინაგრე შიშოლის წინ ქოლერის ეპიდე-
მია უსწრებდა, თბილისის გუბერნიამი 1892
წელს ზაფხულში ამ ავადყოფნობამ ბევრ სო-
ფელში იმძღავრა და ბევრ ოჯახში სამუღამოდ
ჩაქრა კერა, დამტირებელიც არაიენ ღარჩა.

აქაც ბანკი იყო გაჭირვების ტალკვეტი, თუ
ბანკი არა, აბა, სხვა რომელი დაწესებულება გა-
იღებდა ფულს. ბანკიც იმიტომ იყო ხალხისთვის
ბელგამილილი, რომ მას ილია განაგებდა, ხალხის
ქომაგი და პატარონი.

თორმეტი ათასი მანეთი ვაიღო ბანკმა, ილიამ
საბუთებს ზელი მოაწერა, ფულს დიდი ძალი აღ-
მოაჩნდა. სოფლებში სასწრაფოდ ჩავიდნენ გქი-
მები, ფერსულეში, ჩიბრანს საქირო წამლები,
სადეზინფექციო საშუალებები და შეუბოვარი
ბრძოლა გამოუცხადეს ეპიდემიას.

ბანკის წესდების ძალით ამდენი თანხის გაღებას საერთო კრების დასტურით სჭირდება, არ მართა მართო გამგეობისა და კომიტეტის დადგენილება, ილია არ მოერიდა წესდების დარღვევას, შინდელიამინდი დიდი იმედი არ ჰქონდა საერთო კრების დასტურისა და თვითონ ვარაყა.

ამისათვის საყვედურიც უთხრეს ბანკის დამფუძნებელთა საერთო კრებაზე, რომელიც იმავე წლის აგვისტოში შედგა. არა ერთი და ორი თავადი გამოვიდა ვრცელი სიტყვით: ყველამ თავის გაჭირვებაზე ილაპარაკა, თუ ვისმეს დაბნალება სჭირდება, ეს ისევე და ისევე ჩვენა ვართო... ბევრმა უარი თქვა ქოლერის წინააღმდეგ ასე დიდი თანხის გაღებაზე.

წამოდგა ილია, როგორც ჩვეოდა, მარჯვენა მალა ასწია, დარბაზში სიჩუმე ჩაიფარდა.

— ქოლერა ისევე მჭინვარებს, თორმეტი ათასი მანეთი უკვე სულ დაიხარჯა, ესლა რვა ათასი კიდევ სჭირდება საქმეს.

— არა, არა!

— ბანკს აცალიერებთ?

გაისმა ყოველმხრივ.

მეგრამ ილია, ამა, ვისი ილია იყო, თუ თავის ხალხს გაჭირვებაში ხელს არ გუწევდა, კრებაზე მის მგზნებარე სიტყვას, შერმე მისი მომხრეების გამოსვლებს მოწინააღმდეგეებმა ვეღარ გაუძლეს, უმრავლესობამ თავისი გაიტანა და რვა ათასი მანეთი კიდევ გამოჰყვეს ქოლერის მოსასპობად.

შერმე სკოლები და ხალხის განათლება.

კახეთის რეინოგზის მშენებლობა.

ვახის ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა.

წყალდიდობისაგან სოფლების დაცვა.

ქართული თეატრისათვის ზრუნვა.

ყველაფერი ეს ფულს მოითხოვდა, ფულიც ბანკში იყო, ილიას ბანკში.

მაგრამ არა, ჰვეროდნენ თავადები, სკოლა ზეენ არ ვეინდაო. ამ მხრივ საყურადღებოთა თავად გიორგი ვახანაძის გამოსვლა.

„ღმერთმა დამიფაროს, ჩვენი ბანკიდან ვალი ავიღო! გუთი ექვსეტი, 54 წლით ვალი ავიღო და შეიღონებულხალ ვადასახლეო დავეტოვო? თუ შედავთი არ მიეცეათ, ე მამულები ხომ გავევიდათ და შერე სად წავიდნენ, მთიარეზე ხომ ვერ ივლენ, კიბე სად არის, თუმცა ამბობენ, მიწა იქცე არისო... ამ სასწავლებელს წამოსჩხორავენ ხოლმე წინ, იმ სასწავლებელს, რომელსაც მადგენ სარგებლობა არა მოაქვს-რა, და ბანკის ავარჯიანობას სასწავლებლის სიკეთის კვალობაზე სწონავენ. სასწავლებელი სხვაა და ბანკი სხვაა... ნახევარი მილიონი ფული ჩაეყარეთ და ამა რა სიკეთე დაგვეყარა მაგ სასწავლებლიდან, რომ ეხლა კიდევ მაგის გულისათვის მსესხებლები შემოვიფიქრობთ. რა საჭიროა სასწავლებელი, თუ თავიდანხურება სიძვირის გამო შემოსატანს ვალს ვერ შემოიტანს და უმამულოდ, უმოწყვლოდ დარჩება!“

დიდი ოპოზიცია გაუჩნდა ილიას-ბანკი სიტყვით და ცოტა სიმართლე იყო მათ სიტყვებში, მაგრამ არც ილიას მომხრეებს ეტყვიან...
ბურჯებივით ედგნენ თავიანთ მტყუარებს...
ვაკ უჭირდათ და საქმესაც სიმაართლე უნათებდა.

ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდა ეკატერინე გაბაშვილი და თქვა:

„მე თავყანს ვცემ ილია ჭაჭაძისას სახელს, იმიტომ, რომ იმან პირველად აღბრა ჩემს გულში ჩემი ქვეყნის სოფარული და დამაყვიღრა ის აზრი, რომ ქართვლეების ბედნიერება მათს ერთობაზედ არის დამყარებულა.“

დაუთვიწარია ჩოლოყაშვილის სიტყვა, რომელშიც დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

„გულშინ მე მიეციენეს, მისთვის, რომ ე. ჭაჭაძისას პატეისსმცემელი ვარ, მაგრამ სიმაართლის, — მხოლოდ სიმაართლის თავყვანისსმცემელი. რაც შეგებმა ჩემს მიერ ე. ჭაჭაძისას მომხრეობას, გულ-ახლით ვამბობ, რომ თუ ილია ჭაჭაძისას „თავისი თავი თვით ახლავს“, თუ ილია ჭაჭაძისას ისევე ის კაცია, რომელსაც თავისი დროში მაღლა უჭირავს, დროში, რომელზედაც დიდის ასოვით დამწერლია: „ძმობა, ერთობა და სოფარული“, მაშინ იმას არც სხვისის ვისიმე ფარი უნდა და არც ქომაგობა... ბატონებო, დიდის ვედრებით და თავის მოხრით ვთხოვთ ქიშპობას, მშაათა ორგულობასა და ვაცალაყვევებას თავი დავანებოთ, ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში და ძმობის გულს-ტყვილით ვავუძღვებთ ჩვენი საზოგადო-საქმეებს.“

ილიას ინტერესების დასაცავად მღვდელმაყ აღიმავლა ხმა.

„ამ ბანკის დაარსებაში, — ამბობს მღვდელი ასათიანი, — გლეხების თანხა ურგევი, რადგან გლეხის სულის ფულებით დაარსდა. მაშ, თუ იმათი ოფლი ურგევი, ჩვენც ვალდებულ ვართ იმათ დავეხმაროთ.“

თავიდანხურებაში უკმაყოფილების ხმა ისმოდა, რატომ უნდა ეხმარებოდნენ ფულით ჩვენი ბანკი წერა-თხოვის გამაერცილებულ საზოგადოებას, რომელიც გლეხის შევილებსა ზრდის თავის სკოლებში, მერმე ამ აზრმა ბანკის კრებებზეც ჰმოვა გასაქანა.

ილიას გულზე მოხვდა ეს უსამართლო სიტყვები და სასტიკად გაილაქქრა მის წინააღმდეგ.

„ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იფოს, რომ ყველა ქართული, გლეხთა თუ თავადი, მძად და შევიდა არ მიგვანია. ზემოსენებულ საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-ანხურობა კი გამოსულა და იძახის, მეო და არა სხვაო.“

ილია თავად-ანხურებს ყურს არ უდებდა, ბანკი ფულს არ იმურებდა იწველა-განათლებლისათვის, საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში იხსენებოდა ახალ-ახალი სკოლები, ბავშვები მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ მეცნიერებას,

ბევრს წიგნები და სასწავლო ნივთები უფასოდ ეძლეოდა. მაშინ შეიქმნა იაკობ ვოგებანშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, ისევე ფრთები შეიხსა რუსთაველის უძველესმა და ულამაზესმა ენამ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარსება თერგდაულელთა სანუკვარ ოცნებას შეადგენდა. ისინი პეტერბურგიდან ჩამოსვლისთანავე შეეცადნენ საშობალოს სოფლებსა და ქალაქებში სკოლების გახსნას.

ჭარ კიდევ 1861 წელს, როცა ილიას უნივერსიტეტიდან შეგებულმა ჰქონდა, მან შეკრიბა 25 კაცი, რომლებმაც ერთად მოითხოვირეს და გადამწყვიტეს თბილისში ღარიბთათვის უფასო სკოლის გახსნა. ამ თაოსანთა ჯგუფში, გარდა ქართველებისა, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შედიოდნენ. საზოგადო საქმეში ქართველს მხარში ამოუდგა რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და, მგონი, გერმანელი ექს-სტრუქტურ — პაული. ისინი მოეთათობინენ თბილისს გუბერნიის თავად-ახნაურთა მარშალს ალექსანდრე ორბელიანს, რომელმაც ნებართვისათვის სკოლის წესდების პროექტი და დამატებულთა სია გადაეცავენა თბილისის გუბერნატორ ორლოვსკის იმავე წლის 14 აპრილს. ორლოვსკის კანცელარიაში ეს სია უყურადღებოდ არ დასტოვა, გამოარკვია ყველას ვინაობა და გვარის გასწვრივ მიაწერა. ილია ჭავჭავაძის მიწერილი აქვს: „პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალჩამოსული სტუდენტი, აქ შეგებულმა“.

მაშინ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში უკვე არსებობდა მუშათა საკვირაო სკოლები. ილია პეტერბურგში გაცივრო ასეთი ტიპის სკოლას, და თბილისში რომ ჩამოვიდოდა, ადვილად შეადგინა წესდება და სასწავლო გეგმა. მაგრამ მისი შედგენილი წესდება გუბერნატორ ორლოვსკის არ მოეწონა, კავასიის სასწავლო ოლქის წესდებს არ შეესაბამებო მოძიებუბა და ახალგაზრდებს საკვირაო სკოლის გახსნაზე უარი უთხრა.

ილიას და მის თანამებრძოლებს ფარ-ხმელი არ დაუყრიათ, თითქმის მთელი ოცი წელიწადი იბრძოდნენ ისინი და, აი, 1879 წლის 15 მაისს, თბილისში, საადგილმამულო ბანკის დარბაზში, შედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი დამფუძნებელი ყარლობა. ყარლობამ გამგეობაში აირჩია: ი. ჭავჭავაძე, ი. სხედიაძე, ი. გოგუბანშვილი, ი. მანაბელი, ა. სარაჯიშვილი და რ. ერისთავი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდი გეგმები და მიზნები ჰქონდა. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მარტო სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნით როდეს კმაყოფილდებოდნენ, მას ერის სულიერი კულტურა საერთოდ უნდა აღმშენებინა, უნდა წარებარათა ნივთიერი მისი განვითარება.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-

ბის განზრახვა და მოქმედება შორის წესდება, — წერს ილია, — თუ მართლა საზოგადოებამ მთლად აღასრულა ყველაფერ, რა უნდა შეესრულებულიყო ამის მოხსენებელი, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩვენი ხალხის წარმატებებს და განვითარება ბევრად წინ წიღებამს ვხვს; გავრცელებულმა საწავლა-განათლება სამშობლო 'ენაზე და მით მივეცა ჩვენი ქვეყანის ის ყოვლად უსაძიაროესი ნიადაგი, ურამლოდ თვითმოქმედი კხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მიცხოვარი სხივი განათლებისა მოქმედს ნათელს ყოველს კეთებს ჩვენი ქვეყნისას, რომელიც აქ აქამოდ თვალდაუწყვეტელ სიბნელებაში იმყოფებოდა“.

ამ საზოგადოებამ, თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება და ყველა კულტურული წამოწყება სკოლის გახსნა თუ წიგნის გამოცემა, ღარიბი სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა თუ სხვა საქვედმოქმედო საქმე, მის ხაზელთან არის დაკავშირებული.

თეატრსაც უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ილია, იქ, სცენიდან მშობლიური სიტყვა გაისმოდა და ქართველი გულს მალამოსავით ეცხებოთ. მისიერი ეროვნული კულტურის დაწესებულებად მიაჩნდა, თვითონ მფარველობდა, ფულსაც არ ზოგავდა მსახიობთა ხელფასისა და შერობის მოსაწყობად.

კახეთის რკინიგზის მშენებლობაც ბანკის თავსატეხი გახდა. მთელი დასავლეთ საქართველო თითქმის დაისერა ფოლადის მაგისტრატით, მაგრამ კახეთს, ამ უმდიდრეს კუთხეს, არავფერი ეშველა, ათულ წლებით გავრქვდა დავა, გაიყვანათ თუ არა რკინიგზის ხაზით, ბოლოს ილიამაც აღიშალა ხმა.

„ღღეს კახეთი საკუთარ გზას იხმოვს, — წერდა იგი, — მაშასადამე, ძვირად დაუქდება თუ იფად, ორივეს თითონ იყისებეს და თითონ გაუძღვება. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი მოწინააღმდეგეები კახეთის გზისაში ამტკიცებენ, რომ კახეთი ვერ გაუძღვება რკინიგზის ბარჯსაო და, მაშასადამე, რკინიგზა თავის ბარჯსაც ვერ ააყვანებს და ზარალი იქნება“.

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო სამიგობო სამუშაოები, მოვიდნენ სპეციალისტები, მაგრამ მათ ფულს სჭირდებოდა და ეს ფულიც — თხოვთვეტო ათასი მანეთი ბანკმა ვაილა.

ილია ვერ მოესწრო კახეთის რკინიგზის მშენებლობის დათავრებას, მისი გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ, შეკვივლა მხოლოდ კახეთისაკენ მიმავალმა პირველმა ორთქლმაგალმა.

მოხუცი ილია საგურამოში იყო, როცა ყვარელში, წვიმების შემდეგ, დურუქმა ნაპირები გადმოლახა, ნახევარი სოფელი წალეკა, სამოცი ადამიანი იმსხვერპლა. დურუქი ხშირად ვერ ეტეოდა ზოლზე კალაპოტში, ხშირად აწიოვებ-

და სოფლებს. ხალხში ლუქსი გავრცელდა მის წყალდიდობაზე.

დურუქმა თქვა, მე კლდეს მოვალ
შავი კლდისა წვერებსა,
მოვეარდები ყვარელსა,
— დაუწყებოვ წყლებსა...

მაგრამ 1906 წლის ვახაჩებულზე ეს მდინარე სულ გავიდა, ვინ იყო სოფლის დამზარებელი იდეა. გლეხებმა მის მოურავს წაშრებინეს და დაუბრუნეს სოხოვეს, ჩვენი ვაჭირებმა ილიას შეატყობინეს და მოგვეშველებო.

მაშინ ბავშვი იყო ილია ზეტაშვილი, მაგრამ მაინც ახსოვს დამბების მშენებლობას როგორ დაფუძნებულა ილია, თავის სახლიდან მიქონდა პირმარალი და მეფის უმასპინძლედბოდა ი, როგორ გადმოგვიცემს იგი ამ ამბავს.

„კარგად გავგონებთ დურუქის სიავის ამბავი. ჰოდა, გავუგია ილიას ყვარლის უბედურება, ამოვარდნილა ქალაქიდან და ჩემ მტერს, რაც აქ სურათი დახვედრია. მეორე დღესვე შეუტყებოდა დღეგაციო, უმეტესად, სიტყვის კარგად მოქმედი გლეხები, თბილისს ჩამოუყვანია და ახლა რომ ილია ქაქავაძის კლებია, იქ გავმართავს ბანკეტი. მოუწყვეია ბანკის მუშაეები, ჩინოსანი ხალხი, ვაულებიანი, მოწინავე ადამიანები.“

ილიას მთავრობისაგან სესხის აღება უნდოდა, დურუქზე წებობების ასაშენებლად. როდესაც ყვარლელთა დღეგაციის წვერები, ტანისამოს-ჩამოხებული გლეხები, ნამესტნიისაყენ გაემართნენ, ქუჩაში ქალაქელები ასდევნიბან ერთი სოცილითა და ხარხარით. ხომ გავგონიბათ ხალხურა ნათქვამი: „ყვარლელი კაცი თბილისში რომ ქალამნების სასყიდლად წავიდეს, ილიასთან მივაო“, ჰოდა, თბილისელებსაც არ უკვირდით ყვარლელთა ქალაქს სტუმრობა, მაგრამ ნემუქტიბიან შესვლა უწყე შეტისმეტად ეჩვენებოდათ.

— ეე, გავრიებო, რომ მიღებართ, საღ მიღებართ, მანდ ვინ შევიშვებთ?! — უყვიროდნენ გლეხებს.

— აბა, ვაჭხედე, წინ ვინ მივიძლივის და მერე გველამარავე.

ვაჭხედეს თურმე და ილია დაინახეს. ამ წინ გაძლოას ის მოჰყვა, რომ 1907 წელს დურუქზე ორი დამბა აშენდა. ილია ხელმძღვანელობდა, თვალყურს ადევნებდა მშენებლობას.“

„სამეგრელოში მოხვედი და საქართველო ვნახე“

1885 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ივანე მაჩაბლის სიტყვით რომ ვთქვათ, „მართლაც მეფერის შეწირულება მიიღო“. ეს იყო სამეგრელოს სამე-

თავროს უძველესი ხელნაწერებისა და წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა.

სამეგრელოს მთავროს ოჯახში წიგნი უყვარდათ, დიდი და პატარა სამეგრელოში ეტაბლირებოდა ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს. მწიგნობრების ოჯახში რძალად ალექსანდრე ქაქავაძის ქალიშვილი ეკატერინე რომ შევიდა, მასაც მზითვეში დიდძალი წიგნი და მშვენიერი ხელნაწერი „ეფუხიბატყოსანიან“ მიჰყვა, ეკატერინე თითონ იყო ლიტერატურით გატაცებული, ლექსებსაც წერდა. დაქვრივების შემდეგ, რუსეთსა და უცხოეთში უფუნისას, ბევრი წიგნი შეიბინა და ზუგდიდის ისედაც მდიდარი ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გაამდიდრა.

ბიბლიოთეკის მოწივობით განსაკუთრებით თავი ისახელა მთავარმა დავით დალიანმა, მან ურვირფასესი ხელნაწერებისა და ისტორიული ნივთების მთელი მუხუეუმი შექქმნა, რომელიც ზუგდიდის სასახლის მშვენებას წარმოადგენდა.

1854 წელს, ომარ ხანის მეთაურობით სამეგრელოში თურქთა ურდა ასაკებულ რომ შემოიჭრა, ძვირფასი ბიბლიოთეკა უნებარად ადგოლას — გორდის სასახლეში გადაიტანეს და შემდეგ უკან აღარ დაუბრუნებიათ.

ეკატერინე ქაქავაძის შვილი ნიკო დადიანი ევროპულად განსწავლული იყო, კარგად იცოდა ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული და სხვა ენებიც, თავისი ოჯახური მღვწობით გადაგვარებას არაფერი აკლდა, მაგრამ გული მაინც ქართული ჰქონდა და მამულისადმი სიყვარულით უძვერდა.

ნიკო დადიანი პეტერბურგში ცხოვრობდა, უგანათლებულესს თავად მინჯერელსკად წოდებული, იმპერატორის ამაღის დღებშით მოსილი გენერალი იყო.

ნიკომ რომ გავიო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, დახმარების ხელი გაუწოდა და თავის მამის, დავითის, სუნებულ ბიბლიოთეკა სანუქრად გადასცა. იმ ხანებში ეს ბიბლიოთეკა მთელ საქართველოში ყველაზე მდიდარი ვახლდათ. „თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით, — წერს ნიკო დადიანი, — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოუტანს რაიმე სარგებლობას ჩვენს სამშობლოს, მით შევრაცხ თავს ბედნიერად.“

ეს განმი ქართველი ხალხისათვის ძვირფასი საჩუქარი იყო. ილიამ საბაბი იშოვნა, არ დააყოვნა და სამეგრელოში გაემგზავრა. ჩამბარებულ კომისიაში შედიოდნენ: ვასილ მაჩაბელი (ნიკო დადიანის ახლო მეგობარი, რომელსაც მასთან ამ სავანზე მიწერა-მოწერა ჰქონდა), დავით ერისთავი, სამსონ ყიფიანი, გოგა ყუფშიძე, იონა მუენარგია და სიმონ ლოლობერიძე, ხოლო ილია ვახლდათ ამ კომისიის თავმჯდომარე და ზელმძღვანელი.

ილია ქაქავაძის და მისი მეგობრების სამეგრელოში გამგზავრება ნაჩუქარი ბიბლიოთეკის

ჩაბარებაზე უფრო დიდ შიზანს ისახავდა. შიზანს შევხვდები დრო იყო, ცარიზმის აგრესიების და მთავარ მოსიყვარულმა ადვოკატობაში შევარაზებულმა, ხალხის სურვილის წინააღმდეგ, სამეგრელო-სამეგრეთეთოს სკოლებშიდან ქართული ენის განდევნის საკითხი დააყენეს. ყველაფერი აირადირა, დაიწყო ახალი სახელმძღვანელოების შედგენა. ხალხს ვინ უნებდა უფროსი, თუმცა ქართულმა ვაჭრებმა ხალხს მხარი დაუჭირა და სასტავად გაიკოცა ამ საქმის მესვეურნი, მაგრამ აქ ხმა აღიმაღლა ცენზურამ და ვაჭრებს ამ საკითხზე წერა ატარება.

ასეთ ვაჭრების დროს სამეგრელოს სოფლებში და ქალაქებში ილიას მოგზაურობებს, ხალხთან შეხვედრას, სკოლების დათვალიერებას, მეფის მოხელეთა ზრახვების ჩინაშეულად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ილიამ იცოდა, რომ დაგეგმილი პოლიცია ფეხდაფეხ დასდებდა, სამეგრელოს სკოლებს მფლობელობის გასაცნობად საფარვეთად წასვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ ბიბლიოთეკის ჩაბარების საბაბი სწორედ ხელსაყრელი გამოდგა.

სანამ ილია და მისი მზღებლები გორდში ჩავიდოდნენ, აკაკი წერეთელი იქ დიდი ხნით ადრე წასულა, მთელი ბიბლიოთეკა აღწერილი და კატალოგებიც შეუდგენია. კომისია რომ ჩავიდა, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მატარებული იყო, ჩაბარება გაუადვილდათ, განძი ცხენებს აკიდეს და ქუთაისისაკენ გზას გაუყვეს, აქედან მატარებით თბილისში წაიღებდნენ. განძს გასუენენ სამსონ ყიფიანი, გივა ყიფშიძე და სიმონ დოლობერიძე.

რაკი განძი ვაგზავდა, ილია შეუდგა სამეგრელოს უფრო ღრმად გაეცნობას, ხშირად ქვეითად ირჩეოდა სიარულს, ვხადავს ვლახებს ესაუბრებოდა, ხან ერთ ქიშკართან შედგებოდა, ხან მფორისთან, თვალფრებდა კონდრაძე ვაგაშვიანებულ ეზოებს, პალესს, ოდა-სახლებს...

ილია მისმა მეგობარმა შექი ფალავამ დაბატრება ბანძაში ბანძაში ილია ეზრავლებსაც ესაუბრა, გამოკითხა ვის რა უჭირდა, ვის რა უღონდა.

შექი ფალავა ქუთაისში მუშაობდა, ცნობილი იურისტი იყო და ბანძაში კარგა გამართული სახლ-კარი ჰქონდა. მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ქუთაისიდან ხშირად მოჰყავდა აქ და უხე სუფრის უშლიდა.

ილიას ჩამოსვლა მან ქუთაისში გაიგო, მაშინვე გამოსწვია ბანძაში, სამეგრელოს სასურველ სტუმარს გულისა და სახლის კარი ღირსეულად გაუღო.

ფალავის ეზოში ილია ცხენით შევიდა, მას მიეგება ნიკოლოზ დადიანი, ცხენიდან ჩამოიყვანა და გულში ჩაიკრა... ილიას პატეისაკენ მამართულ ნადიმს ესწრებოდა ნიკოლოზ დადიანის შეილი შალვა დადიანი. შალვა მაშინ ახლავაზრდა იყო, სუფრის ბოლოს მორცხვად იქნა და ილიას თვალს არ აშორებდა. ბევრი რამ ვანი-

კვდა და ნახა შალვამ იმ ღიზნში და შეგვ/კალმის ერთი მოსმით აღწერა მოგონებებში. ჩემი მართა.

გორდსა და ბანძაში ილიას უკეთესად ირჩა მეუღარეის მამა, მიხეილი, სუფრის თოდარიც იჭერდა ცაშვი. მიხეილი ცაშვის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იყო, შეძლებული ოჯახი ჰქონდა, ილიას ახლოს იცნობდა, ავერიაში თანაშრომლობდა, განიზრახა ილიასთვის შესაფერო პატეი ეცა, ყოველნაირი ღვინო ჰქონდა, არც ფრანგული შემამანთრა ავლა, მაგრამ ოჯალში ნაყენად იყო და ისიც სოფელ ქვაღელაშიდან გამოგზავნა სალომე დადიანმა, მიუზრატის მეუღლემ.

სალომეს ბავშვობის შემდეგ ილია არ უნახავს, ახლა შექი ფალავას სახლში შეხვდა და გაიხარა, მოიგონეს პეტერბურგი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გადაწერა, უკვე დაკლებული სალომე ბევრ რამეში ჰგავდა უღამაზეს დედას — ვეატერინე ქავჯვაძეს. ილიამ ეს მსგავსება ხელად შეამჩნია, მოსწონდა თავისი გვარის შევილი ასეთი ლდი და თვალად რომ იყო, მაგრამ ის არ მოსწონდა, სალომე რომ მისთხოვდა ნაპოლეონ მესამის ელაც ნათესავს — მიუზრატს. მისი შესაფერისი ქართველი ვაკი ქვეყანაზე არ აღმოჩნდა?

სალომე ვერსალის სასახლეში დედასთან ერთად ცხოვრობდა, იქ დარეგობრდა თავის თანატოლს, ბარონესა ბეტრე ფონ-ზუტენერს. ეს ორი ლამაზი ქალიშვილი ბევრ დიდებულს მოსწონდა, ბერტას შეტრფოდნენ მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილი ირაკლი ბაგრატიონი, სამეგრელოს მთავრის ძე ნიკო დადიანი — მიხერგელსა, თვალად ვიტგენტშეინი და სხვები... ბერტამ საქმროდ ვიტგენტშეინი არჩია, მაგრამ ამ ვეაკეს ბედმა უმტყუნა, ეუცრად გარდაიცვალა, ამას დაემტა ბერტას მამის უცაბედი ვადარიბება. ოჯახი უღუქმაბერად დარჩა, ბერტა გუვერანბატად დაუდგა ბარონ ფონ-ზუტენერის ოჯახს. ბარონის ოცდაათი წლის ვაბუჯი არტერი ძალიან დაუახლოვდა ბერტას და შემდეგ ვიდეაც იჭირწინეს. არც ერთის შშობელმა ეს შეუძლება კანონიერად არ ჩათვალა და უჭერო შეიღებს სახლის კარი დაუეცეტეს. ახლავაზრდები ქუჩაში დარჩნენ. ისე ვეატერინემ გაუწოდა დახმარების ხელი.

სხენიარად წარიმართა ნიკო დადიანის ბედი. მან შეირთო მარიამ აღდერბერგის ასული და მცირე ხნით სამეგრელოში მონაღმმა ჩამოსვლა. ვეატერინეს შეებარა უსახკაროდ და უღუქმაბეროდ დარჩენილი ბერტა და არტური და შეეღო დაავალა, ზუგდიდში წაყვანე ენენ და ჩვენს მამულში მოაწყო. ბარონი არტური დადიანმა თავისი მამულების მმართველად დანიშნა. ბერტასთვისაც გამოინახა სამუშაო, ფრანგულ და გერმანულ ენებს ასწავლდა წარჩინებულ მეგრეთა ბავშვებს.

ილია გორდს რომ ეწვია, იმ დროს არტური

და ბერტა ციშში იყენენ და ვეფხისტყაოსნის
ონა შეუნარგასეულ ფრანგულ თარგმანს რე-
დაქციას უკეთებდნენ.

ილია ბანძიდან ნოქალაქევისკენ ვაემართა,
თელი მოსტაცა მოკობახირმა, ავიდა ვოჯის
ციხეზე, იზიდან ვადახელა სამეგრელოს, შერმე
ძველ სენჯის ვწვიო და ზუგდიდისკენ აიღო გვზი.
ზუგდიდში დიდხანს დაყოფინა, გულდასმით
დაათვალიერა მდიდარი სასახლე, ბაღი, ფეხით
დაიარა მთელი ქალაქი, ბევრ შემხვედრს გამო-
ვლდაპარაკა ჩანაწერებით უბის წიგნაკი გაავსო.
შემდეგ თავის ძველ მეგობარს, იონა შეუნა-
რგასს ვწვიო ციშში.

ილიამ მასპინძელი რომ მიიკითხ-მოიკითხა,
მერე ზეტენერებთან შევიდა, მავდიზე საბებლი
მანქანა იდგა, ბერტა მაშინვე წაპოგდა, არტერი
არ ზანდა, ილია მიესალმა ქალბატონს, მის მელ-
ნით დახვრილ თითებს შეხვდა და გაიღიმა:

- გეტყობათ, ბევრს მუშაობთ!
- რა ვქნათ, გვაჭკარებენ.
- მერე როგორ მიდის საქმე?
- კარგად.
- აბა, თქვენ იცით — ილიამ გადაშლილ-
გადმოშლილი ქაღალდები აიღო, თელი გადაე-
ლო და აქვს: — ეს ისევე გადასაბეჭდია.
- ჩაავეტირებელია.
- მოაწერებთ კი, ქალბატონო?
- მოვაწერებთ, ბატონ ზინის არ დაუპატრო-
ნებთ!

ქართულად მიუგო ბერტამ, თუნ ჩვეინა. ამ
დროს იონა შემოვიდა, გადააზოულ-გადმოაზოულ
ქაღალდებს თელი მოაბრდა და გაწითლდა.

ილიას მოეწონა ბერტას ქართული.

— ბაჩაქილა, ქალო, რა კარგად ვისწავლია
ჩვენი ენა.

— თქვენ მოსაწონად შეიძლება არ ვიცოდეთ,
მეარამ ეყახირობთ მაინც.

— ბატონო ილია, მეგრულიც შეისწავლეს, —
დაუმატა იონამ, — ცოლი და ქმარი ერთმანეთს
მეგრულად რომ ელაპარაკებიან, იმის მოსმენას
არათვარი ეობია.

— ნიჭიერები და მონდომებულნი არიან,
ვენაცვა, რატომაც არ ისწავლიან.

დიდძალი სტუმარი ჰყავდა იონას მოწვე-
ული. დილა იყო. საუზმის უხე სუფრას ოცდა-
ათამდე კაცი შემოიუსხდა. ახლო-მახლო სოფლე-
ბიდან მოწვეულებს ღამაზად ეცეათ, ჩოხაშემო-
ტმანულ წელს ხმა-ბანჯალი და დამბაზები
უშვეეზებათ, მომღერალი ვაეები და მენიზგე-

რე მანდილოსნები ერთად ისხდნენ. უხე მკ-
არული არ იყო, ილიამ წვეთი ღვინო არ დლოა,
ქერ სოფელი დამანახეთ და მერე დამჩტეფთქმ-
სხვებმაეც სტუმარს შიპაბეს.

ილიამ შეუნარგასს ღამაზ ეზოში ვაიარ-ვაიმო-
იარა, გამოსასველ ტუემლისთვის უტრადლები
არ მიუქცევიდა, არც აუეაიებელი ატმისა და ბრო-
წურელის ბუჩქნისთვის შეუხუდაეს, დაფინს ხესთან
შეჩერდა, ფოთლები მოწვევტა, დაყნოსა და
მოეწონა.

— ჩემო იონა, დაფინს ნერგები გამომიგზაუნე
თბილისში, იქნებ საავტრამოში გაიხაროს.

— აბა, იონა, უშველე, ვაუღზაუნე, — დაუმატა
ღვით ეტრისათვმა, — ხომ იცი ილას ამბავი,
სადაც არ უნდა მივიდეს, ყველგან მუეტრნეობ-
უნდა წამოიწყოს.

— თქვენ არ იცით, — მიუგო ილიამ, —
თუ რა ძვირფასი და სასარგებლოა კეთილშობი-
ლი ღაფსა.

ილია ქიშკარში ვაევიდა და თქვა, მოდი, ახლა
ტამარსაც ვნახავთ. ბევრი სტუმარი ვაკევი მას,
ტამარი ღია იყო. ილიამ დაათვალიერა ხატები და
ძველი ნივთები, იქვე ტამარის შიგნით, კვატერი-
ნე ქაევეაიის შვილების საფლავებთან შეჩერდა,
წარწერები წაიკითხა და ფირმა წაიღო.
იონა შეუნარგასს ჰამა — პებუ მნატვარი-მო-
ქანდაეე იყო. ციშის ისტორიულ ტამარში პებუს
მეერ ვაკედელიმა ხატებმა ილია დიდად დაინ-
ტერესა, წაიკითხა წარწერებიც და ძალიან მოე-
წონა, მაგრამ ასე ძვირფასად მოკრთული ტამა-
რი რომ ყავრით იყო დახურული, ეს არ მოე-
წონა.

— არ სჯობდა, კრამიტით რომ გადავეხურათ?

— გადავეხურავ, ბატონო! — მორიდებით მიუ-
გო იონას მამამ, მიხეიღმა.

ილიას წასვლის შემდეგ მან ყავარი ჩამთავრე-
ვინა და ცისფერი თუნქით გადახურა ეს ის-
ტორიული ტამარი.

იონა შეუნარგასს კარის მეზობელმა, ზურაბ
ქირიამ თავის მოგონებაში მშვენივრად აღწერა
ციშში ილიას სტუმრობა. ზურაბი მაშინ სუფ-
რას ემსახურებოდა და ბევრი რამ დაამახსოვრ-
და.

ტამარიდან „სტუმრები რომ დაბრუნდნენ, —
წერს ქირია, — სუფრა ვაწყობილი იყო და სა-
დილობაც დაიწყო, თამადობა პებუ გორდანის
დაევისრა, რომელიც გვარიანი მოქართულე იყო,
მომღერალი და მოქეთფე ხომ იყო და იყო.
ლხინი დიდხანს ვაგრძელდა, თითქმის შემოა-
თენდათ. ილიამაც რამდენიმე ყანწი მიითრგა
ოჯალუშისა, ძლიერ გახიზარულდა. ყველაზე მეტს
ერისთავი, ზორბა, ღამაზი კაცი ოხუნჯობდა, მი-
სი ღამაპაკე ყოველთვის დიდ სიცილს იწვევ-
და, უმთავრესად რუსულად ღამაპაკობდა; შე-
რუსული კი არა, ქართული ძლივს მეყურობოდა,
ამავე დროს სუფრასთანაც არ ექიქრა, როგორც
მოსამსახურესს, ხშირი შესვლა-ვაიმოსვლა მიწვე-
და და მაშინ თუ მოეყარავდი რასმე უტრსა და

! ზეტენერებმა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტი-
რება დროზე დაამთავრეს, მანქანაზე გადაბეჭ-
დული ილიას მითითებით ზინის ვაევაუნეს; ზინი
ამ ტექსტის მიხედვით ჩასწვდა რუსთაველის სო-
ბოძენეს, ვაციწო მისი ვმირები და შექმნა შესა-
ინნიშავი ილუსტრაციები, რომლებშიც დაამშვენი
ამ უკდავი პოემის 1888 წლის მდიდრული გამო-
ცემა.

და თვალს. სიმღერა გაიზღა, რასაც ცეკვა მოჰყვა. ცეკვაში ილიაც ჩაერია. ფერბული მოიპოვა. თეატონაც ცეკვავდა და ყველანი ჩაგვება, წრე ისე გაიზარდა, რომ დარბაზში არ ეტეოდა. თამადამ მოითხოვა, ვინაიდან ფერბულს ღიმილი დარბაზი უნდა, უჭკობესია ზეალსათვის გადავლეთ და რაკი ეზო ფართოა, აი აქ გავშართოთ ფერბული და თემცა თეთონ ვერ იშლერა, ფეხი მაინც აყოლა, რამაც უნებულო მხიარულება, სიცილი და ქუედების ჰერში სიროლა გამოიწვია.

ილია ვანსაყუთრებით გულისყურით უსმენდა ჩონტურსა და სიმღერებს. არ მახსოვს, თუ რომელი სიმღერა იყო, რამდენიმეჯერ ვამეორებინა მეჩონტურე ქალს და თითონაც კი აყოლა ხმა.

შეზარბოშებულმა ილიამ ყაბურ სიმღერაც წამოიწყა. ამ სიმღერაიდან მხოლოდ ერთი სიტყვა დამამახსოვრდა დღემდე. ეს არის „ფარინა-ფარინა“, რითაც სიმღერის ყველა ბოლო მთავრდებოდა. ილიას ხმა აყოლეს ერისთავმა, მაჩაბელმა, ფლანკმა, ბატონიშვილმა, იონამ და სხვებმა. შესანიშნავი, სიმღერა იყო. ეს სიმღერა შემდეგ ოდნავ გადასჯაფერდა ჩვენში, „ფაფარინა-ფარინა“ — ვამბობდით. იგი შივილი ნახევარი საუტუნის განაველობაში არ დაფიქვებია ჩვენს კლბში ილიას სტუმრობის მოსაგონად, მას ყოველ შერეობილობაზე ვმღერობოვარ.

დილას ილია დაემშვიდობა მაჰსინძლეს, იონამ უხანგი დაუქირა და ცხენზე შესვა. ილიამ მთარახი მოიგნია და ცხენი კარგა მანძილზე გააქირადა. მას მანახელი დაედევნა, მდინარე ჭმამითა ქუენებ-ჰუნებით მივიღებინა.

ილია და მისი მზღებლები ახალ სენაკში თეიმურაზ კაცაბაძის სასტუმროში დაბინავდნენ (როგორც მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი შენიშნავს, კაცაბაძეები სამურზაყანოშიც სახლობენ და კაცაბაძისაც ეძახიან).

თეიმურაზ კაცაბაძე ცას ვერა, ჰერფის სტუმრებს კარგი ეახშევი გუეობათა, დილოთაც, სინამ მატარებელი ჩამოდეებოდა, შვენიერი საუზზე მთართვა და კაბიყ ფული არ აიღო.

„ — ილია ჰავეკაბაძე მესტუმრა და ჰირა გადავახდეინო, მაშინ ან რა მეგრელი ეყოფილვარ, ან სად გავახილო თვალთ? “

იონას აბო ნათესავი, ლაღი მუენარბია მოგონებაში აღნიშნავს, რომ კაცაბაძეს უთქვაჰმა: „ილია ჰავეკაბაძე უბრალო ვინშე არ გგოროთ, შეფის ტოლი კაცია, მისი სტუმრობა დიდად სასახლოა“... მთელ თავის სიცოცხლეში ის ჰკონდა სატრანაბოლ თერზე, იონამ ილია ჰავეკაბაძე შე მომიყვანა, იცოდა, შე ვიყავი იმის სტუმრობის ღირსიო“.

გიორგი ხარატიშვილის საინტერესო წიგნში „ილია ჰავეკაბაძე და ყვარელი“ ასეთი ამბავი ამოვიკითხე: „როცა 1885 წელს ილია სამეგრელოში ეწვია თვის მეგობარს მეჭი ფალავას,

თან წაიყვანა ყაბელი გლეგები; იმ შიხნით, რომ დასავლეთელ მამათ ცხოვრებას კაბელებიც ვასტეობოდნენ“.

ყაბელში გლეგებმა ბევრი ზამსაინტერესო ნახეს სამეგრელოში, ილიამ ლხინის დროს თვითონ თქვა:

„ — ძალიან მომეწონა ამ მხარის მოსახლეობა, ეზობის განლაგება, სისუფთავე, მცხოვრებათა ზრდილობა და მეტადრე სიმღერები“.

ყაბურ სუფრულ სიმღერებს შეგვეუბო ილიას კოლხტრში შელოდიებმა გული მოუნახა. ქალების წყრილა, ოდნავ სევიდიან, მაგრამ მაინც მხარულ სიმღერებსა და ჩონტურების დღემდის რომ ისმენდა, ფიქრობდა, აი, ნამდვილ საქართველოში ვარო და მეგრე სადედეგრძელში თქვა: — სამეგრელოში მოვედი და საქართველო ენახეთ!

ეს სიტყვები მეგრელებმა გულში ტკბილად ჩაიყრეს, თაობიდან თაობას გადასცეს, დღესაც სისბრელით იმეორებენ.

სამეგრელოდან ჩამოტანილმა „ქართულ ხელნაწერთა უნივერსალური ძეგლების საგანძურმა, — წერს სოლომონ ცაიშვილი, — მყარი საფუძველი ჩაუყარა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმენუსა და ბიბლიოთეკას“.

ამ განძის დაბინავების შემდეგ, ვასილ მაჩაბელმა ნიყო დადიანს დაწერალებით მისწერა, როგორ მოიარეს სამეგრელო, ჰერფისა წიგნები და ზღნაწერები შვეიდაობით ჩაიტანეს თბილისში, როგორ მოილხინა ილიამ, როგორ მოეწონა ეს მხარე და მისი ხალხი.

ნიყო დადიანი მეგობრობს ამ წერილში გაახარა მაგრამ იმ ხანებში მაინც უფლები შერეული ჰქონდა, წუხდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენა რომ იდევენბოდა. ამ საკითზე მაშინ მთავრობის ოფიციალურ გაზეთებში ბევრი სტატია იბეჭდებოდა, რეაქციონერი კალმონები გაჰქიოდნენ, მეგრელები ქართველები არ არიან და ქართულად რად უნდა ისწავლონო, სკოლებში თეთისონ ენის დაშვიდრება უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებო.

ეს უსამართლობა და მამათა გათიშვის ბოროტი ცლა იმპერატორის ამალის პირველმა გენერალმა ნიყო დადიან-მინარგელსკიმაც ვერ მოითმინა და ბოლშით სავსე წერილები გამოგზავნა სასშობლოში.

„მე წავიკითხე ის სტატიები, — წერს ნიყო დადიანი, — რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრულ ენას და ქართულ ენას შორის მსგავსება არ არისო... შე ამის ვიტყვი: ის ვარაუბრე ჰვეყნის ფილოლოგები, რომელნიც ამას ამტკიცებენ, სრულად დაბნეულები არიან. ვერ ჩვენი ენა ისწავლონ და მეგრე სწეონო... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენ ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დავეითვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დავეაყრებებს იმას, რაც ნამდვილად არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინუელას. ხალხს



მამინ გაიცინობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს, ან იმ ხალხის ენაზე ლაპარაკობს. ამას გარდა, ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყუოს კაცი და შემდეგ ილაპარაკოს. მე სამეგრელოს, იმერეთს და გურიას ევეთუბებ, როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შორის განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს. ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვეკედები. ის-ღა გვაკლია, ახლა, რომ ვინმე ჩინელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ენაზე ან ქართული გვასწავლოს. ევების ამსახ მოვესწროთ."

ნიკო დადანიამ ამ მტკივნეულ საკითხზე მრავალი წერილი გამოგზავნა, რომლებიც „ივერიაში“ სამოგუნებით გამოაქვეყნა. ამ წერილებმა უზრტო ვაუზაგრეს ილიას, ზალხმაც ხმა აღიმაღლა, არსთაველის ენამ სამეგრელოს სკოლებში ისევე თავისი კეთილი ადგილი დაიკავა.

ა კ ა კ ი

თბილისში, არსთაველის პროსპექტზე, ყუარღუბას იმერებს ზალდა კვარცხლბეკზე მდგარი ილიას და აკაის ჭანდაკება. აკაი და ილია იმ შტოთიან დროში ათეული წლების მანძილზე ერთად იბრძოდნენ, ერთად ეწეოდნენ საზოგადო მოღვაწის მიმე უღელს. ვერც სიკვდილმა დაამორჩა ისინი ერთმანეთს.

დღესაც ამავე დღიან თბილისის მოვარ პროსპექტზე. ამ ორი დიდი ადამიანის შვიკობრობას დიდი და ვრძელი ისტორია აქვს. აკაი პეტერბურგში რომ ჩავიდა, იმ წელიწადს ილია იქ კავკასიელთა შორის ცნობილი კაცი და ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს აღიარებული ხელმძღვანელი იყო.

ქართველ სტუდენტებს, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული ისტორიისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებოდა და თავზე ეკლებოდნენ მას. ესენი ამტკიცებდნენ, რომ მიხანწერილია დაარსდეს რამდენიმე კავკასიური სათვისტომო — ქართველების, სომხების, ლეკების და სხვათა, და მათ შორის უნდა დაეჭურდეს შვიდრო კავშირობ... ამ აზრმა ვაიმარჯვა კიდევ".

აკაი იმ წრეში მოხდა და თავის თანამეგობრებს აღვიღად დაეშეგობრდა.

ილიას უკვე დაწერილა ჰქონდა (ლექსებს რომ თავი დაეანებოთ) „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“, „აკაი ადამიანი?!“. ამ ნაწარმოებებს ქართველები ხარბად ეწაფებოდნენ, დედამიწე კითხულობდნენ, ლექსებს კი თავიანთ უბნს წიგნაკებში აწერდნენ.

სხვებს, რასაკვირველია, არც აკაი ჩამორჩა, „აჩრდილი“ დედანში გაეცნო.

მედიკონდელი სპართველოს მეტად მიმიე მდგომარეობა ილიას გულს უკლავდა, თავისი

დარდი და წუხილი განსაკუთრებით გამოთქმული აქვს „აჩრდილის“ იმ ნაწილში „ციხეკარში“ რომ დაიბეჭდა.

ილიამ სამშობლოს სევადა უფრო შეეკედ განთავდა მას შემდეგ, რაც ბარათაშვილის პოეზიას ეზიარა. ბარათაშვილმა გადაძალა ახალგაზრდა ილია, ოცნებით არაგვის პირას წაიყვანა. არაგვი — ეს წმინდა ქართული მდინარე ისტორიულად ბერძნის მოწყმე იყო. პეტერბურგში მიმავალ ახალგაზრდებს დიდხანს მიაცილებდა და თანაც ქართლის ბედზე ენერგიუბობდა.

ბარათაშვილმა მტკუნფარე არაგვი დავივიზატა, ილიამ კი ამ მდინარეს უფრო სეველიანად მიმართა:

გულ-ხელთ დაკრფვით შესა წმინდა წყალს რამდენჯერ ტანვით ვაღვენებდი თვალს!... რას ეგებდა მე? ჩემ კვეყნის წარსულს, შენ — წინ დაღუბულს ჩემ ძველს მამულს, — და მარტო სისხლი ჩემს თვალს დადალულს ამღვედა ხილზე გულსაკლავ პასუსს.

„აჩრდილის“ ნაწევრების „ციხეკარში“ გამოქვეყნების შემდეგ, იმავე უფრხალში, დაიბეჭდა აკაის ლექსი „ამაო ძებნა“. ეს ლექსი ილიას „აჩრდილს“ გამო რომ არის შექმნილი, ამავე თავის დროზე მიუთითა მათმა საყარო მეგობარმა კირილე ლორთქიფანიძემ, რომელიც კრებულ „ჩანგურის“ შესახებ დაწერილი ცნობებში აღნიშნავს: „აკაის ნაწარმოები („ამაო ძებნა“, კ. გ.) ქვეყნისა არაგვის გამო არის დაწერილი“.

აკაის ეს ლექსი არის ერთგვარი პოლემიკური გამოხმაურება.

მწერლობაში ფეხის შედგმის დღიდანვე ილია და აკაი გულმოდგინედ ადვენებდნენ თვალყურს ერთმანეთის შემოქმედებას. „ამაო ძებნის“ გამოქვეყნების შემდეგ ვაგიდა ორიოდ წელი, ილიამ უკან მოინდა, განვლო ლიტერატურულ ცხოვრებას თვალი გადაავლო, „ციხეკარის“ ძველი ნომრები მაგიდაზე დაიღვა და კრიტიკული წერილისათვის მასალებს ამოკრეფას შეუდგა. მან ჩაინიშნა აკაის ნაწარმოებები: „პ. წ-ს“, „ამაო ძებნა“. ორივე ლექსი ახლა უფრო მოეწონა და მიაწერა: „კარგია“.

აკაი ერთხელ კიდევ გაეშეგობრა ილიას. ამჯერად ისინი ერთმანეთს შეეცლინენ ქართველ სტუდენტთა შეფასებაში. როგორც ცნობილია, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ მრავალჯერ გადააკეთა-გაღმთაკეთა ილიამ. ამ ლექსის მეორე ვარიანტი მიუძღვნა სოსიკო ვახანაძეს. სოსიკო ილიას ახლო მეგობარი იყო, იმ დროს პეტერბურგში აპირებდა წასვლას სწავლის გასაგრძელებლად. ამის თაობაზე მან ილიასაც მისწერა.

ილია ანიკო ვახანაძისადმი ვაგზავნიდ ბარათში აღნიშნავს: „სოსიკო მწერდა, რომ ეპირზე

რუსეთში წამოსვლამ, არ იქნება ურიგო, რომ წამოვიდეს, ხომ იცი, საყვარელო დო, რომ სწავლისათან ამ ქვეყანაში გამოსადგვი არა არის რა, მისადაამე, ცოდვა არის სწავლის მსურველს არ მისცენ საშუალება.

ამ დროს ილია უკვე სწავლაში დაწინაურებული, გამოცდილი სტუდენტი იყო და გულითადი მეგობრის ჩამოსვლა ძალიან გაუხარდა. ეს სიხარული მან გამოხატა „ქართული სტუდენტების სიმღერაში“. ვანნათს პეტერბურგში ჩავსვლა ილიამ ამ მშვენიერი ლექსით აღნიშნა. ამ ნაწარმოებში ილიამ უმღერა იდეალურ ქართულ სტუდენტებს, ღირსეულ მამულიშვილებს, რომლებიც, მიუხედავად სიღარიბისა, თავგამოდებით ეწაფებოდნენ მეცნიერებას, რომ ერისათვის გამოსადგვი მოქალაქენი გამხდარიყვნენ.

აქაი ამ ლექსს რომ გავცნო, არ დააყოვნა და მაშინვე გაეპასუხა. პასუხი ძალიან მკაცრი, პაროდული გამოუვიდა.

ილია თავის ლექსს ასე იწყებს:

დედამ რომ შეილი გაზარდოს, —
ემაგრე ჩვენი სანაო,
ძმურად გამოსადგენი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

აქაი კი პასუხობს:

დედამ რომ შეილი გაზარდოს
და მერე თქვენი სანაო!
ნაცარქვეთა რაბა ხართ
ყველგან და ყველასთანაო.

და ასე ბოლომდის.

კირილე ლორთქიფანიძემ „სტუდენტების სიმღერა“ უბის წიგნაკში ჩაიწერა და სადაც ახლობელს შეხედებოდა, ყველას აკითხებდა. ეს ლექსი მან აკაცის უჩვენა. აკაციმ წიგნაკი გამოართვა, თვითონ წაიკითხა და თქვა:

— რას აზრობს ეს კაცი, ასეთი კარგი სტუდენტი ვანა ვეყავს?

და იქვე ვესპრომტად ეს პაროდია თქვა. ბევრი დაეთანხმა პოეტს, ილიას მორიდებით გადასცეს პაროდია.

— რას იზამთ, სარკეს ორი მხარე აქვს. წინა მხარე ბრწყინავს, ბრწყვეილებს, შე სტუდენტობის ცხოვრების ეს მბრწყინავი მხარე შედგა თვალწინ, როცა ეწერდა, აკაციმ კი სარკის უკანა მხარე დაინახა, რომელიც ბუნებით შავია

და შავიდაც უმღერა! — ამ წვიღებით თქვა ილიამ, რადგან მან კარგად იცოდა ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს გულგრილი პაროდია.

აკაცის სიცოცხლეში ეს პაროდია არ გამოტყვევებულა, მისი გარდაცვალების შემდეგაც დიდ ხანს ინახებოდა მუზეუმში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლის პირველსავე წელს ილიამ დასწერა „მმა სამარადამ“. ამ ლექსში ცხოვრების მანკიერი მხარეებია მხილებული. ლექსი შექმნიდან ოთხი წლის შემდეგ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. ეს ნაწარმოები აკაციმ გულდასმით გაარჩია თავის წერიაში და აღნიშნა:

ამ ლექსში „ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველდღიურს კემშარტიტებას, ჩვენს ნაკლოვანებას და ჩვენს საჭიროებას ვხედავთ და ამისთვის მოგვწოხს პოეტი, ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც“.

ახალგაზრდა აკაცი ილიას პირველი შემფასებელი და მეგობარი იყო. აკაციმ ვაბედულად შეაღარა ილია ჰავეკავამე ნიკოლოზ ბარათაშვილის. ჰავეკავამე რის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაში არის დაფუნებულა. ყოველს მის ლექსში ხედავთ ქართულების ტანჯვასა და ვოდებას“.

1864 წელს პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძემ გამოსცა ქართული პოეტების ლექსთა კრებული „ჩანგურის“ სახელწოდებით. ჩანგურში მოთავსებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჰავეკავასის და სხვათა თხზულებები. ერთი წლის შემდეგ „ცისკარში“ აკაციმ „ჩანგურზე“ მოათესა ვრცელი წერილი და გულდასმით გაარჩია ბევრი ნაწარმოები. დაწერილებით განიხილა ილიას ლექსებიც და პირთუენულად შენიშნა:

„თუ ჰავეკავასის ლექსებში მართო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნებათ დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მართო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურად ნათქვამი სისულელე და ოცნება, მაინც სისულელე და ოცნება იქნება), ჩვენ ვეძებთ ჰკვიან აზრებს და მას კიდევაც ეპოულობთ ჰავეკავასის ლექსებში“.

აკაცი აღვრთოვანებულა ილიას პროზაული ნაწარმოებებით და წერს: „ჩემის აზრით მისი „აკაცა ადამიანი!“ და „გლახის ნაამბობი“ — ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.



3. O. LENINI და ამიერკავკასიის საბჭოთა სუვერენული რესპუბლიკების მშენებლობა

ვ. ი. ლენინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის.

სოციალისტურ გარდაქმნებს რომ შეუდგნენ, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები განამტკიცებდნენ მკვიდრო თანამშრომლობასა და სახელმწიფო კავშირს დიდ რუს ხალხთან. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის რესპუბლიკა, მით უფრო ძლიერი იქნება ყველა ერის მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება ასეთი რესპუბლიკისადმი.¹

რუსეთისა და ამიერკავკასიის მშრომელთა პოლიტიკური, ეკონომიური და, უწინარეს ყოვლისა, კლასობრივი ინტერესების ერთიანობა მათი დაახლოების მთავარი საფუძველი იყო. ამასთან, ამ თანამშრომლობას ხელი შეუწყობ რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობამ, რომელიც შემოწმებული და განმტკიცებულია საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით.

ამიერკავკასიის მშრომელებს, — აღნიშნავდა ვ. კ. ორჯონიკიძე, — ვერ წარმოედგინათ ბრძოლა თავიანთი პოლიტიკური და ეროვნული განთავისუფლებისათვის რუსეთის მუშებთან და გლეხებთან მჭერი კავშირის გარეშე. რევოლუციის ისტორიამ არ იცის რუსეთის

პროლეტარიატის არც ერთი მეტად თუ ნაკლებად შესაძენევი გამოსვლა, რომლისთვისაც ამიერკავკასიის მშრომელებს მხარი არ დაეჭირათ.¹ რუსი ხალხი მათ ყოველთვის მიაჩნდათ თავიანთი სუვერენული უფლებების სამართლიან დამცველად.

წინათ ჩაგრული ერების მშრომელებისადმი ყოფილი დიდმპყრობელური ერის პროლეტარიატის უანგარო დახმარებას ვ. ი. ლენინი ხალხთა შორის თანაწორუფლებიანი და მშერი ურთიერთობის დამყარების მთავარ საშუალებად მიიჩნევდა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ამიტომ ამიერკავკასიის მშრომელებისადმი რუსი ხალხების დახმარება მათი ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის, საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის, რსფს რესპუბლიკასთან მჭერი თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცების გადამწყვეტი პირობა იყო.

ვ. ი. ლენინი მუდმივ მზრუნველობას იჩენდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენული უფლებების უზრუნველყოფისა და ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის. იგი ხშირად იღებდა ამიერკავკასიის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, აძლევდა მათ ბრძნულ რჩევასა და მითითებას, უგზავნიდა წერილებსა და დეპეშებს, ელაპარაკებოდა პირდაპირი ხაზით. ლენინის დირექტივები ითვალისწინებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური, ეკო-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 67.

¹ ვ. კ. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 475.

ნომიური და კულტურული განვითარების სპეციფიკურ პირობებს და უდიდესი დამრავლებელი და მორგანიზებელი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა კომუნისტისათვის. მ. დ. ოახელაშვილი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ვ. ი. ლენინის წერილებში გადაკითხვა ნიშნავს „გაიარაო წინასწარკურთხისა და მართვის ხელოვნების მთელი სკოლა. ეს წერილები, როგორც წესი, მოკლეა, მაგრამ დაწერილია ისე, რომ წაითვისებ შემდეგ ვერ დამშვიდდები, სანამ არ შეასრულებ წერილის ავტორის რჩევებს“.¹

საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების წამდელი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, მათი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანები შოთხოვდა რსფსრეს რესპუბლიკასთან სახელმწიფოებრივი კავშირისა და ძმური თანამშრომლობის გაფართოებას.

საბჭოთა რუსეთთან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დაახლოების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1920-1921 წლებში მათ შორის დადებული მემორანდუმები ხელშეკრულებებში მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ. ისინი ვაშლიანარეობა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის ლენინური პრინციპებიდან, ხელშეკრულებებში ხაზგასმით იყო მითითებული მშრომელთა კლასობრივი ინტერესების ერთიანობა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი დარაზობისა და, თვითველი საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა უზრუნველყოფის აქტიურობა. ხელშეკრულებათა მონაწილე მხარეების მიერ ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებები მიზნად ისახავდა მათი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საერთო ამოცანებს.

კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინი განუხრელად იცავდნენ საბჭოთა რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობის პრინციპს, დიდ ყურადღებას და გულსხმირებებს იჩენდნენ ხალხთა ეროვნული თავისებურებებისადმი.

„გადატრით ილაშქრებდა რა ყოველგვარი ეროვნული ნიპილიზმის წინააღმდეგ, ლენინი ასწავლდა რევოლუციონერებს თანმიმდევრულად გაუთვალისწინებინათ ეროვნული ინტერესები, დაეცათ ყველა ერის თანასწორუფლებიანობის პრინციპები, მათი დამოუკიდებ-

ლობის, თავისთავადი განვითარების უფლება. იგი განმარტავდა, რომ სუვერენულუფლების, მისი აწმუნებისათვის, მისი დამცველობისათვის — სწორედ ეს არის ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალება“.²

ამასთანავე, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მართ დიდი სახელმწიფოების პროლეტარიატმა კი არა, პარტია ქვეყნების მუშათა კლასმაც არ უნდა დაიფიქროს თავისი მოვალეობა „იბრძოდეს ეირო-ეროვნული შეზღუდულობის, კარაკეტრლობის, განკერძოების წინააღმდეგ, იბრძოდეს იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს“.³ ყოველგვარი სხვაგვარი მიდგომა საბოლოო ანგარიშით ნიშნავს დაქნებას ნაციონალიზმისაკენ, რომელიც რევოლუციური საქმის საშინელი მტერია. ნაციონალიზმი „თავისი განცალკევებისა და დაუწყობაობის ტაქტიკით... არ არა დაქცევს ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ერის პროლეტარიატს დაახლოებისა და ერთიანობის დიდ ცნებას“.⁴

ახერხაიანის მშრომელი მსებებს განთავისუფლებას რომ მიესალმებოდა, ვ. ი. ლენინი მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ „ახერხაიანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა რსფსრთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მოსისხლე მტრისადგან — იმპერიალიზმისადგან“.⁵

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მტკიცდებოდა ამ რესპუბლიკის კავშირი და კონტაქტი რსფსრის რესპუბლიკასთან. ჟერ კიდევ 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ვ. ი. ლენინისადმი მიმართვაში აწყვებულათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ წერდა: „იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდ პარტიკულარულ შესაძლებლობათა ქვეყანა ამ მივეტიკოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახლადშობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას“.⁶ ვ. ი. ლენინის მითითებით მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა ძმური, უანგა-

¹ „ვლადიმერ ილიას მე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“, სკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბილისი, 1970, გვ. 46-47.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 442.


³ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 646.

⁴ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 152.

⁵ Борьба за победу Советской власти в Грузии. Сб. документов и материалов, Тбилиси, 1958, стр. 653.

¹ М. Д. Орахелашвили, В. И. Ленин и ЗСФСР, Тифлис, 1925, гв. 13.

² История Советской Конституции в документах (1917/1956), М., 1957, стр. 239, 240, 304, 306.



რო დახმარება ვაქციეს საქართველოს შშრომელებს. რუსი ხალხის დახმარება კონკრეტულად გამოიხატა აგრეთვე სასტრასთო და ფინანსურ სიძნელეთა დაძლევათ, სწარმოთ ძალთა განვითარებით, ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნით, ადგილობრივი მოსახლეობიდან კვალფიციური კადრების მომზადებითა და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებით.

ვ. ი. ლენინი მიესალმა საბჭოთა საქართველოს და ურჩია ქართველ კომუნისტებს არ დაეიწყებოდათ, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა მთავან მოითხოვდა „რუსული შახლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შეუქმნებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მტრ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული“¹.

საპასუხო დებუებაში საქართველოს რევკომის წევრებმა, რომლებმაც ბელადს დიდი მადლობა გადაუხადეს მისალმებისა და ბრძნული რჩევებისათვის, მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ვ. ი. ლენინი არცერთი წუთით არ დაივიწყებდა მათ და საფურადღებო მითითებებს მისცემდა. „ჩვენი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, — წერდნენ ისინი, აშხანავ ლენინის მითითებების შეუძლია ვეისნას საშიში შეცდომებისაგან“².

სახელმწიფო ზღვისუფლებსა და მმართველობის ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, რსტს რესპუბლიკის ბევრი სახალხო კომისარიატი და უწყება გახვინდნენ ამიერკავკასიაში თავიანთ რწმუნებულებს, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ძმური თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცებისათვის, თუმცა რიც უნდა ითქვას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი მთავარი ჭრბოვნად ვერ ითვალისწინებდა მოსახლეობის ეროვნულ და სპეციფიკურ თავისებურებებს და ვაუფრახილებელი მოქმედებით ობიექტურად ხელს უწყობდა უთანხმოებისა და დავის წარმოქმნას, საბაბს აძლევდა საბჭოთა ზღვისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს პროვოკაციებისა და ყოველგვარი ცილისმწამებლური მონამზახების გასაერცლებლად. მართალია, ამ უთანხმოებებსა და კონფლიქტებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჩარევის გზით სწრაფად ეღებოდა ბოლო, მაგრამ მათ მაინც მოჰყვებოდა დიდმპრობლური შევიინიშისა და ნაციონალიზმის გამოყოცლება.

რევკომი თხოვნით მიემართა ვ. ი. ლენინსათვის, ეხმარა ზომები რწმუნებულებს, რომლებსაც ნის წესის საკითხის მოსაგვარებლად რესტრსის საქართველოში სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა რომ მოახსენა, რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ თავის 1921 წლის 1 მარტის წერილში დააყენა საკითხი ცენტრიდან საქართველოში დიდი რაოდენობით რწმუნებულთა ვაგზავნის აკრძალვის შესახებ. იგი წერდა: „მე უკვე ვხედავ, რომ სახედასხვა „ცენტრიდან“ და „მოთავა“ სამმართველოებიდან“ ჩვენსენ უკვე მოფრინავენ ურცხვი „მოთავაი“ და „განსაკუთრებელი“ რწმუნებით აღჭურვილი წარმომადგენელნი განსაკუთრებული მანდატებით. რა თქმა უნდა, ჩვენ მათ მოვეუბრებით მეტად კრიტიკულად. ცხადია, რამდენადღაც ჩვენ საქმე გვექნება ნამდვილად გამოყვლილ, ნამდვილად სასარგებლო მუშაებთან, ისინი ჩვენგან ჰყოვებენ ყოველგვარ დახმარებასა და ხელშეწყობას...“ ვ. ი. ლენინი უფრადღებით ვაეცნო ამ წერილს და შესაბამისი წერილობითი განკარგულება ვასცა დაუყოვნებლივ აკრძალათ რსტს ცენტრალურ დაწესებულებებს თავიანთი წარმომადგენლების ვაგზავნა საქართველოში რსტს მცირე სახკომსაბჭოს ნებაართის უქონლად, ხოლო ნებაართა მიეცათ არქიტხილად და სისტემატურად შევმოქმეზინათ თვითთული განკარგულების შესრულება. 1921 წლის 14 მარტს რსტს მცირე სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება სახკომსაბჭოს განსაკუთრებული განკარგულების ვაუქმვლად სახალხო კომისარიატების მცირე საქართველოში რწმუნებულების ვაგზავნის აკრძალვის შესახებ.³

პარტია, ვ. ი. ლენინი სათუთად იცავდნენ თვითთული საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, აღკვეთავდნენ დიდმპრობლური შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, სისტემატურად მუშაობდნენ რსტს რა დაამოუკიდებელი საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცების საკითხებზე.

როცა ვ. ი. ლენინი ვაეცნო რსტს რა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საგარეო ვებრობის დარგში შეთანხმების პროექტს, მან ერთხელ კიდევ ვაუქნა ხახი მხარეთა სრული თანამშრომდლებიანობის უზრუნველყოფის აუქვლებლობას.

ამ საკითხზე შედგენილი პროექტის პირველ ვარიანტში, საბჭოთა რუსეთთან შედარებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის განსახლ-

¹ ვ. ი. ლენინი. ობზ., ტ. 32, ვვ. 190.
 Газ. «Правда Грузии» № 6, 8 марта 1921 года.

² ЦПА ИМЛ, ф. 2, оп. 1, ед. хр. 17607, л. 2.
³ В. И. Ленин, т. 52, стр. 94.
⁴ В. И. Ленин, т. 52, стр. 376.

ერული იყო სახელმწიფოთა მეტად ვიწრო წრე, სადაც მათ შეეძლოთ ჰქონოდათ თავიანთი წარმომადგენლობა, მეორე ვარიანტი კი ითვალისწინებდა მხარეთა სრულ თანაწიროფლებიანობას საგარეო პოლიტიკის დარგში. ლენინმა დამწერილობით და ვულდასმით განიხილა ყოველივე ეს და 1921 წლის 21 მაისს შეთანხმების პროექტს წააწერა: „შხარს ვუპერ მეორე მუხლის ვარიანტს“.¹

ვ. ი. ლენინის მიერ დოკუმენტებზე გაკეთებული აღნიშვნები და წარწერები გვიჩვენებს, თუ რა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა რკი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. რა სიფრთხილით აყალიბებდა უნიშვნელოვანეს დებულებებს, რომლებიც შეეხებოდა რესპუბლიკების თანაწიროფლებიანობის საკითხს. ამიერკავკასიაში შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის დირექტივების პროექტის შესაბამედად რკ(პ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 1921 წლის 28 აპრილის გამოყო კომისია ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინისა და ა. შ. ლევინის შემადგენლობით. 4 მაისს პოლიტიბიურომ დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა დაუმატა ასეთი მუხლი: „შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა მხედველობაში უნდა მიიღოს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის ფართო მასების განწყობილება და დღევანდელი მომენტის საერთაშორისო პირობები და განსაკუთრებით გულისხმობდა უნდა გაუსვას ხაზი ამ დამოუკიდებლობის“² რკ(პ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რუსეთის რწმუნებულს ვ. ი. რაბინოვიჩს მტკიცედ ეხელმძღვანელა ამ დირექტივებით.

1921 წლის აპრილში რსფსრ გზათა სახალხო კომისარის მოადგილემ ვ. ვ. ფომინმა წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოს სახლავო ნავსადგურების (მათეშის, ფოთის და სოხუმის) სამმართველოები გადასულიყო რსფსრ სახლავო ტრანსპორტის განგებლობაში. ამ საკითხს რკმ გაეცნო, ვ. ი. ლენინმა ასეთი წერილი გაუგზავნა ი. ბ. სტალინს: „მე ფომინის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება „რუსულად“ საქონისა „ქართულად“. შეეიტანათ პოლიტიბიუროში“³ რკ(პ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 1921 წლის 19 აპრილს განიხილა საქართველოს ნავსადგურების საკითხი, მხარი დაუჭირა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წინადადებას და მიიღო გადაწყვეტილება საქართვე-

ლოს ნავსადგურების მართვის საქმე თვით საქართველოს გადასცემოდა. რსფსრ სახლავო ფლოტის სამმართველოს დაეუფლებინა ვ. ი. ლენინმა ნავსადგურებისათვის ყოველგვარი მატერიალური დახმარება. ეს ეპიზოდი ერთი იმ მრავალრიცხოვანი მაგალითთაგანია, თუ როგორ იცავდა საბჭოთა რუსეთი თვითველი ვიწროვანი რესპუბლიკის კონსტიტუციურ ნორმებს, პატივს სცემდა მათს სუვერენულ უფლებებს.

რუსი ხალხის დახმარების ფორმები მრავალფეროვანი იყო. ეს დახმარება ელინდებოდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში და მას საფუძვლად ედო ხალხთა თანაწიროფლებიანობისა და ძმური მეგობრობის პრინციპები.

რსფსრ რესპუბლიკების მატერიალური დახმარების გაუმჯობესება ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება შეუძლებელი იყო. „კავკასიის ვერც ერთი რესპუბლიკა, — აღნიშნავდა ვ. ი. ორჯონიკიძე 1921 წლის ივლისში, — თავს ვერ გაართმევდა იმ უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ სიანუნებულს, რომლებშიაც ისინი იმყოფებოდნენ, რუსეთის პრიორიტარიატის დაუმხდებლად, რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის დაუხმარებლად“⁴.

ვ. ი. ლენინი კავკასიის სამეურნეო აღდგენის კონკრეტულ პროგრამას რომ სახავდა, კომუნისტური ურბევა: „ერთბაშიდ ეკადეო გაუთქობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები, მორწყვა ყველაზე მეტად სჭირთა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასაბარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალისმზე ვალსახვას“⁵.

ვ. ი. ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ეკონომიური დახმარების განხორციელებაში. ამის მოწმობას ბელადის მრავალრიცხოვანი დებულება წერილი ამიერკავკასიის ეროვნულ რესპუბლიკათა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებისადმი, სახალხო კომისარებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა რწმუნებულებებისადმი.

კავკასიის შრომის არმიის საბჭოსადმი 1920 წლის 12 ივნისის დებულება ვ. ი. ლენინი იტყობინებდა, რომ სურსათის სახალხო კომისარიატის რეგარეშე განწესების მიხედვით ბაქოს ნავთობის რაიონების მუშების უზრუნველსაყოფად უკვე დატვირთულია 377 ვაგონი ბერი.⁶

1920 წლის ნოემბერს რკ(პ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მიიღო დადგენილება ბაქოს სრული მომარაგებისა და ატრბაიფანში

¹ В. И. Ленин, т. 52, стр. 392.

¹ ЦПА ИМЛ, ф. 2, оп. 1, ед. хр. 18844.

² Владимир Ильич Ленин. Биография, изд. 3-е. М., 1967, стр. 607-608.

³ В. И. Ленин, т. 52, стр. 154.

⁴ ვ. ი. ორჯონიკიძე. სტატეები და სტატეები, ტ. 1, გვ. 230.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 399-400.

⁶ Ленинский сборник XXXIV, стр. 222.

სასურსათო პოლიტიკის შეცვლის შესახებ,¹ რსუსრ საკომსაბჭოს 1920 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით საბჭოთა სომხეთს გამოეყო სესხი 3 მილიარდი მანეთის რაოდენობით.²

3. ი. ლენინმა მიიღო გ. კ. ორჯონიძის დეპეშა ამიერკავკასიაში არსებული შიმშილ სასურსათო მდგომარეობის შესახებ. 1921 წლის 9 აპრილის საპარტიო დეპეშაში იგი წერდა: „მივიღე თქვენი დამოჭრული დეპეშა, რომ სურსათის მხრივ ამიერკავკასიაში საშიშელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, ცოტაოდენი ოჭრო მივეციით სომხეთს, დაფინანსებრეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყველაფერი დაგაღებანი.“³

3. ი. ლენინი განწვევებდა სფავებდა თვალყურს. თუ როგორ მარაგდებოდა მშრომელი მოსახლეობა სურსათით. 12 აპრილს იგი წინადადებას აძლევდა სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს დონის როსტოვში: მიიღეთ ყველაზე გადამწვევები ზომები აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მომარაგებისათვის და დღევამოშვებით მაცნობეთ მათი მომარაგებისა და ფაქტური გაგზავნის შესახებ პირდაპირი ხაზით...“⁴

1921 წლის 15 აპრილს 3. ი. ლენინმა დეპეშა გაუგზავნა დონის როსტოვში სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და შრომის არმიის საბჭოს, რომელშიაც იგი იწვევებოდა, რომ „ცენტრში მოღის და მოღის ცნობები სხვადასხვა წყაროებიდან: თბილისიდან ორჯონიძისაგან, ბაქოდან აზერბაიჯანის სურსათის სახალხო კომისარ მუსაბეკოვისაგან იმის შესახებ, რომ საკმაოდ არ ტარდება ღონისძიებანი სურსათით ბაქოს მომარაგებისათვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს სახიფათო ვართულებანი. დააყენეთ ეს საკითხი შრომათი არმიის საბჭოში სპეციალური განხილვისათვის. მიიღეთ გადამწვევები ზომები ბაქოს და ვართორულად საქართველოს და სომხეთის მომარაგებისათვის.“⁵ ბელადმა მოითხოვა რეგულარულად იწვევებინათ ცენტრისათვის მიღებული ღონისძიებები. მარტო 1921 წელს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა საბჭოთა რუსეთისაგან მიიღეს 8,5 მილიონი ფუთი პური, აგრეთვე 8 მილიონი მანეთი (ოჭროთი) აღდგენითი სამუშაოებისათვის.⁶ საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ვა-

ლტაზე შეისყიდა ამერიკაში 250 ათასი, ხოლო ბულგარეთში — 750 ათასი ფუთი პური.⁷

3. ი. ლენინმა 1921 წლის 7 თებერვლს გუგზავნა დეპეშა დონის როსტოვში სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სახელზე, რომელშიც წერდა: „უნდა გაეთვალისწინოთ რა საქართველოს შიმშილ სასურსათო მდგომარეობა, წინადადება გემღვევათ გაგზავნით ფელისის განმეღობაში თბილისში საქართველოს სურსათის სახალხო კომისარიატის სახელზე 100 ათასი ფუთი პური. მიღება და შესრულება დაადსტრუქთ.“⁸ პურით ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა მომარაგების საქირობაზე 3. ი. ლენინმა ყველა გაამხვილა ყურადღება რსუსრ სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისადმი 1921 წლის 27 ივლისს გაგზავნილ დეპეშაში.⁹

ამიერკავკასიაში საფინანსო რეფორმის ჩატარებისა და ვართიანი ფელის ნიშნების შემოღების გამო რკ(მ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 5 ოქტომბერს მიიღო დადგენილება ამიერკავკასიისათვის 1,5 მილიონი ფუთი პურისა და 5 მილიონი ორშინი მანუფაქტურის გამოყოფის შესახებ ახალი ფელის ნიშნების სიმტკიცის შესანარჩუნებლად, რსუსრ საკომსაბჭომ, 3. ი. ლენინის თავმჯდომარეობით, 1921 წლის 21 მაისს მიიღო დადგენილება საქართველოსათვის 5 მილიონი მანეთის თანხის კრედიტის გამოყოფის შესახებ.¹⁰

მხოლოდ რსუსრ რესპუბლიკის, პირადად 3. ი. ლენინის უშუალო დახმარებით შეიძლებოდა ზემო ავქალის პიდრადექტროსადგურის (ზუჰესის) მშენებლობის დაწყება. 3. ი. ლენინის წინადადებით ამ სადგურის მშენებლობის დაწყებისათვის საბჭოთა რუსეთმა საქართველოს გამოყოფა გრძელვადიანი სესხი 750 ათასი მანეთი ოჭროთი.¹¹

რსუსრ რესპუბლიკამ საქართველოს გადასცა მუღლის ფაბრიკის მთელი მოწყობილობა, რომელიც დადგმულ იქნა ქუთაისში. აზერბაიჯანის რესპუბლიკამ მიიღო 750 ათასი ფუთი პური, საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობა, 150 ტრაქტორი მუღლის ევლების დასამუშავებლად და სახარები მისი მორწყვისათვის.¹² რსუსრ რესპუბლიკის საკომსაბჭომ ლენინის თავმჯდომარეობით 1921 წლის 21 სექტემბერს მიიღო ვადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანს მუღალზე სამელიორაციო სამუშაოებისათვის გამოეყო 12 მილიარდ 960 მილიონი მანე-

¹ В. И. Ленин, т. 52, стр. 23.
² В. И. Ленин о Закавказье, Ереван, 1963, стр. 351.
³ 3. ი. ლენინი ო. თბ., ტ. 35, გვ. 510.
⁴ В. И. Ленин о Закавказье, стр. 393.
⁵ В. И. Ленин, ტ. 52, გვ. 146-47.
⁶ გ. კ. ორჯონიძის ძეგ. სტატეტიბი და სიტყვები, ტ. 1, გვ. 325.

⁷ ვახ. «Правда Грузии» № 191, 1921 წლის 20 ოქტომბერი.
⁸ ვახ. «Правда Грузии» № 209, 1921 წლის 14 ივლისი.
⁹ Ленинский сборник, XX, стр. 276.
¹⁰ ЦПА ИМЛ, ф. 2, оп. 1, ед. хр. 18844.
¹¹ В. И. Ленин, ტ. 54, გვ. 298-299, 661.
¹² В. И. Ленин о Закавказье, გვ. 422.

თი.¹ აზერბაიჯანის მიმე სასურსათო მდგომარეობის გამო. ვ. ი. ლენინმა მითითება მისცა თურქეთის სურსათის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გაეზავნათ კრასნოდსკის გზით აზერბაიჯანში 600 ათასი ფუთი პური.²

ვ. ი. ლენინის მითითებით, 1922 წლის 28 ოქტომბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო აღდგენილება საბჭოთა სომხეთის სამეურნეო აღმავლობის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ. საბანკებო იქნა გამოყოფილი სახსრები საზღვარგარეთ პროდუქტებისა და მუშა პირუტყვის შესასყიდად. რესპუბლიკის გადაეცა 1,5 მილიონი მანეთი ოქროთი.³ 1922 წელს სომხეთში საბჭოთა რუსეთისაგან მიიღო პური, საფეტო დამარიის მოწყობილობა და 650 ათასი მანეთი ოქროთი ბაზის მეთრენობის აღდგენისათვის.

თუ გავთვალისწინებთ, რომ 1921—1922 წლები მოუსვლიანი იყო და რსფსრ თვითონ განიცდიდა მწვევე სასურსათო კრიზისს, ეს დახმარება მეტად მნიშვნელოვანი და ეფექტური იყო.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის საფრთხე უფრო მეტად გააღვირვდა. საერთაშორისო იმპერიალიზმი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონტრრევოლუციური ელემენტებისა და ანტიკანტონული „შთაბრუნების“ მხარდაჭერით მზად იყო გამოეყენებინა სულ მცირედი შესაძლებლობაც კი ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის აღსადგენად, ბაქოა ნავთობისა და მზარის სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩასაგდებად. აუცილებელი იყო ერთიანი იმპერიალისტური ფრონტისათვის დავებრივობისპირებინა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებული ღონისძიებანი, გაგვემტკიცებინა ამიერკავკასიის სამხედრო ძლიერება, შეგვექმნა წითელი არმიის ეროვნული ნაწილები.

ვ. ი. ლენინს წითელი არმია მარტო ქვეყნის თავდაცვის საიმედო დასაყრდენად კი არ მიაჩნდა, არამედ პარტიის ერთგულ თანაშემწედაც განათავისუფლებული ეროვნული რაიონების მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში. ამასთან იგი აფრთხილებდა არმიის მუშეებს ანგარიში გაეწიათ ზალხთა ეროვნული თავისებურებებისათვის და მეტი გულსჩხიერება გამოეჩინათ.

როცა წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ კავკასიის ტერიტორიაზე, ვ. ი. ლენინი 1920 წლის 2 აპრილს ერთგულ კიდევ მოაგონებდა გ. კ. ორჯონიძეს ფრთხილად ემოქმედათ და აუცილებლად გამოეჩინათ „კეთილშინდობის მაქსიმუმი მუსლიმანების მიმართ, განსაკუთრებ-

ბით დაღესტანში შველის დროს. ყოველნაირად გამოავლენეთ და მასთან უაღრესად საწინააღმდეგო სიმმათივნი მუსლიმანების მიმართ“ მთლიან ეტონომიის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიმართ. საქმის მსვლელობის შესახებ მაინობეთ უფრო ზუსტად და უფრო ხშირად.¹

XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი 1921 წლის 10 მარტის დირექტივაში ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სამხედრო მუშაკებისაგან სრული კონტაქტის დამყარებას საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან და აფრთხილებდა მათ საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიეღოთ არავითარი ღონისძიებები, რომლებსაც შეეძლო შეეღობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, განსაკუთრებული პატივისცემით მოკრებოდნენ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, ყურადღება და სიფრთხილე გამოეჩინათ ქართველი ხალხის მიმართ.²

XI წითელი არმიის მებრძოლები და მეთვარეები, რომლებიც აღზრდილი იყვნენ კომუნისტური პარტიის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ზალხთა შეგობრების სულისკვეთებით, ზალხთა ეროვნული თავისებურებების პატივისცემის სულისკვეთებით, განუხრებლად ახორციელებდნენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდ პრინციპებს.

XI არმიის ნაწილებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა განმათავისუფლებულ ბრძოლაში. ეს არმია მიზნებითა და ამოცანებით, თავისი შემადგენლობითაც ღრმად ინტერნაციონალური იყო. ზენე ქვეყნის მიმე ზალხთა წარმომადგენლებთან ერთად, მის რიგებში მამაცურად იბრძოდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მეომრები.

როგორც კი XI არმიის ნაწილებმა ფეხი დადგეს საქართველოს ტერიტორიაზე, მისმა პოლიტანყოფილებამ საგანგებოდ შეიწმინდა სამხსოვრო, რომლის მკაცრი შესრულებაც ევალებოდა ყოველ წითელარმიელს. სამახსოვროში ნათქვამი იყო:

„გახსოვდეს, ამხანაგო, რომ შენ აქ ბატონ-პატრონი კი არა, არამედ მხოლოდ ქართველი პროლეტარიატის მეგობარი და თანაშემწე ხარ საკუთარი ბურჟუაზიისა და დასავლეთის იმპერიალისტებისაგან მშრომელთა განათავისუფლებისათვის მის ბრძოლაში.“

ნუ დაივიწყებ, რომ საქართველოს ქალაქები, სოფლები, მინდვრები და მთები, ფაბრიკები, ქარხნები ეკუთვნის საქართველოს მუშეებსა და გლეხებს, შენ კი აქ მხოლოდ სამატიო სტუმარი ხარ...

მტკიცედ გახსოვდეს და არ დაივიწყო, რომ რითაც კი მდღარაა რუსეთის პროლეტარიატი — პური, ნათობით და სხვა პროდუქტებით.

¹ იქვე.

² Ленинский сборник XXIII, გვ. 133.

³ Ленинский сборник XXXV, გვ. 355.

¹ ვ. ი. ლენინი. ობზ., ტ. 30, გვ. 601.

² ვ. ი. ლენინი. ობზ., ტ. 35, 506.

— იგი ყოველთვის გაუნაწილებს ყოველივე ამას საბჭოთა საქართველოს.

იყოფი, რომ საქართველოს, მის ხალხს აქვს თავისი ცხოვრების წესი, თავისი ზნე-ჩვეულებანი, თავისი ეროვნული თავისებურებანი და შენ, ამხანაგო, მთელ შენს ყოფაცხოვრებაში და მუშაობაში ყოველთვის ითვალისწინებდე ამ პირობებს".¹

და მართლაც, XI წითელი არმიის მებრძოლნი და მეთაურები მოსახლეობისადმი გულისხმიერებასა და ყურადღებას იჩენდნენ. საქართველოს მშრომლები, თავის მხრივ, წითელი არმიის ნაწილებს გულწრფელი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდნენ, დღიად აფასებდნენ მათს ძმურ დახმარებას.

ბოლშევიკური პარტია პრაქტიკულად ახორციელებდა ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. მან მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილებინა კავიბალის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხების სურვილი შექმნათ თვითნათი ეროვნული სამხედრო ნაწილები, რომელთა ავტონომია ნაყარნახევი იყო მაშინდელი სავითარობის მდგომარეობით, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ამოცანებით. ვ. ი. ლენინს წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა და ვანაშტაცება წინათ ჩაგრული ხალხების პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობად მიიჩნდა, რამდენადაც ეს შესაძლებლობას აძლევდა მათ ეშენებინათ თვითნათი საყუთარი სახელმწიფო, დამოუკიდებელი შედლის გადმოწამოშობი და განეზღვრათ მათი მშობრობა რუს ხალხთან. ამასთან, ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნა კიდევ უფრო ზრდიდა საბჭოთა რესპუბლიკების შრომულთა რწმენას თვითნათი ძალებისადმი, უნერგავდა მათ ეროვნულ სიამაყეს და საყუთარი უფლის ბატონობა-ბატონობის გრძობას, ხელს უწყობდა ხალხთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას.

მაშინდელი საქართველოს სამინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, რომ ითვალისწინებდა, ვ. ი. ლენინი 1921 წლის 2 მარტის წერილში ქართველ კომუნისტებს ურჩევდა, დაუყოვნებლივ შეაჩარღეთ მუშები და უღარიბესი გლეხობა, შექმნილი საქართველოს მტკიცე წითელი არმია.

ეროვნული ქარის ნაწილები განცალკევებულ არხიად კი არ იქმნებოდა, არამედ საბჭოთა ქვეყნის ერთიანი წითელი არმიის შემადგენელ ნაწილად. სამხედრო-სახლგაო საკითხებზე ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და რსფსრ შორის 1921 წლის 8 დეკემბერს დადებულ შეთანხმებაში დათქმული იყო, რომ ამიერკავკასიის ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის ქარები და

ფლოტი კავკასიის ცალკეული არმიის შემადგენლობაში შედის დამოუკიდებელ ეროვნულ ეროვნულად, მაგრამ ამავ დროს ინტერნაციონალური წითელი არმიის შემადგენელ ნაწილებში.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნას. სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის გახსნის წინ მან ერთხელ კიდევ გაუხვია ხაზი წითელი არმიის ქართული ნაწილების შემდგომი გაძლიერების აუცილებლობას.

გ. კ. ორჯონიკიძისათვის 1922 წლის 13 თებერვალს გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი აუცილებლად მიიხნივდა, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობას მიეღო გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უმჯველი გაძლიერების შესახებ.

„მაგრამ საქმით რადაც უნდა დაქდეს და დაუყოვნებლივ უნდა გავაძლიროთ და გაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ზუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არხიად გაშლა, როცა ეს საქართველს გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია...“

აქ ხუმრობა არ შეიძლება ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია და როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე“².

ვ. ი. ლენინის ინიციატივით რბ(მ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1922 წლის 17 თებერვალს სპეციალურად განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნის საკითხი. 1922 წლის 25 თებერვალს პოლიტბიურომ მიიწონა ლენინის წინადადება წითელი არმიის ქართული ნაწილების გაძლიერების შესახებ და დაავალა სამხედრო უწყებას, რსფსრ ფინანსთა და სურსათის სახალხო კომისარიატებს გამოეყოთ ამისათვის საჭირო დამატებითი სახსრები.³


სრულიად საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო სპეციალური მიზართვა მშრომლებისადმი წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნის შესახებ და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მარჯველ გამოიყენებდა რუსეთის წითელი არმიის მდიდარ გამოდილებას და შექმნიდა მის მსგავს არმიას ქართული მუშებისა და გლეხებისაგან. საქართველოს ეს მუშურ-გლეხური არმია, ინტერნაციონალური წითელი არმიის ერთ-ერთი რამთავანი, განაწილებს თავის უფროს მკვებთან სამსახურის სიმძიმეს ურიცხვი მტრებისაგან საბჭოთა საქართველოს დამო-

¹ ЦПА ИМЛ, ф. 14, оп. 1, ед. хр. 47, л. 26.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 226-227

³ ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 3, ед. хр. 273.

¹ Газ. «Красный воин», № 3, 28 февраля 1921 года.



უკლებლობის დასაცავად, რომელიც შვიდობდ არის შედღეობებული სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად მშრომელ რევოლუციურ ოქაში.¹

წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნასა და განმტკიცებაში ვ. ი. ლენინმა გადაწყვეტი როლი შეასრულა. ფ. შახარაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოფიციალურ მიმართებებში, პირად საუბრებში, წერილებსა და დეპეშებებში ვ. ი. ლენინი ყოველთვის იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას წითელი არმიის ქართული ნაწილების მიმართ. იგი არასოდეს არ ყოფილა საქართველოში. მაგრამ მასზე უკეთ არავის არ ჰქონდა წარმოდგენა საქართველოს პირობების, წითელი არმიის ქართული ნაწილების რეჟიმის მნიშვნელობაზე.²

რუსეთის მეშათა კლასის დახმარებამ გააძვირებინა როლი შეასრულა ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხთა ჩამორჩენილობის ლიკვიაციის, სახალხო მეურნეობის აღდგენის, საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში, ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნასა და განმტკიცებაში.

მსოფლიო იმპერიალიზმმა, კონტრრევოლუციური ქართული ემპერიალის უშუალო მხარდაჭერით, გააჩაღა ცილისმწიველური კამპანია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და საშხდრო ინტერვენციის გზით საქართველოს დამონების ახალი ევრაზული გეგმა დასახა.

ამის გამო, ვ. ი. ლენინმა მასპობოლ სთვლიდა, რომ, გერ ერთი, რესპუბლიკის რევკომს გაეშალა პრობლემა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ნამდვილი ვითარების შესახებ, და მეორეც, რომ რკმ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს საერთაშორისო მასშტაბით ემხილე-ბინა იმპერიალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის აგრესიული და შტატებური მიზნება.

ვ. ი. ლენინის მათითებებს, რომ ასრულებდნენ, რევკომმა და საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ფართო ბეჭედით და ზეპირი პრობლემა გაშალეს იმპერიალისტებისა და მათი მემწეიკი დამქმშების ნამდვილი ზრახვების გამოსაშვარებლად. პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატეები და უტყუარი დოკუმენტური მასალები, რომლებშიც გაშუქებულ იყო მშობელი მსახების გამირული ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ისინი დამაჯერებლად მოწმობდნენ წითელი არმიის განმათავისუფლებელ მისიან და საქართველოს მშრომელებისადმი საბჭოთა რუსეთის

უანგარო დახმარებას. თვით ბერტენაზირლნი და პოლიტიკაშიც კი ვერ შეძლონ რესპუბლიკების უღვებულოფა.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკურ კურსს თავიდანვე საფლავლად ელო ვგელო ქვეყნის თანაწირთუფლებინობის, ვგელო ერისა და სახელმწიფოს სუვერენული უფლებებისადმი პატივისცემის, მათს საშინაო საქმეებში ჩაურეგლობის პრინციპები.

ვ. ი. ლენინი მოაგონებდა კავკასიელ კომუნისტებს მოხერხებულად გამოყენებისათ მამინდელი საერთაშორისო ვითარება. საბჭოთა რუსეთთან შედარებით კავკასიის რესპუბლიკებს შეეძლოთ უფრო სწრაფად და იოლად მოეგვარებინათ „თანაცხოვრება“ და საქონელკაცელ კაპიტალისტურ დასავლეთთან. ამიტომ ვ. ი. ლენინი ჩწევას იძლეოდა დაუყოვნებლო დაყრდნობიდან კაპიტალისტურ დასავლეთთან საქონელკაცელს, სიძუნწე არ გამოეშინათ და ყოველი ღონისძიებით განევითარებინათ ვაჭრობა.³

ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთთან კონცენსიებისა და საქონელკაცელის ფართოდ გაშლის საქარობებს აბანუებდა. იგი მიუთითებდა, რომ ყოველფეო ეს მტკიცედ, მოხერხებულად, წინდახედულად გაკეთებლიყო მეშათა და ვლუხობა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

1921 წლის 29 მარტის წერალში ვ. ი. ლენინი რკმ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით წინდადებას აძლედა გ. კ. ორჯონიკიძეს დაეჭარებინა პურის შემოტანა საზღვარგარეთიდან საქართველოში კონცენსიებზე ვაცელთა. იგი რწმენას გამოთქვამდა, რომ კავკასიაში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის შედეგად შეიძლებოდა მოგვარებულიყო საკონცისო ურთიერთობანი. ჩწვენთვის კი მნიშვნელოვანი ერთიმეორის მიულოებოთ გაეჭარა ფანაჩა.⁴

საგარეო მზარზე საქონელკაცელის გეგმაზომერი ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა 1921 წლის ივნისში ურთიერთმობრის დადეს ხელშეკრულება საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ. ეს იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთიანი დიპლომატიური ფრონტის განმტკიცებასა და განვითარებას.

ვ. ი. ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის ორგანიზების მეშაობის საკითხებინადმი. 1921 წლის აპრილში რუსტარ რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილეს მან სპეციალური დირექტივა მისცა, მასში ნათქვამი იყო:

„საქართველო არქიმინიშენელოვანი, როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის საფარი, ეს

¹ Газ. «Заря Востока», № 1130, 21 марта 1926 года.

² იქვე.

³ ვ. ი. ლენინი, თბზ., ტ. 32, გვ. 399.

⁴ В. И. Ленин, ტ. 43, გვ. 187-188.

მოსახერხებელია იტალიისათვისაც. ვერმანი-
ისთვისაც. და ამერიკისთვისაც.

1) მოძებნეთ კეიპიანი ცაქო, რათა ვაგზავნოთ
იქ საგარეო ეპრობის ხანით, ჩქარა!

2) ამის შესახებ დაწერილებით მოვლავრა-
კეთ სტალინი, დღესვე.

3) მომწერეთ თრიოდ სიტყვა, დასკვნები.
საქართველო საგარეო ეპრობის გეგმა (და ფონ-
დი) ბათუმზე ვაელოთ.

საგარეო ეპრობის გეგმა თქვენ არა ვაწვებ.
ტუილი-უბრალოდ ანივერსებია და ნების აძლევთ
განიგონი, იცოდეთ, შეგებრძოლებით.

სურათსა და სათაბოზე 1921 წელს არც
ერთი გროში ზედმეტი. ამ თქვენი
ხაზი. შედეგად გეგმა ამ ხანის მიხედვით,
და ნუ ეორჩილებით ზემოდან „დაწოლსა“ და
„გაძრვებს“!

ვ. ი. ლენინის მიერ წარმოდგენილი საგარეო
ეპრობის გეგმა გამომდინარებდა მხარეთა
ურთიერთსარგებლობისა და ბუნებრივ სიმდიდ-
რეთა გეგმობრივ ექსპლოატაციის აუცილებ-
ლობად. საკონცესიო პოლიტიკა თვითმზიან
არ ყოფილა და მთელი სფეროებიც სირი-
ელდობდა. როცა ვ. ი. ლენინმა შეატარა, რომ
საქართველოს რევკომმა გერმანულ კაპიტალის-
ტებთან დადო საკონცესიო ხელშეკრულება,
რომელიც ითვალისწინებდა ბზიფის სატყეო
მუერთობიდან მვირფასი მასალის — წიფელის,
პალმის, მისი მთვის და სხვ. ვიტანის, მან და-
უყოვნებელ მოითხოვა გაერკვიათ, დაეუღი
იყო თუ არა ქართული ამხანაგების მიერ პი-
რობა არ დაეღოთ კონცესიები პარტიულ
ორგანოების თანხმობის მიფლებლად და არსე-
ბილი ზელსაყრელი იყო თუ არა ხელშე-
კრულების პირობები. 2

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მა-
ხარაძე 1921 წლის 29 მარტს ვაგზავნილ წე-
რილში მოასხენებდა ვ. ი. ლენინს საქართვე-
ლოში გერმანიის სრულფლებიანი წარმომად-
გენლის ჩამოსვლას. „ჩვენ, — იტობებდა ფ.
მახარაძე, — მოველით აგრეთვე იტალიისა და
ამერიკის შერათებულო მატებით ოფიციულ
წარმომადგენლთა ჩამოსვლას. ყველა ისინი,
უწინარეს ყოვლისა, დანტერესებულნი არიან
საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა საქართველოს
შორის ურთიერთობით, და მხოლოდ შემდეგ
— საეპრო ხელშეკრულებებითა და კონცესი-
ებით. ყველა ამ საკითხზე მე შათ ვაძლევ უო-
ლად დამამაყოფილებელ პასუხებს. დარწმუნე-
ბული ვარ. რომ საეპრო ურთიერთობებს ამ
ქვეყნებთან ჩვენ არ ვაფშევეტთ და მიეღლებთ
ზომებს ამ ურთიერთობათა გასაახლებლად ბა-
თუმის საშუალებით ჩვენ უფრო მიხანშეწონი-
ლად მივაჩნია: რომ ვერაჭობით ოფიციალუ-

რად ეს ურთიერთობანი მიმდინარებდეს სა-
ქართველოს საგარეო ეპრობის საშუალებით. 1.
უცხოეთის სახელმწიფოების დიდძალი რაოდენობის
მხრივ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შო-
რის ურთიერთობისადმი ვადამეტებულო ინტე-
რესი, რომელიც ადინშნული ამ წერილში, მე-
ტად მნიშვნელოვანი იყო როგორც პოლიტიკე-
რი და ეკონომიური ვითარების მოსინჯვის ფე-
ტი.

ჩვენდა რა მიზნობრივ მზრუნველობას საქა-
თველოს სუვერენული უფლებების დაცვისა და
სხვა ქვეყნებთან მისი კავშირის განმტკიცებისა-
თვის, ვ. ი. ლენინი ურჩევდა ქართველ კომუ-
ნისტებს ყურადღებით მოჰკიდებოდნენ უცხო
ქვეყნების დაწესებულებების წარმომადგენელ-
თა საქმიან წინადადებებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარი ა.
სვანიძე ვ. ბ. სტალინისადმი ვაგზავნილ ერთ-
ერთ წერილში მკაცრად აკრიტიკებდა რესპუბ-
ლიკის ზოგიერთ ზელმძღვანელ მუშაკს საგა-
რეო პოლიტიკის საკითხებისადმი უუურადლე-
ბი დამოკიდებულებების გამო. 2

რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბი-
ურომ, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარებით, 1921
წლის 10 მაისს, განიხილა ა. სვანიძის ეს წერი-
ლი და მოიწონა ვ. ი. ლენინის მიერ წარმოდ-
გენილი დადგენილების პროექტი. მასში აღნიშ-
ნული იყო, რომ საქართველი ამხანაგები უშე-
ბენ სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას, როცა
რკინის ზელით არ აღეუთენ რეკვიზიციებს, კო-
ნფისკაციებს, დატაცებებსა და უცხოელთა ვა-
მისახლებას ბინებიდან. 3 საქართველოს რევ-
კომს წინადადება ეძლეოდა მიეღო დადგენილე-
ბა დაკმაყოფილებისა და საამართლოს მე-
ქართი მსჯელის მოქმედების უმკაცროს აგრძა-
ვის თაობაზე და აგრეთვე დაუყოვნებლივ დაე-
ნიშნა გამოჩინება გერმანია-კავკასიის ბანკის სა-
წყობიდან ასი ფუთი ვაზეთის ქალღლის წა-
ღების საქმეზე, რომელიც ეუთეთიოდა კავკა-
სიაში გამოძავალ გერმანულ ვაზეთს. რკ(ბ) ცე-
ნტრალურმა კომიტეტმა მიითეთა მისი უმაღ-
ვე დაებრუნებინათ უცხოელებისაგან ჩაპორთ-
მული საქონელი და ქალღლი. ამ ღონისძიე-
ბათა გატარებისათვის პირადი პასუხისმგებლო-
ბა დაეკისრა მხარაძესა და ვიტასს, რომელიც
იმ ხანად კავკასიის ფრონტის სარდალი იყო.

რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბი-
რომ რესპუბლიკის ზელმძღვანელი მუშაკების
უურადლება მიაცქია იმ გაჩემობას, რომ სა-
ქართველოს აუცილებლად ვანვიითარებინა ეპ-
რობა იტალიისთან და გერმანიასთან, რომ ამს
„უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი
რსუს რესპუბლიკისათვის, ვანსაკუთრებით მა-
შინ, როცა ამერიკა და საფრანგეთი ცდილობენ

1 ЦПА ИМЛ, ф. 2, оп. 1, ед. хр. 18137.

2 ПАГФ ИМЛ, ф. 14, оп. I, ч. I, д. 25, л. 3.

3 Ленинский сборник XXXIII, гв. 231-232.

¹ В. И. Ленин, т. 52, гл. 172.

² В. И. Ленин, т. 53, гл. 154.

4 „მეათობი“. № 8.

ჩაშალონ ვველა ჩვენი საეპრო ურთიერთობა სახლარგარეთთან. ცენტრალური კომიტეტის მთელი ამ დირექტივის შესრულებაში დაუდევრობა ჩაითვლება დანაშაულოდ საბჭოთა ხელი-სუფლებას წინააღმდეგ.¹

საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას რსფსრ აქტიურად იცავდა ვველა საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესებს, რსფსრ რესპუბლიკის მიერ ირანთან და ავღანეთთან 1921 წლის თებერვლის დამლევს დადებული ხელშეკრულებებში მხოლოდ საბჭოთა რუსეთისა კი არა, პირველ ყოვლისა, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, ბუხარისა ხორვზის უშიშროებას უზრუნველყოფდა. საბჭოთა რესპუბლიკებსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობათა მოგვარებას, მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებას უდღევს მნიშვნელობას რომ ანიჭებდა, რსფსრ პირველმა სცნო თურქეთის მთავრობა და 1921 წლის 16 მარტს დადო მასთან მეგობრობისა და მშობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებაში რსფსრ მთავრობა ბევრ საკითხებზე ხაზგასმით აღნიშნავდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების უფლებებსა და ინტერესებს. ეს ხელშეკრულება ფაქტიურად იქცა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ შეთანხმებათა დადების საფუძველად. ვ. ი. ლენინს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას, როგორც მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის სერიოზულ ფაქტორს. იგი აღნიშნავდა, რომ თურქეთთან დადებული ეს სამშვიდობო შეთანხმება „თავიდან გვაშორებს გამოდუმბულ ომებს კავკასიაში“.²

საბჭოთა დამლომატიის დიდ მევალინეობათა შედეგად 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დაიდო ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის, რომელიც ფაქტიურად რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების გაგრძელება იყო. ვარსის ხელშეკრულება იმ ხაზად იქცა, რომელიც შემდგომი კეთილმეზობლური ურთიერთობა ვითარდებოდა თურქეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. მან გადაწყვიტა ორივე ქვეყნისათვის საინტერესო უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური საკითხები.

ველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთიანი დამლომატიური ფრონტის შექმნამ გენეის კონფერენციის წინ და ამ რესპუბლიკების მიერ რწმუნებების რსფსრ რესპუბლიკებისათვის გადაცემამ კიდევ უფრო განამტკიცა თვითველი საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფლება და დამოუკიდებლობა. საბჭოთა დღევგაციის მტკიცე, თანმიმდევრულმა პოლიტიკამ გენეის კონფერენციაზე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ერთსულოვანი მხარდაჭერა მპოვა.

რეცენზენტი დადებითად „შერაცხული“ ორიოდ ეპიზოდისა და ორიოდ ეპიზოდური პერსონაჟის ჩამოთვლის შემდეგ შენიშნავს: „რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლებადა კარგი ადგილები მოყვანა, უფრო დეტალურად განხილვა მთელი წიგნისა, მაგრამ ეს ძალზე შორს წავიყვანდა“. თუ რეცენზენტს არ შეეშინოა კრიტიკული შენიშვნების მიმართულებით ასე შორს წასვლისა, რატომ იფიქრა, რომ წიგნის დეტალურად განხილვა უფრო შორს წაიყვანდა. საერთაზე, ვინ ზღუდავდა, რეცენზია ორიქვი მეთი მოცულობისა და ყოფილიყო, ყო-

ველი მხატვრული ნაწარმოები ხომ, უპირველეს ყოვლისა, იმითაა მნიშვნელოვანი, თუ მასში რამე საყურადღებო და დადებითია, თუ რაიმე ახალს გვეუბნება, და არა იმით, თუ ის მხოლოდ შეცდომების გროვაა.

რეცენზიის დასასრულს ს. დემურხანაშვილი გვაფრთხილებს, რომ „საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნაწარმოების ბოლოზე“. ჩვენ ვიტყოდით, რომ ეს არის არა „ბოლო“, როგორც რეცენზენტი ფიქრობს, არამედ ნაწარმოების თავი და ბოლო. შეიძლება ბევრი ჩამოს უფლება ჰქონდეს მწერლს, მაგრამ მას არა აქვს უფლება უღალატოს სინამდვილეს, სიმართლეს, თუ ის თავს რუალისტად თვლის, ამ ცნების ღრმა მნიშვნელობით. მოაცილეთ ეს „ბოლო“ „ახალ პორჩონტს“, შეცვალეთ იგი (როგორც დემურხანაშვილს სურს) დასასრულის სხვა ვარიანტით და მთლიანად გამოეცლება ნაწარმოებს ის პათოსი, ის შინაარსი, რომელიც ახლა აქვს. გამოეცლება თუ არა „ანა კარენინას“ თავისი პათოსი და იდეური დასაყრდენი, მხატვრების ქვეშ მისი ჩავარდნა რომ შეეცვალოთ ან კარენინასა და ვრონსკის ქორწილით. ამ რადი დარჩებოდა იმ „ჰამლეტისაგან“, როგორადიც ისაა ცნობილი, შექსპირს რომ ჰამლეტი და კლავდიუსი შევრიგებინა, მათ ერთმანეთი გადაეკონათ. არ შეიძლება არ გაგახსენდეს კლავდიუსის ნათქვამი — სამხედრო მეცნიერება ქიმიურ ნაერთს ვაჭვ, შეცვალეთ ერთი ელემენტი და გოგირდის მაგიერ წყალს მიიღებთ. ასეა მხატვრული ნაწარმოების საქმეც. ს. დემურხანაშვილიც სწორედ ამას მიჩვენებს — „გოგირდი“ — წყალად“ ვაქციო. სხვა დასკვნამდე არც შეიძლება მივყავან რეცენზენტი მხატვრული ანალიზის შემცველ უსაფრთხო მსჯელობას.

ველის მიერ მატბაას დაგესტვის და ამასთან დაკავშირებით თამარელს დაუშვას რეცენზენტი თვის ხელოვნურად შეთხზულ ამაღლ, „მკითხველის ნერვებზე გაყვითლი ზერხით თამაშად“. შესაძლებელი მაინცია, რომ ქვეშარმაველი ნაწარმოებში სიმბოლიკაა, მაგრამ ასევეს — „ამ სიმბოლიკით მწერალმა საქმე ხომ არ გაიიოლა? ხომ არ შეიძლება დასასრულის უფრო კარგი ვარიანტის გამოჩენა?“ თვითონ უროზნიკოსს ს. დემურხანაშვილს ეპატება ასეთი კითხვანობა? „დასასრული“ ნაწარმოების მთლიანი კონცეფციიდან უნდა გამოიღინარაობდეს, თუ ჩვენი ნებასურვილით უმარავი ვარიანტიდან ერთის ამორჩევას გზით წყდებოდეს? ასე ვერც დაიწერება და ვერც შეფასდება ნაწარმოები. თუ ვინმე ამ წესს მისდევს, ის ხელოვანია და არა ხელოვანი, რაბან რეცენზენტისათვის იდეური ჩინაფიქრის ამოსხნა ვაჭირდა, ის აღარ უნდა გამოიღებოდა „ბოლოს“

საკითხს, დაეტოვებინა იგი ღიაც, როგორც დატოვა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტექსტები.

უნივერსიტეტი

ეს გველი მანც საგანგებოდ გამოწერილის პავს, რომელმაც თითქოს ვასაჭირიდან უნდა გიხსნას“. გაკვირებით შენიშნავს რეცენზენტი. ვველი იქით ივოს და, მე უსათუოდ „გამოეწერადი“ ს. დემურხანაშვილს „ახალი პორჩონტის“ ხელახლა წაკითხვას თავიდან ბოლომდე, უფრო დინჯად გულდასმით, რაც ნამდვილად იხსნიდა მას იმ ვასაჭირისაგან, რაშიც ის ამერტად აღმოჩნდა.

ისე კი უნდა ითქვას (რაშიაც, აღბათ, ს. დემურხანაშვილიც დაწმუნებულია), ნაწარმოების შეფასება, სერიოზული ანალიზი რომ იოლი საქმე ივოს, კრიტიკოსების ნახევარი მანც ვასწევდა ბელისსის მაგიერობას. რაკი ბელისსი ვახხენეთ, ისიც უნდა ვთქვოდ, რუსმა ხალხმა, მკითხველმა იმათათვე შეეყვარა და დაეფასა პუშკინის შემოქმედება, მაგრამ ღირსეულად შეფასა იგი მხოლოდ ბელისსიმ. ვანუზშილად დიდია ამ აღმაჩინს — შეფასებლის რალი და მნიშვნელობა, როგორც მწერლობის ვანუზობრების, ისე ერთს სულოერი ცხოვრების საქმეში. მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა მას თითქმის „ბრმად“ ენდობა, იზიარებს მის შეხედულებას. შეხედულების ვაზიარება კი ნიშნავს ამ შეხედულებით ხელმძღვანელობას. რაკი ეს ასეა, ადვილი წარბოსადგენია, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის, თუ შემფასებელი არ ცდება, და რა ზიანის მოტანა შეუძლია, თუ შემფასებელი ცდება (მით უმეტეს შეგნებულად). ეს უკანასკნელი ვარგებობა დღევანდელი ქართული მწერლობისათვის უცხო ხილი არ არის.

ყოველივე ზემოთ თქმული არც იმას ნიშნავს, რომ კრიტიკას ვერ ვითმენენ, არც იმას, რომ ჩვენი ნაწარმოები უნაკლოდ მიგვაჩნია. პირადად ჩვენ, არ გვიფიქრია ოდესმე, არც ვფიქრობთ, და ღმერთმა მომავალშიც ნუ გვაფიქრებინოს, რომ უნაკლო ნაწარმოების აეტორი ვახლავართ. თუ შევსაც ჰქონია „ლაქების“, ჩვენ რას ვადავუტრეზობდით ამ „ლაქების“, საქმე ისია, „ლაქების“ დანახვის სპეციალისტმა ის მხოლოდ იქ უნდა დინახოს, სადაც არის და არა იქ, სადაც არ არის. და თუ მანც „ხედავს“ სადაც არ არის, მაშინ რაღა სპეციალისტია.

ჩვენს პასუხს არც ვანაწევრებული და, მით უმეტეს, არც საწყევად ვწერთ. თუ რეცენზენტი გულწრფელად ედილობს, როგორც ირწმუნება, დაგვეზაროს თავისი კრიტიკული შენიშვნებით, რა უფლება ვაქვს ასევე გულწრფელად არ დავეზაროთ მას მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი საკითხის ვარკვევაში .

მსახურული ლიტერატურა და პედაგოგობა

დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა და-
მუშავდეს პრობლემები ადამიანობის, ადამიან-
ის მორალური ყოფიერებას, აზრისა და მნი-
შვნელობის შესახებ...

ამ რთულ ფსიქოლოგიურ პრობლემათა ძი-
ებაში წამყვანი როლი ენიჭება მხატვრულ ლი-
ტერატურას; ამ გზით კვლევისას შემოქმედე-
ბითი საყიფო რაც უფრო მოწვევითაა იქნება
პრაგმატიზმს თუ უტილიტარზმს, მით უფრო
ამაღლებს ცოდნა ადამიანის სულიერი სამყარ-
ოს შესახებ და განბანდილ-გაწმენდილი იქნება
მწიფი უკანონობისგან.

მსმენია, მე-20 საუკუნე მეცნიერებისა და
ტექნიკის პერიოდი, და არა პოეზიისაო. სწო-
რედ ამიტომ მე-20 საუკუნეში განსაკუთრებუ-
ლად საჭიროა განვითარდეს მეცნიერებისა თუ
მხატვრული შემოქმედების ყოველი დარგი,
რათა ჩვენი წარმოდგენები ადამიანის შინაგანი
ანუ სუბიექტური სამყაროს შესახებ არ ჩამო-
რჩებოდეს თანამედროვე პოზიტური ცოდნის
დონეს.

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგია ურთულესი
აპარატია: მაგრამ აქ ვითარება უფრო რთუ-
ლდება იმ ვარაუდების გამო, რომ დღეს ადამი-
ანთა განვითარებაში უხვევლად უმეტესად სოცია-
ლურ-ფსიქოლოგიურ კატაკლიზმებს, რაც, თა-
ვის მხრით განსაკუთრებულად ართულებს ისე-
დაც უმძიმესი პრობლემის წვდომას.

კიდევ ერთი მომენტი უნდა იყოს მიღებული
მხედველობაში: პოზიტური მეცნიერების, და
პირველ რიგში, ფიზიკისა, ქიმიისა და ბიო-
ლოგიის ყოველი უზნის განვითარებამ, წინ
სულამ, მიღწევებმა დაბადა თუ წარმოშვა აზ-
რი სულიერი პროცესების მექანიზმებისა და
შინაარსის დაძლევის შესახებ. ამის გამო დღეს,
ისე როგორც არასდროს, დიდა საფრთხე იმი-
სა რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების ურთუ-
ლესი გამოვლინებანი შეიძლება დაყვანილი


იყოს ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებამდე და მო-
ხდეს მათი მოდელის შექმნა კიბერნეტიკულ
მანქანათა მსგავსად, ან ამ რთულ ფსიქიკურ მო-
ვლენათა ფორმულირება მათემატიკურ კანონზო-
მიერებათა ფარგლებში.

მათელი ჩემი პასუხისმგებლობით უნდა გან-
ვაცხადო, რომ პრობლემა ვაცილებით რთული
აღმოჩნდა და სადღესოდ საყოფიერი ტვინისა და
ფსიქიკის ურთიერთობისა და კავშირების შესა-
ხებ რთულია ისე, როგორც არასდროს. ეს
ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ასეთია მეცნიერე-
ბის ბუნება: რაც უფრო მეტი მიღწევები
გვაქვს პრობლემის დაძლევაში, მით უფრო მე-
ტი და რთული საყოფიერი იჭრება ჩვეს წინ
შემოქმედებითი ძიებისათვის.

რაც ეხება ადამიანის ცოდნის მარაგს ანუ
გონებრივ-ინტელექტუალურ ფუნქციებს, შესა-
ძლოა იგი გახდეს კიბერნეტიკულ-მათემატი-
კური მწკრივების საგანი. მაგრამ ადამიანის
უფრო რთული სულიერი სამყარო, და პირველ
რიგში, ადამიანის პიროვნების ფსიქოლოგიური
შინაარსი ყოველად შეუძლებელია დაყვანილი იქ-
ნას გულუბრყვილო, მარტივ საბუნებისმეტყვე-
ლო ხასიათის პროცესებამდე. პიროვნება ეს
არის ადამიანის თავის ტვინის ყველაზე უმოდ-
ლესი, უნატიფესი და ურთულესი ქვალიტეტი-
სპეციფიკური თვისება, რომლის განვითარება
და სრულყოფა აპარკულია ადამიანის ყოფიერე-
ბის მთელი ხანგრძლივი ისტორიისა.

უკვე აღაღო დიდა ე. წ. ფსიქო-ფიზიოლო-
გიური ფსიქოლოგიისა და მასთან ერთად თანა-
მედროვე ნოთფსიქოლოგიისა და პრიმატოლო-
გიის მიღწევები, მაგრამ პიროვნულ ქვალიტე-
ტის კვლევა ეიფრო ინსტრუმენტალური გზით
შეუძლებელი, უპერსპექტივო და უკვე აღაღო
მექანიზტირია.

სრულიად სწორია ჩვენი დროის ერთ-ერთი
დიდი ფსიქოლოგისა და ფსიქოპათოლოგის ა-



რი, რომ ერთდღეს სულიერი პროცესების გაგებაში ათასი ექსპერიმენტული ლაბორატორია ვერ შეძლებს იმას, რააც მოგვეცემს რომელიმე დაინტერესებული მხარეის მიერ.

ადამიანის სულის სიფთავეზე, მის მორალურ შინაარსზე, თუ ნათელ სინდისზე უჭევლეს დროიდანვე წარმოებდა ძიება. ჭერ კიდევ სოკრატეს ეთიკა, უფრო ადრეული ბაბილონი მასალები და, ცხადია, ამხედ კიდევ უადრესი ფაქტობრივი მასალები მოგვეპოვება ადამიანის ევლუტურის სიმდიდრის შესახებ, როდესაც შემოქმედებითი ძიების ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს სინდის-მორალი.

დღეს სინდისის ანუ მორალის საკითხი ცალკე შემოქმედებითი ძიების საგანია — დეონტოლოგიის სახელწოდებით, იგი დიდ ინტერესს იწვევს როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დეონტოლოგიურ პრობლემათა საჭიროება, ინტერესი და აზრი. უკეთ რომ ვთქვათ, დეონტოლოგიური ფსიქოპროფილაქტიკის საჭიროება დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ზღვდა ორი ვარაუდის გამო: ერთი ვარაუდია გახლავთ ის, რომ სულიერი პროცესების შექანისტური კვლევა ღამობს თითქმის დაირჯუნოს და ვანდენოს ადამიანის ვეღაზე სპეციფიკური თვისებანი; მეორე ვარაუდია კი არის ის, რომ ჩვენს პერიოდში ორი დიდი მსოფლიო ომის შედეგად მოხდა ენოდენ დიდი სოციალურ-ფსიქოლოგიური კატაკლიზმები, რომ ადვილი აქვს პიროვნული კატეგორიების ზედახალ შეფასებას ადამიანის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ.

დღეს, ისე როგორც არასდროს, ადამიანის პიროვნების დონეზე ადვილი აქვს მოულოდნელ და უჩვეულო ფსიქიკურ გამოვლინებათა შეკახებებს, ე. წ. ანტიანომურ განცდებს და ანტიანომური ხასიათის რეაქციებს, რაც ართულეს ფსიქიკური პროცესების მეცნიერულ კვლევას და საჭიროა განსაკუთრებული ღრმა წვდომა პრობლემის დაძლევისათვის.

სეგდა და სიხარული, ჭმუნვა და აღფრთოვანება, დარდი და დღესასწაული, სიბრძნით აღტაცება და შემწყნარებლობა უმცირესისადმი. სიმართლე და სიყალბე, სიყვარული და საბედღი, სულგაძლეობა მშვიდობიანობის დროს და უღმობულობა ბრძოლაში, სანაქებო წარსულისადმი პატივისცემა და სიბილის პერსპექტიულობა, ძლიერება და სისუსტე, სიღამაზე და უფვაღაობა, სიმდიდრე და სიღარიბე, ანარქია და წესრიგი, სიხარმაყე და მუყაითობა და სხვა ანტიანომური ფსიქოლოგიური განცდები შეადგენენ პიროვნების ფსიქოლოგიის ანუ პერიანოლოგიის ძიების საგანს.

მხოლოდ პიროვნების დონეზე შეიძლება გავიგოთ და ერთგვარი ფსიქოლოგიური ანალიზი გავუქეთოთ კლასიკურ ცნებას არეთოს შესახებ.

აქ შედეგობაში მაქვს შემდეგი კატეგორიები: სიმხნევე, ღირსება, სრულყოფა, მამაცობა, გულდაბა, სიქველე, სიხარული, სიხარება და ადვილობაილება. ასევე პიროვნების დონეზე უნდა განხილული იყოს უარყოფითი გამოვლინებანი ადამიანის მხრივ, როდესაც იგი კარგავს წარმოდგენას სინდისზე მოვალეობაზე. მორალურად შიშვლდება, ავიწყდება, რომ იგი ცხოვრობს საზოგადოებაში და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს. ხსენებულ უგვაანო ადამიანმა მიწრაფებას განვიხილოთ როგორც გარკვეულ ფსიქოლოგიურ ვითარებას, რააც ვუწოდებ ლტოლვას მოხვეჭისადმი, ანუ მოხვეჭის ამოც, „თავისებურ ფსიქოზს“.

ამრიგად, პერსონოლოგიურ ძიებას დღეს განსაკუთრებული შემოქმედებითი ინტერესი, მინანი, აზრი და დანიშნულება აქვს.

სიამაყის გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ აქადმეიკოსმა დიმიტრი უზნაქემ, ჭერ კიდევ ორმოცი წლის წინათ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა პიროვნების ფსიქოლოგიას.

უზნაქის მიერ შექმნილმა სკოლამ მსოფლიო აღიარება პოვა და საქართველოში პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემებზე მეტად დანიშნულებითი მუშაობა წარმოებს.

მთელი რიგი წლების მანძილზე პირადად მე, და ჩემთან ერთად ფსიქიატრთა კოლექტივი დანტერესებულ გახლავთ პერსონოლოგიური, ადამიანის ნორმალურ და პათოლოგიურ ფსიქიკურ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემებით.

შემოქმედებითი კვლევის დროს ჩვენ დაკრწმუნდით, რომ მეტად სასარგებლო და საჭიროა გამოიყენებულ იქნას ის ფსიქოლოგიური მასალა, რომელსაც ვსვდებით მხატვრულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, არსებობს მეტად მდიდარი ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც იხილავს და ანალიზს უყუთებს ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ახდენს მხატვრულ ვშირთა ფსიქოლოგიურ ანალიზს. დღემდე ხსენებულ სიმბიოზს — ფსიქოლოგიისა თუ ფსიქოპათოლოგიის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მხატვრულ ლიტერატურას შორის აქვს უფრო ზოგადი, ფსიქოლოგიურ-ლიტერატურული ანტერესი.

ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა ვეჩვენებს, რომ მხატვრული ლიტერატურა შეიძლება გამოიყენებულ იქნას პიროვნებას ფსიქოლოგიის პრობლემების გასამუქებლად და როგორც ფაქტობრივი დაკვირვებანი პოტიურ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ამით ახლებურად ისმება საკითხი თუ პრობლემა — მხატვრული ლიტერატურისა და ფსიქოლოგიის ფსიქოპათოლოგიის ურთიერთ შემოქმედებითი სიმბიოზის შესახებ. ამით აიხსნება აგრეთვე, და

შემოქმედებით გამართლებას პოეზიას ჩვენი ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი.

მხატვრული ლიტერატურა გვაძლევს საშუალებას უფრო ღრმად ჩაეწვდეთ ადამიანის სულიერ სამყაროს და გავერკვეთ მის ურთულეს განცდათა დუღილში.

მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის აღნიშნული კავშირი საჭიროა განსაკუთრებით დღეს, როდესაც გაახრბებელი უნდა იქნას ურთულესი პრობლემები ადამიანის არსებობის ანუ ეგზისტენციის შესახებ; როდესაც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი უნდა ფასდებოდეს არა იმით, თუ რამდენს იღებს იგი საზოგადოებრივ არამედ იმით, თუ რამდენს აძლევს იგი საზოგადოებას; როდესაც უნდა დამტკიცდეს, რომ სიმართლე ქვეშაირებზე მაღლა დგას, ვინაიდან ქვეშაირებთან შეიძლება ემპათიური ყოველი ადამიანი. სურვილისამებრ. მაგრამ მართალი სიტყვა შექნა თქვენს მხოლოდ მორალურად უაქიზმა ადამიანმა: როდესაც საჭიროა დახუტდეს წესრიგის ცნებებს ფსიქოლოგიური შინაარსით; ხოლო გოეთე მკვიციითებს, რომ ადამიანის სიხარულში მთავარია წესრიგი. მისი აზრით, ადამიანი შეიძლება შეეგუოს ყოველ ვეარ უბედურებას, მაგრამ წესრიგის უქონლობა მისთვის უფრო მძიმეა, ვიდრე შევი ქირი.

მხატვრული ლიტერატურა მდიდარ მასალას გვაძლევს ზემოხსენებულ პრობლემებს განჭვებისათვის. ამიტომ მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის საქმიანი ურთიერთკავშირი განსაკუთრებულად საჭირო და აუცილებელია.

დღეს შექმნილია იყოს მშრალი მეცნიერება, შორს მდგარი ადამიანის სულიერი სამყაროდან. მეორე მხრივ, შექმნილია იყოს მხატვრული ნაწარმოები, შორს მდგარი დღევანდელ პოზიტიური მეცნიერებებიდან.

მხატვრული ლიტერატურის-პოზიტიური, მეცნიერული მნიშვნელობის მაგალითისათვის შეჩერდებით რამდენიმე დებულზეზე.

ფსიქოპათოლოგიაში და, საერთოდ, ფსიქონევროლოგიურ კლინიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. კომპლექსურ განცდებს. ეს განცდები ყოველთვის უსამოგონო შინაარსისა და დაცემისუნებელია ურყავიითი ხასიათის მოგონებებთან. რაც ადამიანის ფსიქიკურ აპარატში ხშირად იწვევს ბოღმა-წუხილს და ზოგად დეპრესიულ განწყობას. მაგალითად: თუ დედამ, რომელიც გაუბედურებულა შვილის სიკვდილით, დანიხა თუ მოისმინა საუბარი, რაზეც შესაძლოა გაახსენოს მისთვის კატასტროფული ვითარება, ამ შემთხვევაში საქმე გვექნება კომპლექსურ განცდებთან. მაგრამ ირყევა, რომ კომპლექსური განცდა შეიძლება იყოს არა გამოწვევი დეპრესიისა, არამედ ადამიანის ავლორბინებელი, გამაშხნეველი და პერსპექტიულად მდიდარი. მსგავსი, თუ შეიძლება ასე

ითქვას, დადებითი კომპლექსის მაგალითებს არაშეიძლება ვხედებით მხატვრულ ლიტერატურაში, რაც უშუალოდ ამდღრებში ჩვენს მეცნიერულ წარმადგენებს გრძობათა ანუ ექსიციური სიყვარის მრავალჯერობაზე. დადებითი ანუ შემოქმედებითი კომპლექსური განცდა, რომ გორც წესი, დაკავშირებულია შრომისა და გარჯის ცნებასთან, რის მაგალითსაც მრავალდებულებით ილია ქავივაძის შემოქმედებაში.

ეჭვი არის ისეთი ემოციურ-ნებითი გამოვლინება, რომელიც ამაბუნებს და ასულტებს ფსიქიკური აპარატის ტონუსს და საეშაოდ ხშირად ყოყმანის სახით ხელს უწყობს ავადყოფრ მდგომარეობას. მხატვრული ლიტერატურა მიგვიითებს, რომ ეჭვი არააშეიძლება ხელს უწყობს შემოქმედებით ძიებას. ამ მხრივ უშუალოდ საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას დაინტერესება არაბთა შიერ გამოთქმული ფორმულით, რომ ეჭვი შეშეცნების წყაროა.

დღეს ფსიქონევროლოგიაში დიდ ინტერესს იწვევს ცნება ადამიანის ძალთა ენერგეტიკის, ჩემი გაგებით, ფსიქონევრგეტიკის შესახებ. უშუალოდ საუფრადღებოა ისტორიულად პირველი შენიშვნები სულიერი აპარატის ფსიქონევრგეტიკის შესახებ. მოწოდებული გოეთეს მიერ. ყველასათვის გასაგებია, ისეთი დიდი განცდის ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის მნიშვნელობა, როგორც არის ცნება: „უქვიანობა“.

ხსენებული ფსიქიკური გამოვლინება ეჭვიანობის სახით ვგებუება სულ სხვადასხვა მდგომარეობათა დროს, როგორც მაგალითად: ეჭვიანობა და ალკოჰოლიზმი, ეჭვიანობა და მოხუცებულობა, ეჭვიანობა და შრომარეგენა, ეჭვიანობა და იტელოს აფექტური ვითარება, ეჭვიანობა და სიყვარულის ემოცია და ა. შ. აი ამ რთული ფსიქოლოგიური განცდების განვითარების შექანიზმების გაგება და მათი სემანტიკა, ე. ი. შინაარსული წედობა მეტად რთულია და სასუსხისმგებელი. აღნიშნული პრობლემის ძიებაში, ცხადია, გვებმარება პოზიტიური მეცნიერული მასალის დაგროვება (კლინიკური თუ ექსპერიმენტული), მაგრამ აქ უშუალოდ მეტად სასარგებლოა ის ფაქტობრივი შენიშვნები და მისაზრებანი, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა გვაწვდის.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც განსაკუთრებულად მიგვიითებს მეცნიერულ და მხატვრულ მიმართულებათა შვიდრო კავშირის აუცილებლობაზე. მხედველობაში მაქვს მორალური კატეგორია — ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით. ბავშვთა აღზრდა, უკეთ, ბავშვთა და საერთოდ ახალგაზრდობის ფსიქოპაგიენისა და ფსიქოპროფილაქტიკის სათხებიც ცხადია, მეცნიერული ძიების საგანია. მაგრამ აქ უშუალოდ დიდი ზედრიითი წონა აქვს იმ ფსიქოლო-

კვირ მასალას, რომელსაც მხატვარი თვალა და მკარძობიარე გული მხატვრული ლიტერატურადან შეინიშნავს.

შეუწევრებოთ მასალაზე შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებებიდან. რუსთაველის, ბარათაშვილისა და ვაჟას ნაწარმოებებში არსებულ ფსიქოლოგიურ მასალას დიდი შემოქმედებითი მნიშვნელობა აქვს პერსონალოგიურ პრობლემაში და მისთვის. მეორე მხრივ, აქ ნათლად ვხედავთ, რომ სულიერ აპარატში წარმოდგენილი რთული ფსიქოლოგიური კენამები, ფსიქოლოგიური კათალოგები და ფსიქონატივები მთლიანდელი შეჯახებანი და გადნაყვებანი, ე. ი. ურთულეს სულიერ განცდათა შექანებები შეიძლება ამოხსნას მხოლოდ პერსონალოგიის პოზიციებიდან.

პიროვნების ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი და კარდინალური საკითხი არის გამოქვეყნებული რუსთაველის უცვლად ნაწარმოებში. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ რთული ფსიქოლოგიური პრობლემები ცრემლის, მოვალეობის, ქალ-ვაჟთა თანაწროობის, გულისტყმის დათრგუნვის, გრძობათა ცენზურის, გვირობის, პატრიოტიზმისა და ადამიანთა ურთიერთაპირების ცემის შესახებ.

ფსიქოპათოლოგიისათვის მეტად საინტერესოა შოთას დებულება, რომ ცრემლი ყოველთვის არ არის დებურისის მიჩვენებელი, პირიქით, შეიძლება იყოს რთული ფსიქოლოგიური სიტუაცია, როდესაც ცრემლი თუ მკიღის გულში ეყმა საბუთთა ფსიქიკური შეტევისა და საბრძოლო სულისყვეთებისა.

მოვალეობა, გვირობა თუ პატრიოტიზმი, როგორც რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოვლინება, განხორციელებას მხოვედს მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების დონეზე. ასევე გულისტყმის თუ ემოციების სტოიციზმის ბრძენდში გააბახარშვა შესაძლოა მხოლოდ პიროვნების დონეზე.

რუსთაველს, ისე როგორც არავის, ნათლად აქვს წარმოდგენილი ქალისა და ვაჟის ქარაქტეროლოგიური თვისებანი, რაც სპეციფიკურად მათთვის არის დამახასიათებელი და ინდივიდუალურად საამაყო. ამ მხრივ მათი თანაწროობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების დონეზე ვინაიდან პერსონალოგიური კატეგორიები შრომისა, მოვალეობისა და სინდისის სიჭაჭიზისა ორივე სქესისათვის თანაბრად საქარო და საკადღებულოა. სხვაგვარად როგორ შეიძლება ვაჟი თუ ქალი ერთმანეთს ჰგავდეს: ყველა მათგანს ახასიათებს თავისი სილამაზე და ღრმა შინაარსი.

ჩემთვის, როგორც კლნიციკტ-ფსიქოლოგიისათვის, ბარათაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულად საინტერესოა ავტორის მიერ ხაზგასმული ნდობის პრობლემა. ნდობა ერთ-

ერთი სპეციფიკურად დამახასიათებელი მერსონოლოგიური კატეგორიაა, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ცნება. თუ დარისჩვეულობა ადამიანთა შორის, ეს უმკველად უარსაქრატული მოვლენაა, ვინაიდან ასეთ პირობებში ფსიქოლოგიური დონე ეშეება განსაკუთრებულად დაბლა და სინდისი კარგავს თავის ძალას და მნიშვნელობას, თანახმად ბარათაშვილისა, ნდობის დაკარგვა იწვევს სულითაობლობას, რასაც მოსდევს მარტობა და პესიმიზმი, ზოლო ამის შემდგომი სახეებრი უკვე არის ამა თუ იმ ხარისხის დებურისა—მელანქოლია. ბარათაშვილი წარმომადგენელია ავტორთა, ქმედითი ფსიქოლოგიის, იგი გვიჩვენებს ასეთ ღრმა პესიმიზმურ სიტუაციაში არ დაკარგოთ მომავლის რწმენა და გაივარებოთ მერსის მუხლით პერსპექტიული სელა წინ, ნათელი მომავლისაკენ.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ყურადღებას იპყროს მოქმედების ფსიქოლოგიის პრობლემები და პირველ რიგში, პრობლემა სულის გამოქვეყნების, ანუ გაბნეულობის დაუშვებლობისა. მისი სიმბოლური შედარებანი, რომ მთისა და ველს, ქვასა და ლოდს, მცენარესა თუ ცხოველს, წანწყარა წყაროს თუ ღიღ მდინარეს — ყველას თავისი ფერები და შინაარსი აქვს, ეს არის აქტიური მოწოდება ადამიანისადმი — ადამიანო, შენ რა დაგეპართა, რატომ დაკარგე სინდის-ნამუსიო?

მე მსმენია ლიტერატურის მყოფზე პირისაგან, თითქოს ვაჟა ფშაველა იძლევა თუ ხატავს არასწორ და ხელოვნურ ფსიქოლოგიურ სიტუაციას ალღა ქეთელაურისა და მუცილის შებრძოლებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მსმენია, რომ ხსენებულ სიტუაციაში ალღა ქეთელაურის მიერ ჩადენილი ღრმა შორალისა და კეთილშობილების დამადასტურებელი ქეცვა ერთგვარ გაუმართლებელ ფანტაზიას უნდა წარმოადგენდეს. რასაკვირველია, ლიტერატორის ხსენებული აზრი პერსონალოგიის თვალთახედვით სწორი არ არის.

ალღა ქეთელაურის მიერ გადადგმული ნიბიცი, მხედველობაში, მაქვს მოკლეული მტრის მიმართ მძალი კეთილშობილება და ცხედრის პატივისცემა, შესაძლებელია ვაივიკოთ მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების ფსიქოლოგიის შექმნაროდესა ადამიანი ხელმძღვანელობს პიროვნული ფსიქოლოგიის კატეგორიებით.

ცილისწამება ზშირად არის მშუხი სულიერი დაავადებისა, როდესაც ადამიანი მოკლებულია საშუალებას ვამართლობისათვის, იხოოს რაიმე გამოსავალი გზა და მოახდინოს პიროვნების რეაბილიტაცია, ვინაიდან როგორც ამას ვეასწავლის დიდი ქართული პატრიოტი იაკობ გოგებაშვილი, მორალური სიკვდილი ფიზიკურზე უფრო მძიმეა. ამ მხრივ ჩვენთვის, ფსიქოლოგიებისათვის, განსაკუთრებულად საინტერესო მასალებს ვხვდებით შილერის შემოქმედებაში.

სულიერი დაავადების ანუ თავისებური ფსიქოლოგიური კატასტროფის მიზეზი არც ისე იშვიათად შეილთა უმადურობაა. რომ მშობლებს უუფართო თავიანთი შეილება, ეს პრობლემა ბიოლოგიურად გამართლებულია. აქ საჭიროა პირველ ვითარება, როდესაც შეილა იჩენს პატივისცემას და სიყვარულს მშობლებისადმი. აღნიშნული პრობლემის ირგვლივ შეტად საინტერესო ფსიქოლოგიურ კვანძებს ვხვდებით შექსიარის ნაწარმოებებში.

პერსონალობის პრობლემების დამოუკიდებლას, ფსიქოლოგიურად ურდადსადება ანა მარტო ის მასალები, რომლებიც აშუქებს აღნიშნის მაღალ მორალურ ქცევებს პიროვნებას დონეზე, ანამარტო ის მასალები, რომლებიც შეიძლება იყოს ერთგვარი მაგალითი აღნიშნის სულიერი სიღატაკისა და სიდიდისა, ანამედ მოწინააღმდეგე, ანტიომერა ვითარება, როდესაც აღნიშნის მოკლებულია პიროვნების ფსიქოლოგიურ კატეგორიებსა და ეშვება დებლა, ხელმძღვანელობს რა იგი მდებალი გრძობებით, და იმყოფება ცხოველური ინსტიტუტების და ცხოველურ მიზიდულებათა ვაღენაში. ამ შემთხვევებში საქმე ვაქვს უხამს და უგვანო პიროვნებათა. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ პირთა შესახებ მდიდარ ფსიქოლოგიურ მასალას ვხვდებით დოსტოევსკისა და მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებში.

როგორც ვხვდებით, მხატვრულ ლიტერატურაში მოიპოვება შეტად მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უკველად სასარგებლოა ურდადსადები და პოზიტიურად მნიშვნელოვანი პერსონალობისა და პათოპერსონალობისათვის.

საჭიროდ მიიჩნია შევჩერდე პრობლემაზე, რით აიხსნება რომ შოთა რუსთაველის უკუდავი ნაწარმოები ვახდა ქართული ერის, შეიძლება ითქვას, მორალური კოდექსი. შემთხვევითი არ არის ვარაუდი, რომ ისტორიულად ქართული მანდილოსნის მომავალი მოღვაწეობის მიმართება და მისი გზის ჩვენება-დალოცვა იწყებოდა ნიშნობა-ქორწილის პერიოდიდან, როდესაც იგი ვერ კიდევ ახალგაზრდა, მომავალი დედა ხელში მტკიცედ იღებდა «ფეხისიტყაოსანს».

შემთხვევითი არ არის ის ვარაუდი, რომ 800 წლის შემდეგ ბევრ ჩვენთაგანს სოფლად,

ქალაქიდან შორს, წერა-კითხვის უცოდინარო პირისგან მოესმენია შოთას სენტეფციები, მთელი თავები ზეპირად. შემთხვევითი არ არის ის ვარაუდი, რომ ლინში თუ ურვამი, ოჯახში თუ ბრძოლის ველზე შოთას აღვები იყო ის მაცოცხლებელი წყარო, რომელიც ავაებდა და ამკერებდა ქართული კაცის პიროვნებას.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ იცის მრავალი გენიალური მხატვრული ნაწარმოები, იცის გენიალური მწერლები თუ მგონებნი, მათ შემოქმედებას ჰქონდა დიდი ზოგადი, ფსიქოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ფილოსოფიური მნიშვნელობა, მაგრამ მათ ვერ მიიღეს და არც შეეძლოთ მიეღოთ ერისათვის მორალური კოდექსის ხასიათი. არსებობს ბარი, რომ შოთას ნაწარმოების აშვარი ფსიქოლოგიური ძალა შეიძლება აიხსნებოდეს იმით, რომ იგი განსაკუთრებით ახლოს ღდას ხალხთან და ასახავს მის სულიერ ჩანაფიქრს, მის სიმდიდრეს, მის სულიერ უოფიერებას. ვფიქრობ, ხსენებული მოსაზრება მთლიანად ვერ ამართლებს და ვერ უპასუხებს წამოჭრილი პრობლემის შინაარსს. ბევრი გენიალური ნაწარმოები ასახავს თავისი ერის სულიერ უოფიერებას, მაგრამ მოკლებულია შოთასეულ ზეგავლენას.

შოთა რუსთაველის ნაშრომის ასეთი ღრმა ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ერისათვის, პირველ რიგში, უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ ამ უკუდავი ნაწარმოებში, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, განსაკუთრებულად მაღალ დონეზეა გაშუქებული პერსონალობის სიკეთებები. პიროვნების ფსიქოლოგიის შექმე აქ უხვადაა ვაშლილი დებულებანი, რომელნიც აღნიშნის ავაებუნ, აბლიერებუნ მის ბრძოლის უნარს, შემართებას და ანათებენ მის პერსპექტიულ გზას.

როგორც ვრწმუნდებით, კულტურის სხვადასხვა უხანი, ამ შემთხვევაში მეცნიერული ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა ემსახურებიან ერთ მიზანს — აღნიშნის კეთილდღეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში არის ბარაქიანი მოსავლის მომცემი უხვი ყანა, მხოლოდ საჭიროა ამოქმედდეს შემოქმედების ბასრი ნამგალი...

თანამედროვე ლირიკის ნოვატორული ხასიათის გამო

წერილი პირველი

ყოველ ახალ ეპოქას კაცობრიობის განვითარების ერთიან პროცესში თუ ცალკეულ ზალხთა ისტორიაში, ყოველ ახალ ისტორიულ საფეხურს საზოგადოებრივი ევოლუციისა თან ახლავს საერთო სიახლე საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების, მატერიალური თუ სულიერი ყოფის თითქმის ყველა სფეროში.

ეს აქსიომური ჭეშმარიტებაა, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოების განვითარების ისტორიის ესა თუ ის გარკვეული მონაკვეთი სწორედ იმდროს იწოდება ეპოქად, ისტორიულ საფეხურად, რომ მას ახასიათებს ისეთი ახალი ნიშან-თვისებებებანი, სხვა ეპოქებისაგან თუ განვითარების ეტაპებისაგან რომ გამოარჩევენ ხოლმე.

და მით უფრო დიდია ყოველი ახალი ეპოქის მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების საერთო რეჟიმში, მით უფრო წარმოდგენილი და საზღვრად აღბეჭდილი რჩება მისი კვალი ათასწლოვანი ისტორიების ვეებერთელა მაგისტრალზე, რაც უფრო განვითარების შედეგად მომწიფებული, დროის ხასიათის ყველაზე მკვეთრად გამოხატული, პროგრესულად აუცილებელი და კანონზომიერულად ნოვატორულია იგი მთელი თავისი არსით, მთელი თავისი ისტორიული შედეგებით. „რევოლუცია იმარჯვებს, თუ მას წინ მიჰყავს მოწინავე კლასი, რომელიც სერიოზულ ლახვარს სცემს ექსპლუატაციას. რევოლუციები ასეთ ვითარებაში მაშინაც კი იმარჯვებენ, როცა ეპოქებთან“ (ვ. ი. ლენინი).

რასაკვირველია, ისტორიული პროცესი, მისი შინაგანი წინააღმდეგობრივი ხასიათის, ზიგზაგოვანი განვითარების ბუნებრივი კანონზომიერ-

რების შედეგად, არ წარმოადგენს მის ყველა რგოლში მხოლოდ და მხოლოდ პროგრესულ მოვლენათა მონაცვლეობის უწყვეტ ნაქაღს. პროგრესული ხომ ყოველთვის ძველთან ბრძოლაში იბადება, ამ ბრძოლაში კი მან ერთსა და იმავე დროს უნდა შეძლოს უარყოფაც და დაამკვიდრებაც; დაპირისპირებული ძველის უარყოფა-უაქედგება უკვე ნიშნავს ახლის დამკვიდრებას.

მაგრამ დამკვიდრების ეს პროცესი როდელია, იგი მოულოდნელი და ძნელად დასაძლევია წინააღმდეგობებით არის აღსავსე. პროცესის ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი არ გამოირიცხავს ზოგიერთ შემთხვევაში ახლის დროებითს მარცხსაც კი.

სწორედ აღნიშნულ სირთულეთა დაძლევის დროს მოწმდება ახლის ჭეშმარიტი აუცილებლობა, მისი პროგრესული თუ ანტიისტორიული ხასიათი. ის, რაც აუცილებელია, როგორც ახალი, პროგრესული და გარდუვალი საფეხური საზოგადოებრივი განვითარებისა, ადრე თუ გვიან ნამდვილად დამკვიდრებს ადგილს ცხოვრებაში და მიიღებს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული ეტაპის აუცილებელი ნორმისა და კატეგორიის ფუნქციას, რადგან ეპოქის სულს, მის ნიშნულ თვისებებებს გამოხატავს.

ამრიგად, ყოველ ახალ ეპოქას მოაქვს მისთვის აუცილებელი, მისთვის დამახასიათებელი ახალი სოციალური თუ ეკონომიური ცხოვრების, მატერიალური თუ სულიერი ყოფის ახალი კანონები და ნორმები, მათი შესატყვისი ახალი იდეები.



კაცობრიობის ისტორიული განვითარების ეს აუცილებელი პროცესი, ბუნებრივად, მოიცავს საზოგადოების მხატვრული აზროვნების სფეროსაც, მის ყველა დარგს. ოღონდ, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ურთიერთობა ძველსა და ახალს შორის აქ მეტად თავისებურ ფორმას იღებს ლიტერატურის, ზელოვნების სპეციფიკური ხასიათის გამო. შეიძლება ითქვას, დაიდა საკაცობრიო პრობლემა მემკვიდრეობითი კავშირისა, როდესაც ახლის დამკვიდრების უმთავრესი წინაპირობაა არა უკვე განვლილი ხელაღებით უარყოფა, არამედ მისი გამოყენება, ყველაზე მკაფიოდ სწორედ ხელოვნებაში, ლიტერატურაში ვლინდება.

ამიტომაც, როდესაც თანამედროვე პოეზიის, კერძოდ, თანამედროვე ქართული ლირიკის ნოვატორული ხასიათის თაობაზე ვმსჯელობთ, მის ახალ ნიშან-თვისებებზე, ახალ ბუნებას ვეკვლივით, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ სიხლის ორი აუცილებელი წყარო:

1. ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა ახალი ურთიერთობების, ახალი იდეების გავლენა ესთეტიკურ სფეროზე. საზოგადოების ეკონომიური წყობის ყოველი ძირეული ცვლილება ხომ აუცილებლად იწვევს შესაბამის ცვლილებებს. განახლებას მთელ იდეოლოგიურ ცხოვრებაში; იგი გარდაქმნის ხოლმე მის შინაარსს და ამდენად, ყოველი ახალი ეპოქა ახალ პრობლემებს აყენებს მხატვრული აზროვნების წინაშე. ხოლო ამ პრობლემათა მხატვრული გადაწყვეტისათვის, პოეტური გააზრება-ამტყვევლებისათვის და შემოქმედება-გამოხატვისათვის კი საჭიროა მისი შესატყვისი ფორმის ძიება-გამონახვა:

2. ეროვნული პოეტური ფენომენის შიერ საუკუნეებში შექმნილი და გამდგრებული, გენიალურ შემოქმედთა უკვდავ პრაქტიკაში დაბეჭდილი მარად ეფოხალი ტრადიციები, რომლებიც ახლებურ ცდარადობას იძენენ, ახლებურ ამტყვევლებას პოელობენ თანამედროვე პოეზიაში, საერთოდ. მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედებაში, კერძოდ.

ამ აუცილებელი სინთეზის გარეშე, რომელიც ესოდენ ბუნებრივი და დამახასიათებელია საზოგადოების მხატვრული განვითარების ყოველი ახალი ეპოქისათვის, არ არსებობს და არც არასოდეს იარსებებს ჰემიარტიკი ნოვატორული პოეზია.

ნოვატორობის, როგორც ახალი პროგრესულისა და ძველი პროგრესულ-ტრადიციულის შეხამების, მისი არსის ბუნება ჩინებულად არის გახსნილი ვ. ი. ლენინის ცნობილ მითითებაში: „არა ახალი პროლეტარტურის გამოგონება, არამედ არსებული კლტურის საუკეთესო 7. „მართობი“, № 8.

ნიშნითა, ტრადიციითა, შედეგთა განვითარება... .

ამ მითითებაში არა მარტო განმარტებულია დამოხილი ვულგარიზატორული სწრაფობისა, სოცალზე და მოჩვენებითობა, მისი ანტი-ისტორიული ხასიათი, არამედ, ამვე დროს, გახსნილია ტრადიციისა და ნოვატორობის ერთიანობის დაილაქტიკური ბუნება, მათი ურთიერთ-განმარობებულობის კანონზომიერება.

ჩვენი ლიტერატურის ნოვატორობა ახლა აღიარებული ფაქტია. მისთვის დამახასიათებელია სტილურ ინდივიდუალობათა სიმრავლე, უფრო შესატყვისი და ორიგინალური ხატოვანი ფორმების ძიება. ყოველივე ეს იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ უკეთეს განახატვრული ახალი რევოლუციური მინარის, ჩვენი ახალი სინამდვილის მრავალფეროვნება და სირთულე.

ამგვარ ნოვატორულ ხასიათზე რომ ვლაპარაკობთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს ის მყარი ტრადიციული ფუძე, რასაც ეს ნოვატორობა ეყრდნობა; უნდა გვახსოვდეს, რომ ესოციალისტური რეალისმის ზელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ზალხურობისა და პარტიულობის პრინციპები, გახედული ნოვატორობა ცხოვრების მხატვრულ ასაქაში შესაქმნელია მსოფლიო კლტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან, როგორც ეს მითითებულია სკვპ პროგრამაში.

ამასთანავე, მხატვრული ლიტერატურის ნოვატორობა არ არის წმინდა ესთეტიკური კატეგორია, ფორმის განყენებული ძიება. როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ესთეტიკური კატეგორიები აღებულ უნდა იქნას პოლიტიკური, იდეურ კატეგორიებთან მტკიცე ერთიანობაში. ნოვატორობა თვითონ უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი სპეციფიკური ისტორიულ-ესთეტიკური კატეგორია. სწორედ ამგვარი ერთიანობით არის გამოხატული მთელი ჩვენი მხატვრული აზროვნების ნოვატორობის არსი.

მხატვრული აზროვნების ნოვატორობის ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ აუცილებელ ნორმად ვერ ვაღიარებთ მის ერთდროულ გამოვლინებას შემოქმედებითი პროცესის ყველა კომპონენტის მიხედვით. ბუნებრივია, რომ ნოვატორობაც განვითარებდა, შეესაბამი, ესე იგი ევოლუციურად სრულყოფად პროცესსა. ამიტომაც, თუ ზოგიერთ შემთხვევაში იგი ვლინდება ერთდროულად მთელი თავისი კომპლექსური შესაძლებლობით — იდეურ-თემატური სიახლითაც, ახალი მხატვრული სტილის თუ მხატვრულ-შემოქმედებითი ხერხების გამოყენებითაც, პოეტურ სახეთა ახლებური სიუვეტური ხილვითაც, ხატოვანი მეტყველების ახლებური ორგანიზაციითაც და ა. შ., — სხვა შემთხვევაში შეიძლება ნოვატორულმა ტენდენციამ წინა პლანზე წამოიწიოს, ვთქვათ, განხატოვნების საგნის იდეურ-თემატური გააზრების, მხატვრულ სახე-

თა ახალი შინაარსობრივი ორგანიზაციის, ეს-
თეტური ხელის ახლებური ეუთხის მონახვის
სფეროში

ამგვარად გამოვლენილი ნოვატორობა, თუ
იგი კუშმარტია თავისი ფუნქციითა და ისტორი-
იული გარდევლობით, ბოლოს და ბოლოს,
პროგრესული ტრადიციების გამოკრების საფუ-
ძველზე მიღწევს სრულყოფის, ამ საფუძვრზე
იგი იძენს ახალ თვისებას — თვით იქვეა ტრა-
დიციად.

კუშმარტი ნოვატორობა ყოველთვის საზოგა-
დოებრივი განვითარების აუცილებელი მოთხოვ-
ნილებს შედგენს. ამასთანავე იგი არის ძიების
რთული პროცესი. მისი გამარჯვება დამოკიდე-
ბულია არა მარტო ძიების აუცილებლობაზე,
არამედ უმთავრესად იმაზე, თუ რამდენად სწო-
რად არის მონახული მოთხოვნილებებისადმი შე-
სატყვისობაც და მართებული პერსპექტივაც, ახ-
ლებური ხასიათიც და მაღალკაცობრიული იდე-
ალიც, კონკრეტულ-საზოგადოებრივი შინაარსიც
და გარკვეული ესთეტურ-იდეური ფუნქციაც.

რასაკვირველია, ნოვატორობა შეიცავს რაღა-
ცის უარყოფას, უკუგდებას. ამ ვლინდება მისი
რეკლუციური ბუნება და ისტორიული აუცი-
ლებლობა. ამ თვალსაზრისით იგი წარმოადგენს
თვისებურ დავას იმ ტრადიციულ კატეგორიებ-
თან, რომლებიც მომწველდნენ და განვითარების
საერთო პროცესის დამაბრკოლებელ ფაქტორე-
ბად იქნენ. და ამ დროს მთელი ძალი იწყებს
ამოქმედებას „გაცხრილის“ ის უღმობელი კა-
ნონი, რომლის ძალითაც ახალ ლიტერატურულ
პროცესში მოქმედ ფაქტორად გადმოდის მხო-
ლოდ პროგრესული, განვითარების შესატყვისი
და უკვე კლასიკურ შემკვიდრებად ქცეული
შემოქმედება თავისი დიდი იდეალებით და ხატ-
ვის ოსტატობით.

მაშასადამე, კუშმარტი ნოვატორობა არასო-
დეს არ უპირისპირდება პროგრესულ ტრადი-
ციას ისტორიულ დინებას, პირიქით,
ახალ ნაკადად ერთის მას და ახალი ეპოქის
ძლიერი სულით გამსჭვალავს ზოლზე.

მართალია, დიდ შემოქმედს ყოველთვის საყუ-
თარი ხმა აქვს; იგი ხატვის საყუთარი მანერით,
საყუთარი სტილით, მხატვრულ აზროვნების სა-
კუთარი ორგანიზაციით გამოირჩევა, ხოლო ყო-
ველივე ამის ძიების პროცესი ამავე დროს არის
რადიკალური, გადღახვა და 'უკუგდება.
მაგრამ მთელ ამ პროცესს გამსჭვალავს არა ზე-
ლაღებითი უარყოფის პათოსი, არამედ თავისუ-
ბური შეწყობა-შეხამების პრინციპი.

ნოვატორობა, როგორც ახალი თვისობრივი
სხვაობა, არ მკვიდრდება ცარიელ იდეალსა
უტრადიციებოდ. ამ თვალსაზრისით, ნოვატო-
რობა არის როგორც გადაღახვა-დამწვევა, ასევე
მიღება. ნოვატორობაში ვლინდება იმ დიდი
კლასიკური გამოცდილების გაელენა, მხატვრულ

აზროვნებას რომ დაუვროვებია ისტორიის მან-
ძილზე.

ხოლო ამ შემთხვევაში საქმე „გვერდის“ უბ-
რალ განვითარებასთან, უბრალოდ ტრადიციით
შემოქმედებით ათვისებასთან.

გოეთეს გამოთქმული აქვს ერთი ფრიალ სა-
ინტერესო მოსაზრება ნოვატორობის, მისი არ-
სის, მისი პრაქტიკული ფუნქციის გამო შემეც-
ნების პროცესში. ამ ჩინებულად არის გასწი-
ლი ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთო-
ბა, ნოვატორობის, როგორც შემეცნების აუცი-
ლებელი ახალი საფუძვრისა და ტრადიციის შე-
დგოში განვითარების მნიშვნელობა.

„რა მეცოდინებოდა მეცნარისა და ფერის
თაობაზე, — ამბობს გოეთე, — ტრადიციულად
მსაზრებელი სახით რომ მიმეღო ჩემი თორია
და გამეზობიარებინა იგი! სწორედ იმის წყალო-
ბით, რომ დამოუკიდებლად უნდა მომეძებნა და
აღმომჩინა, ზოლო ხანდაზან შევმცდარიყავ ყო-
დუც, დიხს, სწორედ ამის წყალობით, შემძლია
ვთქვა: ვიცი ზოგი რამ ამ საგანზე და თანაც ზო-
გი ისეთი რამაც ვიცი, ჭერ ქაღალდზე რომ არ
დაწერილა.“

ნოვატორობა არ არის ცალმხრივი მოვლენა.
იგი მოიცავს ხოლმე მთელ შემოქმედებას. ნოვა-
ტორობა ზვედ გვესმის როგორც გარკვეული ეპო-
ქის მხატვრული აზროვნების მთლიანი კომპლექ-
სიც.

კუშმარტი ნოვატორობა ლიტერატურასა და
ხელოვნებაში ხორციელდება, როდესაც იგი:

- პროგრესული და პერსპექტიულია, წინ გა-
დადგმული ნაბიჯია, ეპოქის მიერ არის ნაყარა-
ხევი და მის სულს გამოხატავს;
- ემყარება იდეურობასა და ხალხურობის
პრინციპსაც, ავლენს ინდივიდუალობასა და ორი-
გინალობასაც ოსტატობაში, განასახიერებს ხალ-
ხის ჰუმანურ მისწრაფებებსა და იდეალებსაც,
დაბოლოს — შეიცავს ტრადიციებს.

ნოვატორობა, მისი ფართო ისტორიული გავე-
ბით, არის რედმივი განახლების განწყობებითი
პროცესი, რომელშიც მოწინააღმდეგე სხვადასხვა
ეპოქებშია და თაობათა ნიჭიერი მხატვარი წარ-
მომადგენლები, თვითეული მათგანი ავითარებს
მხატვრული აზროვნების საშუალებებს. და
პროგრესული ტენდენციის თვალსაზრისით რაც
უფრო მეტად ორიგინალურია, თვითმყოფადია
შემოქმედელ, მით უფრო მეტი ნოვატორული სი-
ახლე შეაქვს მას მხატვრულ აზროვნებაში.

თანამედროვე ლირიკის, ისევე როგორც ყვე-
ლა სხვა მხატვრული ეანრის, ნოვატორული ძი-
ებანი და ხასიათი გამარობებულია თანამედრო-
ვე ცხოვრების შინაარსით, დღევანდელი ადამი-
ანის მდგომარეობით ამ ცხოვრებაში.

თუ გავითვალისწინებთ რომ გასული სა-

უკნის დასასრულად მოყოლებული, თანამედროვე ადამიანი ვახდა უდიდესი ეპოქური ძვრების, საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების განსაკუთრებული აქტიუზაციის, სოციალურ-კლასობრივ ძალთა მკვეთრი გამოიწვევისა და დაპირისპირების, ისტორიაში აქამდე არჩანული მსოფლიო თუ სამოქალაქო ომების ყოვლისმომცველი პრაქსისის მოწვევით და მონაწილედ, ცხადი ვახდება ყოველივე ამის შედეგად შექმნილი ფსიქოლოგიური ცხოვრების თუ მკაცრი საინტერესო, მკვრამ ამავე დროს მეტად დაძაბული ხასიათი.

ამასთან, ადამიანს შეუწყენებლად უხდება სწრაფი წინაშე ვარდამენი ცხოვრების თავბრულდამხვევი ტექნიკური რიტმის შესაბამისად.

ახალმა უდიდესმა აღმოჩენებმა მეცნიერების ურთულეს დარგებში, ისტორიაში აქამდე გაუგონარმა ტექნიკურმა პროგრესმა და მისმა გლობალურმა ხასიათმა გამოიწვიეს შთელი კაცობრიობის სწრაფი სულიერი ევოლუციის პროცესი. ადამიანის როლი საზოგადოებაში, მისი ადგილი ცხოვრებაში უფრო პასუხსავე ვახდა. მისი სულიერი სამყარო, ემოციური ყოფა განსაკუთრებით დაიძაბა და დაიტვირთა.

თანამედროვე მეცნიერებმა აღმოჩენებმა და ტექნიკურმა პროგრესმა წარმოუდგენლად გააფართოვეს ადამიანის მოვლენების ასპარეზი, ურცელი სარბიელი მისცეს მის პრაქტიკულ საქმიანობას, ახალი უსაზღვრო შესაძლებლობანი შეუქმნეს მის ტალანტსა და უნარს, უჩვეულო სიმამაცისათვის განაწევეს მისი სული და უკვე პრაქტიკის სავნად აქციეს მისი ძველისძველი ოცნება ჩვენი პლანეტის ირგვლივ სამყაროში გასვლისა.

სულიერ სამყაროს ჯერ კიდევ არასოდეს ჰქონია ასეთი ფართო სარბიელი, ასეთი ფართო შეშეცენებითი შესაძლებლობა, რადგან ტექნიკურ პროგრესისა თუ საზოგადოებრივი აზროვნების — მათ შორის მხატვრული აზროვნების — დარგში გადადგმული ყოველი ახალი პროგრესული ნაბიჯი არის შეშეცენების ახალი საფეხური, აქამდე შეუცნობლის შეცნობა, მისი საიდუმლოების ამოხსნა.

და თუ ყოველივე ეს, ერთი მხრივ, ადამიანისათვის ფართო სარბიელად აქცევს სამყაროს, მეორე მხრივ, ერთგვარად აფორებს კიდევ მას ამ სამყაროში, რადგან მეტ კონკრეტულ-სავნობრივ ფუნქციას ანიჭებს მის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

ეს არის წინააღმდეგობისა და ურთიერთგანპირობებულობის დიალექტიკური კანონი მოქმედებაში.

მაშასადამე, წინა ეპოქებთან შედარებით, ამ ეპოქების განსხვავებით დღეს სხვაგვარად ისმება საკითხი ადამიანისა და ბუნების ძალთა ურთიერთობისა. წინა პლანზე გამოდის არა ბუნე-

ბის ძალებთან ბრძოლის, არამედ ამ ძალთა შეცნობის ამოცანა.

ყოველივე ეს განპირობებს უფრო მეტად ადამიანის ფსიქიკას, უმომენტურობას ბუნებრივად, ყოველივე ამისვე ანატიკულ, უშუალო გავლენას ვეხადებ ჩვენ დღევანდელ ლირიკაშიც, რომლის ხილვითი ასპექტი უკვე წვდება უსასრულო არეულობადაც, ამავე დროს, თანდათანობით ზედმწიფებით აღიქვამს კონკრეტული სულიერი სამყაროს რეაქციას გარეშე მოვლენებისადმი. ამასთან, მთავარია დაინახოთ ადამიანის გონების როლი და მისი ძალა, როგორც ბუნების სტიქიური ხასიათის საპირისპირო მოვლენა და ამის მხატვრული აღქმა-შეშეცენება ლირიკული საშუალებებით.

ამგვარი გავლენა ლირიკის ხასიათზე სავსებით ბუნებრივი მოვლენაა: ტექნიკური რევოლუცია იქცა უსაზღვროდ საყოველთაო მოვლენად და, რასაცვირცხვია, თანამედროვე მსოფლიო პოეტურ აზრსაც არ შეეძლო არ განეცადა მისი გავლენა თუნდაც პოეტურ სახეთა, პოეტურ ცნებათა, ცხოვრების მოვლენათა შეშეცენებითი საშუალებების შემდგომი დახვეწის, ერთგვარი მეტი დაყოვნებების, სავნობრიობის გაძლიერების სახით. ყოველივე ეს ხომ პოეტური ხილვის ახლებურად განვრცობა-განზოგადების მეტ საშუალებას იძლევა!

პოეტური აზროვნებისათვის ახლა, მოვლენათა მხატვრული ახალიხის პროცესში, უფრო ნიშნული შეიქმნა პიოთეზური ხილვა თუ აქსიომური დაფურცულობა, ელფრე ეს ახასიათებდა ინტერვი ხანის, შუა საუკუნეების თუ უფრო გვიანდელ პოეტისა საერთოდ, ლირიკის — ექრძოდ.

ლირიკაში ძლიერ შემოიჭრა აზროვნების კონცეფტური ელემენტები (მაგალითად, ლექსთა ციკლურ რიგებში), რაც წინათ პოეტური ეპოსისათვის უფრო იყო დამახასიათებელი.

ეს ახალმა ეპოქამ მოიტანა. იგი ლირიკას შეძინა ადამიანის აზრის ფართო განვრცობითობა, დიდ ისტორიულ და გეოგრაფიულ სიბრტყეებზე მისმა განფენამ.

ლირიკის ეს ახალი, ფართომოცებითი ბუნება ჰქონდა მხედველობაში გალაკტიონ ტაბიძეს, როცა ამბობდა:

სული პოეტის
სარკე არის
სივრცის, დროსა,
სული პოეტის
არის ცენტრი
მსოფლიოთა.

სული პოეტის
არის მისი
ყოფნის დღეები,

არის ფოკუსი,
ერთდებიან
სად იდებო.

მაგრამ როდესაც ვლადიმერ პუტინი, ერთი მხრივ, ტექნიკური რევოლუციისა და, მეორე მხრივ, თანამედროვე პოეზიის უოელისმომცველ მსოფლიო-კაცობრიულ მასშტაბებზე, ამ უკანასკნელს ის თავსებურებაც უნდა გვახსოვდეს, რომ იგი არის, უბრალოდ ყოველსა, ერთნაირად მოკლეს და მხოლოდ ამის შემდეგ—მსოფლიო-კაცობრიულად. და რაც უფრო დიდია მისი ეროვნული ფესვები, რაც უფრო ძლიერია მისი კონკრეტულ-ეროვნული სული, მით უფრო დიდია მისი საერთო-საკაცობრიო დანიშნულება, სავოკალთაო გავლენის ძალა.

ეს თავისებურება ეხმარება ლირიკის ღრმად გახსნას თანამედროვე ადამიანის უჩვეულოდ გაძლიერებული, მაგრამ, ამავდროს, ესოდენ გართულებული შინაგანი სულიერი სამყარო, რომელიც სწორედ კონკრეტული ეროვნული ფსიქოლოგის უკუფანა, კონკრეტული ეროვნული ყოფის პროდუქტია.

რაც ნოვატორული ცვლილებები არ უნდა მოხდეს მხატვრულ აზროვნებაში, საზოგადოებრივი პროგრესის ამ განუყოფელ ნაწილში, იგი ყოველთვის ინარჩუნებს ეპოქების მანძილზე ჩამოყალიბებულ ესთეტიკურ-გნოსეოლოგიურ-პოლიტიკურ ფაქტორებს ტრადიციულ ფუნქციებს. ხელოვნებას ამ ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად აკისრია შემეცნებითი და იდეურ-აღმზრდელი ფუნქციაც: მხატვრული აზროვნების მთელი ისტორია ხომ იმის ნათელი დადასტურებაა, რომ:

ა) ჭეშმარიტი პოეზიის, ისევე როგორც მთელი ლიტერატურისა და ხელოვნების, დანიშნულებაა თავისი სპეციფიკური მხატვრული საშუალებებით შეიქმნოს საზოგადოებრივი ყოფიერების არსი, გაიაზროს ცხოვრება მისი რთული მოვლენებით, მოვეცეს ამ მოვლენების ცოდნა, გადაგვიხედოს მომავალში და დავგანახოს განვითარების პერსპექტივა. ეს არის შემეცნებითი ფუნქცია, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია;

ბ) პოეზიის დანიშნულებაა იდეურად აღზარდოს ადამიანები, გაამდიდროს მათი სულიერი სამყარო, დაეხმაროს მათ ძველი ყოფის გადმონათქვამთან ბრძოლაში, წინსვლის პროცესში წარმოშობილ ზრდის სიმწლეფთა დაძლევაში. ეს არის იდეურ-აღმზრდელი ფუნქცია, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია;

გ) პოეზიის დანიშნულებაა ადამიანების ესთეტიკურ მოთხოვნებთან დაკმაყოფილება. მათი ესთეტიკური გემოვნების განვითარებულად აღზრდა-განვითარება, მათს შეგნებაში კომუნისტური მორალის საბოლოო დამკვიდრება. ეს არის ესთეტიკური ფუნქცია, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია.

ახალი სამყაროს მაღალი და ნამდვილი ხელშეწყობა სიძველე ამ ფუნქციის — გნოსეოლოგიური, პოლიტიკური და ესთეტიკური ფუნქციების — მკიდრო ერთიანობას ეყარება. ჭეშმარიტი ერთიანობით გამოხატულია ლიტერატურის დიდი დანიშნულება — დაეხმაროს ადამიანს განმტკიცდეს მატერიალურ სამყაროში, დაეფულოს სინამდვილის და ათვისოს იგი. მხატვრულობის კრიტიკიკური შეიკავს ნაწარმოების სწორედ გნოსეოლოგიური, პოლიტიკური და ესთეტიკური ფუნქციების ერთიანობას, მის აუცილებლობას. პოეზიის მხატვრულ ქმნილებად ვერ ჩითვლება ნაწარმოები, რომელშიც დარღვეულია ასეთი ერთიანობის სინაგანი კანონი.

არ არსებობს ნამდვილი მხატვრული შემეცნება იდეურ-აღმზრდელი ფუნქციის დანიშნულების გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს მხატვრული ნაწარმოების ნამდვილი იდეურ-აღმზრდელი ფუნქცია მხატვრული შემეცნებისა და ესთეტიკური დანიშნულების გარეშე, ან — წინადა ესთეტიკური ფუნქცია ასეთი ქმნილებისა იდეურ-აღმზრდელი ფუნქციებითი და შემეცნებითი ფუნქციების გარეშე.

საერთოდ მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ კი ლირიკის შემეცნებითი, იდეურ-აღმზრდელი ფუნქციის, ესთეტიკური ფუნქციის და დანიშნულება განსაუკურებით გაიზარდა ზვენი საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში.

ლირიკის განვითარების მთელი ისტორიული პროცესი იმის დადასტურებაა, რომ ჭეშმარიტი პოეზია მუდამ ვითარდებოდა საზოგადოების განვითარების შესაბამისად და მასთან ერთად.

ეს, რასაც ვერვლავ, ბუნებრივი გზა ლირიკის განვითარებისა, რადგან თუ ცხოვრებაში, ბუნებაში, საერთო აზროვნებაში ხდება წარმოდგენების, შეხედულებების, თეორიული სისტემების, ცნებების შემდგომი დახვეწა, დაკონკრეტება (რაც ჭეშმარიტებასთან დაახლოებიდან ჭეშმარიტებად ქცევის უწყვეტი ნაკადია), განვითარებისა და სრულყოფის დაახლოებით ასეთივე პროცესი უნდა განიცადოს საერთოდ მხატვრულმა აზროვნებამ, როგორც საზოგადოებრივი იდეოლოგიური სისტემის გარკვეულში ფორმამ, ცხოვრების შემეცნების თვალსაჩინო სპეციფიკურმა საშუალებამ.

როგორც ცნობილია, მხატვრული შემეცნება ნიშნავს სამი ჭეშმარიტების — წარსული, დღევანდელი და ხვალისდელი სინამდვილის — ხილვას, ამასთან, თუ პირველი ორი სინამდვილე ლირიკოსს მხატვრისათვის ერთგვარი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რომელსაც ვაზრების თაყუბურე ემოციურ-ხატოვანი კუთხე უნდა მოენახოს, მესამე სინამდვილე, როგორც იდეალი, პირველი ორის ისტორიული გამოვლილების ბაზაზე, მათი გაანალიზება-შეფასების და ისტორიული აუცილებლობის განწყობის შედეგად იზადება.

ამასთან, ლირიკოსი პოეტისათვის მთავარი საგანი მიიჩნეოდა ორი უცანასკნელი ჰემეაბიტება, რადგან ორივე მხატვრული სიმართლე ემყარება აზრებულს, როგორც მიღწეულს და პერსპექტიულს. ლირიკოსი გადმოგვცემს თანამედროვე სულიერ მდგომარეობას, რომელიც, საზოგადოებაში არსებულ ახალი იდეების შესაბამისად, დამიწვებულია მომავალსაგან.

ლირიკის განვითარება იდამიანის, მთელი თაობების, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, უპირველესად ეს არის ახალი შინაარსით გამდიდრების მრავალმხრივი და რთული პროცესი.

როდესაც ლაპარაკობენ თანამედროვე ლირიკის ახალ ფორმებზე, ლექსთაწერის ახალ სახეებზე, პოეტური ოსტატობის ახალ ნიშნებსა და თავისებურებებზე, ახალ ტონალობაზე და ა. შ., ზოგჯერ ივიწყებენ ხოლმე იმ მთავარსა და აუცილებელს, რამაც მოითხოვა და ტრადიციულ პოეტურ შეტყველებაში შემოიტანა ყოველივე ეს, მოქალაქობრივი უფლება მიანიჭა მას, ივიწყებენ ახალ შინაარსს, რომელიც გამოხატვის შესაბამისად ფორმებსა და საშუალებებს მოიხსოვს.

თანამედროვე ლირიკის გამდიდრების, მისი ნოვატორობის პროცესი იწყება, უპირველესად, მისი ახალი შინაარსით. ამხვე დროს, ახალი შინაარსი თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ მისთვის საჭირო და უფრო მოხდენილი ფორმით არ გამოიხატება, თავისი გამოვლენის ასევე ნოვატორულ, ადეკვატურ ფორმას არ შეიძენს.

ჰემეაბიტად ნოვატორული ლირიკისათვის, მისი ბუნებისათვის უცხოა იდეათა პრიმიტიული ვარიანტების ტენდენცია, რისი მოწმენიც ხშირად ვეოფილვართ ოცი-ოცდაათაიან წლებში თუ უფრო გვიანდელი პერიოდის ქართულ პოეზიაში. ნოვატორული ლირიკა სიღრმად მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, როცა განზოგადებულია ახალი შინაარსისა და მისი შესატყვისი ფორმის სინთეზი. ეს არის მისი სინქრონული ხასიათი და ამ ხასიათის დაზღვევა თუ უზღუნბელყოფა აუცილებელი კრახის მომასწავებელია.

ამ ცნობილი აზრის ვახსენებ იმიტომაც არის საჭირო და აუცილებელიც, რომ ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის განვითარების უცანასკნელ ეტაპზე გამოქვეყნებულ ზოგიერთ სოლიდურ ნაშრომშიც კი თავი იჩინა ფორმის პრაქტიკის ძველმოდურმა ტენდენციამ, ეგვთვითნებულად პოეტური ტექნოლოგიის წინა პლანზე გადმოტანის, მისთვის მკითხველს შორის მთელი განწყობილების შექმნის ფუნქციის მიინიჭების ტენდენციამ.

მიამჩნიათ, რომ ლირიკისათვის, პოეტისათვის მთავარია ფორმა „ლექსის ტექნოლოგია“; თითქოს ყველაზე სრულად ამით გამოიხატებოდეს ან

იქმნებოდეს განწყობილება და არა პოეტის იდეურ-მხატვრული კონცეფციით.

შინაარსის გამოთქმა, მისი ურთულესობა განწყობის დროს არა თუ დაუშვებელი, წარმოდგენილიც კი არის შემოქმედების პროცესში, როდესაც პოეტის პრობლემა — რთულია ვთქვათ — არ გადაიჭრება შემეცნებით პრობლემისაგან — რა ვთქვათ — მოწყვეტა.

თანამედროვე ლირიკის ნოვატორულ ხასიათს ბევრი რამ განაპირობებს. მათ შორის სწორედ ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულებაშიც უნდა ვეძებოთ ახალი ნიუანსები, დავინახოთ მათი შემდგომი სინქრონიზაციის აუცილებელი პროცესი, ანა ურთიერთდაპირისპირების, ანამდ ურთიერთგანპირობების ახალი მომენტები. მხოლოდ ასეთ შემოქმედებას განეუთვნება გარკვეული პროგრესული როლი ადამიანთა ცხოვრებაში და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში.

ხელოვნება სწორედ იმიტომ არის განუწყვეტელი პროგრესული მხატვრული წინსვლა საზოგადოებისა, რომ იგი ეყრდნობა ნოვატორულ-პროგრესული ცვლადობის კანონზომიერებას გვემდებარება. ვაიხსენოთ ვ. პიუგოს სიტყვები: „...შე ჩემი ფილოსოფია მაქვს. არასოდეს მიქადავია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, არამედ უოველთვის ამას ვაცხადებდი: „ხელოვნება პროგრესისათვის“. „წინა“ — მოგვიწოდებს პროგრესი და სწორედ ასევე მოგვიწოდებს ხელოვნებაც. პოეზიის მთელი არსი ამ სიტყვით არის გამოხატული... ამის გულისათვის, პროგრესის გულისათვის ვითმენ ახლა ყველა წამებას. მისი გულისათვის უნდა არ დავიდე თვით სიკვდილს წინაშეც კი“. მაგრამ დიდი ფრანგი რომანტიკოსისათვის პროგრესი არ იყო განყენებული ცნება. ვ. პიუგოს საჭიროდ მიანწია სწორედ პოლდურისადმი მიწერილ წერილში ვახსენა ხაზი იმისათვის, რომ „...აუცილებელია კიდევ უფრო გავაფართოვოთ ხელოვნების პორაზონტები, სულ უფრო მაღლა და შორს, სულ უფრო წინ ვიართო. მაგრამ პოეტი წინ ვერ წავა მარტო — მის გვერდით უნდა მიბიჯებდეს ადამიანიც“.

მხოლოდ ამ პირობით შესრულებს პოეზიისათვის უდიდეს როლსა და ფუნქციას და ყოველი თანამედროვე პროგრესული მხატვარი — თავისი მოწოდებას, რომელიც ასე ელასტურად გამოხატა მეორე ფრანგმა დიდმა მხატვარმა, ჩვენმა თანამედროვემ პოლ ელვარმა: „დადგადრო, როდესაც ყველა პოეტის უფლება და მოვალეობაა განაცხადოს, რომ ისინი ღრმად შეიტანენ სხვა ადამიანთა ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

ჰემეაბიტო პოეზია ყოველთვის ნოვატორული ძიებაა და ყოველი ნოვატორობა სავანთა, მოვლენათა, მთელი ცხოვრების ახლებური გააზრებაა.

ამგვარი გააზრების პროცესში მდიდრდება ადამიანის ცოდნა, ფართოვდება მისი შემეცნებითი სფერო.

ნოვატორობის უწყვეტი პროცესი შეინიშნება არა მარტო ცალკეული ეპოქების პოეტურ აზროვნებაში, არამედ თვით ერთი შემოქმედებითი მეთოდის ფარგლებშიც, რომელიც იტყვის ისეთი სხვადასხვა სტილისა და პოეტური მანერის მხატვართ, როგორც არიან ვლადიმერ მაიაკოვსკი, ვალადიმონ ტაბიტე, სერგეი ესენინი, ალექსანდრე ტვარდოვსკი, გიორგი ლეონიძე, ავეტოქ ისაყიანი, მიკოლა ბაქანი, ანდრეი ვოზნესენსკი...

ყოველი ღიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა პოეზიის ისტორიაში ნოვატორულ საფეხურს წარმოადგენდა. ასეთი იყო თავის დროზე „ვეფხისტყაოსანიც“ და „მერანიც“, „ვანდაგოლიც“ და „გველს მჭამელიც“, „განთიადიც“ და „მე და ლამაც“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნოვატორობას ყოველივეს შიშს ვარკვეული ისტორიული აუცილებლობა. ასეთი ისტორიული აუცილებლობის შედეგია ყველა ღიდი მხატვრული ქინძღება, რომელიც იმდენად ღრმად არის აღმუშავებული ყოველმხრივი სისახლით, რომ ტრადიციაში გადასვლის შემდეგაც ინარჩუნებს თავის ნოვატორულ პუნქტს, როგორც მხარადიულსა და უკვდავ ფენომენს.

ყოველგვარ ნოვატორულს მისი წარმოშობისთანავე თან დაჰყვება ხოლმე ორი ისტორიული პერსპექტივა: იგი ან, თანდათანობით მომძლავრებისა და განვითარების შესაბამისად, შემდგომში თვით იქცევა ტრადიციად ან, როგორც მიუღებელი და ისტორიულად გაუმატრთლებელი, დაიწყებას ეძლევა.

პირველ შემთხვევაში საკმე გვაქვს კეშმარიტ მხატვრულ მოვლენასთან, ცხოვრების არა მხოლოდ ახლებურ პოეტურ გააზრებასთან, არამედ ასევე ახლებურ პოეტურ ანტიყვეულებასთან.

ნოვატორობაც, როგორც ეპოქის ნიშნული ვარკვეული მხატვრული ტენდენცია იბადება, ვითარდება, მკვიდრდება წინააღმდეგობებთან ბრძოლაში, ამ წინააღმდეგობათა ვადალახებაში, საპირისპირო მოვლენათა დაძლევაში. ეს მისი დახვეწის, „უნიფიციაციების“ პროცესია, რომელიც ვარკვეულ დროს მოითხოვს.

აქედით ჩვენი საუბრის ოცინი წლები და გავიპროთ, თუ როგორ იბადებოდა, მკვიდრდებოდა, ვითარდებოდა და იხვეწებოდა ამ პერიოდში თანამედროვე ქართული ლირიკის ახლებური, ნოვატორული ხასიათი.

როგორც ცნობილია, ამ დროს რამდენიმე ლიტერატურული მიმდინარეობა, ჭგუფი თუ

სკოლა არსებობდა და ბევრი მათგანი სწორედ ნოვატორობის პრეტენზიებით გამოდიოდა.

ამ პერიოდის პროლეტარულ პოეზიაში ვარკვეულია, ნოვატორობის ყველაზე მეტ პრეტენზია ჰქონდა, რადგან იგი უშუალოდ იყო დაყვანილებული ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის იდეებთან, მის პოლიტიკურ მოთხოვნებებსა და ამოცანებთან. და ამ მხრივ მან კიდევაც ვაელო ღრმა კვალი იმ დროის მხატვრულ აზროვნებაში. მაგრამ, ცალკეულ გამონაკლისთა ვარდა, მისი ნოვატორობა ცალმხრივი იყო, რადგან მოშველი იდეოლოგიის გზას ვაყვია. ამ პერიოდის ბევრ შემოქმედს შეეყარა უქურნებულ სენი — რიტორიკა და ნატურალიზმი, შებლონი და ეპიგონონობა, ზერებლობა და მიშველი დეკლარაციულობა. პროლეტარული პოეზიის, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა სკოლის, ბევრი წარმომადგენელი ძლიერ ცოდავდა იმით, რომ ცდილობდა უქვევლო 910-ანი წლები. ქართული ლირიკის მიღწევები ვერსიფიკაციის კარგში, არ ვაეზიარებინა ის, რაც ამ მხრივ გუბამბეშა: გრიშაშვილმა, ა. აბაშელმა, ს. შანშიაშვილმა, ასევე „ცისფერყანწვლებმა“ ვაეაეთეს. ბევრმა პროლეტარულმა პოეტმა აუარა გვერდი ამ მეტად თვალსაჩინო და მდიდარ მონამოვარს და უშუალოდ დაუყვარდა 900-ანი წლების იდეურად თავის მონათესავე, ცნობილ „დემოკრატულ სკოლას“. ამ სკოლას მიღწევათა გამოყენება დიხაც რომ საჭირო იყო, მაგრამ მხატვრული აზროვნების ამ განვლილი ეტაპის ტრადიციათა აბსოლუტიზება და დამირისმბრება ქართული ლექსის მოდერნიზების მდიდარი პროცესისადმი შეეცდომი იყო.

„პროტესტს სოციალიზმით დასჯის წინააღმდეგ — აღნიშნულა მ. გერნეტის წერილში, — არასდროს და არასდროს არ მიუღწევია ისეთ საშინელ ძალადგ, როგორც უკანასკნელ დროს ჩვენთან, რუსეთში. გასული წლის ოქტომბრის თვიდან დაწყებული, არ გასულა დღე, რომ მკვლელობის ინსტიტუტის და მის მომხრეთა სახეში არ ყოფილიყო ნასროლი სირცხვილის საყვდურები და მძიმე ბრალდებები. უზარმაზარი ქვეყნის მცხოვრებელ შეერთდა ერთიან ტალღად და გაჰყვარეს „ძირს სოციალიზმით დასჯა“ ერთნაირი ძალით ამოხეთქა ამ ზმამ: მუშის, გლეხის, მოსწავლე ახალგაზრდობის, ექიმის, მასწავლებლის, ადვოკატის, მღვდლის, ერობის წარმომადგენლის, შწერლის, ტყინიგზის მოსამსახურის გულის სიღრმეიდან... შრავლიტისკანონი ყავიბები, კობობრადები და კრებები თითქმის და წინასწარ შემუშავებული გეგმით, რუსეთის მდგომარეობაზე და თავის გაჭირვებაზე მსჯელობის დროს, აუცილებლად სთვლდნენ განცხადებინათ მთავრობისათვის გადაწვეტილი მოთხოვნის ფორმით ან შუამდგომლობის სახით, რომ განსაუკუთრებული ზიხლით არიან გამსჭვალელი სოციალიზმით დასჯისა-

1 ნ. ს. ტაგანცევი „Смертная казнь“. 1913 წელი, გვ. 142.

2 სიტყვა „განიყოფიება“ უნდა იქნეს გაგებული იმ შინაარსით, რომ დანაშაულის შეტყულების მიხედვით არ შეიძლება სასჯელის დიფერენცირება და ყველა ერთნაირად ისჯება — ვ. ვ.

3 ტურნ. «Вестник Европы» 1906 წელი, ნოემბერი, გვ. 3-20.

1 1905 წლის ოქტომბრიდან. ვ. ვ.

დმი და სთელიან აუცილებლად მის მთლიან და დაუყოვნებლივ გაუქმებას¹.

1905 წლის დეკემბრის და მომდევნო თვეების დახურვების და განსაკუთრებით ლეიტენანტ შვიდტის და შაი ზღვის ფლოტის აჯანყებულ მეზღვაურთა დიდი ჯგუფების გასამართლების შემდეგ, თავისუფალი გამოსვლები, შიტირებები და მანიფესტაციებები, თუმცა მთავრობამ აკრძალა, მაგრამ, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ხალხის მასობრივი გამოსვლები ვერ შეაჩერა. კრებულს დართული აქვს სხვადასხვა საზოგადოებების, კორპორაციების, ერთი პროფესიისა და საქმიანობის აღმანიშნების, „მწერალთა კავშირის“ პეტერბურგის ჯგუფის, „გლეხთა კავშირის“, „ფარმაცევტთა კავშირის“, „საეჭირო ფლოტის მეზღვაურების“, „იალტის და ალუპკის მოქალაქეთა“, პაროგოვის ექიმთა საზოგადოების, სამშულო ფსიქიატრთა კავის ყრილობის, მოსკოვის ხმოსნების ჯგუფის, მოსკოვის კავშირების დელეგატთა კრების, მოსკოვ-იაროსლავკ-არხანგელსკის რკინიგზის მეშა-მოსამსახურეთა კრების, მოსკოვის ქალაქის მოსამსახურეთა, პეტერბურგის მეშვების, სასულიერო აკადემიის სტუდენტთა, სამშენებლო კურსების კურსანტთა, „სახალხო თავისუფლების“ პარტიის მოსკოვის კომიტეტის, ქირურგიული საზოგადოების, კრიმინალისტთა საერთაშორისო საზოგადოების რუსული ჯგუფის ყრილობის, ადვოკატთა II ყრილობის (ყრილობა გაიმართა მოსკოვში).² რუსეთის სხვადასხვა ქალაქის შრაველი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადვოკატობრივი თვითმმართველობის კრებების, პროცესტები, დეპეშები, მოთხოვნები, შეამჯავრობებები და სხვა სახის აღშფოთებისა თუ თხოვნის გამოშვებული დოკუმენტები, რომლებიც სისტემატურად ეგზავნებოდა მეფეს, მინისტრებს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს.

თუ რა მდგომარეობა შეიქმნა სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის გამო სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს სესიებზე (1906-1907 წლებში), ამის შესახებ უკვე ვეკონდა ლაპარაკი. გავარკვეთ, რომ აღნიშნული კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოს 1907 წლის სესიაზე არა თუ მიღებული, ფაქტურად განხილულიც კი არ ყოფილა, მის შესახებ დებუტატებს საერთო კრებაზე არ უშ-

სველიათ. კანონპროექტი არც შემდგომში ყოფილა მიღებული, მაგრამ რუსეთის ხალხს სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ მართლა არ შეუწყვეტია. **განხილვისას**

1908 წლის ზაფხულში საზოგადოებაში გავრცელდა მოწოდება რუსეთში „სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის“ შექმნის შესახებ. ლიგის შექმნა განსაზღვრული იყო ლ. ნ. ტოლსტოის იუბილესათვის. იგი უნდა შექმნილიყო დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ანალოგიური ორგანიზაციის მსგავსად. „ჩვენ მოწოდებით მივმართეთ ყველა რუს მოქალაქე მამაკაცსა და ქალს, — აღნიშნული იყო მოწოდებაში, — მათი რელიგიური და პოლიტიკური რწმენას, საზოგადოებრივი მდგომარეობასა და განათლების ხარისხის მიუხედავად, მიმართონ თავიანთი ზნეობრივი ძალა და გავლენა ჩვენი დღეების საშინელების — სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საბრძოლველად... გამოთქვით პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ! თქვენს ოჯახში, მეგობრულ და საქმიან წრეში, იმ საზოგადოებაში, სადაც შეშაობა გხდებათ, სავალდებულო ამბიონებთან, მასწავლებლის კათედრიდან, ბეჭდვით ორგანოებში, სიტყვით, ყველა თქვენთვის მისაწვდომი საშუალებებით — გამოთქვით პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ!“.

1909 წლის მარტში პეტერბურგის და შემდეგ მოსკოვის განსაკუთრებულმა საკრებულოებმა ზმის უმრავლესობით თანხმობა არ განაცხადეს „ლიგის“ ოფიციალურად ცნობასა და რეგისტრაციაზე. მიღებული გადაწყვეტილება ემყარებოდა მოტივებს, რომლებსაც არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა და აშკარად ტენდენციური იყო. ორგანიზაციის, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობის მიზნად დაისახეს არსებული კანონწესების წინააღმდეგ ბრძოლა, — მითითებულა განსაკუთრებული საკრებულოს გადაწყვეტილებაზე, რა გზითაც არ უნდა მიმდინარეობდეს ეს ბრძოლა, არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვაინარადა, თუ არა როგორც საზოგადოებრივი სინაშეილება და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული და მისი მიზნების კანონსაწინააღმდეგობისა.²

1 ნ. ს. ტრავანევი, „სიკვდილით დასჯა“, პეტერბურგი, 1913 წელი, გვ. 1.

2 ეს ამონაწერი და ამ საკითხის ირგვლივ მასალები აღებულია ტრავანევის უკვე დასახელებულ შრომიდან, გვ. III. „ლიგა“ არა საერთოდ კანონების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებდა, არამედ მხოლოდ ერთი კანონის წინააღმდეგ და სასჯელთა დებულების 1035 მუხლის ასეთ მოქმედების დანაშაულად არ მიიჩნეოდა — ვ. ე.

¹ 1905 წ. ოქტომბრიდან გვ. 231.
² ამ ყრილობას ესწრებოდა ჩვენი თანამემამულე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელმაც ყრილობის დელეგატებს მოუწოდა თვითმპრობულობის წინააღმდეგ ბრძოლისავე, რის გამოც მასუსსიგებაშიც იყო მიცემული. დაწერილებით იხ. ე. ევანია, „ქართული იურისტები“, გამომც. ხელოვნება, 1962 წ.

სწორედ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა კანონის ძირითად საწყისებს და იმ ნიჭიერ ფულბებს, რაც მოცემული იყო 17 იქტომბრის მინიფისტროს, მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის თავისი გაქონდა და ლევის დაშვების უპირობოდ ფაქტობრივად ხელფები შეუბოკა შემდგომში სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის ვატანს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ 1917 წლამდე, იქტომბრის რევოლუციამ კი თავისთავად გააუქმა რუსეთის იმპერიის მოქმედი კანონმდებლობის პოლიტიკური შინაარსი. სიტყვა გაგვიჩვენდა, მაგრამ იმის საიდუმლოა ცნობილი, რომ შემდეგ პერიოდშიც არ დამცხარა რუსეთის მოწინავე საზოგადოების ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, დეკანალებით 1913 წელს გამოცემულ ორ კაბიტალურ ნაშრომს: ტაგანცევის უკვე ნახსენებ სტატიებს კრებულს და მ. ნ. გერნეტის კაბიტალურ მონოგრაფიას სათაურით: „სიკვდილით დასჯა“. რომელშიც განზოგადებულია იმ დრომდე ამ საკითხის ირგვლივ შეგროვილი ყველა მასალა, როგორც რუსეთის, ისე ევროპის და ამერიკის მეცნიერებებისა და კვლავ ვარკვევით ნათქვამია, რომ სიკვდილით დასჯის კანონი აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

სიკვდილით დასჯის კანონის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ეს მოკლე მიმოხილვა ზერმოღვევას იძლევა მისი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე და მთელ ისტორიაზე, იმ პირობებზე, რომელთა არსებობის დროსაც ილიას მოუხდა ამ საქმეში ოფიციალურად ჩაბმვა. თავისთავად ცხადია, რომ ილიას სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ ბრძოლა საკითხში ყოველთვის ვარკვეული, თანმიმდევრული მტკიცე პოზიცია ეჭირა და ბრძოლაში უკან არასდროს დაუხევიდა, მაგრამ, აქვე ვარკვევით უნდა ითქვას, რომ იგი აუცილებლობის წინაშე არ დამდგარა რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რამე პირადი ინიციატივა გამოჩინა, რადგან საკითხი შემზადებული იყო. სახელმწიფო საბჭოს წევრად მის არჩევამდე.

ერთადერთი, რაც აუცილებელი და შესაძლებელი იყო, ის არის, რომ ილია აქტიურად

უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში. მან ეს უწყობა ნოდ შეასრულა კიდევ.

ის ფაქტი, რომ ილიამ აკადემიური წოდების დაკლებით, დაიწყო მზადება სახელმწიფო საბჭოს სესიაზე სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის დასაცავად, სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო. უკრადლება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მომენტზე, რომლებიც ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ირგვლივ სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

პირველი და მთავარი, რამაც ილია სახელმწიფო საბჭოს აკადემიურ წოდებას დაუკარგა, იყო სიკვდილით კანონისადმი დამოკლებულების საკითხში იდეური ერთიანობა და ბოლომდე თანმიმდევრული, პრინციპული დამოკლებულება.

რუსეთის წინამძღივში, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამბულ მეცნიერთა, ძირითადი ნაწილი, რომლებსაც 1906-1907 წლებში სახელმწიფო სათათბიროში თუ სახელმწიფო საბჭოში მოუხდათ მოღვაწეობა, იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ პერიოდის სტუდენტები, რომელსაც იქ ილია სწავლობდა.

მაგალითად, ნ. ს. ტაგანცევი ილიას თანაქრსელი იყო, სხვები კი, თუ თანაქრსელი არა, ყოველ შემთხვევაში, მისგან ერთი ან ორი კერსით იყვნენ დაშორებულნი, და ილიას ყველანი იცნობდნენ. ბანკის საქმეებზე პეტერბურგში ხშირი მოგზაურობა და ხანგაბილი დროს განმავლობაში იქ ცხოვრება, საფუძვლად იძლევა ვიმსჯელოთ ილიას ამ პირებთან შემდგომ შეხვედრებზე, რაც ერთგვარი ზიდი იყო ერთი მისწრაფებებით გამსჭვალული ადამიანების სახელმწიფო საბჭოში დასახლებულად და ცალკე დასაჯულებულად, იქ გაჩაღებულ ბრძოლაში ერთიანობის მისაღწევად.

საკითხების კომპლექსში, რომლებიც მრავლად წამოიჭრება სადავო დებულებების ირგვლივ, ისმის ერთი ასეთი საკითხი: სახელმწიფო საბჭოს აკადემიურ წოდების ილიას რატომ დაეკარგა სესიაზე მოხსენების გაკეთება და სხვას არა, თუვიინდ იგივე ტაგანცევი, რომელიც ამისათვის შზად იყო წინა წლის გამოსვლიდან. სწორედ ეს მომენტი ხომ არ არის განმარტავრელი მტკიცებისა რომ ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში აღნიშნული საკითხის დასმისა ილია უოფილა?! ჩვენ ამის შესახებ სხვა კუთხით აღრვევ გვეკონდა მსჯელობა და ვაუარკვევთ, რომ საკითხის დასმის ინიციატორი არ შეიძლება ილია ყოფილიყო. რაც შეეხება საკითხის მეორე მხარეს, ჩვენი აზრით, იგი შედეგნაირად

1 მ. ნ. გერნეტი, «Смертная казнь». 1913 წ. მოსკოვი. მონოგრაფია შეიცავს თავებს: 1. სიკვდილით დასჯა და საზოგადოებრივი აზრი. 2. კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის შესახებ. 3. სიკვდილით დასჯის სტატისტიკა. 4. სიკვდილით დასჯის სახეობანი. 5. სიკვდილით დასჯის შეფასება.

1 მ. ნ. გერნეტი, «Смертная казнь». 1913 წ. მოსკოვი, გვ. 245.

უნდა აიხსნას: ტავანტევი ოთხი ათეული წელი საქონლისმდებლო კომისიებში შემოაბნინა დროს, თავის ლექციებში, საჯარო გამოხატვებში, უკანასკნელად კი სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის სესიაზე თავგამოდებით იცავდა საკვდილო დასჯის კანონის მოლიანად გაუქმების აზრს. იგი ყოველთვის გამოდიოდა რუს მეცნიერთა სახელით და იმ წრის თუ ფენის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საყოველთაოდ ცნობილი იყო. ტავანტევის სიტყვას საზოგადოება, მისი მტერი თუ მოყვარე, მომხრე და მოწინააღმდეგე მიგნავდა, იგი უკვე ერთფეროვნად ეღრზა და აუცილებელი იყო ახალი პიროვნება, სხვა ფენის წარმომადგენელი, რომელიც შეავსებდა, ახლებერად წარმოადგენდა საკითხს და ამით ერთგვარ გამოცოცხლებასაც შეიტანდა საქონლისმდებლო ორგანოში. ამ შემთხვევაში, ილიას პიროვნება სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენილი იქნებოდა მისი ფორმალური ნიშნით, როგორც მაღალი წოდების — თავდაზნაურობის წარმომადგენელი და ძირითადად უპირისპირდებოდა იგივე წოდების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საკითხის განხილვას საწინააღმდეგო პოზიციებზე უღვებოდნენ. ილიას პიროვნებით ერთგვარი გათიშვის შეტანაც კი შეიძლებოდა რეაქციულ და ოპორტიუნისტურ ძალებში და მართაც თავდაზნაურობისა კი არა, საფინანსო და სამხრეველო კაპიტალის წარმომადგენლებშიც, რომელთა უმრავლესობა ასევე საწინააღმდეგო პოზიციებზე იყო. სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის სესიაზე შინაგანაწესის საკითხზე ილიას გამოხვლამ ეს გათიშვა თავისთავად ცხადყო და სწორედ ამის შედეგი იყო, შესაძენი სახელმწიფო სათათბიროში შეერაზმული „რუსი ხალხის კავშირის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მარკოვა და ასევე რეაქციონერმა შემამულემ კრუპენსკიმ სიტყვებით რომ მოიხსენიეს იმ დროს უკვე განსვენებული ილია, რომელმაც, მათი სიტყვით, „მთელი თავდაზნაურობა შეარცხვინა“ და თანახმანი არიან წერაკითხვის უტოლნარ გუნერლებს ორბელიანსა და მუხრანსკის დამპყრობს მხარი, ოღონდ ისინი ილიასავით მათი ინტერესების წინააღმდეგ არ წაივდნენ“. ამევე

1 მ. ბოლქვაძე, ჟურ. „განათლება“, 1908 წ. № 3-4, გვ. 108-109.

დროს ილია სიტყვებს სახელმწიფო საბჭოში კავშირის ხალხის სახელით იტყობდა რეაქციონერი ახალი მხარდაჭერა ჩვენებოდა სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტისათვის.

პ. ინგოროყვას გამოთქმული აქვს აზრი, რომ ილიას „სიტყვის სრული დედანი დღემდე აღმოჩენილი არაა. ამასთან ირკვევა, რომ ამ სიტყვის დაბეჭდვა, მისი წარმოთქმის შემდეგ მთავრობას აუკრძალავს“. ჩვენ უკვე გავარკვევით, რომ სახელმწიფო საბჭოში აღნიშნული სიტყვა წარმოთქმული არ ყოფილა და, ამრიგად, მისი სტენოგრაფირება და ანგარიშებში ან პერიოდულ პრესაში გამოქვეყნება არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ის, რომ ილია მოხსენებისათვის სერიოზულად ემზადებოდა, უდავოა: ჟერ ერთი — მაღაცა ბოლქვაძის მოგონების მიხედვით და, მეორე — ილიას მიერ შედგენილი მოხსენების თეზისებით. რაც შეეხება პირველს — წერილობითი მოხსენების მომზადებას, იმ პირობებში, როდესაც დღემდე მისი კვალი მიგნებული არ არის, ვარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება. ვარდა ბოლქვაძის მოგონებისა, რომელიც ამ საკითხს მეტად ძენწი ფრახით — „მოხსენება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მან შეადგინა“ — ამოაგრებს, ჩვენ არაფერი მოგვეპოვება. ამის შესახებ არაფრის ამბობენ წარმებში, სიტყვებში და მოგონებებში კოვალევსკი, ტავანტევი, გერენტი და მალინოვსკი. ამის შესახებ, თვით ილია კავკავიძეს, პეტროგრადიდან დაბრუნების შემდეგ, საზოგადოებისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. ამ პირობებში მეცნიერები ფართო მსჯელობის საშუალებას მოკლებულნი არიან. იმას კი, შემდგომი კვლევაძიება რას მოიტანს, მომავალი გვიჩვენებს.

1 ტავანტევის თავის ნაშრომში ციტირებული აქვს პროფ. მალინოვსკის მიერ გამოყენებული ო. თ. გურამიშვილ-კავკავიძის წერილი კავკავიის მეფისნაცვლისადმი, რომელშიც იგი თხოულობს ილიას მკვლელებს სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ სხვა სასჯელის ზომით (ტავანტევის დასახელებული შრომის გვ. 169).

თავისუფლების მოძრაობა

თედო რაზიკაშვილი ვაჟის უმცროსი ძმა იყო. იგი დაბადებულა 1869 წლის მკათათვეში (ივლისში), ხოლო ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის 1869 წლის წიგნში წერია: „მოთავარ დიაკონს პაულე რაზიკაშვილის და მის მეუღლეს ბარბარეს (გულქანს) ეყოლათ ვაჟი თედორე — დაიბადა 1-ლ ნოემბერს და მოინათლა მ-სათ“. ამ საბუთის თანახმად თედო დაბადებულა 1869 წლის 13 ნოემბერს (ახალი სტილით).

ცეცხი წლის თედომ ჩარგლის სკოლაში დაიწყო სიარული. ქართული წერა-კითხვა ძმამ ნიკომ (ბაჩანაძე) შეასწავლა. იმ დროისათვის ჩარგლის სკოლა, მისი კარმიდამო კარგად მოწყობილი ყოფილა, რის შესახებაც სათანადო ცნობებს გვაწვდის ვახუთი „დროება“. თედო უადრესად ნიჭიერი შევირდი გამოდგა: „ორ კვირის გასაყრთებელს წინდაწინვე ზეპირად ვსწავლობდით მე და ჩემი ამხანაგი კარატელიო“ — ამბობს თედო. მაგრამ მაშინდელი სკოლა ვერ აკმაყოფილებდა თედოს მეოცნებე სულს. „ლოცვებსაც კი არ ვგასწავლიდნენ ქართულად — ვადმოგვეცემს თედო — თუ როგორ გვიხსნიდნენ რუსულს, ერთს მაგალითს მოვიყვან. „როდნოე სლოგოშია“ ერთი მოთხრობა „უშვი აბაქლო“, მასწავლებელმა აიკისხნა: „მოთმინება კი სიჭონელია“. ახლა მე ვგაქრობდი ხოლმე „უშვი“ — მოთმინება იჭნება და „ობოცდათ“ — კითხ. ე საქონელია როგორღაა რუსულადო. ვიმტერეველი თავსა. მასწავლებელს როგორღა ვკითხავდი, ეს კრიტიკა გამომხეიდოდა და კარგად მივითყებებოდა“.

ჩარგლის სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტა გამოუწვევია რუსი მასწავლებლის (ანისიმოვის) დანიშვნას, ვინაიდან ფშველებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ ქართული ენის უტოლინაობის მასწავლებლისათვის და სკოლაში ბავშვები არ ვაუცხადებიათ.

სკოლის გარეთ დარჩენილ 9-10 წლის თედოს

მამა ავალეს საქართველოს ისტორიის გადაწერას. თედომ გულმოდგინედ შეასრულა დავალება, გახარებული მამა თურმე ყველას უჩვენებდა ვადწერილს და თან ეუბნებოდა: „ეს ჩემმა თედორემ ვადწერათ“.

თედომ თვითგანვითარებას მოჰკიდა ხელი, ხოლო 1882 წელს ბედმა იმით ვადიმა, რომ მასწავლებლად დანიშნულმა ლუკამ (ძმამ) თან წაიყვანა ტოლანთოფელში და ერთი წლი-განმავლობაში ამხადებდა სემინარიაში შესასვლელად. „ეს წელიწადი ჩემთვის ნაყოფიერი იყო... მთელი ღამეები წიგნის კითხვას ვუწვდებოდი, წინათაც ბევრი მჭონდა წაიხუთული ქართული წიგნები... ჩემს ძმას ვახუთებიც მოსდითოდა და ამან ხომ სულ ვადამრია: როგორც მწყურვალე წყალსა, ისე დავეწაფე წიგნებს და ვახუთებს“ — იგონებს თედო.

ბაჩანა ვორის საისტრო სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხეს. მამამ ბაჩანას თედოც ვაყოლა გორში სასწავლებლად. უჭირდათ ძმებს გორში ცხოვრება, ერთმანეთის ვამონაცელო ტანსაცმლით მიდიოდნენ იოლად... თედო ჭირით იღვა კერპო ბინაში და ისე სწავლობდა. „სახლის პატრონს თემანს ვაძლევი თეში და ტანისამოსისათვის ფული აღარა მჭონდა, მთელი ზამთარი დავლექილი ჩუსტებით და საზაფხულო ჩითის ბლუზით დავიარებოდა... დამწყებინა ციება... ჩემი ძმა (ბაჩანა) თავის სახელზედ ართმევდა სემინარიის აფთიაქიდან წამლებს და იმას მასმევდა. ჩემი ძმის ამხანაგმა კახარლანსკიმ (თათარმა) ერთი სიძველით ვამწყებინებელი პალტო მარჩქა... უაქველია, თავიდან ფეხებამდე მწყანე პალტოსძველაში ვახვეული, სასაცილო რომ ეიქნებოდი, მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა...“ ეს პალტო შემდეგ ბაჩანას ნაჩუქარიმა პალტომ შეეცალა. „მე, ძმამ, სახამთრო ბლუზითაც კარგად ვამოვალ იოლსაო და თავისი ჭერ ჩაუცმელი პალტო მე

გადმოიხვეჭა. მიმიღეს კიდევ სახელმწიფო ხარზედ (1885 წ. 28 ავგისტოდან, ა. გ., ნიკოს (ბაჩანას) მოცემული პალტო ახლა მე ჩემს ძმობილს შიოს (მღვიმელს) გადავეულოცა. არც ის იყო ზემზე ვაი დღემე“.

ეს ამონაწერი მიუთითებს იმაზეც, თუ რა გულთადად ძმობა ჰქონდათ რაზიკაშვილებს, რაც ბოლომდე გაჰყვათ. ვაკისხენით ერთი ადგილი ვაგას თედოსაღმი მიწერილი წერილიდან: „ვეღარ მომიხდა მინდ ამოვლა... ნუ მიწყენთ და ნერვ დამემდურებით თქვენ გენაცუალოსთ ჩემი ჩამობღღეძილი თავ-პირი, ისე გენაცუალონით, რომ სუ ნაბუერი ჩამომდიოდესო“.

კოდნის მოწვევებელი ახალგაზრდა მთელი გულმოდგინებით დაეწაფა სწავლას სემინარიაში და ისე დაწინაურდა, რომ 1889 წელს იგი ფრიადებზე დაამთავრა, მაგრამ მასწავლებლად დანიშნაზე უარი უთხრეს. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ინსპექტორმა დაარსებულმა გვარი დაუწუნა ვაგასა და ბაჩანას ძმას: „ერთ წელიწადს უადგილოდ დავტყობ, რადგან დარსნი, რა ვათავებდით (სემინარიის, ა. გ.) მაშინვე გამოაძეხად, შენ ადგილს ვერ მოგვემთ, თქვენ ისეთი გვარისა ხართო“.

თედო რაზიკაშვილი 1890 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მასწავლებლად დანიშნა ანასტასია თემანიშვილის თაოსნობით დაარსებულ ხელთუბნის სკოლაში. თედომ საქმეს ხელი ეწერაგულად მოჰკიდა და ხალხში მალე მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოწინავე იდეებისა და პირადი თვისებების წყალობით. ეს პატივისცემა დღითიდღე იზრდებოდა, რაც იწვევდა თეთმპყრობელობის მოხელეთა აღშფოთებას. თედო ხელთუბნის სკოლაში 15 წელიწადს იღწყოდა როგორც პედაგოგი და ხალხის ქომაგი, რომელსაც ყოველ ფეხის ვადადგამაზე უხდებოდა ბრძოლა თეთმპყრობელობის მოხელეებთან, და სხვა დევრიდირებულ ელემენტებთან. სოფლის ბოროლები აღმაცერად უუერებდნენ მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ და დროს ეუბნდნენ, თავიდან მოეშორებინათ იგი.

თედო კი თავს დასტრიალებდა ხელთუბნის სკოლას, მის კარმიდამოს, შევირდებს... სკოლა ეზო მოვლული ჰქონდა. თედომ შევირდებზე ჩააბა საქმიანობაში. ჯერ კარგად გაქმინდა სკოლის ეზო, შენობა, შერე ვადაბარა. ვაზაფხელზე ნიკო ლომოურის დახმარებით ნაშოვნი ხილის ნერჯი ჩაყარა. სკოლის კარმიდამო ხეხილით გაეწყო. ვლუხებშიც მიზაქას მის შვაგლითს და ხელთუბნი ხეხილით დაიჭარა. 1948 წელს ხელთუბნელი მოხელე ქალი, რომელიც ამბილიში ცხოვრობდა და პირადად იცნობდა მწერალს, დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ახსენიებდა თედოს: „ჩვენს ხალხს იმ ცხოვრებულმა ასწავლა ხეხილის მყნობა და მოშენებაო. ღეთისშეილი იყო, ვანა კაციო“.

თედოს უჭირდა ცხოვრება. თავის ხელფასიდან უმცროს ძმას 10 მანეთს უხდებოდა და იმდენი ფული აღარ რჩებოდა, რაღაცაზე გააოქროდა. თედო იაკობ მანსუკეტაშვილს ერთ წერაღმი სწერს ვადასცეს „ივერიის“ რედაქციას მისი თხოვნა: „იქნებ თავადმა ილიამ უარი არ ბრძანოს და ერთი ცალი თავის პატივემულ ვახუთისა მიგზავნოს ჩემს სახლობაზე...“, რასაც მასალებში მოწოდებით ავანზღუდებო.

მოსწავლეებს და მშობლებს უუვარდათ გულისხმიერი და მათთვის თავდადებული მასწავლებელი. თედომ ყველას გაკორევა და დაღობება იყოდა. ასწავლიდა სამურნეო საქმესაც. თან ავალებდა თავის ეზოშიც ვაგვენებინათ ზეხილი. ძალიან შეუყვარდა იქაური ხალხი. ბოლოს დაოყახდა: თინათინ იშხანაშვილი ვადას მისი მეუღლე... თედო ქირში და ლინში ხალხთან იყო. ყურს უდგებდა მათს ბაასს. ქალაღზე ვადაჰქონდა მათი ზეპირსიტყვიერება...
ეროვნულ-გამათავისუნებელი მოძრაობის იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა მამულაშვილი აქტიურად ჩაება თეთმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ მოძრაობაში. გორში რევოლუციური ინტელიგენცია იყრიდა თავს. მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო მოწინავე რევოლუციონერ-პრომაჯანდისტებისათვის და თავისი მეცადინეობით ხელს უწყობდა მსგებში რევოლუციური იდეების გავრცელებას.

რაც მეფის დამჯაშებს არ დაჩაათ შეუწინავე და ვადაწვიტეს მკაცრად დაესაქათ იგი. 1905 წელს ხელთუბნის სკოლა დახურეს, ხოლო მის მასწავლებელს თედოს რევოლუციური მოღწეობისათვის 13 წლით ვადასაბლება მიესაქეს. რუსეთის შორეულ ვუბერანაში. ციმბირისაკენ მიმავალი თედო მეფის თეთმპყრობელობის ვადასარჩენად გამოსულმა მანიფესტმა ვზიდან დააბრუნა. თედო კვლავ რევოლუციონერთა რიგებს შეუერთდა. დამსჯელი რაზმები კი ცოფინებებზე დაძრწოდნენ. თედო რომ ხელში ჯერ ჩაიგდეს, 1906 წლის იანვარში სახლ-კარი ზარბაზნებით დაუნგრეს და შემდეგ ცეცხლი წიფკიდეს. დამწერის სუნი დიდხანს იდგა ხელთუბანში. მოუღსნით თედოს: „სახლ-კარი დამსტერეს, ზარბაზნებით და შერე დაწვეს, ვითომ ამით ამოფხტერს ჩემში მთავრობისაღმი მრავალწლობით გულში ჩამარტული მტლუარება და ზიზღი“.

1909 წელს თედომ დანგრეული სახლ-კარი აღადგინა ხელთუბანში, მაგრამ მასწავლებლობა ვეღარ დაუბრუნდა. ამის მოშლდე იგი კვლავ გორის ინტელიგენციის მოწინავეთა რიგებშია. ცხოვრების შუაფელში ტრიალებს. არცერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი არ წყდება მისი მონაწილეობის გარეშე. მისდამი პატივისცემა უფრო მატრლობს.

გორის ინტელიგენცია თავის დეპუტატად ირ-

ჩვენ მას ისეთი გამოჩენილი ადამიანების საიუ-
ბილო დღესასწაულზე მონაწილეობის მისა-
ღებლად, როგორც იყვნენ ა. წერეთელი, ნატო
ვახუშტა, ვ. ვახაშვილი და სხვ. თითო თედო
სისარულით მონაწილეობდა ერის მომადგამო
დაფასებამი.

თედოს დიდად მოსიყვარულე ვული ჰქონდა-
სიციცხლეს ერჩინა ძმები. მისმა უმცროსმა
ძმამ სანდრომ მისი დახმარებით დაამთავრა ს-
წავალბელი, ხოლო ვეჟასა და ბანანას შეი-
ღებს თავს ევლებოდა და პატრონობდა. მარ-
თალია, ძმები 1891 წლიდან დედამისის სიციცხ-
ლის შემდეგ, ოფიციალურად გაიყარნენ, მაკ-
რამ წმინდად შეინახეს ერთმანეთის ძმობა და
საყვარული. ხშირად იყრიებოდნენ ჩარგალში
ვარში, უფრო კი თბილისში. მათი შეხვედრა
დაღსასწაული იყო: ზუმრობდნენ, ბასობდნენ
ერთმანეთს დასციროდნენ, პაექრობდნენ, კაფი-
აობდნენ... თედო დიდად იყო, ამასთან მეტად
გულეითი მასპინძელი. ხშირად ვეპატრონობდა
ძმებს ხელთუბანში, მარტო ვეჟასათვის მეტად
კადავდებულ ჰქონდა ორმოცუთაობის ქვეყარ-
რომელსაც ვეჟას სამატივეცემლოდ მოხვდდა
ხოლმე. ერთხელ დაპატრონებულმა ვეჟამ წასელა-
ვერ მოაბერხა და წერით მოაბოდიშა; თედო
პასუხად სწერდა: „მთა ვეჟა! შორიდან მოკო-
ხდისათვის ძალიან ვმადლობთ, მაგრამ თქვენს
პარიდან რომ ჩემი ყურათ გავიკონებდე უფრო
კარგი იქნებოდა. რა არ დაგპატრონო, არ
უნდა ამოხვიდე? შეაფრთხეთ ეშმაკსა დ-
დავხვდეთ, ერთი ქართული დაეკანონოთ!“

თედოს ძალიან უხაროდა ძმების წარმატებ-
მათი ნაწარმოებები ზეპირად იცოდა, უძღვნიდა
ლექსებს.

თედო რახიკაშვილის ცხოვრება და მოღვა-
წეობა რთულ სოციალურ და პოლიტიკურ ვი-
თარებს დაემთხვა. თუმცა კაპიტალიზმი სწრაფი
ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ გლეხური შე-
ვრნიობად მკვიდრად იდგა. ქართველი ხალხის
სოციალურ ჩავვრას ეროვნული ჩავვრაც ემატე-
ბოდა. თვითმპყრობელობა შეგნებულად სთესა-
ვდა შოეინიზმის შხამს პატარა ერებს შორის.
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
ლიდერებთან ერთად, ცარიზმის წინააღმდეგ
ბრძოლაში ჩაებნენ ხალხისგები, რომელთაც
მზნად დაისახეს გლეხთა ამბოხება მეფის თვით-
მპყრობელობის წინააღმდეგ. ისე რომ, ეროვნ-
ულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ
ნაქაღს ვრწმომოდა მასების რევოლუციური გა-
მოფხიზლება. გააქტიურდა ბრესა. განმათავისუფ-
ლებელი მოძრაობის სათავეში კვლავ იდგნენ
უდიდესი ავტორიტეტები — ი. ჰეკავაძე, ა.
წერეთელი, გ. წერეთელი...

თერგდალულებთან ერთად ბრძოლაში ჩაებ-
ნენ ვეჟა ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი.
მავე ქურაზე გამოიჭედა თედო რახიკაშვილიც,

როგორც მწერალი და ეროვნული თავისუფლე-
ბისათვის დაუღალავი მებრძოლი.

თედო რახიკაშვილიმ მორიდებულ მწველი
მწერლობის კართ და ისიც მწირობდა ერთს სწ-
რეილათ: თავისი მოღვაწეობით სარგებლობა
მოეტანა სამშობლოსათვის.

თედოს ნაწარმოებები, ლექსი იქნება თუ
მოთხრობა, დიდი ადამიანური ვრწმობის ნაყუ-
რია. იგი ტოლიეთი ვსაუბრება მოზარდ თავბის
სამშობლოს სიყვარულზე, ჰუმანიზმზე, ადამი-
ანის ღირსების დაცეაზე, მორალურ სისებტაყე-
ზე და სხვ. ამიტომაც მისი ნაწარმოებები თუ
მის მიერ შეგროვილი ხალხური შემოქმედების
ნიმუშები თითქმის ვველა ქართულ ეტრნალ-
ვახუშტში იბეჭდებოდა („ივერია“, „ქველი“,
„ველი“, „ქველი საქართველოში“ და ა. შ.).
მის სიციცხლში ცალკე წიგნად მხოლოდ ერთი
მოთხრობა — „მურია“ გამოიცა, ხოლო 1909
წელს ორ წიგნად დაიბეჭდა მის მიერ შეგროვი-
ლი 194 ზღაპარი, (I წიგნში — ქართლში, II
წიგნში — კახეთსა და ფშაველაში შეგროვილი).
საბოლოო ზღოსუფლებების დამარცხების შემდეგ,
1925 წელს დაიბეჭდა მისი საბავშვო მოთხრო-
ბების კრებული, დაიბეჭდა 1947 წელსაც „ჩვენ
საუწყებო“ და „პატარა საუწყებო“ შეტანილია
მისი რამდენიმე მოთხრობა, ხოლო 1953 წელს
მის მიერ შეგროვილი ხალხური მასალების ერ-
თი ნაწილი „ხალხური სიტყვიერების“ III ტო-
მის სახით დაიბეჭდა — პროფ. მიხ. ჩიქოვანის
რედაქციით. მკითხველი კი ელოდება თ. რა-
ხიკაშვილის ნაწარმოებებისა და ხალხში შეკ-
რებილი მასალების გამომხვეურებას სრულ
კრებულის სახით, რამდენიმე ტომად. თედომ
სამწერლო სამარზეზე გამოსვლისთანავე მიიქ-
ცია უერადლება. მისი ნიქის, მისი პოეზიისა და
პროზის ნამდვილი და სწორი დამფასებელი
დიდი აჯაი აღმოჩნდა. აჯაი წერეთელი მოთ-
ხრობა „ფიორის“ შესახებ წერდა: „ამ არის გა-
მოხატული ჩვენი ქვეყანა... ეს არის ისტორია
ჩვენი ცხოვრებისა და იმავე დროს ენბარული
წინასწარმეტყველება მომავალზე“.

იაკობ გოგებაშვილმა მის მოთხრობებს თა-
ვის წიგნში მისცა ბინა, რაც ახალგაზრდა მწე-
რლის ნიქის საქვეყნოდ აღიარება იყო.

ნიკო ლომოური ხომ თავს ევლებოდა თავის
გაზრდის და კოლეგას. თედო თედო „ავტობი-
ოგრაფიაში“ ამბობს: „მოთხრობების წერა
სწორედ ნ. ლომოურმა დამაწყებინა და ძალიან
ნაც მხალისებდა და მიქებდა“. „ამაზედ მეტი
საკეთილო გავუნა არა მგონია კაცმა კაცზე
იჭონოს. ჩემი ველური ბუნება იმისმა ლეთი-
ურმა მოქცეეამ დაალობ და ვააპატონისა“.

მთავარი კი ფშაველი გატარებული წლები იყო.
თედო პეტრერ გარემოცვაში გაიზარდა. იქ
ეზიარა აზველთა ფრთხილი სიტყვის მომზიბ-
ლველობას. ფშავეის მდლარ ფოლკლორულ
ტრადიციას ემატებოდა ოქაბური გავუნა. მი-

სი დედა — ხალხური სატირალი პოეზიის ერთერთი ფერმდებელი პარასკევას ძმისწული — ბუნებით პოეტი იყო. „დედაჩემი მდიდარი ფარტახის პატრონი იყო, უბრალო რაზე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გაღმორკვევდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი“. — გაღმორკვევს თედო. იქნებ ტუთიღო არაა ნათქვამი ხალხის მიერ: უმა დედულეთათ გამოვა, ქალი ლამანი — გვართათო. „დიდი გულენა ჰქონდა დედაჩემს ჩემზედ. მე სულ იმასთან ვიჯავი 16-17 წლამდე“.

მათ ოჯახში იკრებებოდნენ განთქმული ფშაველი მოკალთავე-მოღუქსენი. ხალხური სატირის ბრწყინვალე ნიმუშებს ქმნიდნენ რაზიაშვილების; თანამედროვე, უფროსი თუ უმცროსი თათრის მოღუქსენები: ჩაბანი, მერცხალა, ფრუშკა, კარატიელი და სხვ. სულ 40-მდე კარგად ცნობილი მოღუქსე, რომელთა რეპერტუარის ნაწილი თედომ ჩაწერა და მივიწყებებს ვადაარჩინა. თვით რაზიაშვილების ოჯახში ხშირი იყო ლექსით ვადასება. ვადაჯევაბა. ძმებს შორის ფშაური კათეგორი მოცუქელობდნენ.

ოჯახური ვარემოს გაეღენას, რომელიც ბევრშობილანვე შეისისხლობრცა თედომ, ემატებოდა მეგობრების წახალისებაც. მწერალი ქალი განდევნილი (დომინიკა ერისთავი). ასე აქვზებდა: „შენც ბანი მივე ბაჩიდან, ძმებს აზოდექ მხარია“. „შენც ცამ დაგინიშა, მიწამ გამოგზარდა და ამიტომ ერს წინ უნდა წარუძღვეო“ — ილას სიტყვებით ჩაგვარებდა სემინარიელი ამხანაგი ნიკო ჩანაშია, რომელსაც თედო ძალიან უყვარდა.

თედოს კარგად ესმოდა მწერლის მოვალეობა ხალხის წინაშე. მაგრამ მისი უღლის სიმძიმეს კი არ უფრთხობდა, ცუდად ზიღვისა ემინიდა და ფრთხილობდა:

„ვაი თუ ნიქა მიმტყუენოს და დაღმა აღმაფრენამა“...

პირველი მისი ლექსი „ვეთნისდედის სიმღერა“ დაიბეჭდა 1890 წელს. საბავშვო მოთხრობა „ნიბლია“ დიდად მოუწონა ნ. ლომოურსა და გულწრფელად დაულოცა გზა ახალგაზრდა მწერალს.

თედოს შემოქმედების მთავარი თემა ვაჭადა ერაკუნულ-პატრიოტული თემა. მისი მისწრაფება იყო თავისი დეაქული რაზე ეწვეოდა ქვეყნისათვის, „უშვო მხარისათვის“, და თუ ვერ მოესწრებოდა სიციცხლეში, სხვებისათვის ვაეადელებინა ბრძოლა.

„სანამ დაეტოვებ საშვოს, ვეცდები, წმინდა სახელი იმ ბნელს, უშვო მხარესა აქანთო, როგორც სანთელი, თან გაეცილო სხვებისა, — იქმნით გზა ჰქონდეთ ნათელი!“

თედომ სიმტიცე და მშრომელი ხალხის ერთგულება 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამაფრებულად შეაღრმავა მძინეარების დროსაც შეინარჩუნა. იგი აცხადებდა: მტიციე

„ვიბრძვით და ვებრძვით ბოლომდე, ვისაც სიციცხლე ვეწყურია!“

პოეტი გაუტეხელა და მისი იდეალი შეუჩუქველი. მის ნებისყოფას ვერც „ზღვის“ ბოზობობა არუყვს, ვერც „ქაის“ ბრკუალები, რადგანაც სწამს, რომ „ემშაველი მალე მოიკმას ბოლოსა“.

თედო რაზიაშვილმა უფრო პროზაში გამოავლინა თავისი ნიჭი და შესაძლებლობა. ბრწყინვალე ქართული ენით დაწერილი საბავშვო მოთხრობებით გამოდიდა ქართული მწერლობა.

თედოს კარგად ესმოდა ა. გოგებაშვილის შთავნება, რომ საბავშვო ლიტერატურა „სხვა ფაქტებით ერთად სამშობლოს უზმადებს ბევრ მზესსა და გულწრფელს მამულიშვილს“, რომ „გონებით მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდენ ნაწარმოებებით, საყრდენი ლიტერატურით“. და დიდი გულმოდგინებით მოკიდა ხელი საბავშვო მწერლობას. „შრომამ ნაყოფი გამოიღო: იგი ქართული საბავშვო ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელი შეიქმნა და სათანადო კვალი დასტოვა“.

თედო რაზიაშვილი საბავშვო ლიტერატურას დიდ როლს ანიჭებდა ახალგაზრდობის სულიერი ფორმირების საქმეში; თედომ თავის მწერალურ მოვალეობად ვაიხადა ახალგაზრდობაში გაბატონებული კლასებისადმი მტრული დამოკიდებულების აღზრდა, რაც ვანსაკუთრებით იგრძნობა 1905 წლის რევოლუციისა და მის წინა პერიოდში დაწერილ ნაწარმოებებში („სამაფირო“ და სხვ.) ასეთი აზრის ვატარება არ იყო ადვილი მეფის ცენზურის პირობებში. მაგრამ თედო ოსტატურად იყენებდა ისეთ ხერხებსაც, როგორცაა აღვგორია, ქარაგმა, ვადაკრული ლაზარიაკი. ასეთია მოთხრობები: „აშუღი მიმინო“, „მოვლენ, მოვლენ“, ასევე „როგორ განდენენ ხობები“, რომელშიც ასაღი ცხოვრების მქადაგებლთა ძნელი და შეუპოვარი მოღვაწეობის სურათია დახატული. „პატარა ჩიტკე კი თავისუფალი უნდა იყოს და შენ მაგოდენა ლექსის პატრონი მონობაში იძრობ სულსა“ — ასეთი იყო თედოს ჩაგონება.

1905 წელს დაწერილ მოთხრობაში „ბუსდუხი“ თედო ამბობს: „სჯობია არ იყო, თუ შენი სიციცხლე სკვის ნებაზეა დამოკიდებული“

ავტობიოგრაფიულია მოთხრობა „მოვლენ, მოვლენ“, სადაც აღწერილია საბატონობა და პატარა-მხატვლთა შეხედრების სამინელი სურათი. მოთხრობის პაწია ვმირები კი იმდენად ვაძახიან: „მამა მოვა, მამა მოვა!“

თედო რაზიკაშვილის შემოქმედებას მხოლოდ მოზარდთა აღზრდის მნიშვნელობა როდი აქვს. იგი მოზარდი თაობის აღზრდელდებაც მდიდარ სულიერ საზრდოს აწვდის. ი. ჭავჭავაძის სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი მწერალი ეპოქის ღვიძლი შეიღო იყო და რევოლუციური მზის ამობრწყინებებასაც დიდი აღფრთოვანებით შეეხება და შემდეგ ოცნებააზღვნილი, ვალშობილი რანდივით მივბარა სამშობლოს მიწას.

თედოს შემოქმედებაში ძალმომერად ისმის ერთიანი ვადგავარების საწინააღმდეგე ანტირევოლუციური ეპიკაის მებრძოლი ხმა. მან ჩვეული მხატვრული ოსტატობით აჩვენა მკითხველს, რომ მშრომელთა ბრძოლას, შათი იდეალების განხორციელებას ხელს უშლიდა როგორც ვარგანი ძალები (თვითმპყრობლობა), ისე შინაური მტრები (დეკრადირებული ელემენტები). ასეთ ვითარებაში ბრძოლის წარმოება ადვილი არ იყო. თედომ ერთდროულად აღიშნა და ორივე მტრის წინააღმდეგ, შესანიშნავე აღფრთოვანებით დახატა შათი არაადამიანური, გამყოფელური ბუნება. მან წინა პლანზე წამოსწია, ახალი ვითარების შესაბამისად, მამულიან სიყვარულის საკითხი. მოთხრობაში „ციხიცილი“ აღტაცებით წამოიძახებს ავტორი: „თქვენ განაცალეთ ჩემი თავი, მთებო, თქვენა“... თავისი სამშობლოს კერა — ერთი შეხედვით, პირქვე და მკაცრი ბუნება — „ქარის კვილო, ნამქერის თეთრი ღრუბლები, მთების გუგუნე, კლდეებიდან ჩამოყვებულნი უზარმაზარი ყინულის სვეტები, ზვავების ქუხილი და უძირა ხეებში ჩადენა“ — თედოს აზრით დედის ნაწი და დამძებნი ღვინის დარია.

თედო რაზიკაშვილი ბუნების ნიჭიერი მხატვარია. მის მიერ დახატული ბუნების მოვლენები ცოცხალი და შთაბეჭდვითია. იგი მაქსიმალური სიხუნძით ხატავს ტყის ბინდარათა ცხოვრების მიმზიდველ სურათებს.

შერლოს ენა მდიდარი, ძარღვიანი ქართული ენაა წინააღმდეგები სხარტი და მოქნეული. ძლიერ ვხვრება ეპიურ თხრობაში ღირსიული ვადგავეის ჩართვა: „ეგ, რა კარგია თავისუფალი ცხოვრება! ცოცხალი იყო და შენი სიციცხლე შენად არ გავფლუბოდეს, ისე არა სჯობია, არ იყო, თუ შენი სიციცხლე სხვის ნებაზე დამოკიდებულნი“ უხვდაა გამოყენებული ისეთი მხატვრული ხერხები, როგორცაა პარალელიზმი, კონტრასტი, რიტორიული შეკითხვები, მიმართვები... ძალიან ხშირია გრადაციის ხერხის გამოყენება. მოხდენილი ეპითეტებით, მეტაფორებით, შედარებებით, პიპერბოლებითაა გამდიდრებული მისი პოეტური ენა.

თედო რაზიკაშვილისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ხალხური ელემენტების შერტანი თხრობაში ანდაზები და ზნე-ჩვეულებათა

აშახველი მასალა, ხომ უხვდაა მიმობრუნელი მის მოთხრობებში, ამიტომაც ისინი დიდ ტრეხსით იკითხებიან.

ქართული ელტურის წინაშე თ. რაზიკაშვილის ღვაწლზე ნათელი წარმოდგენისათვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობის მეორე მხარე — ფოლკლორისტული მუშაობა.

ხალხური სიტყვიერების უბადლო შემკრება გადარჩინა ხალხური სობრძნის ათასობით საეკეთესო ნიმუში.

როგორც ზემოთაე აღვნიშნეთ, თედოს ვადგავარებელი ჰქონია მწერლობის ასპარეზი მთლიანად მშენისათვის დაეთმო. თვითონ კი, მთარგმნლობით მუშაობასთან ერთად, ხელი მიუკიდა ხალხური საუნჯის შეკრებისათვის.

თედომ, სრულიად უბუნად, 13-14 წლის ასაკში, დაიწყო ხალხური შემოქმედების შეკრება და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების სწორებოვარი შემკრების სახელი მოიხვეჭა. 1883 წლითაა დათარიღებული მის მიერ ჩაწერილი ერთერთი ლექსი:

ჩემს ძმობილს საყვარულსა
ხოშარის გორზე სძინაო,
თავით უბავის ღურჯაი,
ფხვს უცემს, არ ვაგწიარაო,
არ დაგაყრებ გულხაკისა,
აზნაურს შემოგწიარაო“.

თედომ შემკრებლობითი მუშაობა აწარმოა ქართლში, კახეთში, თრშეთში, ფშავსა და ხევსურეთში და 1891 წელს გამოქვეყნდა „ქართულთა ამხანაგობას“ ჩაიბარა „ორიათასამდე ხალხური ლექსი, შეიღასამდე ანდაზა და 250 გამოცანა“. ამ საშვილიშვილო საქმეს შემდგომაც აგრძელებდა. მის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „შევერებე 3000-ზე მეტი ლექსი, 200-ზე მეტი ზეპირი და ლეგენდა, მრავალი ცრუმორწუნებანი და შელოცენი, ანდაზები და გამოცანები“.

თედოს მიერ მარტო ფშავში ჩაწერილი 1200-ზე მეტი ლექსი და სიმღერა შეტანილია „ხალხური სიტყვიერების“ III ტომში. თედოს მუშაობის ვასთფალისწინებლად ამ ლექსების მისეული დაჯგუფება-დალაგების სურათი ასე წარმოგვიდგება. I „სიტორიულნი“; II — „რელიგიურნი, III — „საგმირონი“, IV — „სამეურნენონი“ (ზარი, გუთანი, ვკრინი, ცელი, მოწყამიერე, მწუვეში, მეცხვარე, ღარბი, ცხვარი), V — „საზნეობანი“ (ვავრთიანებულთა 108 ლექსი) VI — „სატრფიალონი“ (ქალ-ვაგის სიყვარული); VII — ყოფა-ცხოვრება (მოლექსეები, ბერიკაობაში საზღერი ლექსები; ქორწილის ლექსები, რძალი; პატარძალი, ცოლი; მამასობისი, ნაცვალა, მხოვლები, სტუმარ-მასპინძლობა, ქვიფი.) VIII — თავის ქვეყანა, სამშობ-

ლო. ძმა, ძმობილი; IX — ნარევი (სიკვდილ-სიცოცხლე).

საუფრადღებოა, რომ თ. რაზიკაშვილი ტექსტებს განმარტებებთან ერთად ურთავდა მოქმელთა და ავტორმოქმელთა შესახებ ცნობებს (მაგ. „უტყუარი ბაიაშვილის ნაღველები. კი მოღვესე იყო ძალიან“). თუმცა კი ხალხური ნაწარმოების ავტორის გაუჩინარებლას კანონზომიერად სთვლიდა. მისი ფშვეელი მოქმელები ძირითადად რამდენიმე სოფლის (ჩარგალი, ინო, ვუდარახი, მივრიაულთა, ზომი) მცხოვრებნი არიან.

ხალხური ნაწარმოები კონკრეტული შემთხვევის, ფაქტის შედეგადაა შექმნილი, რის გამოც მისი შინაარსობრივი წყდომის აუცილებლობა სათანადო კომენტარებს საჭიროებს. თუ ხალხური ლექსის შემქმნელს მიზეზი მიუკვლეველია, მაშინ უფერულდება მისი ღრებულება და კვლევა-ძიების დროს მრავალ შეცდომათა დაშვების მიზეზად გვევლინება, ზოლო მისი გამომსახველობითი სიმღერე, მხატვრულთა-მოქმელის სიტყვის „შერეობა“ მიუწვდომელი რჩება მკითხველისათვის. ამიტომ თედო რაზიკაშვილის ხალხური სიტყვიერების ნიმუშებზე დაბრუნდით ახსნა-განმარტებანი დიდი შეცნიერული ღრებულების შემწეა, რაც სათანადოდია კიდევ შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

თედო რაზიკაშვილმა შემოვიწინა თანამედროვე მოღვესეთა სახელები და რეპერტუარები, მათ შორის აღსანიშნავია ფშვეელი ქალის ზვარამზის მალაშხატორთა ლექსები, ეს მაშინ, როცა ფშველი ტრადიციო ქალთა მოღვესობას არ ახალიებდა და თავდასულობად სთვლიდა. იეს, რამდენი ნიჭი ჩაედა შემწვდომელ გარემოში. თვით დიდი ილიაც კი მოხიბლული ყოფილა ზვარამზის ლექსით „ვერცხლის თსა-დამე მაქცია“.

თედოს ვადმოცემით ზვარამზე მისი დედის ტოლი და დობილიც ყოფილა. ზვარამზეს ჰყავდა მიწერი — სიმღერით ვანთქმული ოქაზის შვილი, ნაკვეთური ვაჟიკა. ზვარამზესა და ვაჟიკას თუმცა ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ შობილებმა ზვარამზე სხვაზე გაათოვეს და ვაჟიკას სხვა ქალი შერთეს, ზვარამზე ვაჟიკას განმორებას მწველედ განიცდიდა; ვაჟიკაც მეტყვარობით ირთობდა თავს. „ერთ ნაწივმ დღეში ვაჟიკამ ცხენით მათ სოფელში გაიარა; იმათ სახლის ვერცხვზე გზაზე ზვარამზემ იმის ცხენის ნაფხებებს ღობე თურმე შემოაელო, რომ არ წიშალოსო. ეს ზვარამზე დედაჩემის ტოლი და ამხანაგი იყო“, — ვადმოგვეცემ თედო. თედომ ზვარამზის ნათქვამი ცხრა-ათი-ოდე ლექსი ჩაიწერა და შთამომავლობას შემოვიწინა ხალხური კლასიკური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები და მათი ავტორი, რომელიც

ლექსის შემთხვევით იოხებდა ვაჟიკასადმი ტრედალით დამწერარ გულს.

ლექსებით ცოცხლობდნენ, ზვარამზეს ნაწივმ-თად ვანთქმული პროფესორისა მოღვესე-მოკავთავენი, მაგრამ ისე კი, რომ არასოდეს არ თხოვლობდნენ ვასამარქლოს, სამაგიეროდ „კარგად თქმისათვის“ მათი ჯილდო სახალხო ქება და პატივისცემა იყო და თუ რომელიმე მეტოქესთან შერკინებაში წაიბორჩებდა, შემდეგი შეხვედრისათვის ემზადებოდა და საქმეში მეტრდოვლიანი იმავე ფიქრობდა, ვასამად, ან სახალხო დღესასწაულზე რომ შეხვედებოდა მეტოქეს, „ქობის მომწერელი“ სიტყვა ეთქვა, თუ ვერ შეხვედებოდა პირისპირ, შორიდან დაუბარებდა და ამით მოიხებდა გულს. ასეთი ნიმუშები საყვარელია წარმოდგენილი თედო რაზიკაშვილის კოლექციოში.

თედო რაზიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ ხალხური სიტყვიერება ერის სულიერი ცხოვრების ბიოგრაფიაა, მისი სოციალური, ეროვნული თუ სარწმუნოებრივი ყოფის ზეპირი ისტორიაა. ხალხის მისწრაფებების, იდეალების აღიარება სარკვე. მას ისიც სწამდა, რომ ასეთი შემოახმა სპირო იყო ქართული ენის შესწავლა-გამდიდრებისათვის. უნდა აღიარებულა იქნას, რომ თედომ ამ მხრივაც დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის მკვლევარებს, ლექსიკოგრაფებს. ზემოხსენებული მგონის — ზვარამზის ლექსი „ვერცხლის თსა-დამე მაქცია“ ასეთი სტრიქონებით მოთარღვება: „ძალიან დაწუხებული გზაზედამე შეგვეყვებოდი“. აი როგორ აზრს ავითარებს თედო აქ ნახმარი სიტყვის „დაწუხებული“ შესახებ. „მოკვირს ამ მშვენიერმა სიტყვამ აქამდე უერთდება არ მოქცია შერკობაში, სხვა ამხარის სიტყვა, იმაზე აზრის გამომსახველი, არა გვაქვს და მგონი რომ ჩვეულებრივ ლამარკოციე რომ ეთხმაროთ, არას დაამხევეს“. თედო უბრალო შემკრები როდი იყო. მის წერალებში კარგად ჩანს მისი თეორიული მრწამსი ფოლკლორისტიკის ზოგად საკითხებზე. მან საუფრადღებო მოსახრებანი გამოთქვა იმის შესახებ თუ რომელი ნაწარმოები ჩათვლება ხალხურად და რომელი — არა: მას ხალხურ ლექსებად არ მიაჩნდა ის ლექსები, რომლებიც, მართალია, „ხალხის ენით არის დაწერილი“, მაგრამ „ხალხის საკუთრებად არ გამხდარა, ვერ ისევ წიგნებში და რვეულებშია დატესტებული“.

ხალხური სიტყვიერების შეკრება ადელი როდი იყო. თვითმპრობელობის მოხვედრისაგან შემინებული მოხრობული ზოგჯერ ვაუტრობდნენ რვეოლუციურად განწყობილ მწერალს, რომ მეფის ავერტების რისხვა მათაც თავზე არ დასტეხიდათ, მაგრამ თედოს სწამდა, რომ ეროვნულ საქმეს აცთებდა და წინაღობითი დაბრკოლებები ძიებისა და ბრძოლის ენს უთქვამდა.

თედოს სახელთანაა დაკავშირებული მთიბლური ლექსების ჩაწერა. ეს ლექსები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ თავისებური მეტრაით და მიჩნეული არიან უძველესი ქართული ლექსთწიქობის უოჯაში დადასტურებულ და დღემდე შემონახული ურითმო ლექსის ნიმუშად. თედომდე ასეთი ლექსებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ჩაწერის ღირსად არ გაუხდია. თედოსვე ეკუთვნის მთიბლური სიმღერის სახელწოდების „გვრიანის“ შემოტანა ლიტერატურაში. მისი განმარტება ასეთია: „თაბჯანში სასიმღერო ლექსები, საგვრინავი, რაგორც ფშაველები ეძახიან“.

თედო რაზიკაშვილის მდიდარ ფოლკლორულ კოლექციაში თვალსაჩინო ადგილი უკავია საბავშვო ფოლკლორს. ვის არ წაუკითხავს მშვენიერი ქართული ზღაპრები: „წიქარა“, „ჭინჭრაქა“, „მზისქალი“, „ქოსატყვილა“, „ქვადქვეული ვაგი“, „კომბლე“, „ვაშლა“, „სიზმარა“ და სხვ. იქნებ ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ეს ბავშვებისათვის ზელოზელ საგოგმანები მარგალიტები თედოს დაუღალავმა შრომამ მოიტანა ჩვენამდე და დავიწყებას გადაარჩინა.

თედოს მდიდარ მასალებში ზღაპრებს გარდა საქმიოდა წარმოდგენილი საბავშვო ფოლკლორი — ლექსები, სიმღერები, ცოცხალი ტყუილი, აკუნის სიმღერები... მათთვის დამზახაინთებელია მშვენიერი ფორმა და შინაარსი, აზნის საინტერესოდ თხრობა, დინამიურობა, სისხარტე, გასართობი კილო, მსუბუქი სატირა და იუმორი, აღვილად გასაგები ენა, ნათელი და მხატვრული აზროვნება.

მთის ხალხის ზემირსიტყვიერების ჩაწერას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის იყო მთიელთა დაუწერელი წესი და კანონი, მათი კვლის მასწავლებელი და მრჩეველი, მასში ჩაქსოვილი ზნეობრივი ნორმები შეილიდან შეილზე გადადიოდა. თედოს მასალები ამ მხრივაც საინტერესოა. განსაკუთრებული ადგილი უკავია „კაი უმის“ საკითხისადმი მიძღვნილ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

თედო რაზიკაშვილის მდიდარი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ უცნობია მკითხველთა ფართო მასებისათვის და ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული მისი მდიდარი ნაღაწის მზეზე გამოტანის საქმე. მკითხველი ელის მისი მემკვიდრეობის სრულ, აკადემიურ გამოცემას.

შოთა ბარაიძე

იროდიონ ევდოშვილის სატირული პუბლიცისტიკა

აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში ღრმად აღეს ფესვები გადგმული პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სატირას. დიდმა მეფე-ვარაყმ სულხან-საბა ორბელიანმა ღრმა ანალიზი გაუკეთა ფეოდალური წყობილების მანკიერ მხარეებს და შექმნა მაღალი დეერტი სატირული თხზულებები. ამ წამოწყებას კიდევ უფრო შეასხებს ხორცი და განავითარეს მომდევნო საუკუნის მწერლებმა: ი. პაევაიძემ, ა. წერეთელმა, ვ. ერისთავმა, მ. თუმანიშვილმა და სხვ. მათ შექმნეს მდიდარი იუმორისტულ-სატირული ლიტერატურა, რომელშიც მთელი სიმწეავითა და ობიექტურობით არის გაკრიტიკებული იმ დროის დამახასიათებელი მოვლენები და ფაქტები. მათ დასინენს თავადაზნაურებს, მეჭრთამეებს, ჩარნ-ვაჭრებს, ბიუროკრატ მოხელეებს, ცარიზმის ვრთველ ლაქიებს. იუმორისტულ-სატირული თხზულებებით მათ გააყვეს მომავალი ცხოვრების გზა უფრო პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დამკვიდრებისათვის.

რამდენადაც ვითარდებოდა და წინ მიდიოდა ქართული აზროვნება, იმდენად უფრო იხვეწებოდა და რაფინირებული ხდებოდა სატირული ლიტერატურა.

90-იანი და 900-იანი წლების მწერლებმა, რომლებმაც კრიტიკული რეალიზმის შექმნა გამოიტანეს ცხოვრების სინამდვილე, ჩამოყალიბეს სატირული რევოლუციური ლიტერატურა. ახალ ცხოვრებას ასახვის ახალი საშუალებებით უპასუხეს, თავიანთი პოლიტიკური მიზანდასახულება რევოლუციურ ეპოქას დაუკავშირეს და სატირული მწერლობის სფეროში ნოვატორული სტილი გააბატონეს.

ქართული დემოკრატიული მწერლობის მეთაური ირ. ევდოშვილი პირველი ხელოვანი იყო, რომელმაც სატირული ლიტერატურა რევოლუციის სამსახურში ჩააყენა. მისი მხატვრული და

პუბლიცისტური თხზულებები აღსავსეა სატირული ნაღმებით, რომლებიც თავის დროზე ფეოქდებოდა პერიოდული პრესის ფურცლებზე და სათანადო რეზონანსს პოულობდა საზოგადოებაში. ეს ნაწარმოებები ამხსერვედა დახვესებულ ცხოვრებას, გზას უღობაედა მოქველბულს, კონსერვატიულს და ქადაგებდა ცხოვრების განახლებას.

ირ. ევდოშვილმა მდიდარი რევოლუციური სატირა შექმნა. ქართულ პრესაში მან პირველმა დაამკვიდრა სატირული პოლემიკა. მისი სატირა ექსპლოატიაზე დამყარებული სოციალური წყობილების მახვილი კრიტიკაა. მგარამ ირ. ევდოშვილი, როგორც სატირიკოსი, საკმაოდ არ არის დაფასებული. მისი დროის არცერთ ქართველ რევოლუციონერ მწერალს არ გააზნია ისე მრავალფეროვანი, ეპოქის მაქსიმალური შეთანხმებული მწარე დაინვის გამოშატეული ნაწარმოებები, როგორც ირ. ევდოშვილის. ეს ნაწარმოებები ქერ „კვალის“ და „ივერიაში“ იბეჭდებოდა, ხოლო 1905 წლის რევოლუციის ხანაში — არალეგალურსა და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, უფრო გვიან კი — ქურნალ „ნინაიდერში“.

პირველი რევოლუციის ბოპოქარ წლებში ირ. ევდოშვილის პოლიტიკური ფელეტონები იღვერად წრთენიდა და საბრძოლოდ ამზადებდა რუსეთის კოლონიურ კაბალაში მოქცეულ მშრომელთა არმიებს, თვითმპერობელობის ბარბაროსობით განაწამებ რევოლუციურ მასებს.

პროფ. შ. გოზალიშვილის მართებული მოსახრებით, ქართული რევოლუციური ფელეტონი განვითარების სათავეს ირ. ევდოშვილის 1905 წლის პერიოდის შემოქმედებაში პოულობს!

1. შ. გოზალიშვილი, 1905-1907 წლების რევოლუცია და ირ. ევდოშვილი, 1956, გვ. 172-173.

1901, 1902 და 1903 წლებში ირ. ევდოშვილი „რიგორისტის“ ხელმოწერით აქვეყნებდა სატირულ-ოპორისტული ფელეტონების სერიაებს საერთო სათაურით: „სამშობლოს ცაზე“, „პანწყები“, „სახალწლო ნაბერწყლები“ და სახალწლო ვიზიტები“.

ირ. ევდოშვილის ფელეტონები პოპულარული იყო ახალგაზრდობაში. ამის შესახებ მერტლ სანტროვის ცნობას ვადასტურებთ თავის მოკვრებაში იმეამდ ასტრახანის გუბერნიისაში გადასახლებაში მყოფი შვერალი ვ. მალაქინი (გარდა მხრომე): „ფრიალ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განსვენებულმა (ფელეტონებმა) ირ. ევდოშვილი, შ. ბ.) აგრეთვე ქართულ იუმორისტულ ლიტერატურაშიც. ვის არ ახსოვს „კვალის“ რიგოლეტი, რომლის ყოველი ფელეტონი ყუმბარასავით გამოვარდებოდა ხოლმე ყოველ კვირას რევოლუციის წინაღობის დღე საქართველოში. ჩვენ, მაგ., ახალგაზრდობა, მოვიდოდა თუ არა „კვალის“ უკანასკნელი ნომერი, მინარსში იმ წუთში რიგოლეტის „სამშობლოს ცაზე“-ს დაუწყებლად ძებნას და ვნახვდით თუ არა, გულის ფანქვალით გავჭრიდით ჟურნალის ამ ადგილს და ხარხარითა და ალტაცებით ჩაივითხავდით ფელეტონს“.

ირ. ევდოშვილი სატირულ-კომიკური არგუმენტისთვის უხვად იყენებს ხალხურ გამოხატვებს, ანდაზებს, ლექსებს. მისი ფელეტონები, გარდა ამისა, რომ ორიგინალური სტილით, იდეურობითა და ვირტუოზულად არის დაწერილი, საზრდოობს აგრეთვე ფოლკლორული შემოქმედების დაუმრეტელი წყაროებით.

ირ. ევდოშვილი ღრმად აკვირდებოდა ცხოვრების მიმდინარე მოვლენებს, სწავლობდა მის მიწვე ტრადიციებს და იძლეოდა მათი ლიცედიციის ნათელ პერსპექტივებს, სატირულ თხზულებათა ცენტრალურ ფიგურად ხატავდა სინამდვილიდან აღებულ ადამიანებს. ამიტომ იყო, რომ უფლა მათგან თავისი პროტოტიპი ჰყავდა.

ირ. ევდოშვილი ქადაგებდა სოციალურ-პოლიტიკური თუ ელასობრივი სიმამხრის ყოველგვარი გამოვლინების მოსპობას, მამული სატირული აღლითი დაწერილი რევოლუციური თხზულებებითა და პრაქტიკული მიღვაწეობით იზრდოდა დახვედებული ცხოვრების გარდაქმნისათვის.

1901 წელს „კვალში“ გამოქვეყნებულ იუმორისტულ სტატიაში — „სახალწლო ნაბერწყლები“ — სატირის ცოცხით შეიარაღებული ავტორი ესტუმრა თბილისის ქალაქის საბჭოს და მყოფე საუკუნის ამ მკაცრმა მათეუბებლმა მოთხოვა იმ უვარგისი თანამშრომლების ვაცოც-

ხეა, რომლებიც XIX საუკუნის დეტოვებში, გააკრიტიკა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა გავრცელებული ეპიდემიის გამო, ვაკცხა მამხანის დუბო-ბანის (სადაც წინაა ირ. ევდოშვილი შემობოდა) შემამავალი — დიდი თანხების გაფლანგვის გამო, „რათა ეპატროს ცოდანი მისი, ვინც თანხები ექმ შეა გაატარა“. სატირულად შეეხო აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, სოხუმის და ფოთის საჭირობოტოტო საყითებებს.

ამავე წლის 21 იანვრისა და 4 პებერვლის ფელეტონებში ავტორი თავს ესხმის ბაქოს ქართული ბიბლიოთეკის ვამკვეს მტერვალშვილის იმის გამო, რომ ბიბლიოთეკა შშირად დაკეტოდა, ხოლო მის შესაკეთებლად შეგროვებულ იქნო „გადავალშეული“, აკრიტიკებს ოზურგეთისა და ქუთაისის საზოგადოებებს, რომელთაც „თაფები კაკანათში ამოუყვიათ“, სიღნაღისა და თელავის მმართველთა უსულგულობას; მადათოვის კენძელზე მოწვეულ დურგალთა ამხანაგობას „შრომის“ და მის თავმჯდომარებს ა. ანაზაროვს, რომელმაც „უსტავის“ ძალით „აბრუნდაბრუნდა-მიტრიალ-მიტრიალდით“ „ახალკეტური აბრუნდი“ ჩაუდენია.

„კვალის“ № 10-ში გამოქვეყნებულ „პანწყებში“ უფროსა გაფართოებულთა სატირული შემოქმედების მასშტაბი და მისი აღმზრდელიობითობა. ავტორი ეხება ქართული პრესის მიერ გადაღებულ მცდარ ნაბიჯებს იმ უთვალავი ფონდების შეგროვების საქმეში, რომლებიც ჩვენი საუკუნის ათიან წლებში არსებობდა საქართველოში. ამავე ფელეტონში, აკრიტიკებს ახლადგამოჩეკილ უნივერსიტეტებს, პუბლიცისტებსა და კრიტიკოსებს. მოითხოვს მათთვის შექმნას „ჰინჯრის ფონდი“. როზგის სახით შეკრული ჰინჯრის ახი ათასი კონა გამოტანილ იქნას მუხათა მოვლანზე და გაეუმსპინძლდეთ პოეტთა ლეგიაში. ამ ფონდის შექმნით ორი საქმე ვაკეთდება: ჯერ ერთი, ჰინჯრისაგან გამოქმნდება ქართულთა ადვილ-მამულები, რომლებიც ვერ „ტორგით“ არ ვაყიდულა და, მეორე, ვიწმინდება უფარგისი პოეტებისაგან ჩვენი შვერლობათ.

ირ. ევდოშვილი აქ სასტიკად ილაშქრებს „ძალად პოეზიის“ მოყვარულთა წინააღმდეგ და სატირული ნესტარით წამლავს ნამალადვე პოეტებს, რომლებიც დიდი იერიშით მოდიან პარნასზე, მაგრამ რადვან მითს უნიულზე ფეხი უსხლტებთ, დაბეგვილ-დაბეგვილი ჩანვით აყრუებენ ქართული წიგნების ბაზარს და ადამიანი ვერ ვაგავეს სულთი ავადმყოფებმა თუ ჰეშმარიტი პოეტები“.

შვერალი დასციინის სანტიმენტალურ და რომანტიკულ თხზულებათა ავტორების „ცრემლთა ღვრას“. ასეთივე სასტიკი ვანაჩენი გამოაქვს პუბლიცისტებისა და კრიტიკოსების მიმართ, რომლებიც რედაქციებში მოკალათებულან და

1 ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1916 წ. 12, 19 და 26 ივნისის ნომრები.

შებლშეშეშენით დაიარებინა, ვითარცა ფილოსოფოსები.

იგივე პრობლემებია განხილული ირ. ევდომვილის მიერ 1904 წლის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილ ფელეტონში: «На грузинском книжном рынке», რომელშიც ავტორი გამოკვლობებისაგან მკაცრად მოითხოვს, რომ ანგარიში გაუწიონ მკითხველებს და წუ დაანავიანებენ ქართული წიგნის ზახარს უნიკულ დაწერილი წიგნებით.

მაღალი სოციალური იდეები ასაზრდოებს „რიგორისტის“ ხელმოწერით 1901 წლის 19 და 26 აგვისტოს „კვალში“ დაბეჭდილ ირ. ევდომვილის ფელეტონებს. ეს ფელეტონები პუბლიცისტური სატირის მნიშვნელოვანი შენაძენია. აქედან გარკვეულად ჩანს, თუ რაოდენ დაინტერესებას იჩენდა და პროტესტს გამოხატავდა ავტორი ცხოვრებაში გაბატონებული მეტად მტკიანეული მოვლენებისადმი. ირ. ევდომვილი ქვეშაირებებს ეძიებდა. ამ სურვილითა და რწმენით მიიკვლევდა ის გზას ბიუროკრატიულ და მემამულურ-კაპიტალისტურ საქართველოში. დასახელებულ ფელეტონში ავტორი ვესლნარევი სატირული ზიზღითა და რევოლუციური გაბეჭდვებით თავს ესხმის უმეტარებასა და ძალმომრებლას, გამჭლანგვეულებს და შანტაჟისტებს, ლოთებსა და რეაქციონერებს, დაჩაქად უდგას ქართულ პრესას და დაუზოგავად ამხელს მის ნაყოფანებებს, ცდილობს მარქსისტული იდეოლოგიის გავლენაში მოაქციოს, რომ მათ მეშინობას გზას უნათებდეს პროლეტარიატის რევოლუციური გამარჯვების დიდი პერსპექტივები.

ავტორი მძაფრად ილაშქრებს ქელებების წინააღმდეგ და პოლემიკის ზოგიერთ მონაწილეს „მკედრების კრედიტორის“ სახელით ნათლავს. ეძებს ქიზიყელთა შიმშილობის მიზეზებს და დასწინის „იფრიაის“ ფელეტონისტს იმის გამო, რომ შიმშილობის მიზეზად მდიდრებს თვლის: ჯამსპოვეებსა და ნადიროვეებს. ამ ყალბ რეცეპტს ავტორი კლასობრივი სიძულვილის გველით საესე სიტყვებით აბათილებს: „რატომ არ იყიან, რომ ძალით შექმნილ ნებით არაიან რას ვისმე ანუქებს და დაუთმობსო“. შიმშილობის მთავარ მიზეზად კი ირ. ევდომვილს ბუჩის სიძიარე კი არ მიაჩნია, არამედ გლეხის შრომის ანაზღაურების სიმცირე.

ეს ფელეტონები იდურია სწიმინდით და სიუჟეტით, სალიტერატურო და საყოფაცხოვრებო პრობლემის აქტუალობით გამოირჩევა.

ირ. ევდომვილს არ სწამს ლიბერალური ილუზიები და ცხოვრებას, სატირული კალმით მომარჯვებელი, კვალდაკვალ მისდევს ქვეშაირებების ძიებისათვის. იგი მთელი შემოქმედების მანძილზე იცავდა სოციალურად და ნაციონალურად დაზარებულ ადამიანებს, ეჭმადებოდა მატერიალურად ხელმოკლე ადამიანებს. მისი კალამი მებრძოლი ხიშტივით ელვარებდა მდი-

დრების, მუდამფელეებისა და მათ მტარველთა წინააღმდეგ. ეს კეთილშობილური გრძნობა და პენანიზმი არის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ანიჭებს მისს მტარველთა წინააღმდეგობას ანაზღაურებელი მიზნით.

1901 წლის „კვალის“ 4 ნომბრის ფელეტონში — „სამშობლოს ცაზე“ — ირ. ევდომვილმა სიცილის ობიექტად აქცია თბილისის ქალაქის საბჭოს გამგეობა. მან ხმა აღიმაღლა ღარიბთა თავშესაფრიდან გამგეობის მიერ ქუჩაში უმოწყალოდ გარეკილ და ბედისაგან მოქოლებულ ადამიანთა დახმარებისათვის. თავისი აზრის სატირული არგუმენტაციისათვის პარალელურად ავტორის მოქავეს სხვა გაზნების განსახლება, რომელშიც ქება-დიდებათ არის აღნიშნული „პირუტყვთა მტარველი საზოგადოებას“ თხოვნა ცხენებისათვის თბილი ბინის მოწყობის აუცილებელი საჭიროების შესახებ. „აი სადამდას მიღის, ბატონებო, ჩვენე მზრუნველობა უზრუნველადი და არაა თქმა უნდა, რომ მებრუნველებისათვის მუდამ გავლილი გვაქვს ხელი... მშობთა და მუგობრობთათვისო“ — აუხადებს იგი და სამარცხენო ბოძზე აყრავს ქალაქის გამგეობის უმსგავსო საქციელს. სატირული შინაით ნიღაბს გლეხს კაპიტალისტური ეპოქის ბინარს სინამდვილეს, როცა პირუტყვის უფრო პატრესა სცემენ და უფროხილდებიან, ვიდრე ადამიანს.

ირ. ევდომვილის პუბლიცისტური სატირა თემატურად მდიდარია და მრავალფეროვანია. იგი შეიცავს ქართული სატირის თითქმის ყველა გვლეს,¹ და მოხდენილად გამოაქვს საზოგადოების სამსჯავროზე ამ გვლენებისათვის დამახასიათებელი რეალური ფაქტები და მოვლენები.

პოეტის პუბლიცისტურ მექვიდრებობაში გაბატონებულია სალიტერატურო და რევოლუციური სატირა, რომელშიც განვითარების მაღალ დონეს 1905-1907 წლებში გამოათვისებულბული მოძრაობის პერიოდში მიაღწია.

სალიტერატურო სატირას მძლავრად აქვს ფესვები გადაღმული ირ. ევდომვილის პუბლიცისტურ ნაწერებში. ირ. ევდომვილი, როგორც მარქსისტული იდეოლოგიის მიმდევარი და „მესამე დასის“ ბეჭდვითი ორგანოს გზა. „კვალის“ უახლოესი თანამშრომელი, მახვილი კრიტიკით გამოდიოდა საქართველოში გამოძავებული მომემარცხენო უფრნალ-გაზნების წინააღმდეგ. იგი ედილობდა იდეური ზეგავლენა მოეხდინა მათზე, ჩაეყენებინა ისინი პროლეტარიატის სამსახურში. ამიტომ იყო, რომ თითქმის ყოველ სტატიაში მებრუნებულბუ ხეზნოდა ქართულ პრესას და ბებრ გაზეთს უწინებდა იდეურ მიზანდასახულებას.

¹ ირ. ევდომვილს, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბილისი, 1953, გვ. 251—292.

„თავისთვად საინტერესო პოეტური რაციონია ჩაღებელი საათზე დაწერილი ლექსის ექსპოზიციისაში“ — ვწერთ ჩვენ. ეს კი სასაცილოდაც არ ჰყოფნის პარტივეზული იზა ორქონიციქის, „რაციონი ზომ, მ. ჰუბაშვილის ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკვების ულუფას ნიშნავს“. ნეთუ თქვენი მართლა ვერათ, რომ „ღრისის რაციონალურად გამოყენება“ „ღრისის საკვები ულუფისთვის გამოყენებას“ ნიშნავს, ან „რაციონალური რიცხვები“ — „საკვები რიცხვებია“? იმავე მ. ჰუბაშვილის ლექსიკონში „რაციონალური“ ვანა ვანიერულს, მიზანშეწონილს არ ნიშნავს? და რაცია — აზრის მიმღებ-გადამცემ რაციონალურის? (იქნებ რაციონალური — საკმელორია და „რაცია“ — საკმლის მიმღებ-გადამცემი სადგური?)

„უცადუთ, გავრკვეთ, გზა გაოგნოთ, აქ დახვეწებული გუფგებრად ნახმარი ტერმინების, უსწორო გამოთქმების ლაბირინთში!“ — სასოწარკვეთილად გაჰვირის, ჩვენი წინადადებების ლაბირინთში გადახადებული იზა ორქონიციქე და საილუსტრაციოდ ჩვენი წერილიდან ასეთი ციტატა მოაქვს:

„ერთი შეხედვით ყოფითი და ბიოგრაფიული დეტალები, სწორედ თავისი ყოფითობით და ბიოგრაფიულობით მკითხველისათვის ნაცნობია და ახლობელი სამყარო, სსაუბრო ინ-

ტონაციები და ხშირ შემთხვევაში პროზაიზმებიც კი, პოეტური თხრობა ძუნწი და ლაკონური, ჭარბი მხატვრული სახეებისა და სიტყვით თვითმიზნობრივ კვლევობის გარეშე — ასეთია, ერთი შეხედვით, მ. ლენინის („ცისკარი“, № 4) ლექსების ზოგადი ნიშნები. მაგრამ როცა შეიხვეწი ერთი შეხედვით მიღებული შთაბეჭდილებისაგან განთავისუფლები, იგი სიამოვნებით დასკვნის, რომ მერმან ლენინის პოეტური სამყარო ის სანტიტრასო ფერმეწინა, რომელსაც საკეთილ სახეზე შემოქმედის გამოცდილი ხელი და გული მოთმინებით მერმანს პოეზიის მაღალ რეგისტრში ასახვანდა. ამ ციტატას პატივცემულ იხას სტრიაში ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ ძახილის ან კითხვის, ან კითხვა-ძახილის (ან სამივე ერთად) ნიშნები უხის. ერთხელ კიდევ ვაღაპრობთ, პატივცემული იხა, იქნებ ასე ვაღაპრობდა არ მოგეჩვენოთ ჩვენი მსჯელობა „ცისკრის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ მერმან ლენინის ლექსებზე. „ლექსის ერთხელ წაყოფის შემდეგ მიღებული შთაბეჭდილება მკითხველმა მეორედ წაყოფით თუ არ ვაღაპრობა, იგი ვერაფერსაც ვერ დასკვნისო“, — გულმოდგინედ შეუბნებოთ თქვენს მერმანს. პატივცემული იხა, მე გიმტკიცებთ, ლექსის მეორედ წაყოფა არ არის საჭირო-შეთქი? ვინ დაგიშალა? ზოგს ერთი წაყოფით გამოაქვს აზრი, ზოგს კიდევ. „წაყოფით, ვერა ვგარბნო“ სკიბს, ან რა ლიტერატურული კამათის საგანია, ლექსს ერთხელ უნდა წაყოფა თუ მეორედ და შესამდე? ძალიან ხომ არ ვაგვიტყავთ ჩემს წერილში ლაფსუსების პოეტის აკვატებულმა სერკილმა? ნათქვამია: „ცუდსა შეთვევს შერჩება, უბრალოდ წყალსა მღერევანი“.

ჩვენ ვწერთ:

„მერმან ლენინისათვის მთავარი პოეტური ფრაზა კი არ არის, არამედ ის ძირითადი სათქმელი, რომლის გამოხატვასაც ზოგჯერ დაუხვეწავი, ე. წ. ხორკლიანი ფრაზა უფრო უხდება, ვიდრე საგულდაგულოდ დაწერილი დაუთოებელი, მაგრამ სწორედ თავისი ზედმიწევნითი ელვანტრობით — ჭარბი ესთეტიზმით დაღდასმული პოეტური ფერი“, — კითხულობს პატივცემული ოპონენტი. რას ნიშნავს და — პოეტურ ფერს, რომელიც ზედმიწევნით ელვანტრობა და ჭარბი ესთეტიზმის კვალი ახის, რომელიც გულმოდგინედ არის დაწერილი-დატყობილებული და პირველყოფილი ბუნებრიობა დაუკარგავს.

„ვინა შეიძლება ლექსში მთავარი პოეტური ფრაზა არ იყოს და ასეთ ლექსში რაიმე მოთმინება პოეტური? ან გურანდავი რითმა ვისთვის არის სახარბიელო? (თუ ხმარობ სწორად „გარანდული“ რითმა უნდა იხმაროს)“ — შენიშნავს პატივცემული ოპონენტი. პატივცემული იხა, შეიძლება ლექსში მთავარი პოეტური ფრაზა არ იყოს და მაინც პოეზიით სუნთქვდეს, არიან პოეტები, რომელთაც პოეტური ფრაზა თვითმიზნად ვაღაპრებთ, მათ ვერ უპოვი გურანდავ რითმის, ხორკლიან ფრაზას, მაგრამ ხშირად ყოველივე ამას ლექსის უშუალოდ და ბუნებრივობა ეწირება. მ. ლენინისათვის კი „მთავარი ის ძირითადი სათქმელია, რომლის გამოხატვასაც ზოგჯერ დაუხვეწავი, ე. წ. ხორკლიანი ფრაზა უფრო უხდება“. მაგალითად, თქვენს ამ ლექსში რითმისა და ფრაზის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არ არის სათქმელი, არ არის პოეზია და ამიტომ იგი უაღრესად ლექსია:

„ვიღაცა ტირის მერმანელ სახლში და წვიმს.

და წვიმა შეათყეცხება.

ქუჩაზე გარბის დამფრთხალი ძაღლი,

და შანქანების თვალთა ცეცხება.

სველ ფოთლებიდან მოსწყდება წვეთი

და წამით ჰაერს დაეცილება,

ქუჩამ არ იცის ამაზე შეტი

საღდაც თენდება, საღდაც ბინდება“.

(იხა ოპონენტიც, „ორი დღეცითილო“, გვ. 47).

რაც შეეხება თქვენს ნათქვამს — „გურანდავი რითმა ვისთვისაა სახარბიელო?“, ვინ ამბობს, რომ სახარბიელოა? ჩვენ მხოლოდ მ. ლენინის ლექსებს ვახსიათებდით. ვინ იცის, იქნებ ვანგებ ხმარობს პოეტი ზოგჯერ „გურანდავ რითმებს“ და „პროზაიზმებს“, რომ ლექსს პირველყოფილი უშუალოდ შეუნარჩუნოს? რა შეამია თქვენი შეგონება, თუ ხმარობ, სწორედ გარანდული რითმა უნდა იხმაროს?

„რ. მიშველავიმ არც მ. ნიშნინის პოეზიას დააკლო ხელი“, — ირონიულად შენიშნავს პატივცემული ოპონენტი და მკითხველს იცნობს თავისებურად, კითხვა-ძახილის ნიშნებით მორთულ ჩვენს ასეთ ციტატას:

„ფრაზის დეკორატიულობა და სიტყვის არტიკულიზმი, თემატიკური სიღრმე და ვაგეტიზებული პოეტური მერმანობელობა, ჯანსაღი ისტორიზმით დაბურთებული პატრიოტული ატრიბუტა და ნატიფი ლირიზმი — შთაა ნიშნინის პოეზიის ეს ხაზვასამული აქსესორი აქცევს მას ჩვენს ლიტერატურაში ორიგინალურად“.

ღერი ზმის და საინტერესო მხატვრული სამყაროს პოეტად. მისი, როგორც შემოქმედის, შესანიშნავი თვისება მხატვრული ნააზრების ფიქსირებისადმი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ლექსიერის მასალისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა, შოთა ნიშნაინიძე მკითხველს არასოდეს არ შესთავაზებს პოეტურ ნახევარფაბრიკატს, მის ლექსს გამოკეთილი აზრისა და გასაგებვადებული მასალის მტკიცე ლოგიური ბეჭედი აზის“.

ძვირფასო მკითხველო, გულზე ხელი დაიდუ და მიბრძანე: მართლა ვაუგებრობად მოგჩვენება, შ. ნიშნაინიძის ლექსები რომ დეახასიათოთ? აბა, რას მერჩის პატივცემული იზა ორჯონიძე, როცა წერს: „ძნელი მისახვედრია რისი თქმა უნდა რ. მიშველაძეს, ანდა რა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა იგრძნობათ მის ნაშრომში?“. რის თქმაც მინდა, იქვე სწერია. ოთხ სიტყვით რომ ეთქვათ, ეს ნიშნავს: „შოთა ნიშნაინიძე ყარგი პოეტი“.

როგორ თუ ზოგადთეორიული მსჯელობა გაბედო, განჩინებულა პატივცემული ოპონენტი და ზვენი ნაზრველიდან ქვას ქვაზე არ სტოვებს. იგი განსაკუთრებით აუღელვებია ჩვენს ოთხ დებულებას:

„პოემაში ლირიულს და ეპიკურის ზელოვნური გაერთიანება სასურველ შედეგს ვერ იძლევა“.

„პოემის გაგება, როგორც ლექსად დაწერილი რომანისა, რამდენადმე მოძველებულია“, ამ მოსაზრებას ჩვენი ავტორიტეტული ოპონენტი ასეთ კომენტარს უყუთებს: „არსად, არც ერთ დროში, არც ერთ ლიტერატორს არ უფიქრია, პოემა ლექსად დაწერილი რომანია“.

„პოემა, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ეპოსია. მის შინაგან დრამატიზმს (რომელიც ამავე დროს სიუჟეტი) უმეტესად ლირიული მოტივები უნდა ასაზრდოებდნენ“.

ოთხივე ამ მოსაზრებას პატივცემული ოპონენტი სრულიად შეუფერებელ (ეთიკურა თვალსაზრისით) კომენტარებს უყუთებს და ჩვენს მოსაზრებებს რომ „ავტორებებს“ „დიდსულოვანად“ დაასვენის: „ახლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს, ღირს კი რომ რ. მიშველაძემ ზოგადთეორიულ მსჯელობებს მოჰკიდოს ხელი“.

თქვენ რომ იყოღეთ, პატივცემული იზა, თქვენგან სრულიად დუმსახურებლად მივიწყებული ლიტერატორის თეორეტიკოსები ახლაც კამათობენ იმის შესახებ, პოემა ეპიკურ

ეანრს მიეკუთვნება, ლირიულს თუ ლირიულ-ეპიკურს (შორს წასვლა რომ არ მოგიხდეთ, ჩახედეთ 1965 წლის „ლიტერატურის გაზეთს“ ივლის-აგვისტო-სექტემბრის ნომრებში და გაეცანით ვრცელ დისკუსიას პოემის შესახებ). მე ვიცი, თქვენ ყარვად ვესმით ლირიულსა და ეპიკურს შორის არსებული განსხვავება, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სწორად ზვენი საუერის დასაწყისში სუფვლად თეორია პოემის კრიზისისა და მისი — როგორც ეანრის — კვდომისა, ეს თეორია სულ ახლახანს, სამოციან წლებშიც წამოიჭრა. — პოემა ეპიკური უნდა იყოს, მხოლოდ ლირიული თუ ლირიულ-ეპიკური? — კითხვობდნენ თეორეტიკოსებიცა და პოეტებიც. რამდენიმე პოეტმა პოემის კრიზისიდან გამოსვლა მასში ლირიულისა და ეპიკურის ზელოვნური გაერთიანებით სცადა. აი, ამას გველის-მომბდი, ჩოდესაც თქვენს მიერ პირველ დებულებად ჩათვლილ და უმოწყალოდ გაკრიტიკებულ ჩემს უბრეტენზიო მოსაზრებას ვაყალიბებდი.

რაც შეეხება ჩემს „შეორე დებულებას“, რომ „პოემის გაგება, როგორც ლექსად დაწერილი რომანისა, რამდენადმე მოძველებულია“. მოგახსენებთ: კლასიკური ლიტერატურის ერთერთი უპირველესი ეანრი პოემა გაბლდათ. საუერეების განმავლობაში იცვლებოდა მისი ფორმაც და თემატიკაც (მოთერა, ვმირული, რომანტიკული, რეალისტური...), მხატვრული პროზა უფრო ახალგაზრდაა ვიდრე პოემა. როცა ლიტერატურაში რეალისმი გაბატონდა, პოემის ადგილი თანდათან პროზულმა ეანრებმა (რომანი, მოთბობა, ნოველა, დრავენი), დაიკავა. მაგრამ პოემა კი არ ვარდასულა, მან უფრო დააკონკრეტა თავისი სახე, იქამდე დააკონკრეტა, რომ პუშკინმა „ევეენი ონეგინს“ პოემა კი აბა, „რომანი ლექსად“ უწოდა. პოემა უძველესი ეანრია, და იგი ყარვა ხნის განმავლობაში კლასიკური ლიტერატორის უმთავრეს ეანრად ითვლებოდა, რაკი პოემა ლიტერატორის გაბატონებულ ეანრი იყა, ხოლო რომანი ლიტერატურაში საერთოდ არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში იმ პოპულარობით, რაც XIX საუერუნში მოიპოვა), პოემას, როგორც ეანრს, საზღვრები არ ვაანდა და იგი ზმის შემთხვევაში ესმოდათ, როგორც ლექსად დაწერილი რომანი. კლასიკურ პოემებლ ჩათვლილა პომეროსის, რუსთაველის და დანტი ალევერის ნაწარმოებები პოემის თანამედროვე გაგებით (იმის შემდეგ, რაც პოემამ დააკონკრეტა თავისი ეანრული სახე) ლექსად დაწერილი რომანებია. თუმცა ეს მათ ღირსებას სრულიადე არ ამცირებს, რადგანაც პოემა მაშინ იმას ერქვა, რასაც ისინი სწერდნენ (თუმცა არც პომეროსს და არც რუსთაველს თავიანთ ქმნილებებისათვის „პოემა“ არ უწოდე-

შიათ). თქვენ ეს სერობოვლი სახით ამტკიცებთ, „არად არცერთ დროში, არც ერთ ლიტერატორს არ უფიქრია, პოემა ლექსად დაწეროდა რომანიაო“. რა ვაძლევთ ამის განცხადების უფლებას? აი, რას წერს ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს ერთი ავტორიტეტული ავტორი — ლ. ტიმოფეევი:

«Поэма представляет собой по существу стихотворную повесть, реке — стихотворный рассказ и в ней в основе лежит сюжет, данный в то же время в единстве с лирическим раскрытием материала поэмы» (Тимофеев Л. «Основы теории литературы», Москва, 1966, стр. 367).

„პოემა, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ეპოსია“, ეწერათ ჩვენ, ლიტერატურის თეორეტიკოსთა კამათში ამის შესახებ, — პოემა ლირიკაა თუ ეპოსი, ჩვენ იმ აზრს ვადგავართ, რომ პოემა პოეტური ეპოსია, იგი პოეზიის სფეროს განეკუთვნება და პოეზიის ნიშნებში უნდა ახასიათებდეს. «Поэма рисует идеальную действительность в ее высших моментах. Роман и повесть, напротив, изображают жизнь во всей ее прозаической действительности»¹. წერს ბელინსკი. ე. ი. პოემა პოეტურ ეპოსს განეკუთვნება, ხოლო რომანი პროზაულ ეპოსს. რაკა რომანი პროზაულ ჭკრ კიდევ არ იყო განვითარებული, მაშინ დასაშვებია იყო „რომანი ლექსად“, მაგრამ ახლა „რომანი ლექსად“ როგორც რომანის (და არა პოემის) ერთ-ერთი სახე, მოქველდებულა მიკვანია.

ღარაა მეოთხე დებულება, ჩვენ ეწერთ: „პოემის შინაგან დრამატიზმს (რომელიც ამავე დროს სიუჟეტი) უმეტესად ლირიული მოტივები უნდა ასაზრდოვებდნენ“.

დრამატიზმის გარეშე დიდი ფორმის ნაწარმოები ვერ იარსებებს, დრამატიზმი კი სიუჟეტის უპირველესი თვისებაა. კრიტიკოსები სიუჟეტის სხვადასხვა სახეს გამოჰყოფენ. ზოგჯერ თვნი ვერ იხილავენ რა პოემაში ტრადიციულ, მკვეთრ, ხელნასაჟიდ სიუჟეტს, უმჯობესად უკმაყოფიენ მის შინაგან დრამატიზმს და ხელაღებით აცხადებენ — მავან და მავან პოემას სიუჟეტი არ გააჩნიაო.

რაკი პოემა, ეპოქის მწვავე პრობლემებს ეხება, მასში უკვე არის დრამატიზმი, ხოლო ეს დრამატიზმი სრულიად საქმარისთია იმისათვის, რათა ერთიანი თემატური ღერძი, ლიტერატურული და შინაგანი მიხანსწრაფულობა მას მთლიან ლიტერატურულ სხეულად კრავდეს. მიემართათ ლიტერატურულ პრაქტიკას: ამ ბოლო დროს დაიწერა უამრავი უსიუჟეტო

პოემა. ქართველ ახალგაზრდა პოეტებზე რომ არა ვთქვით რა, უსიუჟეტო პოემებზე უნდა ნათელად ტვარდოვსკის „შორეული მიწები“ მოიხსენიო (რომლისთვისაც მიწვევით სტენოგრაფი პრემია მიენიჭა), ევტუშენკოს „პრატისკის პესი“, ლუკინინის „სიეკარულის განცხადება“, რ. რუდენსტენკის „წერილი ოცდამეათე საუკუნეს“ და სხვ. ე. წ. „უსიუჟეტო“ პოემები ჩვენი დღეების ლიტერატურის მონამოვარი კი არ არის, არამედ ბლოკის, შაიკოვსკის, ბ. რიუსოვის და გლაკტიონ ტამბიის ტრადიციების გაგრძელებაა. უსიუჟეტო პოემის საბჭოთა პიონერთა გამოცდილება ბაირონის, შელის, დ. ვურამიშვილის... ლიტერატურული პრაქტიკის გამძლე საყრდენებზე იდგა. ამ „უსიუჟეტო პოემებს“ ყველას ჰქონდა შინაგანი დრამატიზმი. ზომ ფაქტია, რომ ზოგა ავტორი კვლავ ჭიუტად მიჰყვება რომანის ან მოთხრობის ვალეკსის მოქველდებულ გზას. მოიფიქრებს იგი სახელდახელო სიუჟეტს, ჩაუქვდება და ეგვიტ არ ეპარება, რომ პოემას კი არ წერს, არამედ მოთხრობის რითმავს.

«Да, поэма — это драматизм», წერს ბ. რუნინი, იმ დისკუსიაში გამოსვლისას, რომელზეც ზემოთ მივითითეთ და იქვე განაგრძობს: «Повествовательная, сюжетная поэма в ее «классическом» понимании не оказала сколько-нибудь заметно влияния на развитие нашей послевоенной поэмы».

Она попросту следовала за прозой»¹. ჩვენ ამ მოსაზრებას სავესებით როდი ვიზიარებთ, ჩვენ სიუჟეტისანი პოემის წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენი კამათის საგანი არ არის.

დაებრუნდეთ პრაქტიკას, ჩვენ ეწერთ: „რატომ იქცა ათმარცვლიანი შაირი ახალგაზრდა პოეტთა უმეტესობისათვის თითქმის ერთადერთ ფორმალურ საშუალებად? პასუხი ერთია, ბუნებრივია ათმარცვლიანი ლექსი სხვადასხვა პოეტური ტემპერამენტის, ხასიათის, ფსიქიკის შემოქმედლათვის ერთნაირად ორგანული არ არის და ზოგჯერ შედეგად ეღუბულობთ სტანდარტულ ყალიბში ძალად ჩატენილ სრულიად სხვა „პოეტურ“ მასალას.


უფრო დეტალად ვალაქტონს:

„როგორც ნისლის ნამჭერი, ჩამავალ მზით ნაფერი, ეღვარებდა ნაპირი სამუდამო მზარეში, არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი, ცივ და მიუსაფარი მღვმარების გარეშე“.

ამ სტრაქონების კაპაფონიურად წაკითხვა

¹ Белинский В. Сочинения, т. XIV, стр. 188.

¹ «Литературная газета», 1965 г. 16 сентября, № 110.



არ ზერხდება. აქ არის საოცრად მუსიკალური რიტმი და იგი სიმფონიური მელოდირობით ეწვევა ლექსის საერთო განწყობილებას. ჩონჩხებისა და ქიჩურების სამედრო მხარეში მიედინება მთელი სამყარო თავისი ტივილებით და სიხარულით, თავისი სიყვარულით და სიძულვილით და დროის ამ მსახურალი ბრუნვის ჯადოსნურ წიაღს აჯობა-წმენტივით მოკვება გალაკტიონის ეს დიდებული ლექსი. იგი არასად არ არღვევს ამ მარადიულ მდებარებას, არსად არ იჭრება ბგერათა პირველყოფილ პარამონიში მანერული დეტონაცია. მაგრამ როცა ლექსის ხასიათი სრულიად განსხვავებულ მუსიკას ითხოვს, გალაკტიონი მარშისებრად წერს:

მხარი მხარს, მხარს მხარს!

კოლექტივო, მხარი მხარს!

და ორსავე შემთხვევაში „ბოქისა“ და „პაციფისის“ ავტორი შეუდარებელი პოეტი — კომპოზიტორია, მისი ლექსის პოლიფონია არსად არ შორდება ლექსის რაციონალურ დატვირთვას, არსად არ უარყოფს და არსად არ არღვევს მას.

პატივცემულ ოპონენტს ჩვენი ეს მსჯელობა „ტენის ჰელად“, „უცნაურ და მოუხერხებელ“ მსჯელობად მიიჩნია. ჩა გამოდისო, „თითქმისდა სცადა გალაკტიონის ლექსის კვათხოვნიერად წაყიბება და არ გამოუვიდოა“, „ნუთუ გალაკტიონის დიდი დამსახურება მხოლოდ ისაა, რომ მისი ლექსის კვათხოვნიერად წაყიბება არ ზერხდება“.

რა ბავშვური ვაბუტება, პატივცემულო იხ! აქ გალაკტიონის — როგორც პოეტის, საერთო დამსახურებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ ზოგიერთ ახლადგარდა პოეტს კეთილბოძიანი ლექსი არ გამოდის, ანემებულა აქვს სტანდარტული ზომი და მისთვის მუსიკალობის, რიტმის მონაცვლეობის სწორეპოეტი მავალითად გალაკტიონის ორი ლექსი მომაქვს. ეს არის ის ეს.

ახლა ვავიხსენებთ ერთ, პატივცემული ოპონენტის სიტყვებით რომ ვთქვათ. „გაჭელ ახზავს, მიშველ, დაუსაბუთებელ ჩწმუნებაზე დაფუნებულს“, რომელიც „არავითარ ნათელ, კონკრეტულ სათქმელს არ ემსახურება“:

„გახელ წელს „ციკრის“ ფერცლებიდან გადმოსული მათი (ლაპარაკია ქართული ახალგაზრდული პოეზიის უახლეს ნაჯახე რ. შ.) პოეტური მოსავალი ორიოდ სიტყვით ასე შეიძლება დახასიათდეს: თეთრ ლექსში სრულიად ორიგინალურად შეჭრილი ფშაური ინტონაცია და მაღალ პოეტურ ელტრისამან შენივთულ პირველყოფილი უშუალობა — ბესიუ ხარანული („ფშაური მზის ნაბეჭები“), ამხიან პოეტურ ხმასთან შეიდროდ დაჯავშორებული ლირიკოსის მგრძობიარე გული და

მხევილი პოლიტიკური ალღო — რეზი ამოფუცელი (პოემა „ძახილი“). ქალაქები მოტრეების ნათელი პოეტური სიმბოლიკა („განკვლი ესაფრეში — ბიძინა მინდაე“ (ტელეფონი) — „მამინ მდინარე როცა ეთავი“), სამოქალაქო პრობლემების ახლებური პოეტური ინტერპრეტაცია და შინაგანი ექსპრესიულობით აღბეჭდილი რიტმი — დილარ ივარდაე — („თეთრი საშლერა“, „მამის მოლანდება“), თანამედროვეობის მშაფრი განცდა და წარმართულ პოეტურ ფერებში გამლავნებული განზოგადების ძალის მქონე მხატვრული ახროვნება — ლია სტურუა („უეტნამი, 1968“), ლექსის აზრობრივი სიღრმისაღში მოზენებით, ემპირიული უდარდლობა და საინტერესო პოეტური მგრძობელობა — ლია ჰეკვაძე („ბესარიონ ნიგაზის საფლავი უშველი“), გამკვირვალე პოეტური თემატიკა, საგრძნობი ლექსიერტი ლაკონიზმი — ტაგუ მებურიშვილი („ვინც აუხილა თვალი ბუნებას“, „მრავალ მდინარეს შეეხარება“), ლექსის შთამბეჭდავი სიუვეტრობა და ამ სიუვეტის მხატვრული პერსევერაციისაღში კეთილზინდისიერი პოეტური დამოუღებულება — ორამ ქეშერტელოძე „უხენი“, „მართლაც კარგია წყნარი დამი“), მკვეთრად გამოხატული სამოქალაქო-კომაეშირული პრობლემატიკა და ნათელი პოეტური ხილვები — ნოდარ ჯალაღონია („გმირის მშობელი“, „მომართვა დღეზე“, „ძახილი“), მედიტაციურობასთან შენივთული ეროვნული ინტონაციები თამარ ერისთავი — („შუაღლე თქმაშე“).

ნუთუ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა „ციკარში“ დაბეჭდილი ლექსების მიკროდახასიათება ამჟინა გაუგებრობა და არავითარ კონკრეტულ სათქმელს არ ემსახურებ? მე ასე არ მჩვენება, ასე არ მოსჩვენებით იმ პოეტებს, რომელთაც ვეხები; და ბოლოს ასე არ მოსჩვენებია „ლიტერატურნათა ვახტანგ“, რომელმაც ამ წერილის შემთხვევაში ადგილი ზუსტად ასე გადაბეჭდა (1969 წლის მარტი, № 12).

მე ვერც ამ ამონაწერში ვეხდავ რაიმე შეუსაბამობას: „ოგი (ვახტანგ ჯავახიძე, რ. შ.), ნელა, აეჩქარებლად, თავის შესაძლებლობათა შეცნობითა და გათვალისწინებით ამკვიდრებს პოეზიაში ე. ჯავახიძის სხეთა გაღერებს და თემტიკურ სამყაროს“.

პატივცემულ ოპონენტს აზრით, „პაროდულიად ელერს შემდეგი სტიტიონები: „დღევაზნელ მსოფლიოზე დაფიქრებულ პოეტს სურვილი აქვს პასუხი გასცეს თანამედროვე ახლავარდა კაცის წინაშე შემოჭრილი უამრავ კითხვას, სურვილი აქვს ასწავლო ბნოს მიღონითა ბედნიერებას თუ უნებურებას. პრობლემათა სიმწვავე და მასშტაბურობა ე. კვიტიშვილის ამ ლექსის (ივლისხმე-

ბა ლექსი „კიდევ მრავალჯერ“, „ცისკარს“ — № 8, რ. მ.) ყველაზე დიდი ღირსება“. რატომ? ვინა პაროდია, ახალგაზრდა პოეტს სურვილი ჰქონდა იმისა, რომ პასუხი გასცეს თანამედროვე ახალგაზრდა კაცის წინაშე წამოჭრილ კითხვებს, მილიონთა ბედნიერებას თუ უბედურებას თავისებური ასხნა მოქმედებისა თუ ყველაფერის ეს პაროდიალად და სასაცილოდ მიგანიათ, მაშინ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენისა ბრძანებულხართ პოეზიის დანიშნულებაზე საერთოდ და ემხარ კრიტიკის ლექსებზე კერძოდ.

ჩემს წერილში, სხვათა შორის, ვლაპარაკობდი იმის შესახებაც, რომ „ცისკარს“ ფურცლებზე მე ვერ ვნახე, ან, უფრო სწორად, ძალიან მკრთალად ვნახე, ის ახალგაზრდული სითამამე და სინედლე, რაც აუცილებლად უნდა მოეტანა ლიტერატურულ ეტრნალში ახალბედ-და მუშების მოსვლას. „ცისკარს“ 1968 წლის № 12-ში ჩვენ ვწერდით: „...რამდენადღაც თვითმყოფადნი არიან ჩვენს ზემოთნახსენებში ახალგაზრდა პოეტები თემატიკისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, იმდენად მომავალზე უფრო ვნახნან ისინი ერთმანეთს პოეტური ფორმით. ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისი კი ნიველირებას ყველაზე ნაკლებად იტანს. ჩვენი სურვილია აქედანვე განსხვავდნენ ისინი ერთმანეთისაგან და მკითხველმა ნახოს მათი, თუნდაც თავიდან არა ყოველთვის წარმატებული, მაგრამ ძიებნისა და აღმოჩენის სურვილით შთაგონებული პოეტური გზა.


ნუ იწყებენ ყველანი ასე რბილად, ასე ტბილად, ასე ერთნაირად“.

— შეტი ძიებნის კვალი, შეტი პოეტური სითამამე — ვერჩევ ახალგაზრდა პოეტებს და ნათქვამი უფრო დამაჯერებელი რომ გავხადო, ემოციურად გოეთეს და დელაქრუას გამოინათქვამებს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდულ ნიუს სითამამე და ვამბედობა უნდა ახლდეს. ვისაც ჩემი ზემოთნახსენები წერილი წუკითხავს, დაწმუნდება, რომ მე შექმნისდაგვარად ვერძლება ციტატებს (მთელ იმ ოკდათ-გვერდიან წერილში სამად-სამი ციტატა). არც იმ სამი ციტატით შეგაწუხებდით, პატივემული იხა, მაგრამ თვით წერილის ლოგიკამ ვახადა საჭირო, მე შევიჩინე რომ ფრაზა — „უფრო თამამად, უფრო გაბედულად შემოდიოთ ლიტერატურაში!“ — უმჭობესია გოეთემ და დელაქრუამ უხორან ახალგაზრდა წერაღს, ვიდრე თქვენმა მოწამობიღმა. იმ ორიოდვე პატარა ციტატას რომ თვითმიზნური სახე არ მისცემოდა, იტყვ ვწერ: „ეს ციტატები მე საღდაც წაითხულიდან კი არ გამხსენებია, სპეციალურად ვებებე ისინი, აზრისა და სიტყვის ტრატებებს თუ აქვთ მეთქი რამე ნათქვამი ლიტერატურულ სითამამეზე“.

„ჭერ ერთი, კარგად წაითხულიდან გვეძლევა ის, რასაც განათლება მჭერს მჭერს, რას გვავედრის რ. მიშველაძემ? რამე წაითხავს და დაუძენია, ჩვენთვის არ შეუძლებელია“ — წერთ თქვენ, ახა ასე უმადურად, ასე განუწყვალად, ასე უმწოდოდ თქმა გვაჯდრებათ. პატივემული იხა? რას მოაყოლოთ, შავალ-თად, თქვენი „აღმოჩენა“ იმის შესახებ, რომ „კარგად წაითხულიდან გვეძლევა ის, რასაც განათლება ჰქვია“? რა დავიშავათ თქვენმა ლიტერატურულმა „პროფილმა“, რომ უსაფუძვლო გაფიცებას ასე ანგარიშმოუცემლად ვინდათ ანაცვალოთ? არას გვავედრის რ. მიშველაძე? თუ რამ წაითხიხავს და დაუძენია ჩვენთვის არ შეუძლებელია“ ნთუ ყველგანა საღმე მინიშნებით შინაც გამოკრთის ზემოთ-მოტანილ ჩემს ციტატაზე?

— რ. მიშველაძემ „ეპიტონებად დანათლ ახალგაზრდა ცისკრელ ავტორთა უმრავლესობა“, რ. მიშველაძემ „საკეთარო ლიტერატურული წარმატებისათვის წამოწყებული კომუნიკაციულში ოცხლად ჩაატანა ქართული პოეტები!“ — ამბობს პატივემული ოპონენტი და წამებულის სახით შეკურებს „ჩემი ლიტერატურული წარმატებისათვის წამოწყებულ კომუნიკაციულში“. „ცისკარს“ და ქართულ პოეტებს ასეთი უპირისუპირი და აწკარბული ვეჭილი რთლ სჭირდება. მათ ყველაზე უკეთ თვითნათი შემოქმედება დაიცავს.

პატივემული იხა ქართული ენა იმიტომაც არის დიდი და ბრწყინვალე, რომ ამოუწერავ ლექსიერა მზარეს შეიცავს. იგი ნახარევი ათასგვარი ფორმით და კონსტრუქციით გამოხატვის საშუალებას იძლევა. ამიტომაცაა ჩვენი ლიტერატურა ასე მდიდარა განსხვავებული მხატვრული სტილისა და წერის მანერის მქონე შერჩევით. მე, პატივემული იხა, დამწყები კრიტიკოსი ვარ, მიხარია და შეამაყება, რომ თვით ისეთმა მრისხანე ოპონენტმაც კი, როგორც თქვენ ბრძანებულხართ, ჩემს ნაწერში ვერ აღმოაჩინა კრიტიკოსისათვის ყველაზე სამიში რამ — არაობიექტურობა, ლიტერატურული გემოვნების სისუსტე, გაუბედურება... როგორც ჩანს, „ცისკარს“ პოეტურ მომავლის კრიტიკულ ანალიზში თქვენ საცხებიტ მეთონხმებით. კარგად და კეთილად. ვინა საკადრისა „მე ასე დავწერდას“ პრინციპით სერიოზული პოზის დაჭერა და ფრეე კამათის იტება ლიტერატურული ტრიბუნიდან? ვინა იმ დამამკრებელი ეპითეტებისა, ჩემზე რომ გადმოაფრქვით, თვითონ არ შეგვიწინდათ? საგზის მოვხებით ზოდისს, თუ ჩვენს ამ წერილში საღმე დავარდვით ლიტერატურული ეთიკის ნორმების და ჩვენს მოკამათის მისთვის შეუფერებელი სიტყვა ან გამოთქმა ვაკადრეთ. თვითონ კი, სამწუხაროდ, უნდა ვუწყო მივთხველს, შემოღობის ბუზივით შე-



რედ იქმნება და საფინანსო ეპიტეტების გა-
ცემაში ზედმეტ გულუხეობას იჩენს. მაგ:

„რ. მიშველადის მთელი წერალი, რომელსაც
ცხადია, სერიოზული კრიტიკის პრეტენზია
აქვს სიტყვისადმი ზერულ, უსულგულო და-
მოკიდებულების საუცხოო ნიმუში“.

„გვეყვება, როდისმე რ. მიშველადემ თავის
თავზე თქვას, საკმაოდ რთულად მოახროვედ
ვარო“.

„...სახე მოერიდებათ (ალბათ რ. მიშვე-
ლადის ვერ უყურებენ თვალბუბო)“.

„იქნებ აღამიანი ყურით იმზირება? ვინ
იქვს. ეს საიდუმლო მარტო რ. მიშველადემ
უნდა იცოდეს“.

„ტივისს კულტა და სხვა არაფერი“...

„სწორედ რომ ვასაოცარი, შემაძრწუნებე-
ლია მისი სტილი. ქართულ კაცს, რომ ეცა-
ლოს კიდევ, ალბათ ძლიერ გაუჭირდება ასე-
თი — ჩასკენილ-ჩაჯვარახვიანებული სინტაქსის
გაწყოება“.

„აბა, ყოველივე ეს, პატივცემულო იზა,
თქვენს ქალურ კდემამოსილებას ვით ეკად-
რება?...“

პატივცემული ოპონენტის არცერთი მნიშ-
ვნელოვანი შენიშვნა უპასუხოდ არ დაგვიტო-
ვებია. მკითხველის წინაშე ბოდიშს ვუხდით,
რომ გრძელი ციტატებით შევაწუხეთ, სხვა ვზა
არა გვქონდა, რადგან ოპონენტმა საუკეთესოდ
აქცია რამდენიმე ჩვენი საესეებით უკმათო
მოსაზრება და ძალუღუნებულად უნდა გვეპა-
სუბა. ზვეს წერილში არის ერთადერთი აღ-
გალი, რომელიც რატომღაც პატივცემულა
ოპონენტის მახვილს გადაურჩა. მე ახლაც მიყ-

ვირს, რატომ აუარა რეცენზენტმა დამილთ
გვერდი ამ აბზაცს? განა იქ ვერ ეტყუებოდნენ
„შეესაბამო ადგილებს“ და „არაფერსმთქმინებდა
ფრაზებს“? აი, ეს ადგილიც:

„იზა ორჯონიკიძემ წერაწერობით მხოლოდ
ექვსიოდე ლექსი გამოაქვეყნა ჩვენი ლიტე-
რატურული ჟურნალების ფურცლებზე. წერ-
აწერობით, რა თქმა უნდა, ნააღრვეია ლაბარაკი,
მის პოეტურ შესა თუ ორიგინალურ ხელწე-
რაზე, მაგრამ ერთი რამ მაინც შეიმჩნევა, გან-
სხვავებით სხვა ჩვენი პოეტი ქალებისაგან,
იზა ორჯონიკიძის პოეტურ აზროვნებას კარ-
ბშესამჩნევი ქალური კდემისა და ნახევარტო-
ნური ინტონაციებისაგან განთავსიუფლების
ტენდენცია ეტყობა. ეს პოეტური სითამამე
ზოგჯერ სასურველ შედეგს იძლევა (მაგ. „და-
მიამახსოვრე, ხეალ ასეთი აღარ შეგვხდება,
ხეალ თამამ სხივებს ჩემს თითებზე მოედრე
ბეჭდებდა“), ზოგჯერ კი აშკარა ეროტიულ
სიმბოლიკასა და ნაწი ლირიკისთვის მიუღუ-
ბელ, გამიშვლებელ სახეობრიობაში გადადის.

ალბათ მკითხველს უხერხულობის შეტეს ვერა-
ფერს განაცდევინებს „დაბადების“ ლირიკული
გმირის (ქალწულის რ. მ.) ასეთი სტრიქონები:

...დათვილ წამებს გააქვთ ჩხრაილი.
კაკლის გულით თერთია და სუფთა საფენი,
ბაბას რძე უელის,
და უკრფი ბალი წრიალებს.
და წვდომისათვის კარდახსნილი
ჩანს ყველაფერი“.

ასეა თუ ისე, როცა ამ სტატიას ვწერდი,
ყურში ჩამსმოდა ამ შემთხვევაში კრიტიკო-
სისათვის სრულიად უსარგებლო სიბრძნე: „ნუ
განივითხავთ, რათა არ განიკოთხნეთ“.



ივანი ნოზიანი

ნეკრასოვის ლექსების ადრინდელი ძარბაზული თარგმანები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი რუსი შემოქმედის ნაწარმოები ითარგმნებოდა ქართულად. სათარგმნი მასალის შერჩევა უმეტესად სოციალური და პატრიოტული მოტივებით განისაზღვრებოდა. მოწინავე ქართველ საზოგადოებას პოეზიაში უფრო მეტად მოქალაქეობრიობის თემა აინტერესებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ ისეთი ლექსები, როგორც იყო პუშკინისა და ლერმონტოვის „წინასწარმოქმედი“, დობროლიუბოვის „პოეტი“, ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“. უფრო ხშირად სწორედ ასეთი ლექსები ითარგმნებოდა.

პოეტის მოქალაქეობრივ მოვალეობაზე წერდნენ ი. პუშკინი და ა. წერეთელი. ერთი და იმავე სახელწოდების ლექსებში — „პოეტი“ ისინი ქმნიდნენ პოეტი-მოქალაქის სახეს, რომელიც ახლო იდგა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტების მიერ შექმნილ პოეტის სახესთან.

ქართულ პრესაში ნეკრასოვის სახელი ხშირად გვხვდება. იბეჭდება მისი ლექსების თარგმანი, ამონაწერები მისი ნაწარმოებებიდან და სტატიები მის შემოქმედებაზე.

მოწინავე ქართველი მწერლები და პოეტები ნეკრასოვის სოციალური თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს, კერძოდ, მის რევოლუციურ ლექსებს. ქართველ საზოგადოებრივმა ნეკრასოვის პოეზიის ძირითადი თემა — დამონებული გლეხის ბედი იზიდავდა. თავის შემოქმედებაში ნეკრასოვი დიდი მხატვრული ძალით ხატავდა ბატონყმობის საშინელებასა და რუსი ხალხის წამებას.

მოწინავე ქართველ მოღვაწეთათვის ახლობელი და გასაგები იყო ნეკრასოვის ლირიკის მოქალაქეობრივი პათოსი. ამიტომ ითარგმნებო-

და ნეკრასოვის ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „მებალე“, „უფიქრები სადარბაზო შესავალითან“, „პოეტი და მოქალაქე“ და სხვ.

ნეკრასოვის ლექსების ქართული თარგმანის გამოქვეყნებას ხშირად აფერხებდა ის, რომ პოეტის მთელ შემოქმედებას, ცენზურის შკაცა-შეთვალურება ხლუდავდა. ცნობილია მეფის ცენზურის რეაქცია ნეკრასოვის ლექსების კრებულის გამოქვეყნებაზე. განსაკუთრებით კი ლექსზე „პოეტი და მოქალაქე“. კრებული აიკრძალა, ცენზურამ მთელი რიგი ღონისძიება მიიღო, რათა პოეტის ნაწარმოებები არ გავრცელებულიყო. 1856 წელს წიგნის ხელმოკრედ გამოცემა და მასზე რეცენზიების გამოქვეყნება სპეციალური ცირკულარით აიკრძალა. მიწერილობა უკველა გუბერნატორს დაეგზავნა, მათ შორის, თბილისის გუბერნატორსაც. მაგრამ, აკრძალვის მიუხედავად, ჩვენი სამოციანელები დაიჩინებინ ცდილობდნენ ქართული მკითხველისთვის ნეკრასოვის ლექსები გაეცნოთ.

თარგმანი უმეტესად „დროებაში“, „კრებულში“, „სასოფლო ვაზეთში“, „ივერიაში“ და „ციკარში“ იბეჭდებოდა. ნეკრასოვის შემოქმედებასა და მისი ნაწარმოებების თარგმანს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უკველიკირეული მოწინავე პოლიტიკური გაზეთი „დროება“.

ნეკრასოვის ენა ინდივიდუალურობით, ეოცხალი და არაჩვეულებრივი ხატოვანებით გამოირჩევა და ზოგჯერ თარგმანისს მკვეთრი გამოთქმები რბილდება, ხოლო მოკლე ხატოვანი გამოთქმები უხესიტყვიანი აღწერით იცვლება.

ნეკრასოვის ლექსების თარგმანი, პოეტის სოციალური თარგმნიდნენ იბეჭდებოდა. მათი სია გამოქვეყნდა ე. ჩარკიანის სტატიაში „ნეკრასოვი საქართველოში“.

ნეკრასოვის ლექსების პირველი თარგმანი ცნობილ ქართველ სამოციანელს, საზოგადო მოღვაწესა და მწერალს ანტონ ფურცელაძეს ეკუთვნის. მან თარგმნა ნეკრასოვის ლექსი „როდეს შევესმის კვლავად ბრძოლის ხმა“. თარგმანი საზოგადო მოღვაწესა და ლიტერატორს ნ. დ. უიფიანს მიუძღვნა. ეს ლექსი 1861 წელს ეჭრნალ „ციცქარიში“ დაიბეჭდა.¹

თუმცა პოეტური თვალსაზრისით თარგმანი სუსტი იყო, სამაგიეროდ ლექსის შინაარსის აქტუალობის გამო იგი შეიტანეს კრებულ „ჩანგში“, რომელიც 1892 წ. გამოვიდა.²

1894 წელს კრებულ „ჩონჯურში“ ნეკრასოვის ორი ლექსის კ. ლორთქიფანიძისეული თარგმანი დაიბეჭდა.

„თერგდალეულთა“ ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი კრილე ლორთქიფანიძე კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, მთარგმნელი, პედაგოგი, და ენათმეცნიერი იყო. ეს დიდად ვარდობებული ადამიანი თანამშრომლობდა მრავალ ეჭრნალსა და გაზეთში („ციცქარი“, „შრომა“, „ივერია“, „დროება“, „კრებულები“, „საქართველოს მოამბე“). მისი მონაწილეობით რამდენიმე ლიტერატურული კრებულები გამოვიდა, მის კალმს ეკუთვნის ნეკრასოვის, პლეშჩეევის, დობროლიტოვის, ოგარისოვის, ნიკიტინის, პიუგოს, პანენს, ბერნისისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები. მის თარგმანთაგან მრავალი დამსახურებულად არის მიჩნეული კარგ თარგმანად და გამოქვეყნებულთანავე მოიწონეს. ჩვენს მიერ ნაბოცნა კ. წერეთლის წერბილი, ვაგზავნილი კ. ლორთქიფანიძისათვის 1867 წლის 16 აგვისტოს. წერბილში გ. წერეთელი ლორთქიფანიძისეულ თარგმანს აქებს და წერს: „შენი ნათარგმნი ლექსი წიგნითურთ მიეღეს. ყოთხეა არ უნდა, ლექსი კარგად არის ნათარგმნი. ის კიდევ დაიბეჭდა; აუცილებლად ამას აქოზამდე „ღრბობაში“ წაუთარგმნა“³. გ. წერეთელს მხედველობაში ჰქონდა უნგრელი პოეტის ლექსი „ჩადრი“, რომელიც 1867 წლის 21 ივლისს „დროებაში“ თომა კარგარეთელის ხელმოწერით გამოქვეყნდა.

კ. ლორთქიფანიძემ თარგმნა მორიცი ვარტმანის ძველნებრი ბაღად ახალგაზრდა უნგრელ გრაფზე, რომელიც დამონებულთა წინააღმდეგ იბრძოდა, შეშდევ კი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. როგორც ყოველთვის კ. ლორთქიფანიძეს აქაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ვშირობის, საშროლოსათვის თავგანწირვის თემა აინტერესებს. ლექსის სტილაოში აღნიშნავს, რომ თარგმანი ორიგინალისაგან საკმაოდ

განსხვავდება, ვინაიდან რუსულიდანა თარგმნილი. იგი მოყრდნობით აცხადებს, რომ მთარგმნელს არავითარი პრეტენზია და პრეტენზია არი ნიჭი აქვსო. შესაძლებელია, შემთარგმნელის სწორედ ამ შენიშვნამ აიძულა გ. წერეთელი თარგმანის ხარისხი შეეკო.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, 1861 წლის 12 ოქტომბერს კ. ლორთქიფანიძე ისტრუქტოა მღელეობებაში მონაწილეობისათვის დაამატირებს და პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში ჩასვეს. საიდანაც 17 ოქტომბერს კრონშტადტში გადაიყვანეს. 1861 წლის 6 დეკემბერს კ. ლორთქიფანიძე გაათავისუფლეს და ამ დროიდან მოყოლებული პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში მუდმივად საჯარო მეთაურობების ქვეშ იმყოფებოდა⁴. კ. ლორთქიფანიძე პეტერბურგში 1870 წლის ბოლომდე ცხოვრობდა. აქ მან ჩამოაყალიბა ამხანაგობა, რომლის მიზანი იყო ცნობილ ქართველ, რუს, უცხოელ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემა.

კ. ლორთქიფანიძის მიმოწერა ჰქონდა ი. ჰვავაძესთან, ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. შესხთან, გ. წერეთელთან, მ. გურაიელთან, დ. ბაქრაძესთან, ნ. დობროლიტოვსა და სხვა საზოგადო-ლიტერატურულ მოღვაწეებთან; ხშირად აქვეყნებდა მასალებს თომა კარგარეთელის ფსევდონიმიძე.

1870 წლის 15 თებერვალს ს. შესხის მიერ კ. ლორთქიფანიძისათვის ვაგზავნილ წერილში აღნიშნულია აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის კიდევ ერთი უცნობი ფსევდონიმი — ელიკავაძე⁵.

პეტერბურგში ლექსების პირველი კრებულის — „ჩონჯურის“ გამოცემისას კ. ლორთქიფანიძეს სურდა აღნიშნული კრებული მთელი ქართული პოეზიისათვის პროგრამული გამაღარიყო. ამიტომ იყო, რომ კრებულისათვის მასალას სავანებოდ არჩევდა. კრებულში შევიდა ი. ჰვავაძისა, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის ლექსები. რუსი მწერლებიდან კრებულში მხოლოდ ნეკრასოვის ლექსების თარგმანი შეიტანა. ქართული პოეტების გვერდით ნეკრასოვის ლექსების გამოქვეყნებას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულ საზოგადოებრიობაში ნეკრასოვის პოპულარობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ კრებული დიდი რუსი პოეტის ლექსით იწყება და მისივე ლექსით მთავრდება. კრებულის დასაწყისში მოთავსებულია

¹ „რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი“ — ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი, შედგენილი მ. ა. შილოვისა და მ. გ. კარნელის მიერ, მოსკოვი, 1928 წ. ტ. 1, გვ. 220.

² ქუთათის ისტ.-ენოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის ლტ. არქივი, № 454.

³ იქვე, № 644.

¹ „ციცქარი“, 1861 წ., № 11, გვ. 340-341.
² „ჩანგი“, 1892, გვ. 196.
³ ა. ე. ბერძენიშვილის სახ. ქუთათის ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი, № 901.

„პოეტი და მოქალაქე“. კრებულის ბოლოს მისივე ლექსი „გადის დრო და თან მაკლებს შე ძალას“¹. ორივე ლექსი ხელმოწერის ვარსებაა.

შველევარებს (ე. ჩარკვიანს, ო. ლორთქიფანიძეს, ა. ნიკოლაძეს) აღნიშნული ლექსების მოთარგმნელად კ. ლორთქიფანიძევე მიანიათ. ამ მოსაზრების მტკიცებლად უნდა მივიჩნიოთ კ. ლორთქიფანიძის არქივში შემონახული ხელნაწერი კრებულში² რომლის სასათაურო ფურცელზე წერია: „ლექსები“ ნათარგმნი რუსული-დამ თომა კარგარეთელიასგან, ქ. ს. პეტერბურგი. 16 აპრილი 1868 წწ.

კრებულში 80 გვერდია, იგი ოგარიოვის, ბერანოსი, ნეკრასოვის, პლუშჩევიცის, დობროლიუბოვის, ნიკიტინის, იუვენალისა და სხვათა ნაწარმოებებისგან შედგება. სასათაურო ფურცლის დათარიღება — 1868 წელი — ამტკიცებს, რომ კრებულს აღნიშნულ წელს გამოასაცემად იყო გამოადებული, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არ გამოვიდა. შემდეგში კრებული უფრო გვიანი წლების თარგმანით შეიქმნა. უკანასკნელი ლექსი 1900 წლის 26 დეკემბრითაა დათარიღებული. კრებულში სულ 23 ლექსია. მათ შორის ნეკრასოვის ორი ლექსის თარგმანი, რომლებიც უკვე 1864 წელს „ჩონგური“³ დაიბეჭდა — „გადის დრო და თან მაკლებს შე ძალას“ და „პოეტი და მოქალაქე“. ეს ორი ლექსი კრებულის შუა ნაწილშია მოთავსებული. ამასთანავე „გადის დრო და თან მაკლებს შე ძალას“ არის მოთავსებული „შემდეგ“ — „პოეტი და მოქალაქე“⁴. ჩვენ ამ ლექსების თარგმანი შევედარებ ხელნაწერ კრებულ „ჩონგურში“ გამოქვეყნებულ ლექსებს და აღმოჩნდა, რომ ისინი საკვებით შესატყვისნი არიან.

ნეკრასოვისათვის „პოეტი და მოქალაქე“ საპროგრამო ლექსი იყო. კრებულ „ჩონგურის“ შემადგენელიც ასეთისავე მნიშვნელობას ანიჭებდა მას. ლექსი დაბეჭდილია მსხვილი შრიფტით, რითაც ხაზი გაესვია მის მნიშვნელობას. ქართული საზოგადოებრიობისათვის ახლებელი იყო რევოლუციური-დემოკრატიული შეხედულება ხელოვნებაზე.

ლექსი „პოეტი და მოქალაქე“ სათარგმნელად ძალზე ძნელია. კ. ლორთქიფანიძემ არ დააკმაყოფილა პირველმა რედაქციამ და მისი გამოქვეყნების შემდეგ ტექსტზე მუშაობას განაგრძობდა. ხელნაწერ კრებულში ბევრი რამ ფანქარიანია შესწორებული. ეს კი მოთარგმნელის

მიერ ორიგინალის სრულყოფილად ასახვას სწრაფვას ამტკიცებს. ვარდა ამისა, ხელნაწერ კრებულში თარგმანს ორი თარგმანი უნდა ჰქონოდა. 1864 წლის ივლისი, 1868 წლის დეკემბერიდან კი ორი თარგმანი შეწერილი აქვს „გასწორებული“⁵.

ლექსი „გადის დრო და თან მაკლებს შე ძალას“ თავისუფლებისმოყვარე იდეებითაა გაშენებული. სწორედ ამან მიიბუროს კ. ლორთქიფანიძის ყურადღება. უფრო მოგვიანებით შესრულებულ თარგმანში ფანქრით უმნიშვნელო შესწორებები შეუტანია. ლექსი დათარიღებულია „1864 წლის 21 იანვრის. სპბ.“

ამ ლექსის თარგმანმა იმდენად დიდი საზოგადოებრივი ელტრადობა მიიღო, რომ 1892 წელს კრებულ „ჩონგურში“ დაიბეჭდა.

კრებულ „ჩონგური“ საქართველოში დიდი წარმატებით სარგებლობდა. ამ მოვლენას ზ. ჭიჭინაძე იმით ხსნის, რომ „ჩონგური“ 1864 წელს გამოვიდა და თავისუფლების მოყვარე იდეებით გამოხატული პოეზიის ქართულ ენაზე პირველ გამოცემას წარმოადგენდა.⁶

„თერგდალეული“ აღტაცებით შეხედენ კრებულს და მისი გამოცემა აუცილებლად აღლოულად მიიჩნიეს. ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ კრებულზე. მეგობრებმა კ. ლორთქიფანიძეს კრებულის გამო აღტაცებული წერილები გაუგზავნეს და პრესაში დადებითი რეცენზიები გამოაქვეყნეს.

ა. წერეთელმა 1865 წელს „ციცარიში“ დაწერილებითი გამოცხადება მოათავსა: „რამოდენიმე სიტყვა „ჩონგურის“ შესახებ, სადაც საუკეთესო პოეტების ლექსების კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით მოწონება გამოთქვა: „ძლივს ერთი ზერიანი წიგნი გვეღირსა: ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრებული „ჩონგური“, რომელმაც მოულოდნელად გავვაზარა... ეს „ჩონგური“ არის პირველი წიგნი, რომელმაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული“⁷...

ა. წერეთელი აღნიშნავს, რომ კრებულის წარმატების მიზეზი მისი თემატიკის ხალხურობაა, რადგანაც ლექსებში ხალხის იმედებსა და სამშობლოს ინტერესებზეა აღპარაკე. კრებულისათვის შეიარა რეალისტური ლექსები. სადაც „ბუღბუღის გალობა“ არ არის. ა. წერეთელი ხაზს უსვამს კრებულის გამოქვეყნებაში კ. ლორთქიფანიძის უანგარობას. ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო, რათა ხალხისთვის ყარგი წიგნი მიეწოდებინა: „ჩონგურის“ გამოცემით ლორთქიფანიძემ დაამსახურა საზოგადო მადლობა და არა ვყარგავ იმედს, რომ ამ ჩემს აზრს დაამტკიცებს საზოგადოება... ესეც შე-

¹ „ჩონგური“, 1864 წ.

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში, — კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი. №№ 454, 457, 476.

³ იქვე, № 454.

⁴ ქუთაისის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის ლიტ.-არქივი. № 478, № 1—11 ფურცლები.

⁵ იქვე, № 478. 11 ფურცელი.

⁶ იქვე, № 478, ფურცელი № 1.

⁷ ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბა 1627-1916 წ. გვ. 240-241.

⁸ თურნალი „ციცარი“, 1865 წ., № 9, გვ. 2.

ერტყევთ, რომ ღორთქიფანიძეს თვისი შრომით
ტყუილათ, ე. ი. უინტერესოთ შეუწირავს ხალხისათვის და იმ ფასით პუბლიკის წიგნს, რამდენიც თვითონ დაქდობია იმის გამოცემა. ღმერთმა ხელი მოუშობოს სხვა ამგვარ საზოგადო საქმეზედაც“¹.

კრებულის გამოქვეყნება დიდ ხარჯს ითხოვდა. ჩვენ ხელთ ვაქვს საამბერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბის უტრადსალბი ანგარიში. მასში ნაჩვენებია კრებულის ტირაჟი — 1210 ეგზემპლარი და გამოცემასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ვადარიცხვები.

არქივში შემონახულია ნიკო ლოლობერიძის წერილი კ. ღორთქიფანიძისადმი, სადაც მოცემულია კრებულის გაერცელებასთან დაკავშირებული დაწერილებითი ფინანსური ანგარიში. ნიკო ლოლობერიძე ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წიგნი გაეყიდა, ამასთან, შეძლებისდაგვარად ამორებდა ხარჯს, რისთვისაც პეტერბურგში ფულს ფოსტის მაგვირად შეგობრების ზელოთ უგზავნიდა.

ნიკო ლოლობერიძე თბილისიდან სწერს: „შენი ჩონგური თან და თან უფრო და უფრო მოსწონთ აქაურებს“², „შენი ჩონგური კარგად ვაღას; კიდევ ძალიან მოსწონთ და შეიყვარეს ეს წიგნი“³.

პეტერბურგიდან გამოგზავნილი „ჩონგურის“ ეგზემპლარი სწრაფად იყიდებოდა. ნ. ლოლობერიძე აღსატურებდა, რომ მან 170 ეგზემპლარი მიიღო, რომლებიც თბილისში, გორში, დუშეთში, თელავსა და ქუთაისში გაიყიდა. კრებულის გაერცელებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ჩიტოვანი⁴.

კ. ღორთქიფანიძის მიერ პ. უშაკაშვილთან გაგზავნილი წერილიდან ვგებულობთ, რომ „ჩონგურის“ გამოცემასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და გაერცელებაში ნ. ნიკოლაძე ღებულობდა მონაწილეობას⁵.

„თერგდალეული“, რომელიც ნეკრასოვის პოეზიას უწევდნენ პოეტლარიზაციას, თვითაც ქმნიდნენ ლექსებს, სადაც საზოგადოებაში პოეტის როლზე წერდნენ ხოლმე. „ჩონგურში“ დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ლექსი „პოეტი“, რომელიც ძალზე აბლეს იფა ნეკრასოვის ლირიკასთან. ჭავჭავაძე ასევე გაბედულად და პრინ-

ციბულად ეგებოდა პოეტის დანიშნულების საქობს.

1864 წელს, „ციცკარის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა ნეკრასოვის ლექსი „როს სინე-ლისაგან შეცდომების“⁶, რომელიც დი. მგლოზობიშვილმა თარგმნა.

1867 წელს „ციცკარის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ანტონ ფურცელაძის მიერ თარგმნილი ნეკრასოვის ცნობილი ლექსი „ფიტრები სასტუმროს კარბთან“. ახალი თაობის ორგანო „დროებაში“ კმაყოფილებით აღნიშნა ამ ლექსის თარგმანის გამოქვეყნება, ხოლო ლექსის დიდ მნიშვნელობაზე შემდეგ წიარდა: „ჩვენ არ შევღვივართ ახლანდელი „ციცკარის“ განხილვაში და არცა ეცისრულობთ ჯერობით ამას, მაგრამ არ შევიძლიან არ ვანუცხადოთ ჩვენი თანაგრძნობა ნეკრასოვის ლექსის „ფიტრები საპარალი მისავალთან“, ვადა-თარგმნისათვის. ვისაც არ წაუციოხავს ან რუსულად, ან ქართულად, ურჩევთ წაიკითხონ ეს ჩასაფიტრებელი და სმწუხარო საინფორმაციო ლექსი, რომელშიაც არის წარმოთქმული ნაღველი საუქუნეობით დასჯილსა და ცუდის მდგომარეობისაგან გაქვეშდულის კაცისა“⁷.

ლექსის თარგმანს დიდი წარმატება ხვდა წილად და 1892 წელს კრებულ „ჩანგში“ სხვა სათურით ვადიბეჭდა. სხვათაგან ითარგმნა იგრეთვე ლექსის პირველი სტიქონი.

1868 წლის № 38 „დროებაში“ გამოქვეყნდა ლექსი „მომო“⁸, რომელიც ლაზარე მესხიშვილმა (ს. მესხის ფსევდონიმია) თარგმნა, ხოლო იმავე ვაზეთის ორმოცდამეხუთე ნომერში „კარგი ზნის კაცის“ თარგმანი დაიბეჭდა. თარგმანის ხელმოწერა — ი. მი. ვაზეთ „დროების“ რედაქტორს ს. მესხის მძის ივანე მესხს ეუთვნის. ივანე მესხი რუსი მწერლების ნაწარმოებებს თარგმნიდა ქართულად.

1892 წელს ლექსი „კარგი ზნის კაცი“ კრებულ „ჩანგში“ გამოქვეყნეს.

1869 წელს ვაზეთ „დროების“ მეორე ნომერში ნეკრასოვის ლექსის „ღარიბად მოართული“ ა. ფურცელაძისეული თარგმანი გამოქვეყნდა. ეს ლექსი უკეთ არის თარგმნილი. ვიდრე „როდეს შეშესმის კვლავად ბრძოლის სმა“, უფრო მოგვიანებით, 1892 წელს, ა. ფურცელაძის მიერ თარგმნილი „ღარიბად მოართული“ „ჩანგში“ შევიდა.

1869 წელს „სასოფლო ვაზეთში“ თარგმნილის მიუთითებლად გამოქვეყნდა ლექსი „მებადა“. სათურის ქვეშ აღნიშნული იყო „ნეკრასოვიდან“.

იმავე წელს ეს თარგმანი ვაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა. შემდეგში იგი კრებულ „ჩანგში“

¹ იქვე, გვ. 21.
² ქუთაისის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმი. კ. ღორთქიფანიძის ლიტ. არქივი, № 497.
³ იქვე, № 721.
⁴ იქვე № 823. 1866 წლის 8 ივნისის წერილიდან.
⁵ იქვე, № 821, 1866 წლის 16 იანვრის წერილიდან.
⁶ იქვე №№ 821, 822, 823.
⁷ იქვე № 821.
⁸ იქვე, № 544.

¹ „ციცკარი“, 1864, № 2, გვ. 168-169.
² „ციცკარი“, 1867, № 1, გვ. 45-51.
³ ვაზ. „დროება“, 1867, № 35.
⁴ ვაზ. „დროება“, 1868, № 45, გვ. 3.

ერთი სტროფის გამოტოვებით შეიტანეს. „ჩანგში“ თარგმანს ხელს აწერდა „N⁶“. აქამდე ლიტერატურაში არ შეგვხვედრია ცნობა იმის შესახებ, თუ ვის ეუთვნის ეს ხელმოწერა. ჩვენი აზრით ეს ხელმოწერა კ. ლორთქიფანიძის უნდა ეუთვნოდეს. ამავე დროს მიგვაჩინა, რომ მისევე ეუთვნის „მებალის“ თარგმანი, რომელიც 1869 წელს „სასოფლო გაზეთში“ და „დროებაში“, ხოლო 1892 წელს — კრებულ „ჩანგში“ გამოქვეყნდა.

ამ დასკვნამდე საარქივო შონაცემების, ქართული პერიოდული პრესისა და კრებულ „ჩანგის“ შემართისპირებული ანალიზის საფუძველზე მოვედით. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად შემდეგი საბუთებს მოყვანა შეიძლება:

კრებული „ჩანგი“ საყურადღებოა იმით, რომ მის ფურცლებზე ყველაზე პროგრესული რუსი პოეტების ლექსების თარგმანი ქვეყნდებოდა. პროგრესული რუსი პოეტები საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. „ჩანგი“ ცნობილმა საზოგადო და თეატრალურმა მოღვაწემ ვასო აბაშიძემ შეადგინა. იგი 570 გვერდს შეიცავს და ექვს ნაწილად არის დაყოფილი. მესამე ნაწილის სათაურია „რუსი პოეტები“. იგი იწყება ნეკრასოვის ლექსით „ვალის დრო და თამაშის მუქაღას“, რომლისთვისაც მთარგმნელს „ოცნება“ შეურქმევია¹. ტექსტის ბოლოს ნახევრები არ არის მთარგმნელი, მაგრამ დასათარგმნებელი აღნიშნულია, რომ თარგმანი ი. ჭავჭავაძის ეუთვნის. ჩვენ შევაჩერეთ ამ ლექსის სამი ტექსტი: 1864 წელს „ჩანგებში“ გამოქვეყნებული კორილე ლორთქიფანიძისეული თარგმანი, ხელნაწერ კრებულში მოთავსებული თარგმანი² (კრებული შემონახულია კ. ლორთქიფანიძის არქივში) და 1892 წელს „ჩანგში“ დაბეჭდილი თარგმანი. ამ სამი ტექსტის სიტყვა-სიტყვითი შევრების შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთადერთი თარგმანთან გვაქვს საქმე და ეს თარგმანი კორილე ლორთქიფანიძის მიერ არის შესრულებული. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ „ჩანგში“ ეს თარგმანი ი. ჭავჭავაძის შედგომით მიაწერეს.

კრებულ „ჩანგში“ შევიდა აგრეთვე ნეკრასოვის 5 ლექსის თარგმანი, რომელიც ადრე სხვადასხვა პერიოდულმა გამოქვეყნებებმა გამოაქვეყნეს: „ფურცლები სასტუმროს კარებთან“, „ღარიბად მორთული“, „როდეს შემესმის ველავედ ბრძოლის ზმა“ (სამივე ლექსი თარგმნილია ა. ფურცელაძის მიერ), „მებალე“, (თარგმნილია „N⁶“-ის მიერ), „კარგი წინს კაცი“ (თარგმნილია მესხის მიერ).

კრებულში დაბეჭდა აგრეთვე დობროლიუბოვის 9 ლექსის თარგმანი. ამასთან, ლექსი

„ყოველთვის და ყველგან“ თარგმნილია „წერეთლის მიერ. აღნიშნულ ლექსს „წერეთელმა „მატი“ დაარქვა. დობროლიუბოვის დაბეჭდილი ლექსები თარგმნილია გ. ერტიშვილის (სტუდენტ-ფანიძის), ნ. ლომოურის, დ. მესხის (სტუდენტი დ. ში.) მიერ; — ორი ლექსი ხელმოწერილია ფსევდონიმით — „N⁶“.

ამავე ნაწილში მოთავსებულია აგრეთვე ლებომონტოვის, პლუშჩევის, ნადსონის და სტარო, დუშკის ლექსების თარგმანი. „უცხო მხარეს“ მითითებული არა აქვს მთარგმნელის გვარი, ნათქვამია მხოლოდ, რომ ლექსი რუსულიდანაა თარგმნილი. მთარგმნელი ფსევდონიმ „N⁶“-ს ამოუფარა. როგორც ეტყობა, ავტორი და მთარგმნელი ცენტრული მოსაზრების გამო არ დაასახელეს.

„ჩანგის“ მესამე ნაწილში — „რუსი პოეტები“ ფსევდონიმით „N⁶“ 4 ლექსია ხელმოწერილი: „მებალე“, „უცხო მხარე“, „გარდაცვალებაზე“, „როცა ზამთარი“... ეს ლექსები ბედარული და ჩაგრული ხალხისადმი თანაგრძობით არის გამსჭვალული, მათში სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანის სიმწარე და ცენსი, ბატონყმობის წინააღმდეგ მისისანე პროტესტი იგრძნობა. ეტყობა, მთარგმნელი არ შემთხვევითად ცენტრული მოსაზრების გამო ამოუარებია ფსევდონიმს.

როგორც ცნობილია, კ. ლორთქიფანიძე რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებს რიზარტობდა და ნეკრასოვის პოეტურ ნაწარმოებებს თარგმნიდა. მის მიერ ნეკრასოვის ლექსების თარგმანთან ლექსის „მებალის“ თარგმანის შედარებისას (ხელმოწერა „N⁶“) სტილის იგივეობა და დიდი ენობრივი ერთობა იგრძნობა.

კ. ლორთქიფანიძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გაცნობისას მის არქივში შემოღწეული თარგმანების ხელნაწერი კრებული აღმოვაჩინეთ. კრებულს თომა კარგარეთელის ხელმოწერა აქვს³. აღნიშნულ კრებულში დობროლიუბოვის 5 ლექსის — „გარდაცვალებაზე“, „მზე ამობრწყინდა“, „მავსის ჩივილი“, „როცა ზამთარი“, „მეზღვდარა“, თარგმანია მოთავსებული. ყველა 1868 წელს არის დათარიღებული და პეტერბურგშია შესრულებული.

კრებულ „ჩანგში“, მოთავსებულია ლექსი „მზე ამობრწყინდა“, რომელიც კ. ლორთქიფანიძის მიერ არის თარგმნილი. სიტყვა-სიტყვითი შედარებისას გამოირკვა, რომ თომა კარგარეთელის (კ. ლორთქიფანიძის) კრებულიდან დობროლიუბოვის კიდევ ორი ლექსის თარგმანი შევიდა „ჩანგში“: „გარდაცვალებაზე“ და

¹ ქუთაისის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმი; კ. ლორთქიფანიძის ლიტ. არქივი, №№ 454, 457, 478

² იქვე, № 473, 48-57 ფურცლები.

³ „ჩანგში“, 1892, გვ. 194.

¹ „ჩანგი“, 1892, გვ. 173.

² ქუთაისის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის ლიტ. არქივი, № 473.

„როცა ზამთარში“. თარგმანთა შედარებისას მხოლოდ უმნიშვნელო შეუთანხმებლობაა შეშენული, კერძოდ: „როცა ზამთარში კრებულ ლეკებში“ შეეკვე სტროფის გარეშე დაბეჭდილი.

ორივე თარგმანი ხელმოწერილია ფსევდონიმით „ჩე“. მასთანავე, „ჩე“ კირილე ლორთქიფანიძის ფსევდონიმი. ინტერესსმოკლებული არ არის ისიც, რომ „ჩანგში“ დონბროვსკოვის „ბუქვის ჩივილის“ დ. მესხის მიერ შესრულებული თარგმანია შეტანილი და არა კ. ლორთქიფანიძისა. ეტყობა, კრებულის შემდგენლის აზრით, დ. მესხის თარგმანი უფრო იყო შესრულებული, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჩანგში“ ოთხი თარგმანი იყო ხელმოწერილი ფსევდონიმით „ჩე“. მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ ორი მათგანი კ. ლორთქიფანიძის მიერ არის შესრულებული, უნდა მივიჩნიოთ, რომ დანარჩენი ორიც მას ეკუთვნის.

მასთანავე, ნეკრასოვის „მებაღე“¹ კ. ლორთქიფანიძის მიერ არის თარგმნილი. ამის დამაბტკიცებლად სტოლის მსგავსება და მთარგმნელის ბერძენის დამთხვევა მოვუაჩინია, აგრეთვე ის, რომ კ. ლორთქიფანიძეს რამდენიმე ფსევდონიმი ჰქონდა.

მის არქივში შემონახულია მიმოწერა ს. მესხთან. ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძე ზნორად სარგებლობდა ფსევდონიმებით და ამტკიცებდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს აუცილებელი იყო.²

ჩვენს მიერ მიყვლილია ნეკრასოვის 7 ლექსის თარგმანი, რომლებიც პოეტის სიყვდილის შემდეგ სხვადასხვა ფურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულა. დღემდე ისინი კრიტიკული ლიტერატურის ყურადღების გარეშე დარჩენილან. მხედველობაში გვაქვს შემდეგი თარგმანები:

1. „მესხის ომის ხმა“, ბრძოლთა ზარი“ 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა. თარგმანს ხელს აწერდა „კენტი“. ეს იყო ქართული საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და ფერხდლისტის არტემ ახნაზაროვის ფსევდონიმი. ა. ახნაზაროვის ქართული სახელი იყო „ჩიორასა“ და დემიოს“ ფსევდონიმით იცნობდა.

ეს თარგმანი იყო დაბეჭდილი 1916 წელს კრებულ „ჩანგში“. კრებულში, აღნიშნული ლექსის გარდა, იმ პროგრესული პოეტების

¹ „უცხო მზარის თარგმანთან დეკავშირებით თავს ვიკავებთ, ვინაიდან ამ ლექსის ავტორის ვინაობა ვერაფრით დავადგინეთ. ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ ამ ლექსის თარგმანი კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის და შესრულებულია „რუსულად“, როგორც ნაჩვენებია ტექსტის დასაწყისში.

² ქუთაისის ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმი. კ. ლორთქიფანიძის ლიტ. არქივი. № № 570, 642.

ლექსები დაიბეჭდა, რომელთაც სამართლიანობისა და ჰუმანიზმის დასაცავად აიძულეს ხმა.

ლექსი „მესხის ომის ხმა, ბრძოლთა ზარი“ კრებულის იმ ნაწილშია მოთავსებული, სადაც პუშკინის, ლერმონტოვის, შეგენკოს, მიცკევიჩის, ხალმონტოვის, შილერისა და სხვა პოეტების თარგმანებია დაბეჭდილი.

ამ ლექსისადმი საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება ისტორიული მდგომარეობის დრამატულით აიხსნება. პირველი მსოფლიო ომის მესამე წელი იწურებოდა. ხალხები დაღალდნენ უაზრო ომით, რომელსაც ბოლო არ უჩანდა და რომელიც უფრო და უფრო მეტ მსხვერპლს იწირავდა. ამ პირობებში ნეკრასოვის ლექსი ახალი ძალით ავლერდა.

2. ა. ევდოშვილის მიერ თარგმანი ლექსი „დობროლიტოვის ხსოვნას“ პირველად 1901 წელს გაზეთ „კვალი“ დაიბეჭდა, რასაც არც ერთი მკვლევარი არ იმორწმუნს. ეს თარგმანი ლიტერატურაში მხოლოდ ნეკრასოვის ლექსების კრებულის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.³ ჩართულია იგი აგრეთვე ევდოშვილის ლექსების კრებულებში, რომლებიც გამოცემულია 1906, 1916, 1948 და 1963 წლებში.

ა. ევდოშვილის თარგმანი იმდენად მხატვრული და ხატოვანი იყო, რომ შემდგევი აღნიშნული ლექსი აღარაფერ უთარგმნია.

საბჭოთა პერიოდში ევდოშვილისეული თარგმანი გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“⁴.

რევოლუციონერი პოეტი იოვლიან ევდოშვილი ვასილ საფერის 90-იანი წლების ბოლოს ვახდა პოპულარული. თავის ლექსებში იგი მუშათა კლასს უმღერდა. 1903 წელს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის თბილისის სასულიერო სემინარიიდან გაირიცხა. 1905 წლის რევოლუციის დროს ა. ევდოშვილი მიტინგებსა და კრებებზე საყოფარღო ლექსებს კითხულობდა. მანვე თარგმნა ქართულად „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“.

3. ლექსი „როს წარმტაცსა და ვიბრულსა“ 1908 წელს გაზეთ „ცხოვრების სარკეში“⁵ დაიბეჭდა. თარგმანს ხელს აწერდა „იასაშანი“. ეს იყო ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის მიხეილ კინწურაშვილის ფსევდონიმი. კინწურაშვილის თარგმანი ბევრად უკეთესია ვიდრე ა. ფურცელაძის თარგმანი.

4. ლექსი „მძიმე ჭვარი ხედა იმასა წილათ“ დაიბეჭდა 1908 წელს ეტრნალ „ნიშადორში“⁶.

¹ გაზეთი „კვალი“, 1901, № 48, გვ. 986.

² ნ. ა. ნეკრასოვი, ლექსები და პოემები, თბ., 1948 წ. გვ. 56.

³ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1926, № 20, გვ. 2.

⁴ გაზ. „ცხოვრების სარკე“, 1908, № 27, გვ. 2.

⁵ ეტრნ. „ნიშადორი“, 1908, № 27, გვ. 9.

ლექსი კონსტანტინე ნაკობაძის მიერ თავის-
უფლადაა თარგმნილი.

5. ლექსი „ბავშვების ტირილი“ 1913 წელს
ახალგაზრდობის ეფრნალ „ნაკადულში“ და-
ბეჭდა. ლექსი ი. ევლოშვილის მიერ არის
თარგმნილი.¹ ეს თარგმანი მხოლოდ ი. ევლო-
შვილის ლექსების კრებულის მიხედვით არის
ცნობილი. კრებულთა გამოცემის თარიღებია
1916, 1948, 1963 წლები.

6. ლექსი „როს ვისმენ ომის აშბავს საზა-
რელს“ 1914 წელს ეფრნალ „თეატრისა და
ცხოვრებაში“ დაბეჭდა.² თარგმანს ხელს აწერ-
და ილ. ჩხერიძისპირიელი. ამ ფსევდონიმით
აქვეყნებდა თავის ნაშრომებს საზოგადო მო-
ღვაწე, პედაგოგი და მწერალი ილია ფერაძე.
ეს ამ ლექსის ქართულად თარგმანის მეოთხე
შემთხვევაა. ამ დროისათვის ნეკრასოვის უდი-
დესი პოეტური შემოქმედებებიდან ქართულად
ძალზე ცოტა იყო თარგმნილი. ლექსი „შემსის
ომის ხმა, ბრძოლთა ზარი“ კი მეოთხედ ითარ-
გმნა. ლექსის მეოთხეჯერ თარგმნა მარტო იმით
არ აიხსნება, რომ წინა სამი თარგმანი სუსტი იყო.
ლექსის მეოთხეჯერ თარგმნა თემის აქტიულობით
აიხსნება. იმ ხანებში პირველი მსოფლიო
ომი უკვე დაწყებული იყო. 1914 წლის 30
აგვისტოს ვერმანიას თურქეთი მიემხრო და
რუსეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ამო-
ქმედდა. მაგრამ იმავე წელს თურქეთის ძალები
ამიერკავკასიის ფრონტზე სასტიკად დამარცხდ-
ნენ. ლექსის „როს ვისმენ ომის აშბავს საზა-
რელს“ ახალი თარგმანი იმპერიალისტური
ომის დაპყრობითი ხასიათის წინააღმდეგ აღ-
შფოთებისა და პროტესტის თავისებურ გამოხატუ-
ვად შეიქმნა მივიჩნით. თარგმანი 1914 წლის
12 ოქტომბერს გამოქვეყნდა.

7. ლექსი „როს ბნელ ქუჩაზე ღამით მომესმის“
თარგმანი იმავე „ჩანგში“³ დაბეჭდა. ამ კრე-
ბულში ნეკრასოვის ეს უკვე მეორე ლექსია
მოთავსებული. თარგმანი მიხეილ კინწურაშვილს
კეთუნენს და ზელმოწერილია მისი ფსევდონი-
მით „იასამანი“. კრიტიკულ ლიტერატურაში
არსად არ არის აღნიშნული, რომ მ. კინწურა-
შვილმა ნეკრასოვის ლექსი თარგმნა. ჩვენს მიერ
აღმოჩენილი „შემსის ომის ხმა, ბრძოლთა ზა-
რი“ და „როს ბნელ ქუჩაზე ღამით მომესმის“
თარგმანი ამტკიცებს, რომ მ. კინწურაშვილი
დანიტრესებულ იყო ნეკრასოვის შემოქმედე-
ბით. ეს ინიტერესი შემთხვევითი არ არის.

ჩვენს მიერ აღმოჩენილია ნეკრასოვის „სამ-
შობლოს“ სრულიად უცნობი თარგმანი, რომე-
ლიც კ. ლორთქიფანიძის არქივშია დაცული.⁴

ლექსის სათაურთან აღნიშნულია „ნეკრასოვი-
დან“ და „მამია გურიელი“. ლექსი ზელმოწე-
რილია მამია გურიელის ფსევდონიმით „ნაკადუ-
ლი“. სამწუხაროდ, თარგმანი უკუთარგმნულია
არ არის. იგი 55 სტრიქონისაგან შედგება და
გაერთიანებულია მხელად გასარჩევი ხელით, შვი-
დმელნითა დაწერილი. თარგმანი საკმაოდ კარ-
ვად ვაღმოსცემს ლექსის შინაარსს, განწყო-
ბასა და ორიგინალის ხასიათს. მიუხედავად
იშისა, რომ მ. გურიელი ნიჭიერი პოეტი იყო,
იგი დიდხანს და ბევრს შეშაობდა თარგმანზე,
რასაც ტექსტის მრავალრიცხოვანი შესწორება-
ნი ამტკიცებს. მ. გურიელმა თარგმანი შემთხვე-
ვით როდნი მფუღენა ი. კუკუცაძეს: მან შეამ-
ნინა ორი დიდი პოეტის შემოქმედების ურთი-
ერთაქვემდებარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ მ. გური-
ელის ეს თარგმანი ყურგებობით არცერთ
ბეჭდვით კრებულში არ შესულია და არც საღ-
ვად გამოქვეყნებულა.

ამ ზღაპარის მეოთხე გვერდზე იმავე ზე-
ლით პატარა ლექსის თარგმანია მიწაწერილი. ლექ-
სი იწყება სიტყვებით: „ჩემს ზემოდ გრგვინა
მეხსა ისროდა“. ლექსის ავტორი დასახელებუ-
ლი არ არის. არც თარგმანის შესრულების
დროა იჩვენები. მარტოა მხარბეა ლექსის
8 სტრიქონის რუსულად წერია. იქვე ქართული
ბუკარდია მოცემული. თარგმანი კარგადაა შე-
სრულებული და ამ რამდენიმე სტრიქონის გან-
წყობას დიდი სიყვარულით ვაღმოსცემს.

აღნიშნული ლექსის თარგმანი მამია გური-
ელის ლექსების კრებულში შევიდა, რომელიც
